

644
1958/3

საქართველოს
საბავშვო
საზოგადოებრივი
სამსახური

30

სამსახური

ს. ლომიძე

6

შინაიკისი

თ. ჯანგულაშვილი — ლექსები	3
ბ. ჩხეიძე — მწვანე ხოდაბუნი (რომანი. გაგრძე- ლება)	7
ო. ზალამბერიძე — ლექსები	31
ა. ბეგაშვილი — თოვს (ლექსი)	33
ბ. გოგიჩაიშვილი — პირველი დღეები (რო- მანი. დასასრული)	35
თ. ვილაძე — ლექსები	54
ა. სინაური — ლექსები	57
ქ. გოგობერიძე — სიმღერა გაზაფხულისა (ლექსი)	59
ს. წმინდაძე — გაწვევითი სიმი (მოთხრობა)	60
ბ. ქავთარაძე — სიმღერა ფერებზე (ლექსი)	84
ს. ნარიანიძე — ლექსები	86
შ. შაქსვირი — ჰენრი მეოთხე (ისტორიული ქრონიკა. ინგლისურიდან თარგმნა ვ. ქელი- ძემ)	89

2577

6

მოგზაურის დღიური

ო. ქინქლაძე — პრაღიდან დუნაის სანაპიროე- ბამდე	120
---	-----

*

მ. შაგინიანი — ამაღლებული მოთხრობები	132
ვ. დოროშვიძე — ადამიანის ბედი და სოცია- ლური გარემო	133

ჩვენი აღამიანები

ბ. გეგეჭკორი — ბავშვები, სიბოძ, სინაზე...	136
---	-----


ქრონიკა და კუბლიცისტობა

დ. შინგულია — ვახტანგ ბარნოვი	139
ქ. ჯანგულაშვილი — როდესაც კვიციანიძე ვახ- სილ ბარნოვს	141
ბ. შატბერაშვილი — ბარნოვის თქმით	147
წ. ქინქლაძე — ლაღო ასათიანი	149

1958

ივნისი

სახელმწიფო
ბანკის მფლობელი
„საბავთა
საქართველო“



წიგნის თარო



6. შველიძე — მ. ასლანიანის მოთხრობები . . . 152

6. შველიძე — გოეთეს „დრამები“ ქართულად 153

ა. ლეკიაშვილი — ახალი ეთნოგრაფიული გამოკვლევა 154

უძველესი მხრიდან

ქრონიკა 156



რედაქტორი ვახტანგ ჭელიძე

სარედაქციო კოლეგია:

თ. ბაღურაშვილი, რ. თვარაძე (პ/მგ მდივანი), კ. კალაძე, გ. შატერაშვილი,
ო. ჩხეიძე, გ. ციციშვილი, ნ. ჭავჭავაძე, ს. ჭილაია.

რედაქციის მისამართი: თბილისი, მახარაძის ქ. № 14, ტელ. № 3-87-02

ხელმოწერილია დასაბეჭდად 3/VII-58 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 10. შეკვეთა № 360.
ში 03515 ქაღალდის ზომა 70 X 108. ტირაჟი 8.000.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარბოლოგრაფიკომპლექსის
ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.

Комбинат печати Главполиграфиздата Министерства культуры Грузинской ССР.
Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.

თეიმურაზ ჯანგალაშვილი

საინგილოს გზაზე

მთებს გაჰქცევია წყარონი,
ალაზნისაჲენ დიან,
მაჰისწყლის ბროლის წყარუნი
ასდევნებია ნიაგს.
დაჰკაკანებენ კაკბები
წაბლით დაბურულ ქედებს,
ასდევნებია კაკლები
კაკკასიონის კედელს.
მარცხნივ სისხლსავსე ტყეები,
მარჯვნივ რქესავსე ველი,
ქარვადასხმული ხეები,
ოქტომბერი და რთველი.
ეს გზაა ცისარტყელების,
მზისგან ნასროლი თოკი, —
თუ კაკლებს ჯმუხი ხელებით
დაუჭიმიათ ნოხი.
მიეჭრი ამ ზღაპრულ ხალიჩით,
საინგილოში მიეჭრი,
გულმა თუ თრთოლვა არ იცის,
ხომ სანთელივით მიეჭრი.
ვისინჯავ ხმისა კილოსა,
მიწაც სიმწიფით მღერის,
— სალამი საინგილოსა,
ჩემი სიმღერა წრფელი!
ოქტომბრის ოქროს გილოცავ,
მაისურ ბაღს და ედემს,
სალამი საინგილოსა,
შენს ველებსა და ქედებს!

მასპინძელი

განა ოდესმე იხილავ
შიოს დარაზულ დარვაზას¹, —

¹ დარვაზი — ქიშკარი.



მისი კოჭია სახლკარი
 დგას სიყვარულის დარბაზად.
 რიკულებს ვარდა ეხვევა,
 აყარს¹ სხივები მთვარისა,
 ქერქვეშ მზის თვალი ბრდღვიანებს,
 თუ უთამაშებს თვალი ცას.
 ცაზე ვარსკვლავი გადმოდგა,
 კიბეზე — შიოს სახლობა.
 — ღმერთმა გიმრავლოთ დოვლათი,
 — ღმერთმა გიმრავლოთ ბახლობა!²
 სულ სავსე გქონდეთ მარანი,
 სულ სავსე გქონდეთ ბეღელი!
 დგას შიო ტარტარაშვილი —
 მუხა ტოტდაუტენელი.
 მასპინძლის თვალმა კეთილმა
 მე სიტყვა გამითამამა:
 — სტუმრებად კი არ ჩავგვთვლო,
 შიო, დაგვიდექ თამადად!
 მიწის სისხლი ჩქეფს თასებში,
 მიწა იცინის ღვინოში,
 შიოს ქართული მარნები.
 სავსეა საინგილოშიც
 ჩქარა სიტყვა და სიმღერა,
 არ დაგვიღონდეს არავინ!
 — არაწსაც³ ჩამოუვლია... —
 გულში ხითხითებს მარანი.
 ღვინოც ვერ ჩრდილავს სიყვარულს,
 ძილს როგორ უნდა მინებდე...
 და საფერავი ღამისა
 დნება ფანჯრების მინებზე.

შენ გლოცულობდი

შენებრ კეკლუცი, შენებრ ღამაში,
 ეს საინგილო, — ძველი ჰერეთი,
 მტკავლის დადება ნედლი ხმელეთი
 მღერის თავისი ზვრით და ღელეთი.
 შენსავით მღერის.
 შენს წინა ვდგავარ
 ამ სიღამაზიდ დამუნჯებულს,
 მეხდაკვესებულ მუგუზალს ვგავარ,
 მკერდს მინგრევს გული გაურჩებულს.


¹ აყარი — ბანი.

² ბახლობა — ბავშვობა.

³ არაწი — ხელადა.

ღობის გაღმოდან მოჰქრის ნიაგი,
 სავსე დაწვები იწვის გიზგიზით
 და ერთი მუჟა მწიფე ქლიავი
 გადმოიყარე სიცილ-კისკისით.
 მე თუ მეძებდნენ შენი თვალები,
 თუმც ჩემზე კარგი ვაჟიც გერგება,
 მითხარ და ქართლის ტურფა ქალები
 გამოყვებიან შენთან ჰენგებად¹.
 ქართულად მღერი საქართველოზე
 და ცისარტყელის ქამანდას იქნევ.
 შენ გლოცულობდი...

რათ არ მელოცე, —
 ერეკლე მეფეს შენ შეხვდი იქნებ.



¹ ჰენგა — მაყარი ქალი.



„მზიანი ხოდაზანი“

ნახატი ჯემალ ლოლუასი

ბოჩის ჩხიძე

ქვეან ხელაზიანი

ვიდრე ქვრივები თავჩალუნული მუშაობდნენ და საუბრობდნენ, არც ლეონილა იჯდა გულხელდაკრეფილი. ამას ადასტურებდა სმენის წამლები ყიყინი, კრიახი, ქახქახი მეორე განყოფილებიდან რომ ისმოდა გამუდმებით. ლეონილა ფრინველს ახარისხებდა. აცალკევებდა სანაშენოს, დამზადებაში სახორცედ ჩასაბარებელს, შრომადღეებზე გასანაწილებელს. ასე ემზადებოდა სამეურნეო წლის დასასრულის შესახვედრად. რამდენჯერმე სესე მოსწყვიტა თავლოს. მძიმე ნივთები ერთი ადგილიდან მეორეზე გადატანინა, ბელლიდან საკენკი გამოაზიდვინა. სესე საქალამნე ტყავივით მომბალიყოქალებს სულ „შენი ქირიმეს“; „გეთაყვანეს“ ეუბნებოდა. არავითარ დასაქმებაზე უარს არ ამბობდა. ამინდი კი ისევ ცუდი იდგა. ქვენა ქარს გაჰქონდა შხუცლი განუწყვეტლად. უთოვლო, ურთივლო ხმელაზობა იყო. ღრუბლები კი ერთი წუთით არ მოსცილებია ცას. შრომასა და მუსაიდში თითქმის ერთ კვირას გაეგლო. დაგლეჯილი კალმები ზურგით გაზიდა რამდენჯერმე გარეთ სესემ. თავლომ გერმით ორი ვეებერთელა ბარდანი გატენა. როცა გამოიანგარიშა, რომ ორ ლეიბს და თორმეტ ბალიშს თამამად ეყოფოდა შეგროვილი გერმა, ხელები აღაპყრო, მიაწყევლა თავმჯდომარის გასათხოვარი ქალი:

— ჰაი, დაწე ქ შედ და ნულარ ამდგარხარ!

ასე ხელშეწყობით, გულმოდგინედ მუშაობით განარბულმა ლეონილან ერთ დღეს გადაწყვიტა სხვა დღეებთან შედარებით, უკეთ გამასპინძლებოდა ქვრივებს. ხუთშაბათ დილით დედა დაიბარა სოფლიდან, სადილი შეუკვეთა და ჩამოატანინა. შუადღისით დაზგა სველი ტილოთი გადაწმინდა, გადაფარა ზედ თეთრი, ქათქათა სუფრა. შემოდო მაგიდაზე პურები, ყველი, ნაღვერდალში შემწვარი კვერცხები, კომბოსტოს მწნილი, ჩახარშობებული ქათამი და ვაშლები. ამას ყველაფერს სამლიტრიანი ქაშანური ხელდოქით ხაზრეთული ძველშავის ზედაშე შემოუღდა. მზეს გადახრისას მიიპატიყა მუშები მაგიდასთან თითონ სხვა საქმეს მიჰყო ხელი. დედას სადილის დამზადება ძალიან დაგვიანებოდა, რადგან ჯერ ქვევრის მომხდელი ვერ ეშოვნა. მერე წამლები გასჭირვებოდა, ბოლოს შინ დასატოვებელი მეზობლის გოგონასთვისაც ძლივს მიეგნო.

აჩასობაში მუშებს ძალიან მოშინდობდათ. სუფრასთან დასხდომის უმაღლვე მიჰყვეს ხელი პურის ჭამას. სესემ წელზე მოისვა ხელი. ქარქაშიდან ამოიღო



სოფელში კარგად ცნობილი, იმერეთში ნაყიდი, ხალიბოურელ ოსტატისგან გაძის გაქედილი ცალპირა დანა, რომელიც განუყრელად ეკიდა წელზე მისივე შეკერილი ბუდით. ამ დანით ხან კალათის პწკალს ხდიდა თხილის ჯოხებს, ხან მწარე ბლებს ტყეებში ოფიჭოს აცილიდა სარცხლებად. კვირტისა და რტოს ნამყენსაც იმით აკეთებდა, ღორებსა და ცხვრებსაც იმით კლავდა და ატყავებდა. ახლა ეს სახელოვანი იარაღი სესემ მწნილის დასაქემსავად, ქათმის ასაქნელად გამოიყენა. როცა ამას მორჩა, თაფლოს ბარკლების გადანახსენები, ღვიძლი და მკერდის ჩიჩილაკი გადაუდო და დიდი მადლობაც დაიმსახურა. ამის შემდეგ ქაშანურის დოქიდან ჯერ საქაშნიკე გადაჰკრა (ეს მამაკაცის უფლება იყო) და მხოლოდ მერმე დაასხა თლილ ქიქებში წითელი ღვინო, სასმისებიც ერთად დააწყო თევშზე. მალე ორთავემ ერთად ასწიეს ქიქები. გაჩაღდა გუნებიერი ბურის ჭამა. სუფრის მეთაურობა, რაღა თქმა უნდა, სესემ დაიჩემა და მერიქიფეობაც თვითონვე იღო თავს. ყოველი ხუთიოდე ლუკმის შემდეგ ავსებდა ცარიელ ქიქებს. ერთს თაფლოს გადაუდგამდა, მეორეს თვითონ დაჰქერდა ხელში. ხანდახან სადღეგრძელოს გაჰქიმავდა; გააგრძელებდა. ამ დროს თაფლო ქანდაკებასავით ჩერდებოდა. ეს ის სანატრელი წუთები იყო, როცა სესე ქალის შნოიან გულმკერდს დაუსჯელად მიაჩერდებოდა, ღვინით სავსე ქიქაც ხელში ეჭირა და ყაენივით ბედნიერად გრძნობდა თავს. ამ მდგომარეობის გასახანგრძლივებლად სიტყვას კიდევ უფრო აჰიანურებდა. ფერშენთებულ ქალს სახეზე თვალგაუტეხელად უყურებდა. მოეწონაო, რა სათქმელია, აღტაცებაში მოდიოდა თაფლოს ფერ-ხორციანობით, სიტყვა-პასუხით. მეტად სანდომიანი და ლამაზიც ეჩვენებოდა ქალი. ამიტომ სადღეგრძელოების დამთავრების შემდეგ თაფლოსაც რომ შეასმევდა ღვინოს, თავის ტყავში ველარ ეტეოდა. ხან ჩაახველებდა, ხან ულვაშს გადაიგრეხდა. ხანაც ხნოვანებისაგან ოდნავ მოხუთულ ბეჭებს ახალგაზრდულად აათამაშებდა. შენობაშიც მყუდროდ იყვნენ. ანთებულ ბუხართან დედის უბესავით თბილოდა. დაგვიანებული სადილი გემრიელზე გემრიელი გამოდგა. თაფლომ აიჩქარა მხოლოდ. უეცრად გაეჭვა სუფრას, ბუხრისაკენ გადავიდა ცეცხლის პირას. სესე კი მანამდე შერჩა სუფრას, სანამ სამლიტრიანში ნახევარ ჩარქვამდე ჩარჩენილი ღვინო მთლად არ ამოაშრო. მერე ისიც მიუახლოვდა ბუხარს და საუბარი გააბეს:

- შეალი რამდენი გყავს, თაფლო?
- ორი ვაჭი, ორი ქალი.
- გიცოცხლოს, ვიმრავლოს.
- შენც გიცოცხლოს და ვიმრავლოს შენი შვილები. — გადაუხადა სამაგიერო ქალმა.
- ღვინით და სადილით ძალზე ნაამებმა კაცმა ფრთხილად განაგრძო საუბარი.
- შვილები... შენთან არიან?
- აჰ, არა!
- რაო, რაო! — სცქვიტა ყურები სესემ. — მაშ სადა გყავს?
- ქალები გახდნენ თუ არა ჩვიდმეტ-ჩვიდმეტი წლისანი, მაშინვე კალთიდან დავირეკევი. რაც შემეძლო პატივი ვეცი და თავიანთ წესისა და რიგისამებრ, ვისაც ეკუთვნოდა, ჩავაბარე, დავათხოვე.
- მალე შელევინაო, ჩვიდმეტი წლის ქალის ქმარ-შვილში ჩავდება ადრეა და კაცის გამეტებას ჰგავს.
- მე თხუთმეტი წლისა მიმცეს ჩემ ქმარს! — იცრუა თაფლომ.
- მაშინ სხვა დრო და გარემოება იყო. ახლა აგრე არ შეიძლება. ბრალიამეთქი უწლოვანი ქალის გათხოვება.



— ბრალთა, ტყილთა! — ჩაიციან თაფლომ, — აბა თვითონ კარგად იცნობს რომ დედა ქალის აღმზრდელად კარგია, პატრონად კი რა მოგახსენო — ქმარმა უკეთ იცის, რაც უჯობს ახალგაზრდა ქალს, ჰო და თუნდა დამძრახე, მეც დროით გაუჭინე ჩემ გოგოებს ის აუცილებლად გასახენი, ქმარი რომ ჰქვია სახელად. არაინ გადამითელოს-მეთქი, ამის დარდი მაინც მოვიცილე თავიდან. გველი შემოგვეს იმ დედას ძუძუზე, რომელმაც ვაჟს პირში ჩალაგამოვლებული ქალი მიუგდოს. დედა... დედა... ვიცნობ ასეთ ქალებს და უფალო, რა პირით არიან სიძებთან, ვერ გამოვიტყვი. ღმერთმა მამოროს, იქამც იყოს, სადაც არის.

— სწორად სჯი, თაფლო, არა მეთქმის რა. ვაჟები რას შვრებიან. ისინი სადღა არიან?

— ვაჟები? ჰეი, იმათ დაენაცვლოს მათი დედა, მათ დამაყარონ გულზე მიწა. ვაჟებმა თვითონ თავს თვითონ უპატრონეს. ჯარში იყვნენ. იქიდან ხელობა ჩამოიტანეს. რა არ გაუგიათ და რა არ უსწავლიათ! დაიწყე ტრაქტორის აწყობ-დაშლიდან, გაათავე სლესრობითა — ყველაფერი გამოუღიოთ ხელიდან. ტანკისტები იყვნენ და თქვენ ალბათ უკეთ მოგესხენებათ, ტრაქტორს და ტანკს თითქმის ერთნაირი შიგანი ჰქონიათ.

— როგორაო, როგორ უპატრონეს თავსაო? — შეაწყვეტინა სესემ.

— მოკლეთ, რალა ბევრი გავაგრძელო, ორივენი რგოლში არიან. ცოლები დაბრუნების უმალ შეირთეს, გაიყარნენ, ცალ-ცალკე გავიდნენ, მამის სახლი გაიყვეს შუაზე ჯერჯერობით.

— შენა თაფლო, რას შვრები და სადა, ვისთან ხარ?

— მენა რა საკითხავი ვარ ქვრივ-ოხერი! ვერც ერთმა რძალმა ხასიათი ვერ შემიწყო, ვერ მიგუა. ავდექ, ორივეს თავი დაგუქარი. ვუთხარი, ჩემი თავით არ შეგაწუხებთ-მეთქი, ჯერ ჯანი არ წამართმევია. ჩემისთანა დედა და დედამთილი თქვენ გაკლდებოდეთ. მე კი არა მიჭირს რა. არ ვკვებულვ და ასე ვარ გაჩენილი: დაე, გამკიდონ ხის წვერზე — არ წავხდები, არ დავძაბუნდები. ჰაერს და ყვავს მოვიხმარ, საზრდოს გავაჩენ. თავს დავირჩენ. უგერგილო დონდლომ იკითხოს თორემა... თაფლო კი ხელგაშვერილი კარს არავის მიადგება. ასეც ვუთხარი ჩემ შვილებსა და რძლებს. მარტოკამა კი არა. მოვავროვე სტუმრად მათი ბიძები, ბიცოლები, ძალუები და სხვა ბევრი კეთილსინდისიერი კაცები და ქალები, მოვუსხსი ყველანი სუფრას და ვუთხარი... ვუთხარი თუ არა, ავალაგე სუფრა და იმ საათსავე გამოვეცალე. გავათავისუფლე ჩემი მშვიდრანა ჩემი ქალბატონი რძლები. ცარიელი გამოვედი საკუთარი სახლიდან. თითი არაფრისათვის დამიწია წამოსაღებად. ჩემი ნამზითვი მუხის ძეღური ბოსელი გვედგა ცალკე, რომელშიც ჩემ ქმარს კამეჩები ება ზამთარში. იმაში შეველ. შინიდან ვარცლ-საცერი სანათხოვროდაც არ გამომიტანია ერთხელ, დავანგრიე ბოსელი, ძელები გავაშალაშინებინე რაჭველებს და ხელახლად ავაგებინე დაბალზე სამარტოხლო სახლი. დერეფანიც დავატანებინე და უკანა კარიცა. გადავხურე ქსნის კრამიტითა. ვარცლიც შევიძინე, საცერიც, თონეცა და ასტამ-საჩხრეკელიცა. ჩემთან მოდიან სანათხოვროზე მეზობლები. მე კი არავის მივეკარები. ისე თავს როგორ დავიმცირებ ვინმესთან სანათხოვროზე მიმიცდეს ფეხი. მაშინ ქალი ნულა მრქმევია. ასე გავეცალე ჩემ ნაწვავ-ნადაგ. ნამაგარ ოჯახს, შვილსა და შვილიშვილს. მას მერე მარტოდ ვცხოვრობ. როცა მინდა, მაშინ შევალბე ჩემი სახლის კარს, როცა არა და დამყვედრებელი არ მყავს. ჩემი სახლი უთუოდ გეცოდინება. ბატონო, აბა როგორ გამოგეპარებოდა ის თვალიდან? რეხულა ღელის პირას დგას, ნიშის ქვემოთ, დიდი პანტის გასწვრივ ლურჯად შეღებილი.



— ვიცე, აკი გითხარი, შენ ქმარს ვდოსტობდი, მაყარდაც ვყავდი, ნაღობებიც გევიტრევია ერთად, რკინიგზაშიც გევიშენინა მხარდამხარ ქირაზე. ჭილაობა ეხერხებოდა, ნადირობა ხომ რაღა — ჯადოქარი იყო.

— მაგით წამომიკიდა და ის იყო. თურმე დღეობაში ეჭიდავნა. იმ განათლებულ მამაჩემს, ერთი ფალავნის ჯავრი, რომ ამოჰყარა, გადაუკოცნია და უთქვამს: მოდი, ერთი გოგო მყავს, თაფლო ჰქვია, გასინჯე და თუ მოგეწონება, ალალი იყოს, შენთვის მომიციაო. ჭილაობას, ნადირობას, გეცოდინება, ცოლ-შვილიანობის დროსაც ეტანებოდა. ერთხელ გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე, რეხებელ ბიჭებს შუასარმას ასწავლიდა, წამოკიდებასა და მოგვერდში ავარჯიშებდა. იმ განათლებულს როგორღაც თვითონ აუტყურდა ფეხი, დაარტყა იდაყვი რაღაცას და ბეჭი ამოიღო. კოდი პური გადაგვანდევინა მის ჩაგდებაში სამწერისელმა მეკარაბადინე, ნადრძობის აქიმმა სომეხმა. მალე კი გაათავისუფლა ტყვილეებისაგან, მაგრამ რად მიწოდდა? უეცრად მომიკვდა მაინცა.

— წაიქცა, მოკვდა ის ძალღმი კაცი, ჰა? — შეშინებულებით თქვა სესემ.

— მოკვდა, წავიდა, დამტოვა სწორედ მაშინ; როცა წვრილშვილობას თავი დავაღწიე, გახარებას ვაპირებდი შვილსა, შვილიშვილსა და ნათესაობაში, ახლა ვიშ... ვიშ... მარტოკას რაღა მეშველება!

— არა ვიშავს რა, თაფლო, ხომ გაგიგონია, კარგი ღვინის ნაძროვალა, კარგი კაცის ნაცოლარით. ვინ იცის, იქნება მეორედ უფრო ღირსეულს შეხვდე-

— ნუ ამბობ, თუ კაცი ხარ...

— ღონესა და მიდრეკილებებში ვაჟები ხომ არ დაემსგავსნენ მამას?

— არა!

— შერე, შერე? ნიშა და პანტის გასწვრივით, ამაზე გასწყვიტე სიტყვათ. — მოაგონა მიტოვებული სალაპარაკო ქალს სესემ.

— ჰო, იმ ნაბოსლარში ვცხოვრობ ლამაზადა. თუ რამე დასქირდათ იმ ჩემ შვილსა და მომავალს, თაფლო მუდამ მზად არის მისახმარებლად. ხელიც მათკენ მაქვს, სახვე კალთაცა. გული და სული იმათით მიდგას. მარტო ის რად ღირს, მტრის და ორგულის ჟინაზე ოთხი ოჯახის დედა ვარ ჩემ სამშობლოში და მგლის ლეკვებივით აფთარა შვილიშვილები მეზრდებიან. არ მოგვკვდე, არ შემეჭამოს მიწამ, მე იმათგან არაფერი მჭირდება. არა, ეს გადაგაქარბე. როგორ არ მჭირდება და აი რა მჭირდება: თავიანთ გულში ხშირხშირად ჩაიხედონ ხოლმე. როცა დამინახავენ, დედილო, ამაყად დაიძახონ. აი ეს მინდა იმათგან, მეტი არაფერი, მეტი არაფერი. ეს ქნან, ეგ ერთი სიტყვა გამაგონონ ხშირად, და ვე ვიცო... მტლად დავედები მაშინ ყველას. კარგად მოგეხსენება, იცი, აღამიანს ძაღლის მოლაქუტებაც კი ახარებს. შვილისაგან თქმული ტკბილი სიტყვა ხომ რაღას უზამს! ფრთას შეასხამს, ათი წლის სიცოცხლეს ერთ წუთში შემატებს. მაგრამ სად არის, ვის აქვს ის ტკბილი სიტყვა ჩემთვისა. ჰმ... ეხ...

— ვაი დედასა, ეგეთი მოქმედი, მოამაგე დედამთილი ვერც ერთმა რძალმა ვერ გიგუა? ქმრები, ის შენი ნაშობი შვილები, ამისათვის რას ეუბნებიან იმ... ჰო... და... და... არ ვიცი, რა ვუწოდო...

— ქმრები რას გააწყობენ, რა ეთქმით. ჩემი გულისთვის. თავიანთი შვილების დედებს, ჩემ შვილიშვილებზე გეუბნები, იმათ კი დაენაცვლა მათი დიდედა თაფლო, ხომ არ გაეყრებიან? მე კი ღმერთმა დამიფაროს ცოლქმრის გაყრის მიზეზად განდომისაგან.

— ისე, შენ ჭკუაზე, ვერც ერთი რძალი ვერ გაატარე და მოიყვანე?

— ვერა. აბა როგორ? ერთ არაკს გეტყვი ამაზედა.

— ბრძანე.

— ღმერთმა შეიბრალა ეშმაკები, ეყოფათ მუცლით ხოხვა, მოდი ისევ ანგელოზობას დაეუბრუნებო. თურმე მიიწვია ყველა ცაში და უთხრა, ენებეთ, ისევ ჩემ კარზე თქვენი ძველი თანამდებობებიო. არ გვინდაო, უთქვამთ უარი ეშმაკებს. ჩანს კარგად ხართ მიწაზეო — შეუნიშნავს უფალს. სულ კარგად არა, მაგრამ მაინც იქ გვირჩევენიაო — დასდგომიან თავისას ეშმაკები. ამდენ ხანს მაინც რა გაჩერებთ მიწაზე — უკითხავს კვლავ გაოცებულ უფალს.

ერთი რამ გვაქვს კიდევ მიუდგომელი და შეუცდენელი. იმას რომ მოგრჩებით, მაშინ გინდა ცაზე ვიქნებით და გინდა ისევ ეშმაკებად დაგვტოვე დედამიწაზე. რაო? უკითხავს უფრო გაოცებულ ღმერთს. წამომდგარა სუ მთავარი ეშმაკი და მოუხსენებია:

— ყველა მთაზე ვართ, ყველა ხევსა, ბარსა, მდინარესა და ბურღში ვბუღობთ. უთვალავი ბერი და მონაზონი შევაცდინეთ. ყველა სახის იარაღის მოცარვა შევძელით. მარტო ხანჯალს ვერა დავაკვლით რა. ტარი თქვენგან დილოცილო, ეშმაკისათვის შეუფულ მარჯვენაში უჭირავს პატრონს. ამ პირზე დავჯექით — გაგვბრა, იმ პირზე გადავედი — უარესი დავემართა, წვერზე დასკუბება ვცადეთ — შეგვესო. ადამიანებში კი მოსიყვარულე ცოლ-ქმარს ვერაფერი დავაკვლით რა. შევუჩნდებით ცოლს, დავიყაბულეთ, ის არის მიზანს მივალწიეთ და გვეუბნება: მოდი ერთი ჩემ ქმარს ვკითხავ, რას მეტყვისო. დავუტრიალდებით ქმარს — გვეტყვის უეცრად, მოდი ერთი ჩემ ცოლს ვკითხავ, ის რა აზრისა არისო.

— აი, ხედავ, თურმე ეშმაკმა ვერაფერი დააკლო შეთაბუნებულ ცოლ-ქმარს, მე რას ვუხამ? ისიც უნდა გითხრა, ჩემო ბატონო, რომ მგონია ისე სჯობს, როგორც ჩემი შვილ-რძალი იქცევა. ჩემზე ახალგაზრდები არიან, თვალი და გონება უკეთ უჭრით. მასაღამე, ისინი უკეთ ხვდებიან როგორი ურთიერთობა უნდა იყოს ჩვენს შორის.

— ვინ იცის, თაფლო, იმ შენ შვილებს, სიდედრები შენზე უფრო უყვართ, უფრო პატივში ყავთ, ჰა?

— მაშ, მაშ — აგრეა, თავს ევლებიან სიდედრებს. დიახ, უფრო პატივში ყავთ, მა! რძალი რომ საცოლქმარო ორფა ბალიშზე ჩახუტებულ ქმარს თავის გუნებისად გადაიბირებს, ისეთი ვაჟის შვილობა განახევრებულია და აღარ ითქმის.

— ხა... ხა... ხო... ხო... — აროზროხდა სესე. — ეგ მოსდევს ქალის ენის თილისმას. დროითაც იცი თურში ჩაწვეთება: თქვენი ნათქვამის დაცვა რომ ჯრგად გხებრნებათ! თითქოს აღმასით სავსე სალარო იყოთ!

— კა... კა... კი... კი... მეც მაგიტომ ვითმენ, შენ რაც გინდა დაარქვი, გინდა აღმასით სავსე სალარო, გინდა ძირტკბილა დაუძახე, კა... კა... კი... კი... ერთხელ რაც მე დავმართე ჩემ დედამთილ-მამამთილსა, აგერა, სამავიერო მომიზლო განგებამ და ადამიანის ერთხელვე ასე დაწესებულმა ბუნებამ. გა-მი-მარ-ტო-ვეს.

— დახე, დახე! — გულმოსულად აღმოხდა სესეს. — ჩვენ აქ, ასე მწარედ ვლაპარაკობთ, იმათ კი დარდი არა აქვთ, არ კითხულობენ, რა ჭია გვიხრავს გულს. დედას ცოლები გვირჩევენაო, სიდედრი წინა თაროზეო, ვისი სისხლ-ხორცის ნაწილებიც ვართ, ის კი განზე გადექი, ახლოს არ მოგვეკაროვო. ანლა კი მენიშნა, თაფლო, ერთი სიმღერის მოსათვალავის აზრი. ბიჭობისას ვმღეროდ მას, დღემდე არ დავკვირვებდვარ და არ მივხვედრივარ, რა და ვის ვარამს ვანელებდი მხიარულებითა.

— მიხთარი, თუ კაცი ხარ, რომელ სიმღერას გულისხმობ.

— გამხიარული ბუხარო,
გულხათბრობილი ნუ ხარო,
შვილი მშობელს ეუბნება,
გამცილდი, ჩემთან ნუ ხარო.

— გამოგონია. ვიცი, მრავალჯერ მომისმენია და მცსიამოვნებია. მაგას კახელები მღერიან ძალიან მომხიბლავად. პირველი და მოძახილი თითქოს თანაბრად მიდის, ბანი უყიდებს და ძალიან მაღლა ადის. მაგის მოსმენას არა ჯობია რა.

— სწორედ იმ ბანს ვაგუგუნებდი, — დაიტრაბახა სესემ. — ახლა ისე ვეღარა, მაგრამ ცოტას კიდევ მოვახერხებ. ჰო, ისევ იმ მოსათვალავე გეუბნებ: სახლიდან გაგდებენ მშობელს, გაგცილდი, არ გვინდისხარო. ეცადე და გამხიარული შენ, ბუხარო. მერე როგორ? თუ სანათად, თუნდაც ნედლ შეშას არავინ გიმატებს. ჰეი... ჰეი... ჰეი...

— ასე ყოფილა თურმე დადებული. — წაართვა სიტყვა თაფლომ. — რა ვქნა? მე ვერას შეეცვლი. ვაი და ვუი ამნაირად რძალ-დედამთილობის დამწესებელს. შემოიყვან შინ ვიგინდარას დაფა-ზურნით. დავაყვაცებულ შვილს შელავს გადაგიხვევს, გამოიბამს კაბის კუდზე. ღამით ბალიშზე აწვეთებს ყურში ვაიდადარას... დედას კი ვილა ვიფასებს შრომას და ამაღს! რახან შენ შვილს გვერდზე ვუწევარ, ქალბატონიც მე ვარ, შენი შვილიც ჩემია, შენი სახლკარიც აქ მოიტა, მე ვარ პატრონი. შენა კი თუ ძალიან დამიმაღლებ, გუდურასავით ჩუმად კუთხეში ეგდვ. თუ ხმას ამოიღებ, წყენით წარბი შეგითამამედება. გზა დიღია, გაჰყე. კეცეო. ასე დავრჩი მარტოკა. ყველასაგან მიტოვებული ვუღი.

— როგორ უძლებ, ქალო, მაგოდენ სადარდელს? — უეცრად შეეკითხა სესემ, გულზე მოგონებით ძმარგადასხმულ თაფლოს. თან სახეზე დასცქერდა, როგორი სიმწვავეით მოხვდებოდა ქრცლობაში ოსტატურად შიგ ჩაშვებული ბზის სასინჯი ჩხირი.

— ეჰ, რაც არის, დაე ისე იყოს, ოღონდ ჯანმრთელად მყვანდნენ ყველანი. მეტი მე არა მინდა რა მათგან.

„ნეტავი გამაგებინა, გათხოვება ხომ არ გადაუწყვეტია გუნებაში. მაშინ გაკეთდა ჩემი საქმე. მაშინვე შევიერთავ, მარტოობით არც მე მაყრია დიდი ხეირი და შილაფლავი“ — გაიფიქრა სესემ და ხმა მაღლა თქვა: — ძნელია მარტოობა.

— ძნელია, დიახ! ხანდახან დიდ ღამეში ნაშუალამევს გამომეღვიძება, მომენატრება ხმის გამცემი, მაგრამ სად...

ალარ დაამთავრა თაფლომ სათქმელი. სესესაც ეს უნდოდა. უმაღვე დაუმაცვლა კითხვა:

— იმ შვილებს გაფიცებ, ხომ აპირებ ე მაგ მარტოობაზე ხელის აღებას?

— ნუ ამბობ! — აიწურა თაფლო, — როგორ მოხდება თორემ, მარტოობა ადამიანის შესაფერისი მდგომარეობა არაა. მარტოობის თავის დაღწევა? კარგია, მაგრამ როგორ უნდა შევძლო? თვალის სინათლეს გეფიცები, ვერ წარმომიდგენია და არ ვიცი, რა მომივა ასე განაპირებულად დაჩენილ ერთ ქალსა. — ესა თქვა და ქალმა დამნაშავესავით ჩაღუნა თავი. სწრაფად მიხვდა, რომ საუბრით გატაცებულმა, თავისდაუნებურად, დიდი ხნით გულში ნაგროვები ვარაში და იმედის ნამსხვრევები ერთბაშად ამოყარა, გაამქლავნა უცხო პირთან. თავის გამქლავნებას ვინ ჩიოდა. თითქოს მირჩიე, ამ მდგომარეობას თავი როგორ დავაღწიო — სთხოვა საუკუნესავით დიდი ხნის წინათ ნაცნობ კაცს. და რაკილა ასე მოხდა, გულში გაჰკრა: მირჩიოს რაც უნდა. თუნდაც შე-



მირთოს, ჩემთვის ყველა კარგი ექნება. ოღონდ ნუ გამიბეღს, არაკაცად ნუ ჩამომივადებს, საცხოვრებლად გაყრილ შვილებს შევეკედლო.

და ამ გადაწყვეტილებისა, რომელიც არავისათვის გაემხილა და ჯერ მხოლოდ გულში ჩასახოდა თაფლოს, როგორღაც შერცხვა. ამიტომ კვლავ აიკრა პირისახე, დამალა ტუჩ-კბილი. ადამიანის გულში ჩასახედად მხოლოდ თვალეზილა მოუჩანდა. ესეც საკმაო იყო. მათში სესე თალალაშვილი ახლა არა ნაკლებ სიცხადით, ვიდრე ქალის მთელ სახეზე, სუვერეტა სიხარულს, კდემამოსილებას, იმედებს, ქალის ქვეცნობიერებაში ჩასახულ დიდ ნდობას მისდამი. ამიტომაც კარგად, თავისთავად შეწყობილი საუბრის, მასლაათის გაღვივება და ბოლომდე მიყვანა განზრახა. პირი გააღო შემდგომ კითხვებისათვის და უმაღლე ენაზე იკბინა. გარედან, სულ ახლოდან, მის ყურს მამაკაცების ბოხი ხმით ლაპარაკი შეესმა. ხმაური თანდათან ძლიერდებოდა, კარს უახლოვდებოდა, სიტყვებიც კი ისმოდა გარკვევით.

— ვინ ოჯახშირს აუქავდა ფეხები ამისთანა ამინდში სასიარულოდ! ჰაი, დაგაძრათ ტერფები!— მიაწყველა სესემ ქალების გასაგონად ფერმისაკენ მომავალ უცხოებს, წამოდგა, ფეხებშეკრული ბატი კუთხისაკენ გადადო, მაგიდას შემოუარა და სტუმრების შესახედრად კარს მიაშურა.

თავი მერვე

ეზოში ატეხილ ხმაურს ქალებმაც მოჰკრეს ყური. მათ მუშაობა შეაჩერეს. სთხოვეს კაცს, კარს ჯერ ნუ გაღებო და ხელდახელ ბინის მილაგებას შეუდგნენ. თაფლომ სკამები კედელთან მიდგა, მაგიდას სველი ტომარა გადაუსვა, დაგლეჯილ კალმებს, გერმას ძველი ბრეზენტი ფარდავივით გადააფარა. ამასობაში სესეც მოეწყო. მან განამებულ, თეთრ ხალათზე ტყაუჭი წამოიხურა და, როცა თათხს თვალი მიავლ-მოავლო, სტუმრების მისაღები ხელდახელი სამზადისი საკმაროდ მიიჩნია, კარი გააღო, ეზოში გაიხედა. რადგან უცებ ვერავენ შენიშნა (მომავლები სასიმიინდეს ევარნენ), ავდებულად შეეხმინა:

— კაცო, ვინა ხართ, რა გინდათ. აქ სასეირნო ადგილი არ არის!

— ჩვენ ვართ! ვიცით, სადაც მოვედით! — მოესმა ამაყი, თითქოს გაჯავრებულად წარმოთქმული პასუხი.

— თქვენნი სახელი მიბოძეთ თქვე... კარგებო! — გასცა წინანდელზე უფრო რბილად და ფერაობით ისევ ხმა სესემ სტუმრებს.

ღია კარის ზღურბლზე მძიმედ გადააბიჯა მოსულთა შესახედრად, ეზოში რამდენიმე ნაბიჯიც გადადგა. შეფიქრიაუნებული იყო. „რა გინდათ“ რა მიმართვაა, სახლიკაცები ხომ არ არიან. იქნება არც უბრალო ვინმეები არიან. ვთქვათ, სიტყვაზე, რაიკომის მდივანი, რაილმასკომის თავმჯდომარე ან კიდევ უფრო დიდი ვინმე ფერმის დასათვლიერებლად მოდის... მაგრამ მალე დამშვიდდა. გამოჩენის უმალ იცნო ყველანი. სახათრო ხალხი იყო. „საშიშარი“ კი ერთის გარდა არავინ.

პირველი მოსულთაგანი სამ კაცს რომ წინ მოუძლოდა, მაღალი ტანისა, შავ-გვრემანი, პირხმელი, ჩალურჯებულუბეებიანი, კროლათვალეებიანი, რაიონული გაზეთის „მართალი გზის“ რედაქტორი ვანო იორაშვილი გამოდგა. მას უკან, ფეხდაფეხ მოსდევდა ჩამრგვალებული, დაბალი, დამფრთხალი ბუღის შესახედლობის კაცი, რომელსაც მხარზე კონტად დამჯდარ თალათინზე, როგორც ოფიცერს ღურბინდი, საძირე ტყავის კრიალა კოლოფი ეკიდა. სესემ იცოდა, რომ ეს ახალგაზრდა იორაშვილთან მუშაობდა რედაქციაში. განუყრელად დასდევდა რედაქტორს ყველგან. ხაზრეთშიც ხშირად მოდიოდა. სოფლის გოგო-ბოჭების



სული და გული იყო. სტუმრად დაიარებოდა კოლმეურნეობის თავმჯდომარის ოჯახში. დამეს ხშირად ითენებდა იქ. ბასას ცოლსა და ერთადერთ ქალიშვილს ათასნაირად უღებდა სურათებს. ერთხელ სოფლად ხმა გავარდა, თავმჯდომარემ ფოტოგრაფი ჯერ დაათრო, მერე შარაზე გაიტყუა და რჯულზე მიბეგავა. მიზეზი? სესეს არ აინტერესებდა, თუმცა მასაც მოჰკრა ყური. თურმე ბასას ქალი გამოსთხოვა. მესამეც იცნო. მაგრამ ამ ორთან მის დანახვას სრულებით არ ელოდა. მესამეს, ქოთანეთელ მეტყევის შვილს, ხოსიასაც ბევრჯერ შეხედრია დღეობებსა და ბაზრობაზე სესე თალალაშვილი. ეს ბიჭი სესეს მთელი მისი ოჯახის შემადგენლობით ეჯავრებოდა. ხოსიას მამა ქოთანეთში ცხოვრობდა და იქვე ტყის მცველად მსახურობდა. ერთხელ სესეს ყავრის გასახდელი ხეების მოსაჭრელად სატყეომ ქეთარი მისცა. მიუტანა ის ხოსიას მამას. მან მთელი ორი კვირა ატარა სესე, ტყეში არ შეუშვა, სანამ ხელის ჭუჭყი არ გამოართვა. გამოართვა და იქავე მისცა ხოსიას, წადი შვილო, გაიხარეო. ხოსია მას შემდეგ საკმაოდ გაზრდილიყო და დასრულებულიყო, თუმცა თვალის მოსაჭრელი არა იყო რა. სახეზე მიწის ფერი ვადაჰკრავდა. წვრილი აწოწილი ტანი ჰქონდა, ლოყები ჩაცვენოდა, თაფლოს ტუჩების მსგავსი სქელი და გადმობრუნებული ტუჩებიდან მაციცკვლის მეჩხერი და ყვითელი კბილები მოუჩანდა. საერთოდ, ისეთ შთაბეჭდილებას ახდენდა, რომ ეს არის სურამის საგოყეთიდან გაუთავისუფლებიათო. რედაქტორთან და ფოტოგრაფთან მისი დანახვა სესეს არაფრად ექაშნია. „რას აპკიდებია დაგლეჯილი ხურჯინივით, რაში არგია გახეთს უსწავლელი, ლაზლანდარა კაციო“ — გაივლო გონებაში, თუმცა იქვე მეორე აზრმაც არ მოუსვენა: „რას ერჩი, სესე, იქნება ბიჭი ოჯახში მოდგა, დადინჯდა, სამსახურში ან სამუშაოზე მოეწყო, საშრომს გული დაუდო, მშობელს მხარი მისცა, საჭირო კაცი გახდაო“, და იქვე შემოუძახა თავს: არა, რამ ვადაგრია, სესე, უსწავლელს რა სამსახური შეუძლია, უქნარას ვინ რა სამუშაოს ენდობა!

— გამარჯობათ! — მიესალმა სესეს რედაქტორი.

— გაგიმარჯოთ, იცოცხლეთ! — მიუგო სესემ ნაძალადევი მხიარულებით, — ამისთანა დარში რად გარჯილხართ ეს განათლებული ხალხი? თვის დამდეგიდან კაპოეტი სიცივე დაიქირა. აგერა, ახლაც გვარიანად უქმუტუნებს ქვენა ქარი. ეს ფრთაძალი ხნულებში მიწას ხეგტს, მტვრად მიიქვს. — და სესემ ქულზე ხელი წაივლო — ქარმა არ წამგლიჯოსო. — ჩანს, ძალიან საშურო საქმეს გამოუყვანიხართ გარეთ ამისთანაში, თორემ, თბილი ბუდისათვის ამნაირ დარში თავის დანებება, სოფელში ფეხით სიარული ვერაფერი სიამოვნებაა.

— საქმე! — გაიღმიჭა რედაქტორი. — იმდენი მინდამაინც არაფერი. უფროსები არ გვეშვებიან, დაუყინიათ — იარეთო. მათი ბრალაა დღეს ჩვენი აქ ხეტიალი. მართალი ხართ, აბა რა გვინდოდა ასეთ ამინდში ამ ვერანა ველებზე? რთველი იყოს აბა? მაშინ სხვა არის. გაერთობი, გაიხარებ, პირს არგებ რასმე. დიახ, უფროსებს რას უზამ, ვერ გაუსწორებ, სიტყვას ვერ შეუბრუნებ. ამიტომაც მოგაშურეთ. რაკილა ასეა, გვინდა გავიგოთ, როგორ შესრულდა სამემოდგომო ხენა-თესვის გეგმები თქვენს კოლმეურნეობაში. ვაგებული გექნება, რა ამბავიც არის ახლა მინდვრებისა და ბალ-ვენახების დამუშავების გარშემო. ლამის არი, ჩვენც ბარი და წერაქვი, თოხი და ფოცხი დაგვაკავებინონ ხელში. ამიტომ წამოვედით. ასე ამოვიარეთ ქველანთ მინდვრებზე და სახაზრეთოში შემოვედით. ამ თქვენ მწვანე ხოდაბუნზე უკვე ბევრი რამ ვნახეთ გზადაგზა. ახლა აგერ მეფრინველეობის ფერმაშიც მოვედით. სამშაბათისათვის ჩემი გახეთი გამოვა. ერთი სიტყვით, ერთად დავცხებთ მტერსა და მოყვარეს, მტყუნსა და მართალს.

სესემ აღმაცერად გახედა რედაქტორს, რომელსაც ეს შეუნიშნავი არ ღარჩა.

— რად შემომხედეთ? — ჰკითხა.

— სოფელს, კოლმეურნეობას, ხენა-თესვისა და ბალ-ვენახების დამუშავების მეტი საქმე არა აქვს! — მიუგო სესემ. დანარჩენ სათქმელს პირი დააჭირა. ეს თავის შეკავება დიდი შენაგანი ძალის, მთელი მოთმინების მოკრების ფასად დაუჯდა. იმიტომ, რომ არ მოეწონა რედაქტორის სიტყვები „იმდენი არაფერიო“. აქი თვითონ, მისი პირით თქვა რედაქტორმა საშემოდგომო სამუშაოთა გეგმის შესრულებას გავსინჯავო. მამ რატომ იმდენი არაფერიო? მტერსა და მოყვარეს, მტყუანსა და მართალს დავცხებთ ორთავეს ერთნაირადო. რადა? რისთვის? ამ კაციდან სიკეთეს არ უნდა მოველოდეთ — გაიფიქრა. ერთხელ კიდევ გადაავლო თვალი მოსულებს. ცხვირი დააცემინა, ჩაახველა, სანაგვისაკენ პირი მიიბრუნა, გადააფურთხა.

— ჩანს, მალე წავალთ, შინ გავბრუნდებით. — ჩაილაპარაკა ხოსიამ.

— მალე, სულ ერთ საათში! — უთხრა რედაქტორმა.

— შე კი მეგონა, ორი ან სამი დღე დავრჩებოდი აქ, — კვლავ თქვა ხოსიამ.

— არას ვზით, — შეუტია მას რედაქტორმა. — სამ დღეს აქ მგელი არ გა-
ჩერდება.

— ჩვენ არ გავაჩერებდით! — ჩაუბრუნა სესემ.

— ხელდახელ, ერთი საათის განმავლობაში მივდგებ-მოვდგებით, რადაც-
რადაცეებს ჩავიწერთ. ერთი სიტყვით, მალე გავუტევთ შინსაკენ. რედაქციაში
დღით მივალთ.

— თქვენს ნება-სურვილზე იყოს. როგორც გნებავთ! — აღარ დაუწყო სე-
სემ დავა. გულში კი შეუტურთხა: თქვენ უბედურებო, ერთ საათში რისი ნახვა
უნდა მოასწროთო. ლმობიერად გადახედა ქოთანეთელი მეტყვევის ბიჭს, ხოსიას:
შენ რად ავითვალისწუნე, მგონია შენზე უარესებთან მაქვს საქმეო.

— ასე, დიახ, ძალიან მცირე ხნით გეახელით. — გაუმაგრა მხარი რედაქ-
ტორს ფოტორეპორტიორმა.

ეს არ მოეწონა ხოსიას. თანამგზავრებს შეუბღვირა და ხმა ამოიღო:

— თქვე ოჯახქორებო, თუ ასე მალე ბრუნდებოდით შინ, მე რალად მო-
მათრევედით თან? ფეხები ნათხოვარი კი არა მაქვს! ხუთასმანეთიანი ჩხოსლო-
ვაკური ფენსაცმელი მეცვითება და ხაზრეთული მაჭარიც არა ვნახო გემოთ?

ყველას გაეცინა. სესეს კი აღარ ესმოდა, რა მოეგონებინა, რომ როგორმე
სოფლისათვის თავიდან მოეცილებინა ისინი. დახეთ ადამიანის გოგნებას, დაბ-
ნევას, მისდაუნებურად შეპატიყება წამოსცდა:

— აქ როდემდე უნდა ვიდგეთ! შინ შემობრძანდით. რაკილა გეჩქარებთ,
გარეთ გაძლებაც შეიძლება, მაგრამ რა ძალა გადგაფ, ქარია! თბილია ის თუ ცი-
ვი, ორივე წყალმა წაიღოს. მიწას მისგან სარგებელი არ აქვს.

პირველად რედაქტორმა მიიღო შეპატიყება. თავი ნაზად დაუკრა სესე თა-
ლალაშვილს. შენობის შესასვლელი კარისაკენ გასწია. პროპელერის ყურებაში
კინლაძე ქეას ფეხი წამოჰკრა. სესემ მას ხელი შეაშველა, წაქცევას გადაარჩინა,
რაზეც მადლობა მიიღო. მალე ყველანი კართან შეჩერდნენ. რედაქტორმა შე-
ალო და შეიხედა.

ბულიანთ თაფლო სახელოსნოში მარტო იყო, ასტმით ბუხარში ნაღვერ-
დალს ჩხრეკდა. ნაკვერჩხლებს აგროვებდა, ჩალის კლერტოებს კუნძებს ულაგებ-
და გარშემო. კაბის კალთა აეწვია, კერას უქნევდა, უბერავდა, ამზადებდა ბუხარს
შეციენული სტუმრების საამოდ.

შინ წინდაწინ შესულმა სესემ კვლავ მიიპატიჟა მოსულები.



— შემობრძანდით, ნუ გერიდებათ, გარეთ ყოფნას ცეცხლთან ჯდომას სჯობს. —

რედაქტორი კარს მიუახლოვდა. ზღურბლზე გადმობიჯების მაგივრად ცივად დაიხია უკან, ფოტორეპორტიორს დაეჯახა ზურგით.

— რა მოგივიდათ, ბატონო? — შეეკითხა სესე.

— ცუდი სუნია, — წარმოთქვა რედაქტორმა და ნესტოები თითებით დაიხშო. — აჰ, ამ შენობაში, რა გაქვთ მოთავსებული? — კვლავ იკითხა და ახლა თეთრი, ოთხად დაკეცილი ცხვირსახოცი მიიფარა ცხვირ-პირზე.

— ფრინველი გვიდგას! — მოახსენა სესემ.

— ვერ შემოვალ. ეგეთ სუნს, სწორე გითხრა, ვერ ვიტან. დასვენება სხვაგან მირჩევნია. — ცხვირსახოცში ჩაახველა. — ჯობს კოლმეურნეობის კანტორაში წავიდეთ. იქ დავსხდებით ცოტა ხანს. თუ მეფრინველეობასთან რამე სადავო გაგვიჩნდება, იქ გამოვუძახებთ მეფრინველეს. მგონია, თუ ნამდვილად მახსოვს, მეფრინველედ ლენილა თულაშვილის ქალი ჰყავს დანიშნული კოლმეურნეობის თავმჯდომარეს. ასეა თუ არა? ხომ არ გამოცვალეს?

— დიახ, ისევე ის, თულაანთ ქალი გახლავთ, ხელი არ უხლიათ, — დაუდასტურა სესემ.

მოსულეგმა კანტორისაკენ იბრუნეს პირი.

სესემ თეთრი ხალათი გაიძრო, მოიფრიალა თავლოსაკენ. საჩქაროდ გადაიკვა ტყაუჭი. დაეწია ეზოში სტუმრებს, გაუძღვა კოლმეურნეობის კანტორის მიმართულებით.

კანტორის შენობა ასიოდ ნაბიჯით იყო მოშორებული მეფრინველეობის ფერმიდან, პატარა ხევგადაღმა იდგა ვაკეზე.

სტუმრები არ ჩქარობდნენ. მიდიოდნენ ნელა. სიტყვებით კენწლავობდნენ. ხანდახან ხმამალა ეცინებოდათ. კოლმეურნეობის კანტორის ეზოში სულ მალე შევიდნენ. სესემ თავზე ხელები შემოიკრა, რატომ ფერმაში არ შევაჩერე სტუმრები, რატომ წინდაწინ არავინ გამოვგზავნე, არ გავფეე კანტორაში რამდგომარეობააო. ქარს დაერბია იქაურობა. ხშირ-ხშირი ნიავის ტალღები ფანჯრის ჩარჩოებს არაჯგუნებდნენ, კედლებზე ახეთქებდნენ. მინა არც ერთ ჩარჩოს აღარ შერჩენოდა. კარებიც ყველგან ღია იყო. ეზოს ერთ კუთხეში, მყუდროზე, პატია დარაჯი შენიშნეს. მას ვენახებში მოთხრილი დაყანდებული ჭიკოებიდან ცეცხლი გაეჩაღებინა. კერის მახლობლად დიდი ქვა მოეთრია, ზედ რაღაც ფალასი დაედო. იმ ქვაზე გაარხით იჯდა პატია. ალზე მუხლებსა და ხელებს ითბობდა. საკეტგამოცლილი ძველი, დაყანგული ბერდენა პატიას დაბერებულ კახაბლის ფულტროში კონდახით შეეჩარა. ფეხის ხმის გაგონებაზე ის ზეზე წამოიჭრა. თვალების უშნოდ ცეცებით ტანზე შემოდებული ფერფლი გაიბერტყა. მერე თოფი ფულტროდან დაძრო და მხარზე სასაცილოდ გადაიკიდა.

რედაქტორი ვანო იორაშვილი უსიტყვოდ მიუახლოვდა დარაჯს. უმაქნისი იარაღი მხრიდან ააცალა პატრონს. ერთხანს კომპალივით ატრიალა ხელში. ბოლოს ახედა, დახედა, დამკილული კონდახი შეანჯღრია. საკეტი რომ ვერსად აღმოაჩინა, ისევე პატრონს გადაჰკიდა მხარზე.

— ბიჭო, არის ვინმე კანტორაში? — შეეკითხა.

— ამა! ამისთანაში ვინ იქნება!

— ხომ არ იცი, სად წავიდნენ?

პატიამ თვალები გადმოკარკლა. რატომღაც მხრებზე ჩამოპორწილებულ თოფის კონდახს დახედა, სანიშნობელას ხელი მოუჭირა და მიუგო:

— თავმჯდომარე მიწვანში გახლავთ, ცხენზე შეჯდა. ასე გასწია, მწვანე ხო-



დაბუნის გზით. დიდი ხანია წავიდა. ცოლშვილი კი შინ ჰყავს. ახალ სამოსახლში ჯერ არ ჩასულან, ისევე ძველში არიან. მე თუ მკითხავთ, ძველ სახლში სჯობია. ახალ სახლში ჯერ არც ბუხარი აქვს და არც „ფეჩი“ უდგას. მოსახლეობიდანაც შორს არის.

— მიწგანისავე წასასვლელი გზა, შენ რომ მიმითითე, ბიჭო, ის არ არის. იმ გზით ჭერათხევისაკენ მიდიან.

— მერე რა? თუ თავმჯდომარეს უნდა, იქით წავა, მერე გადაუხვევს და მივა, სადაც უნდა. გზას არავინ ეკითხება, სად მიიყვანოს მგზავრი.

ღვთის კაცის ასეთ პასუხზე რედაქტორს კი არა ყველას ძალიან გულით გაეცინა. პატია განაგრძობდა:

— წავიდა მიწგანში ჩემი თავმჯდომარე. ღმერთო, ხელი მოუმართე. დამიბარა: „თუ ვისმეს ეშმაკს ფეხი შეუტდა, მოეხეტოს, მიკითხოს, რაიკომის მდივნისა და რაიადმასკომის თავმჯდომარის გარდა, ყველას უთხარი, ეს-ეს არის ფეხად გავასწროთქო“.

— სხვები სადღა ვაჭკრენ?

— სხვები, ბატონო, — პატიამ ხელი ნიკაზე მიიღო. — ბუღალტერ-მონაგარიშე, ეს ერთი კაცი გახლავთ, ორი თანამდებობა აქვს, ორ შრომადღეს იწერს ერთ დღეში, გამორჩენა კიდევ სხვაა — კურსებზეა. გამგებობის წევრები კიდევ ზოგი სად, ზოგი სად... ერთი კი აგერ არის სესე თალალაშვილი... თქვე დალოცვილებო! რას შემომიჩნდით, ვერ ხედავთ, დაზამთრდა. შაბაში კოლმეურნეობაში სამუშაო, საკეთებელი, წელის საწყვეტი წელიწადის ამ დროს აღარაფერია. დღეს არა ხვალ, ძმობილოჯან, ცა თოვლს გადმოგვყარის თავზედა. აქამდე როგორ არ მოვიდა, მე ის მაკვირვებს.

უკანასკნელი სიტყვები პატია დარაჯმა ისე უკმაყოფილო კილოთი თქვა, ღვთის კაცმა მღვრიე თვალები ისე ააფახულა, თითქოს ეუბნებოდა მოსულებს:

„ნუ გამიმწარეთ სიცოცხლე, დამაყენეთ ჩემთვის, სიცოცხლეში ნუ დაეხეტებით, საქმე ნუ დაგლევიათო“. და რომ მოსულები თავიდან მოეშორებინა, თოფი მხრიდან გადაიგდო, ქვაზე ჩამოჯდა ზღაზენით. ხმელი ჭიგო მუხლებზე მოდებით დამატვრია, კოკონს დააყარა. იცოდა, რასაც აკეთებდა ღვთის კაცი. მალე ისეთი კვამლი ავარდა და ქარმა ისე დაახვია, რომ თვალის გახელა ვაჭირდა. რედაქტორმა ისევე ამოიღო ცხვირსახოცი, ცხვირპირზე მიიფარა. როცა ალი ავარდა და ცეცხლზე ბანჯგვლიანი მაჯები შეიტრუსა, ტუჩები ამოიბრუნა და გულმოსულად დაიწყო:

— პრ... პრ... აი, ნახეთ, ესეც თქვენი მოწინავე კოლმეურნეობა! რას ჰგავს, მოვედით, ვიცადეთ, აქეთ ვეცით, იქით მივეხალეთ, ვერავინ ვნახეთ. კაცი არა ჩანს, თითქოს ყველა გაწყვეტილია. რა ვქნათ? ერთადერთი გზა გვაქვს — შინისაკენ გავეწიოთ. ვიყავით, ვერავინ ვნახეთ, მოწმეები ამისი გვყავს. ჰო და, ვერავინ გვისაყვედურებს, სოფლად არ დადიხართ, კაბინეტებში ხართ ჩაკეტილიო. კიდევ არ დაიჯერებენ, რომ რედაქციის მუშაობა, მასალის შოვნა ძნელია? აი მაგალითი. მთელი ხევისკარი შემოვრკინეთ, გაზეთისათვის მაინც ვერაფერი ვიშოვნეთ. რა ვქნათ, რა გვეშეგლება? — შეეკითხა ფოტორეპორტიორს და თვითონვე გასცა პასუხი. — გამოსული ნომრებიდან მორჩენილი მასალა გვაქვს პორტფელში, მას ჩაეჩიჩრავთ გვერდებში. ახლა თავისუფლები ვართ. ნახვამდის ხაზრეთის კოლმეურნეობა! როგორ არ ვეცადეთ, კაცს ვერ მოვასწარით ადგილზე

— მაშ, მაშ! ნიშნად ვერავის მოვასწარით! — უკანტურებდა მას თავს ქოთანეთელი მეტყვეის ბიჭი ხოსია.

სესეს გულმოსულობისაგან ყელში სისხლი მიეზვინა. ის იყო რაღაც სალან-



ძღვე სიტყვა უნდა დასცდენოდა, რომ საზვინების იქიდან ბულიანთ თაფლო გამოჩნდა. პირდაპირ ეცა ქოთანეთელი მეტყვევის ბიჭს, ჯვარედინად გადაკოცნა.

— ხოსია, შეილო, ერთი დანახვით ვერ გიცანი. გვიან მოვედი გონს. ბოლოს მივხვდი, ვინაც იყავი და მაშინვე გამოგვიკიდე უკან. მაპატიე, შეილო, ცოტა ხანში შევედი და ვერც ხშირად გნახულობ. მე უბედური, ახლოს მაინც ვიყო სახლთანა. მაშინ შინ შეგიყვანდი, უღვინოდ არ გაგიშვებდი. ღვთის მოცემული ყველაფერი მაქვს მეცა და ჩემ შევილებსაც.

— როცა რეხებში გამოვალ, მაშინ გინახულებ, აქ ახლა სხვებთან ერთად ვარ მოსული. — უთხრა ხოსიამ თაფლოს.

— მაშ, შეილო, აგრე გაგიშვა აქედან?

— შენგან პურმარილი არ გვაკლია, გმადლობთ! — უთხრა ხოსიამ.

თაფლო ისევ მალე გაჰქრა, როგორც გამოჩნდა.

— ეგ ქალი შენი რა არის? — შეეკითხა მეტყვევს ბიჭს სესე.

— ეგა, თაფლოი? — გაითცა ხოსიამ, რატომღაც ამ გამოცნაურებით უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილმა.

— ჰო.

— მამიდად მომხვდება.

— ეჰ... ეჰ... კეთილი, კეთილი, მამიდაც ეგეთი უნდა. — ჩაულაპარაკა სესემ და ხელი მოუთათუნა ბეჭებზე. თვალიც ჩაუკრა. ხოსიას სახე გაუბრწყინდა. კარგი ნიშანი იყო თვალის ჩაკვრა.

ამ დროს რედაქტორი შემოტრიალდა, მსლებლებს მიმართა:

— რაკი-ლა ყველა წასულა, ვერც ვერავინ ვნახეთ, ვერც ვერავინ გვეტყვის რასმე, მარჯვენა მხარი წინ, შინისაკენ ნაბიჯით იარ!

— განა შე კარგო ადამიანო, მე სესე თალალაშვილი არავინ და მუნჯი ვარ? — გადაეღობა მას წინ სესე.

— როგორ არ ხარ! — წამოიძახა რედაქტორმა.

— აი, გაიხარე, რომ აღიარე ჩემი არსებობა. რახან ასეა, აგრე აღვიღად ვერ გავიშვებთ! ხოსია, შენ დამენმარე, ამ ხალხს ყელგაუსველებლებს ნუ გამაშვებინებ, თორემ ი მამიდაშენი რას მეტყვის! არ იფიქრებს — ხაზრეთელები დავსილ-ამოგდებულები არიანო?

თაფლოსაგან თვისტომთან გამოცნაურების უმალ სესეს აზრი დაებადა, ხოსიას გამასპინძლებოდა, მომავალი, ვინ იცის, მოყვრისშვილი პურუჭმელი არ გაეშვა. მაგრამ ამის გაკეთება ისე უნდოდა, რომ რედაქტორი და ფოტორეპორატიორი დაეთესა. ამის მიზეზი ის იყო, რომ იორაშვილი ავდებულად იხსენიებდა ხაზრეთს. სესე არავის შეარჩენდა და აპატიებდა მისი მშობლიური სოფლის აუღად ხსენებას. მისი ღრმა რწმენით ამის უფლება მხოლოდ ისევ ხაზრეთელს ჰქონდა, თუკი თავისი სოფლისათვის კარგი ფიქრი და საზრუნავი ამოძრავებდა და ალაპარაკებდა. იორაშვილი კი ვინ იყო, რას წარმოადგენდა, რა უფლება და საფუძველი ჰქონდა დაეწუნებინა ხაზრეთი? ამასთან სესეს ერთი რამე ვერ გაერკვია თავისთვის ნათლად: რედაქტორზე უფრო მოსდიოდა გული, თუ კოლმეურნეობის თავმჯდომარეზე, რომელსაც მოღიავებული კანტორის შენობა, ეზო, მოსულელო პატია დარაჯის ამარა დაეტოვებინა.

— განა შენ იცი რაშე კოლმეურნეობის ავკარგისა? — შეეკითხა ასე გათთხარებულ სესეს რედაქტორი.

— მა, აბა სხვა რაღა უნდა ვიცოდე! — ჩაიბუბლუნა სესემ პასუხად.

— ეგ კარგია, მაშ თუ მართლა იცი რამე, მოგვიყვიე, გვითხარი, გისმენ.

მართლაც და რად უნდა ვეკითხებოდე ყველაფერზე კოლმეურნეობის თავმჯდომარეს და პარტორგანიზაციის მდივანს? რიგითმა კოლმეურნემ რა დააშავა. იქნება მან მეტი იცის. ასეც ხდებდა ხოლმე.

— რად არ ვიცი, რად არ უნდა მკითხონ! — გამოცოცხლდა სესე. — გაჩენის დღიდან ხაზრეთში ვცხოვრობ. კაცი აქ, ჩემს სამკვიდრო მიწა-წყალზე, ერთ ძირ ბულულს ვერ დადგამს, ერთ გოდორ ბზეს ვერ დაუყრის კამჩს, იასამანს ვერ შემოუბარავს ეზოში, რომ ჩემ თვალს გამოეპაროს. მინდა თუ არ მინდა, შევნიშნავ, გავიგებ. სხვა რისი მაქნისი ვარ. სოფელში ვიყო და იქ რამე დამემალოს?! ჰაი დედასა, ეს რა ბრალი მომდეთ, თქვე კარგო კაცებო. თუ იცი რამეო? ვიცი და შერე რამდენი და როგორ!

— ძალიან კარგი, ჩვენც ეგ გვინდა. თუ აგრეა ნულა აყოვნებ. თქვი, დაექვი ნელნელა. ქარმაც უკლო, მგონია, დათბა.

— არ ვიცი, პირველად რაზე გელაპარაკოთ.

— შენ რა მიგაჩნია ყველაზე მთავარი?

— თესვა პირველია. სხვა მას მისდევს.

— მაგაზე გვითხარი. — დაეთანხმა რედაქტორი.

— ინებეთ. რაც დავისახეთ გეგმით, კიდევაც დავთესეთ საშემოდგომო პური. მას სიმინდის აღებამდე მოვრჩით. ისიც იკითხეთ, როგორი თესლი მივაბრეთ მიწას. უკეთესი არ იქნება. დავსხით ქალები, თითოთი გავარჩევინეთ ხორბალი ბრინჯივით. ერთი გორველა, ერთი თავბუა არ შეგვიტანებია. დიდი შრომა გასწიეს ჩვენმა ქალებმა. საითათოდ გამოკაკლეს მთელი სათესლე, თვალეები გაუწყალდათ იმ საბრალოებს. მეტი კიდევ რაღა?

— საიდან იცი? — იპყნულად შეეკითხა რედაქტორი.

— გამგეობის წევრი გახლავარ, — ამაყად განუცხადა სესემ. — ასეც არ იყოს, მაინც გავიგებდი ყველაფერს.

— რაღა?

— თუნდაც კოლმეურნეობის რიგითი წევრი რომ ვიყო, მაგალითისათვის, როგორც ჩვენი დარაჯი, ეს ღვთის კაცი პატიაა, მოვალე ვარ ვიცოდე, რა ხდება ჩემ თავზე, მის გარშემო და კოლმეურნეობაში.

— ძალიან კარგია, რომ იცი. — მოუწონა რედაქტორმა. — ახლა გავვიძებნი, გვიჩვენე საშემოდგომო ნათესის ფართობები, აყრილი კორდები და რაც გინდა. გზადაგზა მოგვიყევი, როგორ მუშაობდით, ვინ მოხნა, ვინ მოთესა, ვინ აილა, ვინ გამოიჩინა თავი შრომაში.

რედაქტორის უკანასკნელი სიტყვები სესეს მოეწონა. მომეჩვენა თორემ ცული კაცი არ ყოფილაო. სტუმრები შუბლგახსნილად შეათვალიერა. ფოტორეპორტიორსაც კი გაუღიმა და ხოსიას მეორედ ჩაუქრა თვალი, ანიშნა, უღვინოდ არ გაგიშვებო: მაინც ვერ ეპატიებინა რედაქტორისათვის ფერმაში შესვლა-დათვალიერებაზე უარი. თუმცა აჯერებდა თავს: მერე რა რომ არ შემოვიდა ფერმაში. კაცს შევხვედრივარ, ქენჭკეტას ყვავილის ბანგს უჯანგრის მახრჩობლა სუნი ურჩევნია. რაკილა მინდურად გასვლა არ დაიზარა, იორაშვილი კაცის შრომის დამფასებელი ყოფილა. მართლაც და რით არ სჯობს საქათმის დახშულ ჰაერს გამლილი ველ-მინდვრის თვალის გადავლება და ნიავი, რაკილა ეს უთხრა თავისთავს, დატრიალდა კიდევც, მოეწყო მინდორში სასიარულოდ. ტყაპუქის კალთის წვერები ხამი ტყავის მაგრად წელზე გაჭერილ ღვედში ჩაიტანია. მალე სტუმრები კოლმეურნეობის კანტორის ეზოდან სასაფლო შარაზე გაიყვანა. იქიდან კი ყველას ზემოთ, სოფლის, მთის კალთების ძირითად საყანე ფართობებისაკენ შეახვევინა ტყბილი საუბრით.

სახნავ-სათესი მინდვრები, სათიბი დაბლობები, ტყეები, გახიხატებული ქა-
რაფები ვენახების, სამოსახლოების გარშემო ჰქონდათ ხაზრეთელებს.

რედაქტორი თავისი მხლებლებით ბორცვებზე შეჩურჩხლულ სოფლის გავ-
ლით ნელ-ნელა ადიოდა მდლობებზე. მათ მეგზურობას უწყევდა სესე თალალა-
შვილი. წინ-წინ მიდიოდა. ჯერ არაფერს უამბობდა სტუმრებს ნათესებზე. ის
უფრო ხაზრეთის წარსულზე უამბობდა სტუმრებს. ჩამოუთვალა ძველი ციხე-
ების და გოდლების სახელები. ისინი საქმაოდ მოზრდილ სოფელს გადმიჩერე-
ბოდნენ გორაკებიდან. არ დაივიწყა ეცნობებინა გაუქმებული საყდრებისა და
ნიშების სახელებიც. უთხრა, რომელ მათგანთაგან რა დღეობა ედოთ სოფლებს.
ბოლოს სახლების იქით, ერთ-ერთი საყდრის გალავანში შეიყვანა ყველა. გაჩერ-
დნენ მიწასთან გასწორებულ ვეებერთელა ბრტყელ ლოდთან. ქვაზე გამოკვეთი-
ლი იყო ყურძნის მტევნები, ხარის თავი, ჯვარი, მუცლით დაკიდებული ცხვარი.
სესემ ლოდს დაუჩოქა, დააცქერდა, ამოიკითხა ქორონიკონი, გაშიფრა, მალე
წარწერაც ამოთვალა:

„ქრისტეს სჯულს ვადიარებდი მიყვარდა სიცოცხლე, პური და ღვინო, გა-
საჭირსაც შევსწრებვიარ, ას ცალ კვერცხში უზალთუნი მიმიცია, ოსმალთან
ბრძოლაში დავეცი, წამკითხველო შენდობა მითხარი მონასა ღვთისასა მალა
უფლისა ციციშვილისძეს იყვიდანაო“.

სტუმრებმა ყური ცქციტეს. განცვიფრებული შეცქეროდნენ სესე თალალა-
შვილს.

— როგორ, თქვენ ქორონიკონის და ძველი წარწერების ამოკითხვა შეგიძ-
ლიათ ქვაზე? — შეეკითხა რედაქტორი.

— დიახ! განსვენებულმა მამაჩემმა თვითონ მასწავლა. მითხრა: ეს გეყოფა,
მე შენი სკოლაში გამოზრდის თავი არ მაქვსო. აგერ ის სულ განათლებული, იქ
მარხია.

უჩვენა სესემ მეორე ქვაზე. ამით მიზანი მიღწეული იყო. რასაც გულში მ-
ლავდა, გააგებინა ყველას. ნურას უკაცრავად, ბნელი ადამიანი არ გეგონოთ, წე-
რა-კითხვა ვიცი, „ყარამინანი“ ახლაც შინ მიდევს, ორმოცდაათი წელიწადია
ვფურცლავ, მაინც კარგად მაქვს შენახულიო.

ამ გაკვეთილის შემდეგ საყდრის გალავანს იქით გადავიდნენ.

სოფლის ნაპირიდან უკვე გაშლილი საყანეები იწყებოდა.

კანტორის ეზოში, პატრისთან ლაპარაკში, მერმე გზადაგზა საუბრის ღროს,
კარგა ხანს გაეგლო. ახლა, ნაშუადღევს, ისე ძალიან აღარ ციოდა, როგორც
ადრე, დილით და სადილობისას. რალაც ნახევარი საათით გამოსულმა მზემ არე-
მარე შეათბო. ქარი შენელებულიყო. დაამებულ ჰაერში მიწის სუნი იგრძნობოდა.
ირგვლივ ლაღი სანახაობა იტაცებდა თვალს. მუქლურჯად ბიბინებდნენ ძირდა-
ბუჩქლო შემოდგომის პურის ყანები.

სესე თალალაშვილი მძიმედ მიაბიჯებდა ჯგუფის სათავეში. მუხლები ისე
მიჰქონდა, თითქოს ღრმა თოვლში კვალი გაჰყავს უკან მიმყოლების გასაღელლა-
დო. გული ხელში დაჭერილ ბელურასავით მალიმალ უციმდა. სახუმარო მოვა-
ლუობად კი არ მიანჩნდა დღევანდელი მისი თავობა. გახეთის რედაქტორს, სურა-
თის გადამღებს, სხვა, უცხო სოფლელ კაცებს მიჰყვებოდა მისთვის ყველაზე
ძვირფას, საყვარელ ხაზრეთის დასათვალეირებლად. მისი ღრმა რწმენით ვანო
იორაშვილი თვით რაიკომის მდივანზე მეტი მნიშვნელობის პირი იყო რაიონში.
სიმატლისათვის თავდადებული, ქვეყნის, ადამიანის თავგადასავალ აღმწერელ-



დამსტამბავი, ორპირობის, სიმუხთლის მგმობელი — აი, როგორი კაცი ენათმეცნიერის, სესეს, რედაქტორ იორაშვილის სახით. დიახ, ასეთმა გამოჩენილმა პიროვნებამ დაფასა ის. მინდვრების დასათვალისწინებლად გაიყოლა. და მას, სესეს, რიგით კოლმეურნეს, უკან, ფეხდაფეხ მისდევს, ბეჯითად უსმენს. ვინ იცის, რა კეთილი, სასარგებლო წამოწყება მოჰყვეს სოფლისათვის ყოველივე ამას. — ფიქრობდა სესე. — იქნება რედაქტორმა ისიც იცის, ამ მინდვრებზე საით, რა სომხების განზე გაივლის სარწყავი წყლის შტო, რომელიც დიდი მდინარიდან გამოჰყავთ მთელი ლიხჭორის კალთის მოსარწყავად.

სესეს კარგად ამოსული პურის სანახაობაც უმატებდა განწყობილების ამდლებულ სიხალისეს.

სტუმრებსაც მოსწონდათ მიდამოები. ისინი სასოებით მიჩერებოდნენ მწვანეს. გაშლილი, ჩინებულად დამუშავებული ველების სიგანივრე, სერების, გორაკების ტალღები გულებს უხალისებდათ. ისინი ახლა შეღმართით აღიოდნენ ნაცარივით დაფქვილ ხელებზე. მალე ქიმზე მოექცნენ თხისშურგა ქედებს. დასასვენებლად ერთ ქვისსამტეხლო ქვაბულ-ორმოში შეიყუდრეს. ქვაბულს ქარი ზემოდან ევლებოდა. ყურმა მოისვენა ქარის ქშუილისაგან. აქედან, როგორც ხელის გულზე, მოჩანდა ხაზრეთის მიწების თითქმის ყოველი კუნჭული. არ ჩანდა მხოლოდ ტყით შემოსილი, ცაღ აწვდილი მთის ხერხემალი და უბეები, რომლებიც ქვისსამტეხლოს და ხაზრეთს ახლა უკანა მხრიდან მოქცეოდნენ და ზემოდან გადმოჰყურებდნენ. მკაფიოდ ჩანდა ბუმბერაზი ბარის ფსკერზე გაქრული დიდი მდინარის უსწორმასწორო ნაპირებიანი პრილა სარკე. მდინარის გაღმა კი გორიზად აღმართულიყო ქართლსა და ჯავახეთს შორის ზღვრად მოქცეული, ერთი შეხედვით გარდაუვალ-დაუძლეველი, წიწვოვანი ტყის სათბურში გახვეული, თოვლის ქუდებიანი, საციციშვილო მთაგრეხილი.

ნათესები, ბალ-ვენახები, საძოვრები დიდ მასივებად გაშლილიყვნენ დაბლა მინდვრებზე. ნახევარდღიურები, ჩარქები, ერთი ნაბდის გასაშლელი ნაკეთები, უკვალოდ გამქრალიყვნენ.

— აი, ეს ჰო, მესმის, დიდებულა, ასე სჯობს. ასე უნდა. პატარა ნაქრები აღარ არიან, — კმაყოფილებით შენიშნა რედაქტორმა ვანო იორაშვილმა.

— რა სჯობია და რა არა, ეგ ვინ იცის! თუმცა უნდა გითხრა, მანქანით დასამუშავებლად დიდი ფართობები მართლაც ადვილია.

წარმოთქვა სესე თალაღაშვილმა. რედაქტორმა გამოკითხვა დაიწყო.

— ის ფართობი რამდენი ჰექტარია? — გაიშვირა ხელი მეზობელ სოფელსა და ხაზრეთს შუა ჩაწოლილ ვაკისაკენ.

— ორმოცდაათი! — აცნობა სესემ.

— ჭალაკის გვერდით?

— ასორმოცი.

— სერის ძირას?

— ოთხას ჰექტარს აჭარბებს. ეგ არის ჩვენი კოლმეურნეობის მთავარი მინდორი, მწვანე ხოდაბუნს რომ ვეძახით. ჰაი დედასა, რა პური მოდის ე მაგ მიწაზედა! მაგ მინდორზე მოწეულ ხორბლის შითს გემოთი ვერაფერი ვერ შეედრება, ერთი კვირის გამოძცხვარიც რომ იყოს, განმობა არ შეეცობა, ზედ კაცს შეჭამადი არ უნდა, მართო სურნელემა დააკმაყოფილებს.

— ბაღების ბოლოს რაღა?

— მანდაც ხოდაბუნია. სამას ჰექტარს ეგეც გადასწონის. სულ ერთი კვირის წინათ მოვანხევიანეთ ემტეესელებს დიზელისაინ გუთნებითა. ბედლის ოდენა



ბელტები ამოაბრუნა იმ ღონედალოცვილმა მანქანამ. საჭარხლედ შევინახეთ მთელი მავალი წლისათვის. ყოველგვარი თესლი ხარობს მაგ მინდორზე. თუნდაც ჭარხალი იკითხეთ. ისეთი ბოლქვი ეზრდება, რომ ათი-თორმეტი წლის ბიჭს მისი, ერთი ძირის ხელში აწევა გაუჭირდება.

— ის, რკინიგზის გასწვრივ, რა ხნულია?

— მასში ახალთესლი და სიმინდი გვინდა გავიტანოთ გაზაფხულზე.

სულ ბოლოს რედაქტორმა სესეს ყურადღება მიაქცია ვაკის შუაგულზე ავარდნილ ლელნარს, რომლის გარშემო ერთი კაცი დაიარებოდა.

— ის, ის რაღაა? რა დაგრჩათ აუღებელი?

— სიმინდი არ გეგონოთ, პატივცემულო. — სწრაფად მიაგება სესემ პასუხი. — ლერწამ-ლაქაშით გადავლილი ჭაობია. ასიოდე ჰექტარი ეგეც გამოვა, მე-რე და რად გვინდა? გამოუყენებლად გდოა.

— ის კაცი ვინღაა? რა დაარბენინებს იქ?

— ეგ ჩვენი მემინდვრე ბრიგადირია. დიდი ხანია, შარშანწინის აქეთ მაგ ლელნარს უტრიალებს გარშემო. ერთმა ღმერთმა იცის, რას დაეძებს იმ ცოდვით სავსე ხაშიან ადგილში. ჩვენი სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ურახა ქელესსავილი გეცოდინებათ. მისი უფროსი ძმა თვალის დახამხამებაზე ჩაყლაპა მაგ ჭაობის პამპალა ტლაპომ. ზაფხულში მაგის პირას ერთ კვირას რომ იმუშაო, უკურნებელ ციებ-ციხლებას გაიჩენ. ასეთი ცოდვიანია ეგ ოხერი ადგილი.

— ამ დროს, ასეთ ამინდში ლელნარ-ჭაობთან ბრიგადირს რა ესაქმება? ვითომ აკეთებს რასმე იქა? მუშაობს? — ჩააცვიდა სესეს რედაქტორი.

— აჟი მოგახსენეთ, ღმერთმა იცის-მეთქი. ყოველ დღე ვხედავთ იქ ბრიგადირს მეცა და ბევრი სხვაცა. რას აკეთებს, არ ვიცი. შეიძლება ფარდულების დასახურავად ან ჭარხლის შესაფერ ჭაობის ლერწმის კონებს იშაადებს. — იჭყნულად თქვა სესემ.

— რომელი ბრიგადირია, თუ იცი?

— ნინია შალიბაშვილი გახლავთ.

— მეც კარგად ვიცნობ. მგელიაშვილი უნდა ყოფილიყო გვარად. უფრო დამწვენდება.

— რად, პატივცემულო?

— იქედნური გამოხედვა აქვს. ისე იზღვირება, პირდაპირ გიყურებს გაუტეხელი თვალით. თითქოს ეს არის სადაც არის ვაგვლეჯავს. შენიშნულიც არის უკვე ეგ თქვენი ბრიგადირი. დიდხანს ვერ ივლიდა აგრე თავისუფლად. მაგის იღბლად ორმოცდამეცამეტე წელიწადი დადგა და...

— რაზედა კაცო, ეგეთი რა დააშავა? — იკითხა სესემ, რომელსაც სიტყვები „დიდხანს ვერ ივლიდა“ გონებაში ჩაუჯდა.

— განა ეგ არ იყო, ამას წინათ, როდის, ზუსტად აღარ მახსოვს, მიწის მზომელებთან დაკადავა რომ მოუვიდა?

— ეგ გახლდათ.

— რა ამბავი ატყდა რაიონში. კინალამ საკითხი რაიკომის ბიუროზე გავიდა განსახილველად.

— დიახ. ის, ნინია შალიბაშვილია. — დაუდასტურა სესემ. — რაიკომის ბიუროს ვილა ჩიოდა, ცოტა უკლდა სასამართლოში უკრეს თავი. მილიციელები დაეძებდნენ. ჯანი და შველა არ გამოედიოს ორჯონაშვილიანთ ელენეს, აქაურ ერთ პენსიონერ ქალზე მოგახსენებთ, ის ჩადგა შუაში. აქეთ მუქარა, იქით ტყბილი სიტყვა. დააშოშმინა მხარეები. საჩივარს აღარ მისდიეს დაზარალებულებმა,



თორემ ცამდე მართალი კაცი, ეგ შალიბაშვილი, გაისადაც ციხეში იქნებოდა მომწყვდეული.

— ელენეს ვინ რა ჰკითხა?

— ქალის ნაცნობობას, ყურში ჩაწვეთებულ სიტყვას მთის ერთი ადგილიდან მეორეზე გადადგმა შესძლებია. ეს ადრევეც ვიცოდი. ელენეს მაგალითით საბოლოოდ დავრწმუნდით ამაში. იმ ხალხთან, მიწის მზომელებზე მოგახსენებთ, ქალაქში ერთად ყოფილა თურმე რაღაც დაწესებულებაში. ეტყობა პურმარლიც ჰქონიათ ერთმანეთთან და კარგი მისვლა-მოსვლაცა. რაღა გასაოცარია, ასეც უნდა მომხდარიყო, მიწისმზომელები ელენეს ხატის ვერსად გაეჭკნენ. უარყვეს ჩვენება, აბლანდეს-დაბლანდეს მოსამართლესთან, გამოძიების დროს რა ვილაპარაკეთ, ახლა კარგად აღარ გვახსოვსო. ერთი სიტყვით, საჩივარზე ხელი აიღეს. იქნება სხვა მიზეზიც იყო. ჭექვავთ, მაგალითად, მიხვდნენ თავიანთ დანაშაულს, სინდისმა დაჰქენჯნათ. რა ვიცი, კაცნი ვართ. საგომიჯე პურის ცომით მგარად კი იყვნენ დახელილები. თითო კვირა შინ ეყარნენ, იწვნენ ლოგინში, ფეხი გარეთ არ გამოუდგამთ. — დაბოლოს, განსაკუთრებით დაუმატა სესემ. — ნინი-აზე ნუ იტყვით ცუდს.

— აჰა, ეგეც აგრე იყოს, გეთანხმები, ვენდობი შენ სიტყვას, შალიბაშვილი ბატკანია. — სიცილით უთხრა სესეს რედაქტორმა.

— ეგ როგორ გავიგოთ?

— ისე როგორც გითხარი. მართლაც და მე რა მაქვს მასთან საწინააღმდეგო? არაფერი! სიმართლის გაგება მინდოდა მხოლოდ. მას შემდეგ დროც გავიდა და დასაფიცი არაფერია. მამო მომიყევით დალაგებით, ერთი ბეწვი არა დამალო რა, ისე თათრულად რად გატყობა ეგ დროული, გაქალარავებული ინტელიგენცია მაგ ოჯახქორმა!

— აღამიანს თავისი თავი გატყობავს. რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო. — აუფლო სიტყვა ბანზე რედაქტორს სესემ.

— ნუ მიკიბ-მოკიბე, პირდაპირ გკითხე, შენც პირდაპირ გამე პასუხი. თქვი, დამიხატე, რა მოხდა, როგორ მოხდა, რისთვის ატყდა დაკადაკა. მთავარი დამნაშავე ვინ იყო?

— გაზეთის შემდგენლები ძნელად სანდობი ხალხი ხართ. კაცი ვაგლახად ვერ მიგიხვდებათ, ვისი თვლით და გონებით მისჩერებიხართ მოვლენას. საითაც გინდათ, იქით აბამთ გამომწვარ დოქს ყურს. ეს რაც გითხარით, მე ვიცი. ამიტომ მაინც გთხოვთ, რასაც მოგიყვებით იმ ცემა-ტყემაზე, გაზეთში ნუ გასწერთ. ჩემდა თავად არაფრის მეშინია. ისე, სოფელში დავიდარაბის ატეხვა არ მინდა.

— არ გავწერთ, — დაპირდა რედაქტორი.

— მართლა? — გაუხარდა სესეს.

— სინდისს, ცოლშვილს გეფიცები. არ გავწერთ. მინდა მხოლოდ ვიცოდე ჩხუბის ნამდვილი მიზეზები. სხვა მიზანი არაფერი მაქვს. ეგეთ ამბავში ხელის გარევა, შარში ჩაყარდნა არც ჩვენ გვიყვარს რედაქციის ხალხსა, როცა არ ვიცით, მღვრიე წყალს ვინ მოჰყვება ნაპირ-ნაპირ ბადითა.

— დაგიჯეროთ! — შეყოყმანდა სესე.

— თამამად მოჰყევი, გისმენთ. ამ ქვისსამტეხლოს არ გასცილდება შენი საიდუმლო.

— ვითომ! — შეყოყმანდა მაინც სესე.

— ენდე ჩემსავით ჩემ თანამშრომლებსაც. — შეეხვეწა რედაქტორი. ტყაპუქზე ხელი მოუთათუნა, გადაიხარხარა.

სესე რატომღაც დარწმუნებული იყო, რომ მის ნალაპარაკეც არ გაწერდ-



ნენ, თუმცა არც ამას ნაღვლობდა. ამიტომ ჩაახველა, ტყავუქის კალთებში ლისთავები შეიფუთა, დაითბუნა. ერთხელ კიდევ გახედა ქვემოთ ლელნარსა და ნინია შალიბაშვილს.

— აბა ნულარ აყოვნებ, სესე, ცოტა დრო გვაქვს, — შეეხვეწა რედაქტორი.

— მე იქ არ ვყოფილვარ, როცა ეგ ამბავი მოხდა მინდორში, — დაიწყო სესე თალალაშვილმა. — არც ცემა-ტყეპას შევსწრებივარ. როგორც მომყიდეს, მეც ისე ვყიდი. — და უცრად აღელდა სესე. — არა, რას ჰქვია ისე მოგყიდოთ, როგორც ვიყიდევო! მოგება ვის დარჩება? არა, არა, რად მოგატყუოთ! ძალიან კარგად ვიცი მაგ ცემა-ტყეპის სარჩულიცა და საპირცეცა. არ დავსწრებივარ, არ ჩაერეულვარ, ხელი არ მომიქნევია, ისე კი ახლოს ვიდექი, ნაპერწკლები მხვდებოდა. მისმინეთ, ჩემო კარგებო, აი, როგორ იყო: ნინია შალიბაშვილი, როგორც მოგახსენებთ მემინდვრე ბრიგადირი, დიდი ხანია აფრთხილებდა აქეთ კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, იქით მიწის მზომელებს, ფართობები ცუდად არას აზომილიო.

— აი, ახირება, ამით ვითომ შალიბაშვილს რა უშავდებოდა? — ჩაუროთ რედაქტორმა.

— როგორ თუ რა შავდებოდა! გაორკეცებით მიდიოდა ნატურგადასახადი. ჩვენ, ვთქვით, სამ ჰექტარს მოვხნავდით, ისინი ხუთს ანგარიშობდნენ.

— მერე, მერე? — დაინტერესდა რედაქტორი.

— დავა კომისიას მიენდო გამოსარკვევად. ამით არაფერი გასწორდა. კომისიამ ზერაფერი გაიგო. ან, ეშმაკია მოწმე, კარს უკან რა მოხდა, ჩემისთანა კაცს ვინ გააგებინებს, — ისევ ნინია შალიბაშვილი გამოიყვანეს მტყუვნად და ამრევად. აქედან დაიწყო ყველაფერი. იმ ცემა-ტყეპას აქ აქვს სათავე. ერთი თავისი ნათქვამია კაცია შალიბაშვილი. ოდა... და... და... დაიქინა, ახლაც ამას გაიძახის, ცამდე მართალიც არის, სწორა არ არის მიწები აზომილიო. აუტყდა მიწისმზომელებს: ან ჩვენი მტრები ხართ, ან თქვენნი ხელობის არა გაგეგებათ რაო. ნასწავლობაზე თავს ტყუილად დებთ, თქვენისთანა მუშებისათვის ცივი მჭადიც არამია და ერბოკვერცხს, მრგვლად მოხარშულ დედლებს, ძველშავს კი ცეცხლავთ უზომოდო. — აქ ძია სესე შეჩერდა. თქმული საკმაოდ ეჩვენა. რედაქტორი კი არ დაკმაყოფილდა.

— მერე, მერე განაგრძე! — ჩააცვიდა. — რაც შეიძლება უფრო დაწვრილებით მოჰყევი. რით დაიწყო ჩხუბი, როგორ გამწვავდა, როგორ დამთავრდა. ვინ ვის სცემა. ქალი თუ ერია მაგ ამბავში და როგორ ერია. ერთი სიტყვით, ყურმოკრული სიტყვაც არ გამოტოვო.

— გრძელი ამბავია, — უკმაყოფილოდ ჩაიქნია ხელი სესემ. — თუმცა რაკილა დავიწყე, ჯობია ბოლომდე გაგაცნო საქმის ვითარება. შალიბაშვილის დაცინება ადგილობრივად არავინ დაიჯერა, გამოცდილი „შემლემერები“ აბა როგორ შეცდებიანო. ბრიგადირი თბილისს ეცა, მე დავიმტკიცებთ, რომ მართალი ვართ. ერთ დღეს ხაზრეთს კარს მიაყენა მისი „გემომეტრების“ მასწავლებელი, რომელიც თურმე „პრაპისორად“ დააყენეს. ესე იგი მასწავლებლობიდან წინ წაწიეს. ის არაფერს შუაში კაცი ჩააბა დავაში თავის მხარეზე. დაუბირისპირდა კომისიებს და მზომავებს. შეუკეთა და შეუკეთა სანათი აღმოდებულ საქმეს.

— მასწავლებელი იყო თუ პროფესორი ვითომ რად არგოდა? — იკითხეს აქეთ-იქიდან.

— ახლავე მოგახსენებთ. — დაამშვიდა ისინი სესემ. — თქვენ ჩემზე უკეთ მოგახსენებთ, გემომეტრები მიწის გაზომვის მეცნიერება გხლებიათ. ბრიგადირს



თურმე, ეშმაკმა იცის, საიდან სცოდნია ეგ გეომეტრევი. დაასობს კეტს საღვთა შორს, ვადგება განზე, მოღუნავს გოჯს, გახედავს, ზომაში ნახევარი მეტრითაც არ მოტყუვდება. ამას, ასე გამოზომილს, ქალაღვზეც გადახატავს. კომისიას, მიწისმზომელებს თავისებური ჰექტრები გამოუღდის, შალიბაშვილსაც თავისებური. პირველთ — ბევრი, მეორეს — ძალიან ნაკლები. ჰო და ის მასწავლებელი „პრაპისორი“ შალიბაშვილს მიემხრო. „სწორა ზომავს, რას ერჩით ამ კაცს. ისე ზუსტად გამოჰყავს ჰექტრები, თითქოს ის კი არა, ამას მე ვაკეთებ, მე ვზომავო“. დიახ, სიტყვა-სიტყვით ასე თქვა. ამას მეც დავესწარი. იქ იყო ამ დროს ბევრი სხვა კეთილსინდისიერი და პატიოსანი კაცი.

— საოცარია, — ჩაიდუღუნა იორაშვილმა. — იქნება პროფესორი კი არა სხვა ვინმე იყო?

— არა, ტყუილი რა საკადრისია, ნამდვილად „პრაპისორი“ იყო. ელენე ორჯონაშვილმაც ნახა. ხელი ჩამოართვა. ის ხომ მაგებებში არ მოტყუვდება. შინ მიიპატიჟა. სადილად „კატლები“ და „ბულიონი“ გაუკეთა. მერე ნასადილევს ყავა და ხილიც მიართვა. ამას მართალს გეუბნებით. როცა ელენეს პრაპისორი სტუმრად ჰყავდა, მე დამიძახა, მიშველე შეშა დამიჩხე, ორი ჩაფი წყალი მომიტანე კოშკის წყაროდანო. ელენესაც შვილი პრაპისორად ჰყავს. ვინ-ვინ და ის მაინც არ მოტყუვდება ნასწავლი ხალხის ცნობაში.

— პროფესორმა შალიბაშვილს დაუჭირა მხარი? მოდი და ნუ განცვიფრდები კაცი. — ამოიკენესა ფოტორეპორტიორმა.

— შალიბაშვილს კი არა, სიმართლეს დაუჭირა მხარი, — უთხრა მას სესემ და შეუბღვირა.

— ნამდვილად? — მოლბა ფოტორეპორტიორი.

— დიახ, ასე მოხდა. სიმართლეს დაუჭირა მხარი მიუღვამელმა კაცმა და შალიბაშვილის მომხრეც ამითი აღმოჩნდა, — ამოიხენესა სესემ. — რაღა? არ ვიცი, ვერ გეტყვი, ბნელში ვარ. გეომეტრევი რანაირად გამოიყენება საქმეში, არ ვიცი. ხაზრეთლებს მაგის არა გაგვეგონა რა. არც არავის ჩემთვის უსწავლებია ის. ჩვენი მებატონე უსსოვარ დროში ნაჭრებად დაყოფილ მიწას გვაძლევდა საღალედ. გავიბამდით შიგ ცხრაუღელ ხარ-კამეჩს. რასაც მზის ჩასვლამდე მოვხნავდით, დღიური იყო. ეს იყო და ეს ჩვენი გეომეტრევი. იმისა არ იყოს... ახალი ხალხი ახლაც ცხენის ძალას ხმარობთ სიტყვაშია. ჩემ ახალგაზრდობაში არც ეს ვამიგონია. მკლავისა და ხარის ქედის ძალას — ჰო, გავიხარია, ვიცნობდი.

სესეს უკანასკნელმა სიტყვებმა როგორღაც დამაღონებლად იმოქმედეს სტუმრებზე. დიდხანს უსიტყვოდ შესცქეროდნენ ერთმანეთს. მერე უეცრად წამოდგნენ ფეხზე. რედაქტორმა გულისჯიბიდან ბლოკნოტი ამოიღო, შიგ ზაღაც ჩაინიშნა. ფოტორეპორტიორიც ამოძრავდა. აპარატი თვალთან მიიტანა. არემარე განჰყვრიტა. შემოდგომის ნათეს და ცის გუმბათში მონათვარდე ქორს სურათები გადაუღო. ნასაყდრალის მახლობლად დარჩენილ ფუშიან მუხებში იბორილა და სულ ბოლოს აპარატი სესეს დაუმიშნა, დაჩხაკუნა, დაკეცა და კოპწიად მხარზე გადაიკიდა. ამის შემდეგ მალე დაბრუნდნენ. სოფლისაქენ მინდვრის გზით გასწიეს. მოსახლეობამდე კარგად მოზრდილი მანძილი იყო. შედმართზე სიარულით დადლილები წელა მიაბიჯებდნენ. მალე ისევ კოლმეურნეობის კანტორის ეზოში მივიდნენ. იქ ისევ პატაა დარაჯი დახვდათ. მარტო იყო ღვთის კაცი. ცეცხლი ახლა აღარ ენთო. დარაჯი დაბორილებდა ღობეებთან. დიდი საზრუნავი გადახდენოდა დამისათვის. ვაზს ნადგამი ერთი ზურგი ჭიგო და ქარისაგან გამომშრალი ვეებერთელა, ნაჟურიანი ტირიფის ჯირკი კახაბლის ქვეშ დაეხორავებინა, ზემოდან მისი ძველი ბერდანკა დაედო.



— კიდევ დაბრუნდით! — მთელ დღეს თქვენს მეტს აქ არავის გაუვლიდა წამოიძახა მათი დანახვისას პატიამ.

მას არავინ არაფერი უთხრა, არც არავინ ზედ შეხედა. ამით გულმოსულმა პატიამ თავის კანტური იწყო. ასე გამოხატავდა ხოლმე უკმაყოფილებას.

— კარგი კოლმეურნეობა გქონიათ, — ჩაულაპარაკა სესეს ხოსიამ.

— ხაზრეთის კოლმეურნეობაზე ბევრი რამე კარგი მსმენია. დღეს ახლოსაც განახეთ, — პირზე ღიმილით შენიშნა რედაქტორმა ვანო იორაშვილმა.

— დიახ! — დაუქნია თავი სესემ, — არა გვიშავს რა. როგორც არის პურს ეკამთ. დიახ, კარგ კოლმეურნეობად უნდა ვიანგარიშოთ. ჩვენზე უარესს ვჯობივართ. სხვა მხრივ არ ვიცი, რა მოგახსენოთ.

— რა თქვი? როგორ? უკმაყოფილო ხომ არა ხარ! — ყურები ცქვიტა რედაქტორმა.

— ვარ, მა რა! — მკვახედ მიახალა სესემ. — გვაქებენ ოჯახქორები კარგიათ! დაუფინია ბრალიანსა და უბრალოს, კარგიათ! მე თუ მკითხავთ, ასე არ არის. მაშ როგორ? საქებარმა მეძებარმა ნიახურს გადააღაჯაო. კარგი, მდიდარი კოლმეურნეობაო, — რას მიქვია ასე ლაპარაკი? როცა შრომადღეების ანაზღაურებაზე მიდგება ხოლმე ჯერი, მაშინაც ნახონ და დაიყვირონ კარგიათ. ცარიელმა თითაო პირი გამოიმქლითაო. ხელში არა გვრჩება რა მოსავლის განაწილებისას.

— ნინია შენი კარგი მეგობარია? — უეცრად შეეკითხა რედაქტორი.

— შეკრებილობაში, კლუბის ეზოში, საცეკვაოდ ერთად არ დავდივართ.

— ისიც ავრე ფიქრობს? შენებური აზრისაა თქვენს კოლმეურნეობაზე?

— დიახ.

— ახლა ბევრ რამეზე ამეხილა თვალი.

— მაინცა?

— შენ ნინიას ამართლებ, მიწის მზომელებს სცემა და ახნია მათზეო. ამის სამაგიეროდ, როცა შენ გავიჭირდება, ის ვიჭერს სადღაცა მხარს. ორთავე კი ერთად კოლმეურნეობის ურჩი წვევრები ბრძანდებით.

— ვერ გამოიცანი! — მზიარულად უთხრა სესემ.

— სხვა კოლმეურნეობაში თქვენ ნახევარსაც ვერ ანაწილებენ ჰირნახულს და ფულად შემოსავალს შრომადღეზე. მე ეს ნამდვილად ვიცი. ყველა ჯუშლი ჩემ ხელთ არის. დიახ, ასეა! ამ საკითხზე მე ჩემ გაზეთში ბევრი დავწერე. ციფრებიც გამოვაქვეყნე. ასეა! ამის შესახებ რაიკომმა და რაიალმასკომმაც კარგად იციან. მათ ზემოთაც მშვენიერად მოეხსენებათ.

— სხვა კოლმეურნეობაში ჩვენი ნახევარიც არ გაუნაწილებიათ შრომადღეზე. ამას მართალს ბრძანებთ. ეს მეც და ყველა კოლმეურნემ იცის. შენ გაზეთში დასტამბული ცნობა ამაზე ჩვენმა წევრებმა კანტორაში ჩემთან ერთად წაიკითხეს ხმამაღლა. ჰეშმარტებაა, სრული სიმართლე დავიწერიათ. ყოჩაღ და ყოჩაღ! მერე ამით რა? ქვეყანა აშენდა? ან კიდევ: ნუთუ ეგ იმას ნიშნავს, რომ ჩვენ მხარეში ხაზრეთის კოლმეურნეობაზე უკეთესი კოლმეურნეობა არსად მოიპოვება?

— აბა რას ნიშნავს, რა იმალება თქვენი სიტყვების პირდაპირი აზრის უკან?

— ხსი იმალება, რომ ჩვენზე ცუდ კოლმეურნეობას ვჯობივართ. მე ეს აზრი დიდი ხანია ვირწმუნე. იგი ომს აქეთ და კიდევ უფრო ადრე შემიმუშავდა ჩვენ კოლმეურნეობაზე. იმ შალიბანთ ნინიასებურად მეც კარგად მაგარი, ჩემი ნათქვამის პატრონი ვარ. ზოგი ამას ჯიუტობას ეძახის. დაე ასე იყოს. თუნდაც მთელი ქვეყანა მტრად გადაამეცილოს, ჩემსას არ გადაეთქვამ. ხაზრეთის მიწაზე, აი, ამ მინდვრებში, კახაურაზე, ვერხებთან, ტახინაკალზე, მთელ მწვეანე ხოდაბუნზე აქა



ყველა ზემოდან გიჩვენე, ჰექტარიდან ათ-თორმეტ ცენტნერ პურს ვიღებთ ამას მუშაობა ჰქვია! არა, ძმოდ და ძმისწულო. ჩემებურად ამას მიწის მოცდენას ეძახიან. ვაშლის ბაღებს რაღა მოსდით? გაუყვითღდება ხეს ფოთოლი იენის-ივლისში, სექტემბრამდე ერთი ცალი ნაყოფი არ შეჰყვება. იძევენ, იკვლევენ მიზეზს, რა მოუვიდა ხესაო. ზოგი რას ამბობს, ზოგი რას. მეც მკითხავენ და არ დაუფიცავ: დროით არ შემოუბარეს, დროით არ გაუნოყიერეს მიწა, არ მორწყეს, ამის გამო გაუჭირდა ხესაო. „ხი... ხი... ხი... იციან, სესე მტერი ხარ, ჩვენი მიზეზით ხე როგორ წახდება, ამერიკელებს რაღაც ხოჭო გამოპარვიათ, ჩვენ ვაშლებამდე მოუღწევია“. და ადგენენ მოჭრის აქტსა. ეს არის საქმე? მეტი რომ არ ვთქვა, სახელმწიფო საწყობია ის, კოლმეურნეობის წევრის ბეღელი თუ განუყოფელი ფონდის ხარო — ყველასთან მორცხვად გახლავართ. მე რა-ნაირ დროს და გარემოებაში ვართ ასე? ათასნაირი სასუქი მოგვდის ვაკონებით ქალაქიდან, ადგილობრივადაც ბევრი გვაქვს და ახლა თვით იანგარიშე. ასეთ პირობებში ხიხატებ უნდა მოვიდეს თორმეტი ცენტნერი, კლდეზე უნდა გამოასხმევინო კაცმა ნაყოფი ვაშლსა და ვაზსა. ხაზრეთლებს კი რა მოგვდის ჩვენ ზოდაუენებზე? ათი-თორმეტი გვენატრება, ჩემო ძმისწულო, ვენახი და ვაშლი სანახევროდ გვიცდება. მოდი და ამის მოწმე-შემსწრე სესე თალალაშვილი ქვეყნის დასანახავად დადგეს ხელაპყრობილი, სიგლახეს სანთელი აუნთოს და ილოცოს ზედ?

— თავმჯდომარეს ახირებინართ, ძია კაცო, და ის არის. მეტი არაფერი. ხი... ხი... ხი... — ჩაიხითხითა რედაქტორმა.

ამ სიტყვების გაგონებაზე სესეს სახეზე სიწითლემ შემოჰკრა, აღელდა, კარგა ხნის დაფიქრების შემდეგ შეუტია მხოლოდ.

— რად გაიცინეთ კეთილო? მე დამცინით? ისეთი, სასაცილო ხომ არა მითქვამს რა?

— რაღაცას მალავ და ვერ გამოვდის.

— თქვენი ფიქრით... ვიცი, ვისი ბრალიც არის ჩვენი ნაკლოვანებანი და ხელს არ ვადებ, ჰა?

— დიახ, აგრე ვფიქრობ.

— არა, არ ვიცი, ვისი ბრალია. ახლა პასუხისმგებლობას ბევრი ინაწილებს და არ იცი კაცმა, ვის წაავლო ხელი. მაგრამ ერთს გეტყვი და შენ ეს პასუხი უთუოდ დაგაკმაყოფილებს: თუ ჩვენი თავმჯდომარის ბასა სამარღანიშვილის და კოლმეურნეობის ბრალია, რომ ერთი სავესე ქილასავით მსუქან საზრეთის მიწაზე ხორბლის, ვაშლის, ყურძნის, სიმინდის უბარაქო მოსავალი მოგვყავს, მართო თავმჯდომარეს კი არა, მთელ გამგებობას ავხირებოვარ, მათ რიცხვში ჩემ ოხერ თავსაცა. ჩვენი კოლმეურნეობის კუთვნილი მიწებისთანა მოსავლიანი ნი-ადავი, ხილეულის ბაღდადი, ამ დალოცვილ ლიქორჩორას კალთაზე რომ გვაქვს, მთელ ყოფილ თბილის-გორის მაზრებში, სანთლით ძებნო — ვერ იპოვნე. ხუთი ციდა აქვს სისქე მიწის შავ ქერქს. ის კურთხეული, რაც უფრო ღრმად მოიხვენება გუთნითა, მით უფრო ღონიერი და ნოყიერია. ეს რომ ასეა, ყველამ იცის და ქვეყნის გამგენსაც ასე დაუწესებია.

დიახ, ეს ასე ვახლავთ. ქვემოთ, ბერგომელებმა, უარეს მიწაზე, ვიდრე ჩვენია, თითქმის განიხატებულ საყანებზე, ოცი ცენტნერი დაკროლილი ხორბალი აიღეს ჰექტარზე. ჩვენ კი, ორჯერ უკეთეს მიწაზე, ათი ცენტნერი საშუალოდ დვთის დიდ წყალობად გვეჩვენება.

— ასე დაწვრილებით სხვისი ამბავი საიდან გაიგე?



— ბერგომელების მოსავალსა და შრომაზე გაზეთ „კომუნისტში“ იყო დასაბუთებული „ციფრები“.

— დიახ, იყო! — თვალების ცეცებით დაუდასტურა რედაქტორმა. — ის ცნობები მეც მქონდა ჩემ გაზეთში, „კომუნისტიდან“ გადმოვებუდე.

— სწორს ბრძანებთ. ჩვენმა წევრებმა ეგ ცნობა თქვენ გაზეთში წაიკითხეს. — მერე?

— დაგიჭირე, დაგიჭირე! ან გაზეთ „კომუნისტში“ დაბეჭდილი ეგ ამბავი ტყუილია... ტყუილი რომ არ არის, ეს მე თვითონ ვიცი, ბერგომში ბარემ ხუთი ოჯახი მყავს ნათლია-მირონად, ერთი ჩემი ბიძათაშვილიც იქ გახლავთ ჩასიძებული. მაშასადამე, იქაური არაფერი დამემალემა, არც ავი არც კარგი. ან ჩვენი, ხაზრეთის კოლმეურნეობა და მისი თავმჯდომარე კოლმეურნეებითურთ კაპეიკად საღირალი მუშები არ ვართ. თქვენგან კი რა მოვისმინე? ვილაცას ჯობიხართ, და რაკილა ჯობიხართ, თავი ქულში გაქვთ, აღარა გიჭირთარაო. იმას კი აღარ კითხულობთ, ვის ვჯობივართ. ეგ კაცური მსჯელობა არაა. ეგ უსარგებლო, საზარალო ნათათბირეია.

— ეგეთ ლაპარაკს კი არა, ხელიხელჩაკიდებულ მუშაობას მოჰყავს მიწაზე მოსავალი.—დამარცვლულად უთხრა რედაქტორმა და როცა სესე უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილი, შეცბუნებული დაინახა, თვალეში მოჭუტა, გამბურღავდა ჩაჩერდა სახეში. სესეს ეგონა ოცი გამომძიებელი ერთად მადგნა თავს და ქურდობაში გამოტყუვას მიპარებენო. ამასთან რედაქტორის სიტყვებში მუქარისა და დაცინვის კილოც იგრძნობოდა. ამან სესე გააბრაზა, კიდევ არა წამომტლდეს რაო, მთელი გულგვამით ბოხად ჩაახეელა, მოურადებლად გადააფურთხა. გული საშინლად დაუძმძმდა. საულვაშე და წარბები ხან აუქავდებოდნენ ხან აუძიგდებოდნენ. ვერ გამოეცნო რედაქტორის პიროვნება. ამიტომ გადაწყვიტა, ამ კაცთან გულის გახსნა, საუბარი არ ვარგებულა, ჩემგან აწ ერთ სიტყვას ვერ მოისმენს, ვერც ავსა და ვერც კარგსაო. ამის გადაწყვეტა ადვილი იყო, შესრულება კი ძალიან ძნელი გამოდგა.

— ჰა, დამარცხდი, რად გამიჩუმიდი? — შეეკითხა უეცრად იორაშვილი.

— შენ, როგორც შენი გონება გეუბნება, ისე განსაზღვრე. დამარცხება კი არა, თუ არ დაიშლი, გამოჩერჩეტება დამწამე. ამით ვერას დამაკლებ. რაც მითქვამს, ის ასჯერ გაზომილ-აწონილი მაქვს. ღმერთმა ქნას, და ისე არ იყოს, როგორც არის. ერთი რამ კი ნამდვილად ვიცი: თუ ჩვენი კოლმეურნეობის ცხოვრებას და შრომას ღრმად ჩაუკვირდები, ნამდვილად ვიცი, ჩემისთანა რიგითი კოლმეურნის „კრიტიკას“ დასაციინი არა სჭირს რა.

— ნუ თუ ვაწყენინე? — შემოჰკრა ხელი ხელს რედაქტორმა. ვაი, შენ ჩემო თავო! ეს რა მომსვლია ჩემს უნებურად. მე აი რა მინდოდა მეთქვა შენთვისა: — ხელი მოუთათუნა ტყაპუჭზე. — შევიცნე შენი ხასიათი. მიწა გიყვარს, მასზე შრომას, ამაგს, მასთან ურთიერთობას არა გირჩევინა რა. რაკილა ეს ასეა, ბუზლუნ გეპატიება, რადგან შენი გული მაშინაც კი არ შეჯერდება, თუნდაც თქვენმა კოლმეურნეობამ ერთ ჰექტარზე ოცდახუთი ცენტნერი ხორბალი მოიყვანოს, ყოველმა ფურმა დღეში ორი კილოგრამი კარაქი მოგცეთ და ვაშლმა ფოთოლზე მეტად ნაყოფი დაისხას.

— აი, გიცოცხლოს მშობელი. — გაიხარა სესემ. — დიახ, მართლაც არ დაჯერდები. ის დალოცვილი ხაზრეთის მიწა მართო იმისათვის კი არ გაჩენილა, რომ ზედ სოკოებსავით ამოვიდეთ, პატარა ხანს ვიცხოვროთ, მერე დავლპეთ, ვაგვითხარონ სამარე, ღრმად ჩავგვფლან. მიწა ადამიანის დარჩენა-გაღორძინებისათვის, ჩვენი ერის გამოჩენისათვის მოგვეცემია. ამიტომ გვეხმარება მეცნიერი

და ქალაქი, აბა არა გვირდებოთ, რომ მიწა არ მოვიცდეთო. მაშ, თუ უთაურობა არა, რაღა გვიშლის ხელს ჩვენი გულის გასახარი მოსავალი ვერ მოვიყვანოთ ზედ? დღეს რას წარმოადგენს თქვენგან ქებული ხაზრეთი? ვაგვიშვერია ხელე-ბი მიწისაკენ, რამდენიც გნებავთ იმდენი ჩაგვიყარე პეშეშო. ის კი მათხოვარს ათი ცენტნერის მეტს არ აძლევს. ერთი ვნახოთ და სინდისზე ხელი აიღო, აღარ შეგვიცოდა, სულ არა გაიმეტა რა. მაშინ რაღა ვქნათ?

— აი თურმე რა ამბავი ყოფილა. ყველაფერი გავიგე, მიგიხვდი, გმადლობთ. ყოველივეს დაიხსომებ. — უთხრა რედაქტორმა სესეს და ამხანაგებს რუსულად გადაულაპარაკა: აქ დიდი ინტრიგაა ჩამარხული. როგორც ეტყობა, ნინია შალიბაშვილს წამოუწყია ეს, ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთო.

ეს უთხრა მის ამხანაგებს. მხარზე უდარდელად მოიგდო პორტფელი, საათს დახედა, ბილიკისაკენ აიღო გეზი საცანდალათი. ეს ის ბილიკი იყო, რომელითაც თავლო ფერმაში მივიდა. ამ ბილიკის დასაწყისიდან მოჩანდა რკინიგზის ბაქანი. მატარებლის მოსვლას ბევრი დრო აღარ უკლდა. სესე სტუმრებს წინ გადაუდგა და ქოთანეთელ მეტყვევის ბიჭს ხოსიას ტანსაცმელზე ჩაავლო ხელი.

— ამას ნუ იზამთ, თავს ნუ მომჭრით. მთელი დღე გარეთ გატარეთ მგლის მადის მომგვრელ ლინქოჩორას დაზამთრებულის ჰაერზე. არც იფიქროთ უხეფსოდ შინ წასვლა. პურუტკმელს ვერსად გაგიშვებთ. თქვე, კარგო კაცებო, როგორ, ხაზრეთელებს სახლებში წყალი კი არ გვიდგას, რომ კერაზე ცეცხლი არ გვენთებოდეს. კარგად არ იცნობთ სესე თალალაშვილსა. — უპატივცემულოდ ვერსად გაგიშვებთ. — თვალი ჩაუკრა ოსიას, მხარი დამიჭირეო. — ქალი, მართალია,

დიდი ხანია არა მყავს. ვხამართლს წავიდა, მომიკვდა. ახლა ჯერ უდიასახლისოდ ვარ. განათლებულ პატივს, რა თქმა უნდა; ვერ გცემთ, როგორც „ნესტორანში“ ლაქიებს და „პოვრებს“ ხეგრებოთ, მერე რა ვუყოთ. მითომ ამიტომ უნდა მითხრათ სტუმრად წვევაზე უარი? განა ამ მიზეზით შინ შემოსვლაზე, სასმელ-საჭმლის მიღებაზე კაცს გაერიდებიან? ვინდათ აქვე გითხრათ, რით გაგიმასპინძლდებიოთ. სიმინდის ფოჩით თავდახურული შროშული წითელი ჩაფით მიდგას დადუღებული მაჭარი. გუშინ ამოვიღე ქვევრიდან, იქნება მოვიდეს ვინმე-მეთქო. ძველშავის წვევია, გაუღსინჯოთ ჭაშნიკი. ჩემი შეტყობით ერთ რამედ ღირს მისი დაღევა. ვაზის ყვავილის სურნელი დაჰკრავს. რაც არ უნდა დიდი სასმისით მოიყუდო პირზე, სანამ არ გამოსცლი, სანამ შიგ გოლვას არ გააჩენ, ტუჩიდან ვერ მოიშორებ. რაც ხანია ლონგინოზ მჭედელი ყელს მიწევს, სესე, იწამე შენი გამჩენი, მამა ნუ წაგიწყდება, შენი ახალი ღვინო დამამთავრებინეო.

— ხა... ხა... ხა... ლონგინოზი, ლონგინოზი... — რამდენჯერმე ჩაილაპარაკა რედაქტორმა. — ამბობენ შენა და ის მჭედელი, ძველი, ვერცხლნაჭამი ძმაკაცები ხართ.

— სწორი უთქვამთ. მე და ლონგინოზი მართლაც ძველი იოლდაშები გახლავართ. მარა რა ვქნათ? უმეგობრო, უძმაკაცო კაცის ოჯახი ამოვარდეს ძირფესვიანად. მაჭარს რომ დაგალეუენებთ, ლონგინოზსაც გვერდით მოგისვამთ.

რედაქტორმა მის მხლებლებს გადახედა. ისინი განზე იდგნენ. თვალებს აფახულებდნენ. ანიშნებდნენ ამით: არიქა უარი არ უთხრა, წავეყვით შინ, იქნება გვაჭამოს რამეო. ხოსიამ კი ქამარს გაიკრა ხელი. უკანასკნელი ნაჩერეტიდან ავეანდა ერთი ხელის დადების მანძილზე გადასწია წინ. საზარლად დაიწმარა. ეს რომ დაინახა, სესემ წამოიძახა:

— აი, ხედავთ, ასეთი უნდა კაცი. მომიგნია და არ მალავს — გულში კი გაიფიქრა: „თაფლოს ნათესავი გამოდექი, თორემ შენისთანა კაცუნას შინ ფეხს

სულთაობის დღეს არ შევადგმევინებ. ახლა რა გავწყობა, ყისმათი გქონია, წა-
მო, შენზეც ალალი იყოს ჩემი ძველშავის მაჭარიო“.

— ამათ მომიშვიდა, — მიუთითა სესეს რედაქტორმა ამხანაგებზე, — დილით
უზმო წამოვიყვანე ორთავე, გავკარით გზას ფეხი, ბევრ ადგილას ვიყავით, და-
ვიღალენით. ესენი მებრალებიან, თორემ მე ხვალამდე გავძლებ უსმელ-უჭმე-
ლად. მე ბევრს არ გეახლებით.

— აბა, რაკილა თანახმა ბრძანდებით, ნულარ დააყოვნებთ, მეც მშინ. ასე
გავუხვებით. უჭმელობისა რა ძალა გვადგა. საქართველოში კეთილი ადამიანისა-
თვის პურმარლი ვის დანანებია? არავის! ჰო და მეც ასეთ კაცად მივუღეთ.

მასპინძელი სტუმრებს სოფლისაკენ გაუძღვა. ორლობეთში შეუხვდის, რომ
ამ დროს თაფლომ გარეთ გაიხედა, რა ვქნა, ამდენ ხანს სესე სად დაიკარგაო და
თვალი მოჰკრა სოფლისაკენ მიმავლებს. აქაქანდა. საბატეში მისწვდა ლეონილას
მისი წყევლა-კრულვა:

— მეხმა დაარბიოს მაგათი თავი და ტანი. ის ჩემი ძმისწულიც თან მიჰყო-
ლია, რომ მისგან ოჯახს ხარჯის მეტი არა მოსდის რა.

— ვის წყევლი, თაფლო? — გამოეხმაურა ლეონილა.

— აი, მათ, ვინაც დღეს მოეთრნენ, ახლა კი სოფლისაკენ შეუხვდის. უთუ-
ოდ დასაღევად წავიდნენ. ჰყურტიც გაჩნდიათ ყანყრატობეში. აი, ჩასკდნენ! ქინ-
ქლებსავითაც ჩამხრჩვალან იმ ღვინოში. მომხმარე და რა კაცი გამომაცალეს ხე-
ლიდან იმ არდასაცალებლებმა. მაგ დღენაკლულებმა დღე გავციდინეს. ნეტავი
თუ აკეთებენ რასმე მაინცა?! არა მგონია, რომ აკეთებდნენ. მამ რად დაეხეტები-
ან ამ სიცივეში? ღმერთმანი, გასაძლომად მოსულან, თორემ ახლა ამისთანა
ამინდში კაცი თავისთავს გარეთ როგორ გააგდებს!

თაფლო ასეთებს და უარესებს ლაპარაკობდა. ლეონილას ესმოდა, ეღიმე-
ბოდა, გულში კიდევაც ეთანხმებოდა. ფანჯრიდან კი მიჩერებოდა ეზოში გაშ-
ლილ, კალმებდაგლეჯილ, გერმაგამოპუტულ ბატებს. ის საბრალოები დაუშნო-
ვებულ-არაქათწართმეულები დაბაჯბაჯებდნენ მინდორზე. ფრთებს ველარ ხმა-
რობდნენ საფართქუნოდ. გულისმომწველად ყიყინებდნენ, გრძელ კისერ-ნის-
კარტებით კურტუმებს იჩიჩქნიდნენ.

(გაგრძელება იქნება)



ოთარ შალვაშვილი

არიფნო, დაუწყვეთ საზებო საიათნოვას

არიფნო, დაუწყვეთ საზებო საიათნოვას
თაფლი სწვეთს ბაგეთა მისთა ვნებიანთა...
ღიახამც, გმირია იგი და სათნოა,
თაფლი სწვეთს ბაგეთა მისთა ვნებიანთა,
არიფნო! — დაუწყვეთ საზებო საიათნოვას!..

ჭაბუკთ აეშლებათ ტრფობის სადერღელი,
ქალწულთ ვარდოვანი ეფაკლვით დაწვები,
ოდეს მოესმებათ სიმღერა დამწველი;
ვერა და ვერ მღერით

მისებურ ხერხებით,
არიფნო! — დაუწყვეთ საზებო საიათნოვას!..
ხმა ზრდილი —

თითქოსდა ლარნაკში კოკობი,
ხმა ტკბილი —

თიქოსდა სურნელი იათა,
ხმა რბილი —

თითქოსდა ბუმბული ხოხობის,
ამოსჩქეფს ბაგეთა მისთა ვნებიანთა!..
არიფნო! — დაუწყვეთ საზებო საიათნოვას!..

აფერუმ! —
მის გულში დალატი არ არი!..

აფერუმ! —
სასახლის დერეფნის ჩიტია!..

აფერუმ! —
გლახია, თავადი არ არი!..

თვით მეფე — ერეკლეს იმისი რიდი აქვს!..
არიფნო! — დაუწყვეთ საზებო საიათნოვას!..

თაფლი სწვეთს ბაგეთა მისთა ვნებიანთა,
წყარო სჩქეფს ბაგეთა მისთა ვნებიანთა,
ღიახამც, გმირია იგი და სათნოა;
არიფნო! — დაუწყვეთ საზებო საიათნოვას!..
არიფნო! — დაუწყვეთ საზებო...

ჰემუნა ორბელიანისა

დარდი დასტყობია ყაზახის ფალავანს,
სიონში შევიდა და...

შეკრთა სანთელი...

გრიგოლ! — სიყვარული რა დარდუბალაა, —
როგორ წაგახდინა ამხელა ქართველი?!
სიონში რა გინდა, ღმერთს რა მოუცია,
ღვინო სვი, თუ სუსხი გაგიჯდა იანვრის.
ვაგლახ! სიყვარული ისეთი ურცხვია, —
ვაი თუ, გააწბილოს თვით ორბელიანიც!..
ნუ შეემსქვალეები ქალსა ბანოვანსა,
გულის დამტყვევნელსა ნუ ეტყვი გულის ჭირს;
გრიგოლ!

ჩოქვით ისმენ დასთა გალობასა,
გრიგოლ!

არ გქონია ბედი სიძულვილშიც!..
როგორ დაგიჯერონ — თვალებს რომ გინამავს
ცრემლი...

და ჩუმჩუმად ილევით ვაჟკაცი;
როცა დაღესტანში დაღესტნელ იმამებს
დაღესტანს ავიწყებს შენი ხმლის კაშკაში!..
შენ ერთმან,

მრავალ გზის სიკვდილს ჩაუარე,
თუმცა-ღა სიყვარულს ერთი გზა ჰქონია...
აწი —

რას მოელი ამაზე უარესს?!
აწი —

ბედისწერას დაუხვდი ღონივრად!..
დაჯექ და მიენდე გულის ხმას, რიზიანს,
ლექსებში ნურასდროს იქნები გულგრილი;
რადგან —

სიყვარული ისეთი ბრიყვია, —
ფეხზე დაიკიდა ღენერლის მუნდირიც!..
...

დარდი დასტყობია ყაზახის ფალავანს,
სიონში შევიდა და...

შეკრთა სანთელი...

გრიგოლ! ---

სიყვარული რა დარდუბალაა, —
როგორ წაგახდინა ამხელა ქართველი?!

აღექსანდრა ბაგაშვიდი

თოვს...

პუშკინის ქუჩა...
ზამთრის დილა...
მაღალი ქალი...
ჯეირნის ყელი,
ალვის ტანი,
მოცისფრო თვალი...
თოვს...
და არ ვიცი, ვინ თეთრია,
თოვლი თუ ისა,
გულს ვისი შუქიც მომფენია,
ვით შუქი მზისა.

თბილისში ვარ თუ
მინდორ-მინდორ
მივდევ ლელიანს,
იდუმალ ფიქრით
მას შევცქერი,
ბროლისყელიანს.
და ის კი, ნეტავ,
ამ ლექსს მაინც
ნახავს თუ ვერა...
იქნებ ვერც ნახავს,
ვით ვერ ამჩნევს
ჩემს ქურდულ მზერას!

მე მაინც მისკენ,
მუდამ მისკენ
მიმირბის თვალი.
პუშკინის ქუჩა...
ზამთრის დილა...
ლაშაზი ქალი...
გულს მისი შუქი
დამფენია, ვით შუქი მზისა,
თოვს...
და არ ვიცი, ვინ თეთრია,
თოვლი თუ ისა.



„პირველი დღეები“

ნახატი ჯემალ ლოლუასი

პიპი გომიჩაიშვილი

პიპი გომიჩაიშვილი

რომანი

ვახტანგ არაბული დაფიქრებული გამოვიდა პარტკონფერენციის პირველი სესიონიდან. ირაკლისთან შეხვედრას აარიდა თავი, ამიტომ ყველაზე ადრე დასტოვა დარბაზი. წელი ნაბიჯით დაჰყვა გზას.

მიდიოდა და ფიქრობდა. მიდიოდა და იგონებდა ამდამინდელ ამბებს.

მართლაც და განსაკუთრებული ინტერესით მოელოდნენ რაიონში პარტკონფერენციას, ახალი მდივნის საანგარიშო მოხსენებას, რადგან ეს ირაკლის პირველი საჯარო გამოსვლა იყო, პირველი გამოცდა.

ირაკლი რომ ტრიბუნაზე ავიდა, დარბაზში სიჩუმე მაშინვე როდი ჩამოვარდნილა. აქ-იქ ჩაახველეს, საღდაც ქაღალდები აშარიშურდა. შეჩვეულნი იყვნენ, ერთ საათს მაინც მოუნდებოდა რაიკომის მდივანი თავის საანგარიშო მოხსენებაში საერთაშორისო საკითხების გაშუქებას, ისეთი საკითხებისა, რომლებიც მათთვის ისედაც ცნობილი იყო გაზეთებიდან.

მოლოდინის მიუხედავად მსმენელები თავიდანვე გაიტაცა მოხსენებამ. საერთაშორისო საკითხებიც როდი დაივიწყა ირაკლიმ, მაგრამ ამის სულ მცირე დრო დაუთმო. შემდეგ რესპუბლიკის წინაშე დასმულ ამოცანებს შეეხო და უცბათ შეუდგა თავის ძირითად საკითხებზე ლაპარაკს.

რაიონის წარმატებებზე ცოტა ხანს შეჩერდა, თუმცა ამ მხრივ არავინ გამოსტოვა, ვინც აუცილებლად მოსახსენებელი იყო. არავინ დაივიწყა, ვისა საქმიანობაც რაიონის წინსვლას ხელს უწყობდა.

მილონერი კოლმეურნეობის თავმჯდომარეებზე რომ ილაპარაკებდა, ეს წინასწარ ყველამ იცოდა, მაგრამ მანქანა-ტრაქტორთა სადგურის სასადილოს მზარეულს აბელ გომიჩაიშვილს თუ მოიხსენიებდა, არავინ მოელოდა.

ვახტანგმა მხოლოდ ახლა შენიშნა გომიჩაიშვილი. მის რიგში იჯდა, ბოლო სკამზე. მანქანა-ტრაქტორთა სადგურის სხვებთან ერთად მზარეულიც აერჩია პარტკონფერენციის დელეგატად.

ირაკლიმ წყალი მოსვა. უცბათ მათი თვალები ერთმანეთს შეხვდნენ. ვახტანგმა რაღაც უცნაური დაიჭირა ირაკლის გამოხედვაში. ერთსა და იმავე დროს თითქოს ბოდიშიც იყო, თხოვნაც, სიყვარულიც. ვახტანგმა ყურადღება



დაძაბა: რაიკომის მდივანმა ნაკლოვანებების შესახებ დაიწყო ლაპარაკი.

პირველად რაიკავშირის ყოფილი თავმჯდომარე დიდიმე უგრეხელიძე ახსენა და მისი ცოდვები რაიონის იმ ხელმძღვანელ ამხანაგებს გაუნაწილა, რომელთა მფარველობითაც აქამდე ბოგინობდა ეს გაქნილი კომბინატორი...

ირაკლიმ ლაპარაკი ახლა პარტიის რაიკომის მეორე მდივნის ალექსანდრე გომართელის შესახებ დაიწყო. დარბაზი თითქოს ყალყზე შედგა, აღელდა... დიდხანს ილაპარაკა გომართელზე, კონფერენციას არაფერი დაუფარა. გომართელი ისე კი არ გააკრიტიკა, როგორც ახალმა მოსულმა, რომელიც ძველს ყველაფერს იწუნებს და ყველა შეცოდებებს ძველ ხელმძღვანელობას ახვევს თავზე. არა, ირაკლიმ რაიონის პარტკონფერენციის წინაშე განსასჯელად გამოიტანა გომართელის საკითხი.

ერთხელ კიდევ გადახედა ირაკლიმ ვახტანგს და მისი გვარი ახსენა. ვახტანგი გახვედა, მოიღუშა, ღრმად ამოისუნთქა, გულისთქმას ოხვრა ამოაყოლა. შემდეგ ვერ მოითმინა, აწრიალდა, მის ქვეშ სკამიც აჭრიალდა...

...საოცარი იყო, თითქოს გონებას ბინდი გადაკეროდა. ვახტანგი იხსენებდა, თავს ძალას ატანდა, ვერ იქნა და ვერ მოიგონა, კიდევ რა თქვა ირაკლიმ, იცოდა, რომ რაღაც მძიმე ითქვა, მისთვის პირველი, ამიტომ აუტანელი და დამამცირებელი. თითქოს ირაკლი მუშაობის მეთოდებს უწუნებდა, უწუნებდა სიფიცხეს და თავშეუყავებლობას. არა, ვახტანგს სულ სხვა გვარად ესმის მეგობრობა, ძმობა და სიყვარული.

— რატომ?... რისთვის?..

არა, კაცმა რომ თქვას, ირაკლის მიერ ჩატარებულ კოლმეურნეთა იმ კრების შემდეგ ვახტანგს ბევრი არაფერი შეუტყლია. არ შეუტყლია იმიტომ, რომ თავის თავს დამნაშავედ არ თვლიდა, თითქოს არც ახლა თვლის, მაგრამ მოხსენებამ მაინც ერთგვარი ეჭვი აღუძრა. ნუთუ ცდება?... ნუთუ მართალია მასთან ურთიერთობაში ირაკლი?..



ვილაცამ დაუძახა. მობრუნდა და ქუჩის ელექტროლამპიონის სინათლეზე დავით ხიზანიშვილი იცნო.

— რამ ჩაგაფიქრა? ორჯერ დაგიძახე, ძლივს გაგაგონე, — უთხრა დავითმა, გვერდში ამოუდგა, მკლავში ხელი გაუყარა და განაგრძო:

— თუმცა დასაფიქრებელი ბევრია, ამის მიზეზს დღევანდელი მოხსენება იძლევა.

ერთ ხანს ჩუმად მიდიოდნენ. უცბათ დავითი შეჩერდა და ორსართულიანი სახლის შესასვლელის კარი გამოაღო.

— დღეს ჩემი სტუმარი ხარ, წავიდეთ.

ვახტანგი შეცბუნდა. სრულიად არ მოელოდა შებატიყებას, იუარა, მაგრამ დავითს ამის გაგონებაც არ უნდოდა. არ მოეშვა, სანამ არ დაიყაბულა.

კიბზე ავიდნენ. დავითმა ფრთხილად გააღო დერეფნის კარი. დერეფანს პატარა ნათურა ანათებდა. დავითმა უფრო ფრთხილად შეაღო კარი და ვახტანგს ჩურჩულთ მიმართა:

— შემოდი, ვახტანგ, შემოდი.

ვახტანგი კარის ზღურბლთან შეჩერდა. ოთახში ბნელოდა.

— ახლავე ავანთებ, — სთქვა დავითმა და ოთახის სიღრმისაკენ გასწია. უცბად რაღაცას ფეხი წამოღო. თავისთვის ჩაილაპარაკა:

— საოცარია, აუცილებლად რაიმეს უნდა წამოგვკრა ფეხი. — დიანარა, ფეხზე მოდებული ნივთი აიღო. ბავშვის სათამაშო ცხენი გამოდგა. დავითს გაეღიმა და ალერსით ვიღაცას დაემუქრა:

— ერთი ამას დამიხედეთ, ყველგან მისი სათამაშოები უნდა ეყაროს!..

შემდეგ, თითქოს პატარას ეფერებო, ენა მოიჩლიქა:

— აჩუ, აჩუ, ცხენო,

საით გაგაჭენო!

ალაზანი დიღია,

შიგ ბებერი ჰკიღია...

ცხენით ხელში მაგიდასთან მივიდა და ელექტრონათურა აანთო. ცხენი იქვე სკამზე დასდო და ვახტანგს მიუბრუნდა:

— შემოდი, დაჯექი.

— ახლავე დაგიგებ... — ფუსფუსებდა დავითი. — ხომ გაგიგონია, თუ არ გყავდეს მოახლეო, თავი მოიმოახლეო...

ვახტანგმა პაპიროსი ამოიღო, გააბოლა.

— ჩემთვის ნუ სწუხდები, სულერთია, მე ამოდამ არ დამეძინება.

დავითმა სავარძელზე გაუშალა ლოგინი.

— რას ქვია არ დაგეძინება, მტრის ოჯახში კი არა ხარ...

დალაგებას რომ მორჩა, პატარა მაგიდას ხელსახოცი გადააყალბა და ვახტანგს თვალი ჩაუკრა:

— ჩემს დედაკაცს ვახშამიც დაუმზადებია.

პატარა მაგიდა ვახტანგის სკამთან მიიტანა და თვითონაც იქვე ჩამოჯდა.

— მიირთვი, მცირესათვის ნუ დამძრახავ.

— გმადლობ, არაფერი მინდა...

— დაიცა, დაიცა, — წამოხტა დავითი. — მე აქ სადღაც გულის გასახსნელიც მეგულება. — კვლავ ფეხაკრეფით მივიდა კარადასთან. უჯრა გამოაღო, შიგ ხელი ჩაჰყო, უტბათ რაღაცამ გაიქანუნა და ოთახში დამსხვრეული ბოთლის ხმაური გაისმა.

დავითმა დანანებით თავი გაიქნია:

— ამ შუალამით რაღაც ფათერაკს გადავეყრები.

მაჯის საათს დახედა.

— უყურე შენ, პირველი საათი ყოფილა... დღე და დამეს რომ ვასწორებდით და საღამოობით რაიკომში ტყუილუბრალოდ გვაყურყუტებდნენ, მას შემდეგ შინ ასე გვიან არ მოვსულვარ.

ბოთლის ნამსხვრევი აიღო. გასინჯა.

— მადლობა ღმერთს, ცარიელი ყოფილა.

ერთხანს კიდევ ეძებდა რაღაცას კარადაში, ბოლოს იპოვა, კონიაკის ბოთლი გამოიღო, თან ორი პატარა ჭიქა გამოაყოლა.

ვახტანგმა შეამჩნია, პაპიროსის ბოლი მაგიდის ელექტრონათურას ეხვეოდა, ოთახში გროვდებოდა.

— ფანჯარა უნდა გამოვადო, თორემ პაპიროსის ბოლით ავაგსებ ოთახს.

— გამოაღე.

ვახტანგმა ფანჯარა ოდნავ გამოაღო. ჯერ კიდევ საკმაოდ გრილოდა. ოთახში სუსხი შემოიჭრა.

დავითმა კონიაკი ჭიქებში დაასხა, ერთი ვახტანგს გაუწოდა, მეორე თვითონ აიღო და ასწია:

— ჩვენს საქმეს გაუმარჯოს, ვახტანგ!



დალია და ვახშამს შეუდგა. ვახტანგმა სასმისი აიღო ხელში, ერთ ხანს ატრიალა, შემდეგ დავითს უთხრა:

- შენს საქმეს გაუმარჯოს... ჩემსას რა ფასი აქვს.
- არა, არა, — შეეკამათა დავითი. — ჩვენს საქმეს გაუმარჯოს.. დალიე.
- თუ ასე გინდა... — წაილულულა ვახტანგმა. — გაუმარჯოს!.. — სასმელი გადაჰკრა, მაგრამ საქმლისათვის პირი არ დაუკარებია.
- ჭამე რამე... — შეეპატიჟა დავითი.

ვახტანგმა არაფერი უპასუხა, მხოლოდ ყუა მოატეხა პურს, პატარა ნაჭერი ყველი დაადო და პირში ჩაიდო.

- დავითმა კიდევ დაასხა კონიაკი.
- ეს ჩვენს ოჯახებს გაუმარჯოს!.. ბავშვები დაგვეზარდოს!..
- გაუმარჯოს!.. — ჩაილაპარაკა ვახტანგმა და დალია.
- არც თუ დიდხანს გაგრძელებულა... — დაიწყო დავითმა. ცალი თვალით ვახტანგს გადახედა და უცბათ უთხრა: — ა, რას იტყვი, შესანიშნავი მოხსენება არ გააკეთა გიგაურმა?

აი, რაში ყოფილა საქმე... მაშასადამე, დავითის აზრით, ირაკლის მოხსენება შესანიშნავია... კამათი არ დაუწყო და პირდაპირ უპასუხა:

- სანამ გიგაური ჩემზე ილაპარაკებდა, ყველაფერი მართლაც შესანიშნავად მიდიოდა, მაგრამ როგორც კი ჩემი დამუშავება დაიწყო, სისხლი თავში ამივარდა და შემდეგ ბევრი არაფერი გამიგია...
- ნაწყენი ხარ? — ფრთხილად შეეკითხა დავითი.

ვახტანგმა სცადა გაღიმება, მაგრამ სახე დაეღმიჭა. ხუმრობა უნდოდა, ისიც ნაძალადევი გამოუვიდა.

— პირიქით, ძალზე მოხარული ვარ... — ერთ ხანს შეჩერდა, შემდეგ განაგრძო. — რაიკომის მდივანმა ხალხის წინაშე დამანახვა ჩემი საქმიანობის ნაკლოვანი მხარეები... მადლობის მეტი რა მეტქმის...

ახალი პაპიროსი ამოიღო. ძველი ჯერ კიდევ ჩამქრალი არ იყო. ახალს მოუვიდა და სულმოუთქმელი წევა განაგრძო.

- რა ზედოზედ ეწევი?.. გულს დაგიზიანებს. — მზრუნველი კილოთი უთხრა დავითმა.

- ვახტანგმა ხმაძალა ამოიძახა:
- ჯანდაბას, დამიზიანოს!..
- დავითმა მეორე ოთახისაკენ მიუთითა და თან ფრთხილად ანიშნა:
- სსსუ!

— ბოდიში, — ხმას დაუწია ვახტანგმა და თითქმის ჩურჩულით განაგრძო. — მე თუ გაბრაზებული ვარ, შენს ცოლ-შვილს ძილს რად ვუფრთხობ, არა?..

დავითმა მესამედ დაასხა. ვახტანგმა კიდევ დალია. კონიაკი თანდათან აუფარდა თავში. ამან უფრო გააბა მათ შორის გულახდილობის ძაფი.

- იცი, ვახტანგ, გულწრფელად გეტყვი, ასეთი მოხსენება დიდი ხანია არ მომისმენია...

- ვახტანგმა სიტყვა გააწყვეტინა:
- კი მაგრამ, მე რას მერჩოდა, დავით?
- შენ რას გერჩოდა? საქმეს ერჩოდა. მან სხვებზეც ილაპარაკა. მაგრამ, აბა, გაიხსენე, შენ სულ სხვაგვარად შეგეხო, გულთბილად...

— გითხრა, როგორი გრძნობა მაქვს, დავით? — ვახტანგის თვალში ცეცხლმა გაიელვა. — თითქოს ფრთები მქონდა და ირაკლიმ ის ფრთები უნებშად

მომაჯრა... მომაჯრა და ძირს დამანარცხა. მე ჩემი მიზნები მქონდა, ამ მიზნების მისაღწევი ჩემი გზები... მან კი...

— მან კი, — მტკიცედ უპასუხა დავითმა, — ფრთები კი არ მოგაჭრა, ჩემის აზრით, დედამიწაზე ჩამოგსვა და ასე გითხრა: ჯერ სიარული ისწავლე და შემდეგ ფრენაო. — თან ფრთხილად დააყოლა. — გულახდილობისათვის ნუ გამოიწყობები, ვახტანგ.

ვახტანგს დავითის უკანასკნელი სიტყვებისათვის ყურადღება არ მიუქცევია:

— არა, მე სხვანაირი კაცი ვარ, სხვისი ჭკუით ვერ ვივლი...

— რატომ, შენი ჭკუით უნდა იარო, მაგრამ ჭკუით კი უნდა იარო... — უცბათ გაეღიმა დავითს. — ნახე, რა ზმა გამომივიდა...

— ჰაი დედასა! — კვლავ ამოიოხრა ვახტანგმა. — როგორ მატკინა გული. მერე იცი, ვინ არის ჩემთვის ირაკლი?! ცალკე ეთქვა, ჩუმად ეთქვა... რომ გაერთყა, ხმას არ ამოვიღებდი... მაგრამ იმდენ ხალხში... ახლა მე რა ავტორიტეტი მექნება...

— ერთი ცხვრისკენ და მეორე მგლისკენო... კოლმეურნეთა საერთო კრებიდან რად დაჰკარი ფეხი და გადაიკარგე... ან შემდეგ რატომ არ მოხვედი? მე მესმის ირაკლისა, მას სინდისი ნებას არ მისცემდა სხვებზე ელაპარაკნა და შენზე კი კრინტი არ დაეძრა... როგორ გგონია, იოლი იყო მისთვის?

— ჩემთვის იოლია?

ვახტანგმა კვლავ ამოიღო პაპიროსი. დავითმა დაუშალა:

— ნუ მოსწევ.

— ასე სჯობია, — გაჯიუტდა ვახტანგი, — თორემ გულს შევასკდები. პაპიროსი კი მშველს... ეგ ერთი-ლა დამრჩა გულითადი მეგობარი.

— ცუდი მეგობარი გყოლია...

— აბა, აღარ ყოფილა საშველი.

— საშველი?.. საშველი შენ თვითონ უნდა მონახო. აიღე და გადააგდე.

— გადავაგდო ის, რასაც წლების განმავლობაში შევიჩვიე?

— ხომ ატყობ, ცუდ რამეს შეჩვეულხარ. სანამ ის ცუდი სულ არ დაგჯანბნის, მოასწარი... ერთხელ დაგავიანდა და ახლა ნანობ. მეორედ არ ინანო... მეგობრულად გირჩევ. ხომ იცი, ჩემიანებში არ გამოიმერჩევი...

ვახტანგმა პაპიროსი ჩააქრო, გასრისა და ფანჯარაში გადააგდო. ისეთი ძალით გადააგდო, თითქოს გულს თან ატანსო.

დავითმა ფანჯარა მჭიდროდ მიხურა და ვახტანგს საწოლისაკენ მიუთითა:

— ახლა დაწევი და მშვიდად იძინე. შენი არ ვიცი და მე კი ძალიან მეძინება.

— ძილს ვერ შეგპირდები... ალბათ არ დამეძინება.

— დაწევი მაინც, დაისვენე. საკუთარ თავთან ლაპარაკი დაწოლილისთვის უფრო იოლია და ამ საუბარში შეიძლება შეუმჩნეველად ძილიც შემოგება-როს. — მაგიდიდან ჭურჭელი ააღაგა და კარადაში ჩააწყო. ლურჯი სინათლე ანთო, მაგიდის ლამპა კი ჩააქრო. — მშვილობის ლამეს გისურვებ...

— ძილი ნებისა, დავით! — დაემშვიდობა ვახტანგი.

დავითი ფეხაკრეფით გავიდა ოთახიდან.

ვახტანგმა გაშლილი ლოგინი დაკეცა, დაამრგვალა, თავი ზედ დადო და გაუხდელი წამოწვა. ფეხზე კი გაიხადა. ახალი ჩექმები ეცვა და უქერდა.

ირგვლოვ ისეთი სიჩუმე ჩამოწვა, რომ გარკვევით ესმოდა, თუ როგორ შე-



ვიდა საწოლ ოთახში დავითი, როგორ დაწვა. დავითის ცოლის ძილსავე ხმაც მოესმა. შემდეგ ირგვლივ კვლავ სიჩუმე დასადგურდა.

ფიქრები ისე მოაწვა, აღარ იცოდა, რომელ მთაგან გაყოლოდა. ერთი რამ იყო საოცარი, ყველაფერზე ფიქრობდა, გარდა დღევანდელი მოხსენებისა. ამ საღამოს ბევრი რამ ჰქონდა გადასაწყვეტი, გადასახედი, მოსაფიქრებელი. ამის ნაცვლად ფიქრები კინოლენტევიტით დახტოდნენ. ხან თბილისში იყვნენ, ინსტიტუტში, სადაც ირაკლი და ვახტანგი ერთად სწავლობდნენ, ხან ტექნიკუმში — და იქაც იმ მერხს ხედავდა, სადაც ირაკლისთან ერთად იჯდა. ირაკლი და ვახტანგი ერთმანეთს მეზობელ რაიონში გაეცნენ, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის პირველ კურსზე. ვახტანგი მაშინ სოფლიდან ჩამოვიდა სწავლის გასაგრძელებლად, ირაკლი მაშინდასთან ცხოვრობდა.

პირველი დანახვისას როდი მოეწონა ის გამხდარი ბიჭი, — მაშინ, სიყმაწვილეში, ვაჟის შესაფასებლად ყველაზე მეტად ფიზიკური ძალა და ღონე იყო მთავარი საზომი. ღონით აბა ირაკლი ვახტანგს როგორ გაუმკლავდებოდა და სიმძლავრით ხომ მხრებამდე წვდებოდა.

თუმცა თავისი რაიონი არ იყო, მაგრამ ვახტანგი მაინც თავს შინ გრძნობდა. ირაკლი კი უცხო ბიჭი იყო. ეს შემდეგ გაიგო: მამა ადრე მოკვდომოდა ირაკლის, დედაც სულ ერთი წელი იყო მიწისთვის მიებარებინა და ობლად დარჩენილი მამიდას წამოეყვანა.

თავიდანვე აუხირდნენ ირაკლის ბიჭები. მაგრამ არც ირაკლი შეეპუა ასე იოლად. უშიშარი იყო, გულადი, შეურაცხყოფას არავის აპატიებდა, სიტყვას არავის შეარჩენდა. თუ ჩხუბი მოუხდებოდა, ბოლომდე იჩხუბებდა. ცემით თუნდაც სული წართმეოდა, უკან არ დაიხევდა. მოწინააღმდეგეს ცრემლებს არასოდეს უჩვენებდა. სწავლით ხომ ყველას სჯობდა, ამიტომ უყვარდა ასე განსაკუთრებით ირაკლი მათ მასწავლებელს ალექსანდრე გომართელს.

ყველა ამ თვისებამ უცბათ გაუთქვა სახელი ირაკლის და ხელი შეუწყო მათს დამეგობრებას.

ოთხი წელი ისეთი დროა, ამ ხანში შეიძლება ადამიანი გაიცნო, შეითვისო, შეიყვარო, ძმად გაიხადო. ამ ძმობამ ომგამოვლილები თბილისში ერთ ინსტიტუტში წაიყვანა, ერთ ფაკულტეტზე. ლუკმას იყოფდნენ, სიხარული ერთი ჰქონდათ და მწუხარებასაც ერთმანეთს უზიარებდნენ.

ისინი ომში იყვნენ, როდესაც გომართელი პარტიულ სამუშაოზე დააწი-ნაურეს.

საოცარია ცხოვრება. ვინ იფიქრებდა, ვინ წარმოიდგენდა, რამ ის სამი ადამიანი, რომელთა შორის ერთი მასწავლებელი იყო და ორი მოსწავლე, აგერ, მრავალი წლის შემდეგ კვლავ ერთად შეიყვარებოდნენ, ერთ საქმეს ჩაუდგებოდნენ, მასწავლებელი მოსწავლის ხელქვეითი გახდებოდა, ამ შეყვარს მოყვებოდა ერთმანეთს შორის ინტერესთა დაჯახებები, ბრძოლა სიმართლის ძიებისათვის.

სიმართლე!

სად არის სიმართლე?

და, უცბათ, ვახტანგს გონებაში ამ ბრძოლის ორი მხარე წარმოუდგა. ერთი რამ ექვიუტანელი იყო: მათი რაიონის ახალი და ძველი, სასიცოცხლო და დრომოკმული ორ ადგილას იყრიდნენ თავს — ირაკლი გიგაურთან და ალექსანდრე გომართელთან. თუმცა ძნელი და მტკივნეული იყო ვახტანგისათვის დასკვნის გამოტანა, მაგრამ ვახტანგ არაბული ამ ბრძოლის დროს დრომოკმულის დამცველი გამოდიოდა.

არა, ასეთ დასკვნას ვერ შეეგუება ვახტანგი. ასეთი დასკვნა მის აღმადგინებელს არ შეეფერის.

ნუთუ გომართელი მას, როგორც ნათესავს ეხმარებოდა, წინ სწევდა საერთო საქმის საზიანოდ!.. ნუთუ იგი ხელმძღვანელობის ბიუროკრატიულ ჭაობში ჩაეფლო და ვახტანგიც იმ ჭაობის ლაფში უნდა ამოსვაროს?..

არა, არა, არა!

მამ რატომ მოხვდა ვახტანგი იმ მხარეს, რომელიც მისთვის საძულველი იყო? აი, ამას უნდა განსჯა და გარკვევა... ნუთუ ირაკლი მართალი იყო აქაც, კოლმეურნეთა კრების დროს და მართალია აქაც, პარტიკონფერენციაზე?..

ვერ მოითმინა, წამოდგა, თითქოს ჰაერი არ ეყო, ფანჯარა გამოაღო.

სიგრილვე ტანზე მოელამუნა, პაპიროსი ამოიღო, გააბოლა.

სადღაც მამალი აყვილდა. მეორემაც უპასუხა. შემდეგ მესამეც გამოეხმაურა...

დილის ცივმა ნიავმა დაუბერა. ახლა კი შეაკანკალა ვახტანგს. მაზარა მხრებზე მოიხვია, ფანჯარა კი არ დაუხურავს.

მამლებმა ყვირის მოუხშირეს.

თვალი ერთ ადგილს გაუმტერა, ფიქრებსაც ერთად ზოუყარა თავი, მძიმე ფიქრებს...

26

პარტიული კონფერენციის სხდომა დილის თერთმეტ საათზე იწყებოდა. ასეთი იყო დღის განრიგი. რაიკომში კი ცხრა საათიდან ყველა თანამშრომელი თავის ადგილზე იმყოფებოდა. იყო საკითხები, რომლებიც ახლავე მოითხოვდნენ ვადაჭრას. სოფლის თითქმის ყველა ხელმძღვანელი მუშაკი კონფერენციას ესწრებოდა და ამ მხრივაც თუ გამოიყენებდნენ დროს.

გომართელი დღეს ადრე მოსულიყო. მის კაბინეტში რამდენიმე კაცს მოეყარა თავი. თითქოს შეთანხმებულნი ყოფილიყვნენ, გომართელთან ისინი მოსულიყვნენ, ვინც გუშინ ირაკლი გიგაურმა ყველაზე სასტიკად გააკრიტიკა.

თავი მოეყარათ და სდუმდნენ. ოთახში მძაფრი განწყობილება სუფევდა, დუმილიც მძაფრი ჰქონდათ.

ზოგჯერ ზოგიერთი მათგანი ორიოდ სიტყვას თუ წამოისროდა თავისთვის, ისიც უპასუხოდ რჩებოდა.

კუთხეში დიდძალ მიკროფონს უსმენდა. ყველაფერი გაეგო, რაც მოხსენებაში მასზე თქმულიყო. თუმცა გომართელზე დიდად, დიდად ნაწყენი იყო, მაგრამ კვლავ მის კაბინეტს სტუმრებოდა. სხვა რა ექნა, მფარველად და პატრონად ისევ გომართელი ეგულებოდა.

იჯდა კუთხეში ობოლივით და ჩუმად ვიწვიშებდა, ოხრავდა, ოხვრას გულს აყოლებდა, მაგრამ ისე ჩუმად კი, რომ სხვისი ყურადღება არ მიექცია.

ალექსანდრემ თავი ასწია. უცბათ მზერა დიდძალს მიაპყრო. დიდძალ ფეხით დასდგა, ზურგით ისე მიაწვა კედელს, თითქოს უნდოდა კედელი გაერღვია და ამით გომართელის მზერას გაქცეოდა.

სწორედ ამ დროს ოთახში ვახტანგ არაბული შემოვიდა, ისე მძიმედ შემოვიდა, იატაკიც კი აჭრაჭუნდა მის ფეხქვეშ. ოთახში მყოფთ გადახედა და თავისთვის ჩაიბურტყუნა:

— აქა მშვიდობა და გამარჯვება... — შემდეგ ცალი თვალი მოჭუტა და ირონიულად განაგრძო:

— აქ ყველა გაკრიტიკებულს მოუყარია თავი. მე-და ვაკლდი თქვენს მრევლს. შეთქმულების მოწყობა ხომ არ განვიზრახავთ?



— შეთქმულება?... — წამოცდა უცბათ დიდიმეს. — ვაიმე, ეს კაცობრივად უბედურებაში გაგვხვევს...

ალექსანდრეს ცივი მზერა დიდიმეს დაადგა თავზე. თითქოს პირველად ახლა შენიშნაო, მკაცრად კბილებში გამოტრა:

— ამას აქ რა უნდა! ვინ შემოუშვა?

დიდიმეს საქციელი წაუხდა, მეტი ვეღარ მოახერხა და აღუღლულდა:

— ალექსანდრ ნიკოლაევიჩი, ალექსანდრ ნიკოლაევიჩი!... ეს ისე... თქვენს პირიმი... ეს ისე წამომცდა... შეშინებული ვარ... დაბნეული ვარ...

რალაც ადამიანობის დამამცირებელი, გულის ამრევი იყო დიდიმეს ამოძახილში. ეს ყველამ იგრძნო, ყველაზე ადრე ალექსანდრემ. შეიძლებოდა ამ მშინშარასა და საქციელწამხდარს გაეფუჭებინა საერთო განწყობა, ამიტომ ყურადღება არ მიექცია დიდიმეს ზღუქუნს და ცივი ხმით უბრძანა:

— მოვრჩეთ... ახლავე დასტოვე აქაურობა!...

დიდიმემ სხვებს შეხედა, მაგრამ მათი თვალების ნაცვლად ზურგებს წააწყდა. ეს ზურგებიც ყინულივით ცივი იყო. კიდევ უნდოდა ხევწნით მათი გულელები მოეღბო, მაგრამ მიხვდა, რომ არაფერი გამოუვიდოდა, ამიტომ ნელა წამოდგა და ოთახიდან ბარბაცით გავიდა.

— შეთქმულება? — გაუშეორა შეკითხვა ალექსანდრემ ვახტანგს. — არა, ჩვენ სიმართლეს ვეძებთ, წუხელ დაკარგულ სიმართლეს.

— აქ რომ ვინმე მომხსენებლის მადლიერი იყოს, მაშინ ბრძოლასაც სხვაგვარი ხასიათი ექნებოდა. ახლა კი ჩემს ირგვლივ მხოლოდ დამცირებულებსა და შეურაცხყოფილებს ვხედავ.

ალექსანდრემ ერთხელ კიდევ მოავლო თვალი ოთახს. არა, მართლაც ბევრი შეყრილა და მეერ ისეთები, რომლებიც გიგაურმა ასე სასტიკად გააყრიტია. რაც მართალია მართალია, ბევრი სამართლიანად. ალექსანდრემ თვალთ ისეთები გამოარჩია, რომლებსაც, მისი აზრით, მასავით ტყუილ-უბრალოდ მიაყენეს შეურაცხყოფა. სხვებს კი ბოდიშიც არ მოუხდა, ისე დააცლევინა ოთახი.

ერთხანს კვლავ დუმილი ჩამოწვა. ალექსანდრე გამომცდელი თვალით შესცქეროდა ვახტანგს, ვახტანგი კი მის მზერას გაურბოდა, ფანჯრისაკენ იხედებოდა.

ვახტანგმა ფანჯრიდან მტაცებელ ფრინველს მოჰკრა თვალი — ძერა იყო თუ ქორი. ფრთავაშლილი დასრიალებდა ცის კამარაზე. საოცარი იყო, ფანჯრის ჩარჩოდან დანახულ არეს არ ცილდებოდა, წრეს უვლიდა, სივრცეს ეთამაშებოდა.

— წუხელის რატომ არ მოხვედი? — შემოესმა ვახტანგს ალექსანდრეს ხმა. არაფერი უპასუხა, არც დაჯდა. იცდიდა, რას იტყოდნენ.

მაგრამ ფიქრთა დენა კვლავ ალექსანდრემ შეაწყვეტინა:

— როგორც ჩანს, მას არც მეგობარი სწამს, არც მასწავლებელი...

ვახტანგმა არც ახლა უპასუხა.

— ბრძოლა გამოგვიცხადა? — განაგრძო ალექსანდრემ. — იყოს ბრძოლა.

გამოწვევა უნდა მივიღოთ. ჩვენ ყველანი ერთ ტაფაში მოგვაქცია, ერთად დავდგეთ და იმდენი ავტორიტეტი და პატივისცემა კიდევ გვაქვს, მაგ ყმაწვილს წესრიგისაკენ მივუთითოთ. ჩემთან, ვთქვათ, თავისი მიზნები ჰქონდა, შენ, შენ რა დღე დაგაყენა?! მეგობარი!.. თუმცა შენც ალბათ იმიტომ გავწირა, რომ ჩემი...

ვახტანგი ჩუმად იყო. გომართელმა განაგრძო.



— დროა შევაჩეროთ იმ ყმაწვილის თვითნებობა. არც ასე შეიძლება მის გარდა კიდევ არიან რაიონში ადამიანები, მუშაკები, რომლებიც მხოლოდ თავიანთ თავზე არ ფიქრობენ. დროზე უნდა ამოვიღოთ ხმა, თორემ შემდეგ ჩვენვე დაგვბრალდება, სად იყავითო.

— მაინც რა უნდა გავაკეთოთ? — შეეკითხა ვახტანგი.

— რა უნდა გავაკეთოთ?... — გაიმეორა ალექსანდრემ. — ვიცი, შენ ალბათ გამოხვალ კონფერენციაზე. გაბედულად გამოდი, ნურავის მოგერიდება, იცოდე, მარტოკა არ იქნები. აი, ჩვენც ყველანი ერთი აზრისანი ვართ და მე მგონია, შევძლებთ პარტკონფერენციის უმრავლესობის მომხრობას. თამამად ილაპარაკე, მხარს დაგიჭერთ. დროა, დროა ავლაგამოთ იმ ყმაწვილის თვითნებობა!

— დიდმე უგრეხელიძეც ჩვენს მხარეზეა?

ამ შეკითხვას კი არ მოელოდა ალექსანდრე. ვახტანგს ახედა და მხოლოდ ახლა შეამჩნია, რომ ვახტანგის თვალები სიძულელით შეცქეროდნენ. ნუთუ უმტყუნა სვლამ? ყველაფერს მოელოდა და ამას კი არა. როგორ, გიგაურმა თავისი მეგობარი არ დაინდო, საქვეყნოდ გააკრიტიკა, და ეს ყვეფი კი კვლავ მის მხარეზეა, არაფრად აგდებს გომართელის ღვაწლს, ნათესაობას!

მაინც ეცადა არ შეემჩნია და განაგრძო:

— მარტო იბრძოლებ, ბუზივით გაგსრესენ, ერთად კი სხვაგვარი ძალა ექნება ჩვენს სიტყვას, აზრს...

— ბუზები სხვაგან მონახე, — გაბრაზებით მიახალა ვახტანგმა, ზურგი შეაქცია და კარისაკენ წავიდა.

— მე შენ! — წამოხტა გომართელი და მუშტი მაგიდაზე ისე დაარტყა, სამელნე გადმოაბირქვა. კიდევ კარგი, სამელნეში მელანი ამომშრალიყო. — როგორ მიბედავ!

ვახტანგი მობრუნდა:

— სუფთა წყლის ამღვრევას აპირებ? არაფერი გამოგივა! შიგ დიდმესთანა ხალხს თუ დაიჭერ... სიმართლეს კი ვერა... ლილის ხათრი, თორემ... — უთხრა და სასწრაფოდ გავიდა. კარიც გასვლისას მაგრად მოაჯახუნა.

ალექსანდრემ ერთხელ კიდევ იფეთქა:

— უმადური!..

ოთახში მყოფნი გაინაბნენ. იცოდნენ გომართელის ხასიათი, ამ აფეთქებას ქარიშხალი და გრიგალი მოყვებოდა. მაგრამ ალექსანდრემ შეძლო დროზე თავის შეკავება. იცოდა, ყვირილი და აღელვება ამჟამად საქმეს ავნებდა, მის სისუსტეს გამოამჟღავნებდა.

საათს დახედა და იქ მყოფთ მიმართა:

— ახლა კი წადით, მარტოკა დამტოვეთ.

მარტოდ რომ დარჩა, თავი ფიქრებს მისცა. იგი ღრმად იყო დაწმუნებული, პარტკონფერენცია ისე იოლად არ გაწირავდა, როგორც ეს გიგაურს სურდა. იმდენი დამსახურება კი აქვს, რომ დაუჯერონ. ბოლოსდაბოლოს მისი რაიონისათვის გიგაურს აქვს მეტი გაკეთებული, თუ გომართელს?

ვახტანგის საქციელი რომ გაახსენდებოდა, სიბრაზისაგან გული ეკუმშებოდა:

— უმადური!.. თავის დროზე უნდა გამეგო!.. უმადური!..

ხელში აიღო დელეგატის ბლოკნოტი, სადაც შენიშვნები ჰქონდა ჩაწერილი და ახლით შეავსო. საათს დახედა. პარტკონფერენციის მორიგი სხდომის გახსნამდე ერთი საათი კიდევ დარჩენილიყო.



ვანტანგ არაბული გომართელის კაბინეტიდან რომ გამოვიდა, ერთხანს არ იცოდა საით წასულიყო. იტრიალა, იბორიალა, ხან ერთ ოთახში შევიდა, ხან მეორეში, კიბეებიც კი ჩაირბინა, ისევ ამოირბინა და ირაკლი გიგაურის მისაღები ოთახის კარი გააღო. მაყვალას ელოდებოდა, მის ნაცვლად ვიღაც სხვა ქალი დახვდა. გამობრუნდა, კვლავ გააღო ირაკლის მისაღები ოთახის კარი და იქ მყოფ ქალს ისე შეეკითხა, ზედაც არ შეუხებდნია, თან ეცადა მის შეკითხვას ზედმეტად ოფიციალური ტონი ჰქონოდა:

— ამხანაგი გიგაური თუ არის აქ?

— აქ იყო, ახლახან შინ წავიდა, ასე დაიბარა, იქიდან პირდაპირ კონფერენციაზე მივალო.

— გმადლობთ! — ჩაიბუტბუტა ვანტანგმა.

რაიკომის შენობიდან გამოვიდა, საათს დახედა. კონფერენციის დაწყებამდე ერთი საათი დარჩენილიყო. ნელი ნაბიჯით დაჰყვა ფილაქანს.

მიდიოდა და თან ფიქრობდა, ფიქრობდა წუხანდელ ნააზრევზე, დღევანდელ შეხვედრაზე, გომართელის სიტყვებზე, ირაკლის მოხსენებაზე... როგორც კი გომართელის წინადადება გაახსენდებოდა, სისხლი თავში აუეარდებოდა! არა, ვინ ეგონა, რა კაცად ჩათვალა? ჰაი დედასა!..

— ჰაი, დედასა!.. — ხმამაღლა გამოუვიდა. ფიქრებიდან გოგონების გულიანმა კისკისმა გამოარკვია. ორი მოწაფე გოგონა გაკვირებული შესცქეროდა ქუჩაში მიმავალ მარტოხელა კაცს, რომელიც თავისთვის ხმამაღლა რაღაცას ბურტყუნებდა.

ვანტანგი შეკრთა, შეცბუნდა. გოგონებს თვალი ვერ გაუსწორა. აიხედა და დაინახა, რომ ირაკლის ბინაზე მისულიყო, თავისდაუნებურად, ყოველგვარი წინასწარი განზრახვის გარეშე.

შევიდეს თუ არ შევიდეს?!

უცბათ მოსახვევიდან ავტოს თუხთუხი მოესმა. ვანტანგმა ასე გაიფიქრა, თუ იმ ავტოს ნომრის ორი რიცხვის ჯამი მეტია ბოლო ორი რიცხვის ჯამზე, შევალო. ავტო გამოჩნდა და გვერდით ჩაუქროლა. ვანტანგმა ნომერი წაიკითხა.

„შვიდი მეტია სამზე“, — გაიფიქრა და გაიცინა. არასოდეს ყოფილა ცრუმორწმუნე და ახლა ავტოს ნომერს ანდო თავისი გადაწყვეტილება. საოცარია.

ცოტა ხანს კიდევ ყოყმანობდა, შემდეგ გაბედულება მოიკრიბა და თამამად შედგა კიბეზე ფეხი. ორ საფეხურს ერთი ნახტომით აღიოდა, უნდოდა ჩქარა შეესრულებინა განზრახული, ენახა ირაკლი. ამიტომ, კიბეები რომ მოათავა, სული არ მოუბრუნებია, ისე დააკაკუნა კარებზე.

კარი ირაკლიმ გაუღო. ვანტანგი რომ დაინახა, სიხარული ვერ დაფარა. ისე აუციმიციმდა თვალები, იმდენი სიყვარული ჩანდა მათში, იმდენი აღტაცება...

ვანტანგს კიბეებზე ჩქარი ასვლისაგან სული შეკეროდა, არც აღევლება მისცა საშუალება პირველს ხმა ამოეღო. მაშინ ირაკლიმ არ დააყოვნა, კარებში ასე დგომაც არ შეიძლებოდა. ოთახში შეუძღვა.

ვანტანგმა ჩაახველა, ირაკლისკენ მობრუნდა, პირდაპირ თვალებში შეხედა, გაეჭიმა, თითქოს პატაკს აძღვესო და ხმამაღლა უთხრა:

— ამხანაგო რაიკომის მდივანო! თქვენს განკარგულებაში გამოცხადდა უვარგისი კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სამაგიეროდ კარგი და ერთგული მე-

გობარი ვახტანგ არაბული. თქვენგან იგი ყოველგვარ სასჯელს მიიღებს, როგორც დამსახურებულს, ხოლო პატიებას, როგორც ბედნიერებას. ნება მომეცით...

ირაკლიმ არ აცალა სიტყვის დამთავრება, გაღიმებული უსმენდა, მივიდა, ხელი მოჰკიდა, გადაეხვია და ხმა ოდნავ გაეზარა:

— მე მჯეროდა, მე ვიცოდი, რომ შენ მოხვიდოდი... აი, სწორედ ასე... ასე... შე, დათვო, შენა!..

ახლა ვახტანგს გაეზარა ხმა:

— მოვედი... მიმიღე... — თუ შემოსვლისას იმდენი ილაპარაკა, ახლა სიტყვები არ ეყო თავისი გრძობა გამოეხატა და ირაკლისთვის მეგობრის გული ეჩვენებინა. თუმცა ამ ორ სიტყვაშიც იმდენი სიყვარული ჩააქსოვა, რომ ირაკლი მიუხვდა სათქმელს. ისე გრძობდნენ თავს, თითქოს მეგობრებს მრავალი წლები ერთმანეთი არ ენახათ და შეხვედრის სიხარულს ახლა იყოფვნო.

მართალი ითქვას, ისინი მართლაც დიდი ხანია ერთმანეთს არ შეხვედროდნენ.

ერთად დასხდნენ დივანზე.

— იცი, ვახტანგ, — უთხრა სიჩუმის შემდეგ ირაკლიმ, — შენი მოსვლა ორმხრივად მამხნევებს. თურმე შენში არ ვცდებოდი, გამოგიტყდები: ამ ბოლო დროს ცოტათი ეჭვი შემეპარა... და მეორე, ჩემს სიმათლეთში დამარწმუნა. ხომ ატყობ ჩვენს კონფერენციას, გრიგალი წინ გვიძევს, ქარიშხალი... და თუ ამ დროს შენც გვერდით მეყოლე, რა შემაშინებს... ვინ რას დამაკლებს.

— თუ ჩემი სუსტი სიტყვა გინდა, ყოველთვის და ყველგან გვერდით მიგულე... მტრები კი... — სათქმელი არ დაამთავრა.

— მე მტრები არ უნდა მყვანდნენ, ვახტანგ. — დადიქრებით ჩაილაპარაკა ირაკლიმ. — ყოველ შემთხვევაში, მომავალი გრიგალის გამჩაღებლებზე მე უფრო კარგი შეხედულებისა ვარ. განა კონფერენციაზე შენ რომ შეგეხე, მტრულად შეგეხე?..

ვახტანგმა თავი ისე გაიქნია, თითქოს მძიმე ფიქრს იშორებდა. თუმცა აქ მოვიდა, მაგრამ ჩანდა, რომ ირაკლის მოხსენების ის ნაწილი, სადაც იგი იყო მოხსენებული, ჯერ კიდევ მთლიანად ვერ მოენელებინა. ამიტომ თავის თავზე არაფერი უპასუხა, ისე განაგრძო:

— შენ ასე გგონია, მტერი არ მყავსო... ყველა შენი მეგობარი ხომ არ არის, შედარებით ოღონდ მოინელოს შენი ნათქვამი.

— საუბედუროდ მართალი ხარ, — დაეთანხმა ირაკლი. — მართალი ხარ... და თუ ბრძოლაზე წავიდა საქმე, აგერ ბურთი და აგერ მოედანი, ვნახოთ ვინ — ვის.

— მაგრად დადექი, თუ სიტყვა მოვიდა, ქვად ამოფეარე...

ვახტანგი წამოდგა და ირაკლის ბინას დაუწყო თვალთვლება. ირაკლი ახლხანად გადმოსულიყო. ორი ოთახი ჰქონდა. ავეჯიც მოეპოვებოდა საკმარისი. მაგრამ ყველაფერს ამას მზრუნველი დიასახლისის ხელი აკლდა. თავისი აზრი ხმამაღლა თქვა ვახტანგმა. ირაკლის გაეღიმა:

— ცოტა ხანს დამაცადე, გადავიტანო ეს ბრძოლები. თუ გავაპე და სწორად წავედი, მალე ქორწილს გაქმე, თუ არა და ქალაქში მოვიხდება მაყარად წამოყოლა.

მაჯის საათს დახედა.

— უზრდელობაა, მასპინძელი ასეთ ძვირ სტუმარს გარეთ ისტუმრებდეს, მაგრამ რას იზამ, თხუთმეტ წუთში კონფერენციის სხდომა იწყება და ჩემთან ერთად შენც უნდა წამოხვიდე.

— მასპინძელიც ასეთი უნდა! — გაიხუმრა ვახტანგმა და ირაკლის პირის-



პირ დაუდგა. — აქ რომ დაგეთანხმე, არ გეგონოს ყველაფერში გამართლებულაო, ერთი შენი თავი მიმაბეგვინა, როგორც მე მინდა და დამამშვიდა!

ირაკლის გაეცინა, უკან არ დაიხია, მკლავში ხელი წაატანა და გამომწვევად უთხრა:

— აბა, ეცადე, ვნახოთ, ვინ ვის მოერევა. ძველი დრო არ გეგონოს!

ვახტანგმა მისი ხელები მოიშორა და ახლა თვითონ წაავლო ხელი. დაიწყეს ძიძგილი, შემდეგ ჭიდაობაზე გადავიდნენ. ერთ ხანს თამამად უმკლავდებოდა ირაკლი ვახტანგს, ადგილიდან არ იძროდა, მაგრამ როდესაც მან მთელი ძალით დაძაბა, ცოტათი გაუჭირდა,

— ოხო, აი, ყოჩაღ, ირაკლი, ყოჩაღ!.. — ამხნევებდა ვახტანგი. — მკლავში ძალაც მოგმატებია.

— აბა, რა გეგონა, შე დათვო!.. წინათ რომ მჯობინდი, ახლა თავს არ დაგაჩაგვრინებ.

ისე ჭიდაობდნენ, ქოშინი აუტყდათ. ირაკლის საქმე ცუდად წავიღოდა, რომ ამ დროს ვახტანგის უცაბედად მოქნეულ ხელს კარადიდან ჭიქა არ ჩამოეგლო. ჭიქა იატაკზე დაეცა და ნამსხვრევებად იქცა.

შეჩერდნენ. ერთმანეთს ხელი უშვეს. ვახტანგმა სიხარულით წამოიძახა:

— ჭიქა გატყდა, ეს ბედნიერებისაა!..

— რა მიქენი, კოსტუმი სულ დამიჭმუჭნე!..

— არაფერია, რაიკომის პირველი მდივანო. აი, ხომ ხედავ, ჩემთან ძალით ვერაფერს გახდები. ისევ შერიგება სჯობს.

— მე არც არასოდეს გეჩხუბებოდი!..

პირი დაიბანეს, თმები დაივარცხნეს და კულტახლისაყენ გასწიეს.

კიბეზე რომ ჩადიოდნენ, ირაკლიმ ფრთხილად მუჯღუგუნი ჰკრა და გამომწვევად უთხრა:

— შენ იქ რა წამომყვედრე ლილიზე?.. ამას კი არასოდეს დაგივიწყებ...

ვახტანგი მაგრად დაუხვდა:

— მაშინ რომ არაფერი მეთქვა, არა მგონია ახლა ასე თავისუფალი წასულიყავი კონფერენციაზე.

გომართელი ნამდვილად ლეღავდა. აი, ამ ორატორის შემდეგ თვითონ უნდა გამოვიდეს. ეს კონფერენციამაც იცის, რადგან თავმჯდომარემ წელიწადი გამოაცხადა: ალექსანდრე გომართელი მოემზადებაო.

დელეგატებში თითქოს ქარმა ჩაიქროლაო, ისე ახმაურდა დარბაზი, შემდეგ ცოტათი დადუმდა, მაგრამ მოკამათეს ყურს არც კი უგდებდნენ რალაც მამურობისა და საინტერესოს მოლოდინში.

ლოდინის ეს სიმძაფრე ალექსანდრესაც გადაედო და ყრყოლა მოჰგვარა. ჯიბისკენ წაიღო ხელი. შემდეგ წინ დაიხედა, დელეგატის ბლოკნოტი მაგიდაზე ედო. იქ დღევანდელი სიტყვის მთავარი საკითხები ჰქონდა ჩამოწერილი. სიტყვა მომზადებული აქვს.

ალექსანდრე პრეზიდენტის მაგიდის ბოლოში იჯდა. ირაკლი შუაში. ალექსანდრემ მალულად შეხედა. ირაკლი ბლოკნოტში რალაცას იწერდა. შუბლი შეეჭმუნა.

თითქოს ახლა პირველად ნახაო, დიდხანს, დიდხანს არ მოუშორებია მისთვის თვალი. ირაკლის სახეს სწავლობდა, აკვირდებოდა. ეს სახე, ოდესღაც ბავშვური და ყმაწვილური, ახარებდა, სიამაყეს, სიყვარულსა და აღტაცებას

ვერიდა. საოცარი იყო, მის წინააღმდეგ გამოსასვლელად ემზადებოდა, მაგრამ ირაკლის მიმართ სიძულვილი გულს დიდად არ გაჰქარებია. წუხელის სტენოგრაფისტის მიერ ჩაწერილი საანგარიშო მოხსენების ის ადგილები წაიკითხა, სადაც მასზე იყო ლაპარაკი და თავს არ გამოუტყდა, თორემ ცოტათი დააფიქრა. სადღაც, გულის რომელიღაც კუნჭულში, მოხსენების სისწორეს აღიარებდა, მაგრამ ეს აღიარება გულის შუამდევ არ აღწევდა, იქიდან კი თავმოყვარეობის შელახვისა და სიძულვილის გრძნობები იღვრებოდა. აი, ახლაც, უყურებდა ირაკლის და თითქოს გაორებულაო, მისი სახის ნაკეთებში ბევრ სასიამოვნო ხაზს ხედავდა, მაგრამ ეს ხაზები ბოლოს მაინც მუქდებოდნენ და, შუბლს ზემოთ შექმუხვნიტ ჩამჯდარნი, ალექსანდრეს საწინააღმდეგოდ იბურებოდნენ.

ერთ ხანს ერთგვარი სიყვარულით რომ შესცქეროდა, უცბად სიბრაზისაგან სისხლი თავში აუვარდებოდა. მათ შორის გამოწვეულ უთანხმოებას მხოლოდ პირად ინტერესებს უკავშირებდა და ამით სიძულვილი ემატებოდა.

გონების თვალთ წარსულისაკენ იხედებოდა და ჩამოვარდნილი უთანხმოების მიზეზებს ეძებდა.

უცბათ ირაკლიმ თავი ასწია, ალექსანდრემ ვერ მოასწრო თვალის მოშორება. მათი თვალები ერთმანეთს შეხვდნენ. ალექსანდრემ რაღაც ნაპერწკალი შენიშნა მათში, მაგრამ ერთ წუთს გაეღვებული ნაპერწკალი ჩაქრა, რადგან თვითონ მოაშორა თვალი.

ისე სწრაფად მოხდა ყოველივე ეს, გომართელმა ვერ გაიგო, ის ნაპერწკალი სიძულვილისა იყო თუ იმედისა. ახლა თვალი დარბაზს გადაავლო. თითქმის არავინ უსმენდა. ორატორს. არც ტრიბუნაზე მდგომი იყო ოქროპირი.

აქა-იქ მისკენ მოპყრობილი მზერა დაიჭირა ალექსანდრემ. მაშასადამე, მის სიტყვას მოელიან. ამან გამბედაობა მოუმატა, თავისი ძალის რწმენა. არა, ნამდვილად ჯერ კიდევ ყველაფერი არ დამთავრებულა. ვნახოთ!.. სიტყვა კი ისეთი მოაშადა, შეძლებდა მომხსენებლის საკითხების დამსხვრევას, გაცამტვერებას. ყოველ შემთხვევაში ასე ფიქრობდა გომართელი.

ორატორმა, როგორც იქნა, ლაპარაკი დაამთავრა. თავმჯდომარემ სიტყვა პარტიის რაიკომის მეორე მდივანს ალექსანდრე გომართელს მისცა.

ალექსანდრემ ნელი, დინჯი ნაბიჯით გასწია ტრიბუნისაკენ. გრძნობდა, რომ პრეზიდიუმში მჯდარი ამხანაგები და დარბაზში მყოფი დელეგატები დაუცინებელი მზერით აცილებდნენ.

ალექსანდრემ ტრიბუნაზე ფეხი შედგა, ბლოკნოტი გაშალა, ჩაახველა და სიტყვა დაიწყო.

კარგად დაიწყო, შესავალი კარგი გამოუვიდა, ეს თვითონაც იგრძნო და ხმას უფრო აუწია.

მთელი დარბაზი სულგანაბული უსმენდა გომართელს. ყველანი გრძნობდნენ ამ სიტყვის დიდ მნიშვნელობას, ყველაზე მეტად კი ამას თვითონ გომართელი გრძნობდა.

მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ განსაზღვრა ალექსანდრემ თავისი სიტყვის ზემოქმედების ძალა. მას უფრო მეტად ჰქონდა წარმოდგენილი თავისი ავტორიტეტის გავლენა. ამიტომ, როდესაც მთავარ თემაზე გადავიდა, ის სიგულწრფელე დაკარგა, რითაც დაიწყო. საგანს პირდაპირ შეეხო, თვალეზში ცეცხლი ჩაუდგა და ხმაც გაეზარა. მთელი ის პრინციპული ბრძოლა, რაც ირაკლი გიგაურთან მოუხდა, პირად ინტერესთა თამაშად დასახა, სიმპათიისა და ანტიპათიების ბრძოლად გამოაცხადა, და ამით ყველაფერი დააწვრილმანა, დააბატარავა. ვერ იგრძნო და თვითონაც დაბატარავდა, სულ დაბატარავდა.



მშვიდად დაიწყო სიტყვა და ყვირილით დაამთავრა, ზედმეტი ყვირით. სიტყვაც გრძელი გამოუვიდა, თვითონაც დაიღალა, მსმენელებიც დაღალა, მაგრამ დაღლას გაუძლებდნენ, სხვა რამ რომ არ ყოფილიყო სავალალო. და ეს „სხვა რამ“ კი ბოლომდე ვერ გაიგო ალექსანდრემ. თავის გრძობებში შეტოპილს არც კი შეუტყვია დარბაზის ყურადღების ჩამოშორება. სიტყვა დაამთავრა და ისეთი გამარჯვებული სახით მიმოიხედა ირგვლივ, რაც მისი სიტყვის ზემოქმედებას სრულიად არ ეთანხმებოდა.

ერთ წუთს შეეშინდა კიდევ, თითქოს იქ, გულის სიღრმეში პატარა ძარღვი ჩაუწყდა, მაგრამ სწრაფად შეძლო გონს მოსვლა, წელგამართულმა ტრიბუნა დასტოვა და თავისი ადგილისკენ გასწია.

გომართელმა წინასწარ მოიფიქრა მისი გამოსვლის დრო და არჩია ყველაზე ბოლოს გამოსულიყო, ისე რომ მის სიტყვასა და მომხსენებლის საბოლოო სიტყვას შორის არავინ მდგარიყო. მას ორი მიზანი ჰქონდა: ჯერ ერთი, გაეჩარწყლებინა გიგაურის მოხსენებით გამოწვეული შეხედულებანი და მეორეც, გიგაურისათვის არ მიეცა საშუალება მის წინააღმდეგ სხვები გამოეყვანა. დაე თვით გაეცა პასუხი. უკანასკნელ დრომდე სჯეროდა, რომ მოვიდა ახალი ხელმძღვანელობა და ძველს ბრძოლა გამოუცხადა; ბრძოლას ბრძოლითვე უნდა უპასუხო, დარტყმას — დარტყმით.

ირაკლი გიგაურს საბოლოო სიტყვაში ბევრი არ ულაპარაკებია. ზოგიერთი დელეგატის ზოგიერთ შენიშვნას გასცა პასუხი. ბევრს დაეთანხმა, ზოგი არ მიიღო, შეეკამათა, თავისი სიმართლე დაუმტკიცა. საოცარი იყო, ალექსანდრე გომართელის გამოსვლის შეფასება ორი სიტყვით ამოსწურა, არც თავი დაიკვა, არც თავს დაესხა. დაე დასკვნა დელეგატებს გამოეტანათ, მიუდგომელი, მართალი დასკვნა...

დაიწყო რაკომის პლენუმის კანდიდატურების დასახელება.

ყველაფერი თავისი წესითა და რიგით მიდიოდა. დასახელებს, სია შეადგინეს. შემდეგ მიჰყვნენ და თვითიული კანდიდატის ასარჩევ სიაში შეტანისა თუ ამოღების საკითხი გაარკვიეს. დასახელებდა თავმჯდომარე:

— გელა გოგოჭუბი!

— დარჩეს! დარჩეს! — ჰყვიროდა ერთხმად დარბაზი და ამ აზრის დასაცავად ხელების ტყე იმართებოდა.

— ირაკლი გიგაური! — ეს უკვე სხვამ წაიკითხა, რადგან თვით ირაკლი თავმჯდომარეობდა კონფერენციას.

— დარჩეს! დარჩეს! — ახმაურდა დარბაზი.

— დავით ხიზანიშვილი! — კვლავ ირაკლიმ განაგრძო სიის კითხვა.

— დარჩეს! დარჩეს!

— სოლომონ ჯაველიძე!

— დარჩეს! დარჩეს!

— მანანა ლებანიძე!

— დარჩეს! დარჩეს!

— ალექსანდრე გომართელი!

დარბაზში სამარისებური ღუმილი ჩამოწვა.

ირაკლის ეგონა, ალბათ ხმადაბლა წაიკითხებ, ამიტომ ვერ გაიგესო და ხმას უფრო აუწია:

— ალექსანდრე გომართელი!

სუნთქვაშეკრულ დარბაზში ირაკლის ხმა ზარივით გაისმა. გაცეებით გა-

ხედა გიგაურმა დარბაზს, ჯერ ვერაფერს მიხვდა. დარბაზი კვლავ დუმდა. შიდიუმში სკამი გაჭრილდა და ეს ჭრაჭუნის ისე გაისმა, თითქოს ვიღაცამ სკამი აატირაო. იგრძნო ირაკლიმ: ეს ალექსანდრეს სკამი იყო, რომ შექანდა, მაგრამ იქით არ მიუხედავს.

— ამხანაგებო! — მიმართა დარბაზს ირაკლიმ. — ვინ არის მომხრე, რომ... უცბათ დარბაზის ბოლო სკამიდან ვიღაცის დაგუბებული ხმა გაისმა.

— სიტყვის ნებას გთხოვთ.

— ინებეთ! — უთხრა ირაკლიმ, ასეთ დროს სხვა პასუხი არ არსებობდა. რომ წამოდგა, მხოლოდ მაშინ იცნო მტს-ის გოლიათი ირაკლიმ.

— სევასტი, სევასტი!.. — წაიჩურჩულეს აქეთ-იქით.

გოლიათი არ იძროდა, ჩანდა ადგილიდან აპირებდა სიტყვის თქმას. ირაკლიმ ტრიბუნაზე მოიპატიჟა. არ წამოვიდა, სადაც იდგა, იქიდან დაიწყო:

— ბევრი არა მაქვს სათქმელი, აქედან ვიტყვი. აი, თქვენ, ამხანაგო გიგაურო, აქ სიას კითხულობთ და გვთხოვთ დაგიდასტუროთ სიაში გომართელის კანდიდატურის დარჩენის საკითხი. მე მგონია, თვითონ გომართელს უნდა ჰქონდეს იმდენი გამბედაობა, მოხსნას თავისი გვარი, რადგან, იცოდეთ, ჩვენ ხმას არ მივცემთ გომართელს, გავაშავებთ. იმის შემდეგ, რაც აქ მოხდა, იმის შემდეგ, როგორც აქ გომართელი გამოვიდა... მის წარსულ საქმიანობასაც გადავავლოთ თვალი. არა მგონია, მის შესახებ ორი აზრი არსებობდეს. საწყენია, მაგრამ რას იზამ... ვისი ბრალიცაა, ეს დღესავით ნათელია. მე აქ ჩემს ირგვლივ მყოფი დელეგატების სახელით მოვითხოვ ალექსანდრე გომართელის ამოღებას კენჭსაყრელ სიიდან. ესაა სულ...

სევასტი დაჯდა. ირგვლივ უხერხული სიჩუმე ჩამოწვა.

— ამხანაგებო, — დაიწყო ირაკლიმ. — მე არ შემიძლია გავიზიარო აქ გამოსული ამხანაგის აზრი...

მაგრამ გომართელმა ირაკლის ლაპარაკი არ აცალა და სიტყვა გააწყვეტინა:

— საკითხი ნათელია. თქვენ, როგორც თავმჯდომარეს, ერთი-ღა დაგრჩენით, უყაროთ კენჭი ამ წინადადებას.

ირაკლიმ მის გვერდში მჯდომ სოლომონ ჯაველიძეს გადახედა. სოლომონმა ჩამოართვა თავმჯდომარეობა და ხმამაღლა დაიძახა:

— მაშასადამე, შემოსულია წინადადება, ამოღებული იქნას რაიკომის პლენუმის წევრობის ასარჩევი სიიდან ამხანაგი ალექსანდრე გომართელი. ვინ არის მომხრე?

დარბაზში, თითქოს წინასწარ შეთანხმებულნი ყოფილიყვნენ, ერთხმად ამართეს ხელები.

ალექსანდრე გომართელმა შეძლო სიის წაკითხვამდე მშვიდად მჯდარიყო თავის ადგილას და როდესაც დამთვლელი კომისია ცალკე ოთახში ჩაიკეტა ფარული კენჭისყრის მოსაწყობად, მაშინ კი ვერ გაუძლო. სხვები რომ ადგნენ, თვითონაც წამოდგა და კულტახლის ეზოში გავიდა. საყელოც უჭერდა, პალსტუხიც, ლილეებიც.

ეცადა შეუმჩნევლად წასულიყო და როდესაც სიბნელეში მარტოკა დარჩა, მაშინ იგრძნო თავისი მდგომარეობის უმწყობა. შედგა, რადგან გულის ბაგაბუგმა საშუალება არ მისცა ფეხი გადაედგა. შედგა და ალუღლულდა:

— რა მოხდა... რისთვის... რა მოხდა...

იქ, კონფერენციაზე, თითქოს მშვიდად ეჭირა თავი, მაგრამ ეს ძალ-ღონის მეტისმეტი დამაბვის შედეგი იყო და როგორც ზედმეტად დაჭიმული სიმი უცბათ მოეშვება ხოლმე, ისე მოეშვა ახლა, მთელი ტანი აუცახცახდა, აუკან-



კალდა. ის საბრძოლო ენერჯია, რომელიც ამ დილით თითქოს მოძალეტურად კი ჰქონდა, საღლაც გაუქრა, გადაეკარგა. ანგარიშმიუხედავად ფეხი გადაადგა, თავში მხოლოდ ორად ორი სიტყვა უტრიალებდა:

— რა მოხდა... რა მოხდა...

არა, თვითონაც ვერ გარკვეულიყო, რა მოხდა. კონფერენციაზე დატრიალებული ამბავი მის გონებას აღემატებოდა.

ცდილობდა თანმიმდევრულად მოგონებინა ყველაფერი და მოენახა მიზეზი, რომელმაც მისი ასეთი დამარცხება გამოიწვია. ამ მიზეზის სათავეებსაც ეძებდა. ნუთუ მთავარი შეცდომა მასწავლებლობისათვის თავის დანებება და პარტიულ სამუშაოზე გადასვლა იყო? შეცდომები პედაგოგიური მუშაობის დროსაც ჰქონდა, მაგრამ ასეთი შედეგი არასოდეს მიუღია.

— შეცდომები!.. ვინა თქვა შეცდომებიო?.. განა მას, როგორც რაიკომის მდივანს, შეცდომები ჰქონდა? — ამას ხომ მისი მოწინააღმდეგენი ავრცელებენ. მაშ, რატომ წამოცდა ეს სიტყვა... შეცდომები!.. ნუთუ თვითონაც აღიარებს მათ არსებობას? არა!.. ჰო!.. არა!..

მიდიოდა და არ იცოდა, სად მიდიოდა. ფიქრობდა და არ იცოდა, რა ეფიქრა.

ქარი თმებს უწეწავდა. მოეჩვენა, თითქოს სახეზე წვიმის წვეთები მოხვდა, ტუჩზე წამოეწინწკლა, მაგრამ რატომღაც წვეთები თბილი იყო, მლაშე და მარილიანი...

ლილის არ ეძინა. უკვე მესამე საათი იყო, ალექსანდრე კი არ ჩანდა.

იცოდა ლილიმ, ამ დამით პარტკონფერენციის უკანასკნელი სხდომა უნდა შემდგარიყო. ისიც იცოდა, ალექსანდრე სიტყვით გამოდიოდა. წასვლისას ზედმეტად აღელვებული იყო ალექსანდრე, ეს ლილიმ იმიტაც შეამჩნია, რომ ათი წუთი მინც მოუნდა ჰალსტუხის ნასკვის გაკეთებას. ხელი უკანკალებდა, არ ემორჩილებოდა.

ასე გვიან სხდომა არასოდეს დამთავრებულა. წინათ შესვენების დროს მინც დარეკავდა, ახლა კი რაც წავიდა, არ დაურეკია.

დღეს ლილიმ დედისაგან მიიღო წერილი. დამორბემა თითქოს გული მოუღბო, დაამოშმინა. ისეთს არაფერს სწერს, წარსული გაეხსენებინა. წერილში უფრო მეტი სიყვარული ჩანს, ვიდრე წყენა და ჩივილი. ალაგ-ალაგ თითქოს სინანულის კილოც გადაჰკრავს, მაგრამ მერი ბიბილური ისეთი ქალი როდია, თავის დამარცხებას ასე იოლად შეურიგდეს. ალბათ, შემდეგში, სადმე, თავისებურად იფეთქებს...

უცბათ შემოსასვლელი კარი ვილაცამ გააღო. ალექსანდრე იყო, ფეხის ხმით იცნო ლილიმ. მაგრამ დერეფანში რალაც უცნაურად მოდიოდა, ფეხები ეშლებოდა თუ ბარბაცებდა. მთვრალი ხომ არ არის?!

ლილი ოთახში შემოსასვლელ კარს დააცქერდა. კარი გაიღო და... გოცნებული ლილი წამოხტა, ვერც ნაბიჯი წადგა წინ, ვერც ხმა ამოიღო.

კარებთან ალექსანდრეს ორეული იდგა, სახეზე დიდი ტანჯვა ჰქონდა გამოხატული. თვალები ჩაცვენოდა, წელშიც მოხრილიყო, თითქოს ათი წლით დაბერებულიყო. ფეხსაცმელი და შარვლის ტოტები ერთიანად ტალახში ამოესვარა. ქუდი არ ეხურა და თმები აშლოდა.

ერთ ხანს ჩუმად იდგა ალექსანდრე კარებთან, შემდეგ ნელი ხმით ჩაილაპარაკა, ისეთი ნელი ხმით, რომ ლილიმ ძლივს გაიგონა მისი სიტყვები:

— ყველაფერი მორჩა...

ამ სიტყვებმა გამოაფხიზლა ლილი, მიუახლოვდა ალექსანდრეს, ალექსანდრემ ერთიანად შეიპყრო, მეტი ვერაფერი მოახერხა, მხოლოდ მიმართა:

— ალექსანდრე!..

ალექსანდრე კვლავ ჩუმად იდგა. მის თვალებში ცრემლის მავგარი რაღაც შეამჩნია. ასეთი დუმილი უკვე აღარ შეიძლებოდა.

— რა მოხდა, ალექსანდრე, — შიშნარევი ხმით უთხრა ლილიმ — გამაგებინე, რა იყო?

თან პალტო გახადა, ჩამოართვა, სკამთან მიიყვანა. ალექსანდრე თავისდაუნებურად მიჰყვებოდა ლილის ნება-სურვილს.

სკამზე რომ დაჯდა, ლილი გვერდით მიუჯდა.

— ყველაფერი გათავდა, ლილი, საბოლოოდ მორჩა... — გაბზარული ხმით დაიწყო, აზრი დაებნა და შუა სიტყვაზე შეწყვიტა ლაპარაკი.

— დალაგებულად თქვი, — გონს მოვიდა ლილი. — არაფერი მესმის.

— განა მე კი რაიმე მესმის, ლილი... — უბასუხა ალექსანდრემ. — ამ საღამოთი პარტკონფერენციის უკანასკნელი სხდომა იყო. ვირჩევდით რაიკომის პლენუმის წევრებს.

— მერე, შენ არ დავასახელებ?

— როგორ არა... მაგრამ ვინ იფიქრებდა... ვინ წარმოიდგენდა... ასარჩევს ლილიდან ამომიღეს... გესმის, ლილი, ამომიღეს... საერთოდ სულ არ უყარეს კენჭი ჩემს კანდიდატურას.

ლილი შეკრთა, მაგრამ არ შეიმჩნია.

— ჩემმა რაიონმა უნდობლობა გამომიცხადა, ლილი, სრული უნდობლობა... — სულ უფრო გაეზზარა ხმა ალექსანდრეს. — და ეს ჩემი მუშაობის გამო...

შეჩერდა. სათქმელი ვერ დაამთავრა. ლილიმ უფრო ახლოს მისწია სკამი.

— სამი საათია — განაგრძო ალექსანდრემ — უაზროდ დავებეტები... ჩემს თავთან მარტოდ დავრჩი და წარმოიდგინე, ლილი, უცბათ საშინელი გულის ტკივილი ვიგრძენი... სუნთქვა შემეკრა კიდევ...

— შენ ხომ გული არასოდეს გაწუხებდა, არც უჩიოდი...

— მეც ასე მეგონა. ვფიქრობდი ჯანსაღი მქონდა... მე ხომ მთელი გულით ვმუშაობდი. გულმა კი მიღალატა... შემაცდინა... ა, რა ვქნა, ლილი?

არასოდეს, არასოდეს არ უთხოვია რჩევა ალექსანდრეს ლილისათვის, ძალიან ახალგაზრდად თუ თვლიდა. ახლა კი მართლაც ისე გასჭირვებია, აღარ იცის, რა იმოქმედოს, რა გზას დაადგეს. აგერ, ლილისაც კი სწოვს დარბევას. ლილიმაც პასუხი არ დააყოვნა:

— გულს მკურნალობა უნდა, ალექსანდრე. ვეძებოთ მიზეზები... ამ დროს ნუგეშიც დიდ რამეს ნიშნავს. მეც შენს გვერდით მივსულე, მუდამ და ყოველთვის. ეს იცოდე, გაჭირვებაში არასოდეს მარტოდ არ დავტოვებ... ჰოდა...

ალექსანდრე წამოდგა. მივიდა ლილისთან. თვალებში ჩახედა, დიდხანს უყურა, შემდეგ მისი თავი მიიზიდა, გულში ჩაიკრა და სიტყვებს იმდენი-სიტბო ჩააქსოვა, რომ ლილის გული აუჩუყდა და ცრემლები დაბადუპით ჩამოუცვიდნენ ლოყაზე.

— ასეთი კარგი არასოდეს ყოფილხარ, ლილი, ჩემო პატარა გოგონავ... გამდლობ, ძვირფასო, საყვარელო, ერთადერთო ნუგეშო...

ერთხანს ასე იყვნენ.

ალექსანდრე ტახტისაკენ გაემართა. ლილიც მის ნებას დაჰყვა. ალექსანდრე ტახტზე მოეწყო, ლილი გვერდით მოისვა, ხელი უფრო ძლიერად მოხვია.



ლილი დაპატარავდა, მოიკუნტა, ალექსანდრეს მეკრდს ჩაეკრა. ყურო სანდრეს გულთან ჰქონდა მიდებული და გარკვევით ესმოდა გულის ფეთქვა, რომელიც ხან ისე აჩქარდებოდა, თითქოს ვიდაცას გაურბისო, ხან ისე ნელა ფეთქავდა, თითქოს დაილა და დასვენება უნდაო...

უცბათ სიჩუმე შემოსასვლელი კარის ზარმა გაჰკვეთა. ისე ძლიერად გაისმა ამ დამეში ზარის ხმა, რომ ძალაუნებურად ორივე შეკრთა. ალექსანდრემ გოცბებული თვალით გადახედა ლილის:

— ვინ უნდა იყოს?

— რა ვიცი...

ალექსანდრე წავიდა კარის გასაღებად. ლილიმ მიაყურადა, თუმცა გუმანით მიხვდა, ვინც უნდა ყოფილიყო. შემოსულის ხმამ დაადასტურა მისი გუმანის სისწორე, ამიტომ მითთან ყოფნა ზედმეტად ჩათვალა და მეორე კარიდან თავის ოთახში გავიდა.

ოთახში ირაკლი გიგაური შემოვიდა. მას ფეხდაფეხ ალექსანდრე შემოჰყვა.

ალექსანდრე გაოგნებული იყო, გონს ჯერ კიდევ ვერ მოსულიყო. სტუმართმოყვარეობა ნებას არ აძლევდა ირაკლისათვის ზურგი შეექცია, თუმცა, მართალი რომ ითქვას, ირაკლის შემოსვლამ რაღაც ნათელი მოჰფინა მის დარდიანებულ გულს.

ერთ ხანს მძიმე და უხერხული ღუმილი ჩამოწვა. ამ ღუმლის გაფანტვა ირაკლის მოუხდა. თავიდანვე ისე მიმართა, რომ მის გულწრფელობაში ერთი წუთითაც ეჭვი არ დაბადებია ალექსანდრეს.

— ბოდიშს ვიხდი, — დაიწყო ირაკლიმ. — აქეთ მოვდიოდი, ფანჯარაში სინათლე შევნიშნე. ვიცოდი, ამ საღამოს არ დაიძინებდით. ნება მომეცით. თქვენს ცხოვრების ამ ძნელ დროს თქვენს გვერდით ვიყო.

— თქვენ... — დაიბნა ალექსანდრე. — თქვენ... ჩემს გვერდით... ასეთ დროს...

— დიან, დიან, სწორედ ასეთ დროს... და როგორც მაშინ, გახსოვთ, პირველი გულახდილი საუბრისას, ისევე ახლაც, მოდით, დავსხდეთ და ავხსნათ ყველაფერი პირდაპირ, დაუფარავად... და თუ შეეძელი თქვენთან ერთად დღეს მაინც ზოგ საკითხებში ნათელის შეტანა, ჩემს თავს ბედნიერად ვიგონებოდი.

ალექსანდრემ ცივად უპასუხა:

— ახლაც მაგალითი მომეცით, თქვენ დაიწყეთ.

— არა, — უთხრა მშვიდად ირაკლიმ, — მე დღეს არ დავიწყებ... თქვენ უნდა თქვათ... და თუ არ ვცდები... — სათქმელი არ დაამთავრა.

ალექსანდრე ახლოს მივიდა ირაკლისთან. ერთ ხანს ასე უყურა. ირაკლიმაც შეაგება თვალები.

— ირაკლი, — უთხრა მტკიცედ. — მტერი ხარ ჩემი თუ მოყვარე?

ირაკლიმ შეკითხვას შეკითხვითვე უპასუხა:

— თქვენ როგორ ფიქრობთ?

— მაშ ჩემი დამარცხება არ გინდოდა?

ირაკლი ერთ ხანს დუმდა.

— არ მეტყვი?

— რატომაც არა... თქვენი მეგობრობა მინდოდა, დაჯერება, დარწმუნება. თქვენ კი ბრძოლა გამომიცხადეთ. ბრძოლის დროს ერთი მარცხდება, მეორე იმარჯვებს. ეს ბრძოლის წესია.

— ზეიმობ გამარჯვებას?

— როგორ გითხრათ... — შეეყოყმანდა ირაკლი. — თუმცა აქ გულახდილო-

ბამ მომიყვანა... არ დავფარავ, გამარჯვებამ ძალა შემმატა, რწმენა... მაგრამ, დამერწმუნეთ, თქვენი ასეთი დამარცხება არ მინდოდა... პირდაპირ გეტყვით, თქვენს მიერ დასმულ საკითხზე ძალაუფლებურად ასეთი პასუხი უნდა მიგვეღო.

— როგორ, განა ჩემი კანდიდატურის ამოშლაში მე მიმიძღვის ბრალი...

— როგორ გითხრათ... ამით პარტკონფერენციამ ჩვენს შორის ატეხილი დავა გადაწყვიტა. არ დავიმაღავთ, ეს, ერთი მხრივ, ჩემთვის საამაყოა, მაგრამ, მეორეს მხრივ, საწყენიც... ამან მომიყვანა აქ, თქვენთან, ამ დროს. მაგრამ გარდა ამისა, მე ამხანაგების დავალებითაც მოვედი.

— რა დავალებით?

— ჩვენს რაიონში უნდა დარჩეთ.

— მიბრალებთ... — აუკანკალდა ხმა ალექსანდრეს.

— არა, პარტია თავის წევრს აძლევს ახალ დავალებას და უფლებას წარსული შეცდომები გამოისყიდოს. ახალმა ბიურომ ამაზედაც იმსჯელა. გადაწყვიტეთ, თუ თქვენ თანახმა იქნებით, სკოლაში დაგაბრუნოთ. ასე ვფიქრობთ, თქვენი ადგილი ამჟამად ყველაზე მეტად იქაა...

ალექსანდრემ არაფერი უპასუხა, თავი უფრო ჩაღუნა. ირაკლიც შეჩერდა. ერთ ხანს ასე ისხდნენ. შემდეგ ალექსანდრემ თავი ასწია.

ნერვების დასამშვიდებლად პაპიროსი მოიშველია. ირაკლი წამოდგა. წამოდგა ალექსანდრეც.

— რასაკვირველია, ახლავე ვერ მიპასუხებთ, — თქვა ირაკლიმ. — დაფიქრდით, ასწონ-დასწონეთ. ახლა კი წავალ.

— გაგაცილებ.

— გვიანია.

— არა, ასე მირჩევნია.

ალექსანდრემ პალტო ჩაიცვა, ქუდი დაიხურა და მეორე ოთახში გასძახა:

— ლილი, ცოტა ხნით მივედივარ, ჩქარა დავბრუნდები.

ერთად გამოვიდნენ და ნელი ნაბიჯით დაჰყვნენ შუა ქუჩას.

ღამე ტყდებოდა. ცაზე ოდნავ ციმციმებდა ცისკრის ვარსკვლავი.

ირაკლიც ყველას ეძინა. პატარა მდინარეც კი თითქოს დადუმებულიყო, ჩუმად, უხმოდ მიედინებოდა.

მყუდროებას მხოლოდ მათი ნაბიჯის ხმა არღვევდა.

მიდიოდნენ შუა ქუჩაში, ცოტას ლაპარაკობდნენ, ბევრს ფიქრობდნენ, რადგან უთქმელადაც უგებდნენ ერთმანეთს.

სადღაც შორს, ცის დასალიერზე, სუსტი შუქი გამოკრთა. შორეული ელვარე მზე თავის პირველ მოციქულს აგზავნიდა დედამიწაზე. მზის სხივმა ოდნავ გააწითლა მარადიული თოვლით მოსილი ჭაღარა მთის მწვერვალი.

ცაზე ვარსკვლავი ქრებოდა.

თენდებოდა ახალი დღე.

თამაზ ჭილაძე

ჩრდილოეთის ფოთლები

(წიგნიდან „ღია სარკმელი“)

ნელა მიღელავს მდინარე ნევა,
სასახლეები ჩრდილებს ატანენ,
თითქო აღიან ცაში სტუმრებად
და მე მიწაზე ვრჩები პატარა.

ნაფეხურები პუშკინის... ბლოკის...
ქვაფენილებზე ცვენა ფოთლების...
ნავი გრანიტზე დაბმული თოკით,
ცა მინასავით შენაორთქლები.

ცა აწეული ისაკის ტაძრით...
და ღამეების ლექსებით ტეხვა,
კვალი ოქტომბრის მზისა და ხანძრის
და შერჩენილი „ავრორას“ ეხო.

გრანიტის ნაპირს მდინარე ლოკავს,
როგორც ზღაპრული, ბრინჯაოს ხარი,
ნაფეხურები პუშკინის... ბლოკის
და მოგუგუნე ლექსების ქარი.

მე დავბრუნდები ჩემს ზედაზენზე,
მტკვარსა და არავცს დავეკონები,
მომელანდება ხანდახან ნაზი
ცაში წასული სამრეკლოები.

უკვდავებისკენ ნასროლი თოკი...
ქვებზე ღუშების ჟღერიალი თითქო...
ნაფეხურები პუშკინის... ბლოკის...
და შემოდგომის ფოთლების სითბო...

*
* *

ანკესები... ანკესები...
კაცის მდინარესთან დაწყვილება...

თევზების სველი ნაპერწკლები
და უეცარი გაწვიმება.
ტუჩკოვის ხიდი და შენი სახლი,
ძველი, ყვითელი ხეივანები
და ყველაფერზე მძლავრად და მაღლა
ნევას უსაშველო სეირნობა.

1957

აქტივობა

როგორც სურვილი, როგორც ვნებანი,
ეთამაშება ცას შადრევანი.
და პეტერგოვის ბაღის დუმბულში
გალვებია ადამ და ევას,
ვილაც მავწყებს, ვილაც მიმშვიდებს
გულის გატეხვას და ღამის თევას.
შენი ჩვენება სად მოფრენილა
და თითქო ფხიზელს დამსიზმრებია...
და ქარი დაღის საბოლოოვით
ნაწვიმარ ფოთლებს მაცლის მხრებიდან.
გულში არ იყავ დასატევარი.
ვინ შეინახავს გულში სატევარს...
ეთამაშება ცას შადრევანი —
ეს ჩემი სული აქვს შადრევანს.
შენ დამრჩენიხარ მთების გადაღმა
და ქვეყნად მხოლოდ შენ დამრჩენიხარ,
და ტყვილამდე მინდა ხანდახან,
შენს სხეულოვით მინდა შენი ხმა.
როგორც სურვილი, როგორც ვნებანი
და ჩემი ტრფობა ჩემზე ძლიერი —
ეთამაშება ცას შადრევანი,
მაღალი, თეთრი და მშვენიერი...

1957

*

* *

ქუჩას გადაივლის პიკის ქალბატონი...
სროლა,
თოვლი,
დოლი,
ხვრეტენ დეკაბრისტებს...
ქუჩები ჩრდილებს ნევას ატოლებენ,
ისაკის ტაძარში ისვენებს ქრისტე.
მივდივარ, ვუყურებ, ყურს ვუგდებ, განვიცდი,
გრანიტი, გრანიტი...
ბრინჯაო, ბრინჯაო...
მე აქ არავინ, არავინ არ მიცნობს
და სასახლეები ამაყად მსინჯავენ.
მივდივარ, რაღაცას შორეულს ვიხსენებ,
სულს თითქო ზღაპრული ქალაქი უცენია...

მდინარის ნაპირას დამსხდარან სფინქსები
 და პეტრეს გემების ჩამოვლას უცდიან...

1957

*

* *

სვენწკის ცისკარი,
 სვენწკის ცისკარი
 და ფიქრიანი გრძელი ლოდები,
 ძვირფასი მიწა ერთი მისხალი,
 გაყვითლებული არყის ფოთლებით.
 ასე ქრებოდნენ, ასე კვდებოდნენ,
 იკარგებოდნენ ჩვენი მგოსნები,
 იმ დიდი თოვლით, უამინდობით
 და უმზეობით განაოცები.
 დიდი ქალაქის გაღებულ კართან
 მიწის ფეთქვა და მიწის ძახილი...
 ისე წავიდნენ, არავინ ჰყავდათ
 არც მაქებარი, არც დამძრახველი.
 როგორც ფოთლები, როგორც რტოები
 უამინდობით განაოცები,
 მამულისაგან განმარტოებით
 ასე ქრებოდნენ ჩვენი მგოსნები.
 სამარეების თეთრი ცისკარი
 და ფიქრიანი გრძელი ლოდები,
 ძვირფასი მიწა ერთი მისხალი,
 გაყვითლებული არყის ფოთლებით.

*

* *

პოლინა ოისტრაზი

თოვლში ჩაკარგულ სადგურებიდან
 საით მიდიან გზები და გზები...
 მარჯნის ლამაზი საყურეები
 განათებულან ტრამალებს ზევით.
 შორს კრთება მწვანე შუქი ნათურის,
 ვით საყვარელი თვალების კრილი...
 ივსება სული, სული ნატრული
 ღიად დარჩენილ კარის კრიალით.
 გქონდა ბურანი მზიან ამინდის
 და ზეთისხილის რტოების გზნება...
 მატარებლები საით მიდიან,
 სად წავიყვანეს გზებმა და გზებმა.
 სადღაც გაქვს სახლი და მშვიდი ყურე,
 ბრიალებს ცეცხლი, ბზინავენ ბზები...
 მარჯნის ლამაზი საყურეები
 განათებულან ტრამალებს ზევით...

ანდრია სინაური

პოეტ ანდრია სინაურის ცხოვრება მრავალმხრივ საინტერესოა და სამაგალითო. სამოქალაქო ომის დროს მიღებული ჭრილობამ იგი ათეული წლობით მიაჯატვა სარეცელს. ამან სულიერად ვერ გასტეხა ანდრია სინაური. მან მეომრის თოფი კალმით შესცვალა და ხალხის საკეთილდღეოდ დაწყებული ბრძოლა სიტყვით გააგრძელა. პოეზია მისთვის არის ცხოვრებასთან განუწყვეტელი ურთიერთობის ცხოველმყოფელი საშუალება და შინაგანი ადამიანური სიმშვიდის მომნიჭებელი. შეიძლება მის ლექსებს ზოგი რამ აკლდეს პოეტური ფორმის მხრივ, მაგრამ მოქალაქეობრივი შემართებით, სულისკვეთებით, გულწრფელობით იგი ბევრს ეუბნება მკითხველს. ამას წინათ ანდრია სინაური ჩვენს რედაქციას ეწვია, გულთბილად ესაუბრა თანამშრომლებს და რამდენიმე ლექსი წაიკითხა.

გულს მოგყავარ

აქ ვარდებს შორის მივლია წინათ,
ყრმა ვიყავ ვინმე უნდილი მაშინ,
ვერ მაკავებდა ქარი და წვიმა —
მეკრდში მზე მიჯდა, ცისკარი — თვალში.

გაფრინდნენ წლები... ამ ქვეყნის ვალით
ჩემს მზეს და ცისკარს შეაკლდათ ცეცხლი —
დღეს ორის ნაცვლად ოთხი მაქვს თვალი
და თმაში — გომრის მაგივრად ვერცხლი.

აქ მაინც, როგორც წარსულში, ძველად,
ჩემს გულს სულ ხშირად შემოვლა უყვარს,
რადგან ჩემს ყრმობას შეხვდება, სჯერა,
აქ შემოხიზნულს მრავალ წლის უკან.

ამგვარი განცდა მაღალეებს, მაღბენს,
ლამის მავიწყებს ჭადარას თმაში —
ყვავილებს შორის ბალღივით ვარხევ
ამ ჩემს გულს — ყრმობის ნიავით ფრთაშლილს.

აღბათ ჩამთვლიან მიაბიტ კაცად,
რომ დღესაც ვივსებ ყრმობის ფიალას.
რა ვიცი, ეგებ ასეა მართლაც,
აქ გულს მოგყავარ,

მუხლებს კი არა.

მავულის ბაღში

გარიყრაყისას დაღლილი მთვარე
 ზღვევის გადაღმა ლასლასით ჩავა.
 თვალმზია ბაღში ბულბული და მე
 ვარდის ნორჩ ბუჩქთან პირისპირ ვჩანვართ.

ვარდი დილის მზის ციაგს შეჰხარის,
 ბულბულს კი ვარდის ნადიმი ათრობს,
 მე კი ამ ბაღში მათრობს ნექტარით
 მამული,

ვარდი
 და ვარდის სატრფო.



კადე ბობოხიძე

სიძლიერა გაზაფხულისა

მზე არ არის შებინდული,
ცაზე ცეცხლის ფარებია;
აღტაცება ჩემი გულის
მკერდქვეშ შემთფარებია.

სამაისო აისია —
სიყვარული და ფერება;
სიჭაბუკის ხალისია,
ჯერ შორს არის დაბერება.

ჰყვავის მხარე და ირთვება,
მზეს აღვირი აშვებია;
მტკვრის ტალღების აზვირთება —
მონაფარდე რაშებია.

და პოეტის მშფოთვარ ბწყარებს
სევდა შეუჩერებით;
ნაკადული მოწანწყარებს —
სიხარულის ჩქერებია.

ტოკავს ვარდი რტოგაშლილი,
გულში ელვის ფერებია;
მეც, — ასაკი კომკავშირის
მისთვის შემთფერებია.

მზე — სიცოცხლის დარაჯია,
მთაც ვარდისფრად იქარგება:
გაზაფხული ძალაშია,
ზამთრის სუსხი იქარგება.

მოდით, აღარ შემთწყნართ
წლებო, წვის და დამაჭრების;
აჩანჩქერდი შევების წყაროვ —
ოცნების და გამარჯვების!..

მზე არ არის შებინდული,
ცაზე ცეცხლის ფარებია;
მღელვარება წრფელი გულის
მკერდქვეშ შემთფარებია...



სიომონ ნეკრასე

ქვეყნის სიმი

არჩილ ღვინეფაძე ერთი მთიანი სოფლის მკვიდრი იყო. ამ სოფელს ბზიანეთს ეძახდნენ, იგი მდინარე ცხენისწყალზე მდებარეობდა. სწორედ აქედან იწყებოდა მაღალი მთები და შემდეგ შორს, ასხის მთის საძოვრებისაკენ მიემართებოდა. მდინარის ერთ მხარეზე სოფელი მთლიანად მთაში იყო მიმოფანტული, ხოლო მეორე ნაპირზე, სადაც მოსახლეობა უფრო მხარგაშლით და ქარაფად იყო გაშლილი დიდი ეზოებითა და ვენახებით, ზედ მდინარის კბოდეებამდე წვდებოდა. შარავნა სოფლის ამ ნაწილში შუაზე გადიოდა, აღმოსავლეთით ისეთი მაღალი და პირქუში კლდეები იყო აღმართული, რომ მზის სხივები მიწაზე ძლივს ეშვებოდნენ. რა პაპანაქება სიცხეც არ უნდა ყოფილიყო, აქ მუდამ გრილოდა. კლდის მწვერვალამდე ტყეში ბზა ჭარბობდა. ალბათ, ამიტომ ეძახდნენ ამ სოფელს ბზიანეთს. სოფელს შუაზე ცხენისწყალი ყოფდა და ერთმანეთთან რკინის ხიდი აკავშირებდა.

გალმოცემით ეს ხიდი პომპეუსის დროინდელი უნდა ყოფილიყო, ამიტომაც მას პომპეუსის ხიდს ეძახდნენ. ცხენისწყალი ამ ადგილას ძალიან ვიწრო კალაპოტში მოქცეულიყო.

ხიდის თავთან რამდენიმე გზა იყრებოდა: ერთი სამეგრელოდან, მეორე ხონიდან, მესამე ასხის ბარაქიან საძოვრებისაკენ მიდიოდა გორდისა და კინჩხის გავლით, მეოთხე ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთს მიყვებოდა ზევით, ცხენისწყლის ხეობაში.

სწორედ ხიდს ზემოთ, მაღალ მთაზე, იდგა არჩილის ოდა.

არჩილის მამა მეტივე იყო. გაზაფხულსა და ზაფხულში გიორგი სვანეთის ტყეებში ხეებს ჭრიდა და მორებს მდინარეში ჩამოსაცურებლად ამზადებდა. გიორგი საჭილაოს ხე-ტყის ქარხნის მებატონეს ჰყავდა დაქირავებული, ქარხანა იტალიელ კაპიტალისტს ეკუთვნოდა.

როცა არჩილის მამა მორებს მდინარეში დააცურებდა, მერე თვითონ ფეხდაფეხ კეტით დაედევნებოდა, რომ წყალს სადმე მოსახვევებში არ შეეჯორგა. მამამ არჩილი ბავშვობიდანვე შრომას შეაჩვია, ბიჭი მთაში საქონელს მწყემსავდა, ზოგჯერ მამა არჩილს სვანეთში აიყვანდა და მთელი ზაფხული მორების დამზადებაში იშველიებდა.

ხშირად ხიდის თავთან არჩილი ომობანას გამართავდა, შეკრებდა ხოლმე გოგო-ბიჭებს. ორ ბანაკად გაჰყოფდა. ქართველების ბანაკს ყოველთვის თვითონ „სარდლობდა“. ცხარე „ომი“ იმართებოდა. არჩილი მდინარის პატარა ტოტზე ხის ბოჯირს გადებდა. თავისი „ჯარი“ მტრის ზურგში მალულად გადაჰყავდა. თამაში ზოგჯერ სერიოზულ ხასიათს იღებდა და ერთმანეთის დაუზოგველი



ცემა-ტყეებითაც მთავრდებოდა. ატეხილ ალიაქოთში მშობლები ჩაერეოდნენ და „მომრებს“ ძლივს გააშველებდნენ.

არჩილს ძლიერ უყვარდა ძველისძველი რკინის ხიდი. ხშირად ათვალიერებდა მას, ზოგჯერ ციცაბო კლდეს ჩაჰყვებოდა, რკინის ბოძებს ხელით ეხებოდა. მერე ქალაღზე რაღაცას ხაზავდა. იმ ნახაზებში ხიდის მოყვანილობა გამოჰყავდა. მოხუცები ამბობდნენ, გიორგის ბიჭი ნამდვილად ინჟინერი გამოვაო.

კარგა მოჩიტული იყო მაშინ არჩილი, სოფელში ხმა რომ გავარდა, სამეგრელოდან ბოლშევიკი გეგეჰქორის რაზმი დაიძრა და თავისი შტაბით გორდში დაბანაკდაო.

მართლაც ასე იყო.

ერთ საღამოს არჩილი გვიან დაბრუნდა შინ. მეზობლის ხარები და ღვინეფაძეების ერთადერთი მარჩენალი ძროხა ტყეში ქორფა ბალახს სულ მალა მთის მწვერვალისაკენ შეჰყოლოდნენ. დაღამებამდე ეძება არჩილმა ისინი და, როგორც იყო, იპოვნა.

შეშინებული დედა შუკაში გამოსულიყო და არჩილის გამოჩენას გულის ფანცქალით ელოდა. არჩილი რომ დაინახა, თვალებზე სინარულის ცრემლები მოადგა. წნელის ჭიშკარი გააღო და ცურებსასე წაბლა ეზოში ბღავილით შემოვარდა. დედა ძროხის დასაბმელად ლაფაროსკენ გაეშურა. დაღლილი არჩილი ოდის აივანზე ავიდა და უცებ შეკრთა. ლამპის შუქზე, მრგვალ მავიდას შეიარაღებულყო მამაკაცები შემოსხდომოდნენ. ყველას, გარდა ერთისა, ხშირბეწვიანი, შავი ფაფახი წარბებამდე ჩამოეფხატათ, მოკლე კარაბინები მუხლებში მოექციათ, ზედ ნიკაპით დაყრდნობოდნენ და იმ ერთს სულგანაბული უსმენდნენ. იგი ტანად მალალი, ახოვანი, განიერ მხარბეჭიანი და გასაოცრად მომხიბვლელი შეხედულებისა იყო. მის მრგვალ, ფეროვან სახეს გაუნელებლად აფრქვევდნენ შუქს ფართო, ცისფერი თვალები. სამხედრო ყაიდაზე იყო ჩაცმული. მოლისფერი კიტელი, ლურჯი გალიფე შარვალი, მუხლებს ზევით წვრილი ლეკვერთხებით ამოკრული აზიური ჩექმები, წელზე ძველებური ბალთებიანი ქამარი და მასზე კახტად გამობმული ყვითელი ხის ბუდიანი მაუზერი რაღაც საოცარ ვაჟაკურსა და მხედრულ იერს აძლევდნენ მას.

ეს კაცი არჩილს სადღაც ენახა, მაგრამ ამ წუთს ვერაფრით ვერ აღედგინა მეხსიერებაში.

არჩილის გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა შეკრებილთა შორის მამაც შეიცნო. გიორგის ახლა დაგლეჯილი ჩოხა როდი ეცვა და გაცვეთილი ქალამანი როდი ჰქონდა ამოკრული, არამედ ისიც სხვებივით მხედრულად მოართულიყო, თავზე მასაც გრძელბეწვიანი ფაფახი ეხურა და ხელთ კარაბინი ეჭირა. კიდევ დიდხანს ისაუბრეს დაბალ ხმაზე და მერე უხმოდ გაიკრიფნენ, სიბნელეს სხვადასხვა მხარეს შეერივნენ.

კარებთან მდგარ არჩილს იმ მალაღმა უცნობმა გაუღიმა და თავზე ხელი აღერსიანად გადაუსვა. არჩილმა სიამაყე და სინარული იგრძნო, ხოლო როცა მამამ ჩუმად აკოცა შუბლზე და ისიც იმ ახოვან კაცს მიჰყვა, შიშმა შეიპყრო.

მას შემდეგ მამა აღარ უნახავს არჩილს.

— დედი, ვინ არის ის მალალი კაცი? მახსოვს და ვერაფრით ვერ მომიგონებია!

— საშა გეგეჰქორია, შვილო.

— გეგეჰქორი?

მხოლოდ ახლა მოაგანდა არჩილს... მის შესახებ ხომ ბევრი ლეგენდარული ამბავი სმენია. არჩილს იგი ცხენისწყალზე გადებულ ხიდთან უნახავს, მაგრამ



რა იცოდა პატარა ბიჭმა, რომ ის უცნობი მტრების რისხვა — საშა გეგეჭორია იყო.

არჩილი იმ დიდი ბრძოლების მოწმე გახდა, რომელიც მენშევიკური გვარდიის ნაწილებსა და პარტიზანებს შორის გაიმართა. ხიდის ორივე მხარეს, ცხენისწყლის ხეობაში შაშხანების გრიალი, ტყვიამფრქვევების კაკანი და ზარბაზნების ბათქაბუთი გაისმოდა და ეს მთელ სოფელს შიშის ზარს სცემდა, არჩილს კი რატომღაც შიში სრულებით არ უგრძენია. უხაროდა კიდეც, რომ მთის კალთებში ყუმბარების აფეთქების გამო მთები ირღვეოდა და ცხენისწყალში ეშვებოდა. სახლში ნანახი ვაკეკაცების იმედი ჰქონდა, მაგრამ მისი გულუბრყვილო აღტაცება მალე მწუხარებად შესცვალა. გვარდიელების მიწოლით პარტიზანთა რაზმი ჩრდილოეთ ოსეთში გადავიდა, ლარსის ხეობაში, თერგის ვიწროებში დენიკინის ბანდები დახდნენ. სწორედ იმ სასტიკ ბრძოლაში დაეცა გიორგი გმირული სიკვდილით. იქვე, კლდის ძირას დამარხეს. გამარჯვების შემდეგ მისი ნეშტი კავკასის ძმთა სასაფლაოზე გადაასვენეს, არჩილის დედამ ვერ აიტანა ქმრის დაღუპვა, დასწულდა და ორი წლის შემდეგ ისიც გარდაიცვალა.

არჩილი მარტოდმარტო დარჩა. მშობლების დაკარგვამ ცხოვრებაში ორმად ჩაახედა, მის გულში ამიერიდან სევდა და მწუხარება ჩასახლდა, სახეზე ღიმილის ნატამალიც გაუქრა. ერთხანს ეგონათ, არჩილი კერას მოშლიდა, ოჯახს გააპარტახებდა და თვითონაც სადმე გადაიკარგებოდა. მაგრამ ეს ეჭვი არ გამართლდა. პირიქით, არჩილმა ოჯახსაც უპატრონა და არც სწავლაზე აიღო ხელი. საშუალო განათლებაც მიიღო.

იმ ზაფხულს ბზიანეთში, კარის მეზობელს თბილისიდან დისშვილი ესტუმრა. ლილიანას ეძახდნენ, არჩილზე ორი წლით უფროსი თუ იქნებოდა. ობოლი ბიჭი იმ ლამაზ გოგონას შორიდან უთვალთვალებდა. ხშირად საგანგებოდ გამოეწყობოდა, ხუჭუჭა შავ თმებს გადაივარცხნიდა, ხელში წიგნს აიღებდა და აივანზე სატრფიალო ლექსებს ხმამაღლა კითხულობდა. მისი აივანი პირდაპირ მეზობლის აივანს გადაჰყურებდა, არჩილის ხმაზე ლილიანა აივანზე გამოირბენდა და არჩილს სიამოვნებით უსმენდა. გამხნეებულა არჩილი ხმას უფრო და უფრო აუწყევდა და უფრო გამოთქმით კითხულობდა ლექსებს. ცხენისწყლის ხეობა სასიამოვნო ეხოთი პასუხობდა. მალე ერთმანეთიც გაიცნეს, დაახლოვდნენ. ხშირად ცხენისწყლისპირად ჩამოჯდებოდნენ და ტყით შემოსილ მთებს დიდხანს და ხარბად შესცქეროდნენ. ქვემოთ კი მდინარე მიტალღობდა. არჩილს ლილიანას თვლების ეშხი სულ უფრო იზიდავდა და იტაცებდა, ტანში ტკბილად აყრუოლებდა. ასე უსიტყვოდ იწვოდა არჩილი და ქალიშვილისათვის სათქმელი მაინც ვერ გაემხილა.

ლილიანამ მთელი ზაფხული ბზიანეთში გაატარა და შემოდგომაზე ისევ თბილისში წავიდა. არჩილი დანადგლიანდა. სანამ ლილიანას გაიცნობდა, ფიქრადაც ვერ წარმოედგინა ოდესმე სოფლის დატოვება და კერის გაცივება, მაგრამ ახლა თავში სხვა აზრი გასჯდომოდა.

დიდხანს იჯახირა და ბოლოს თავისი მაინც გაიტანა. თბილისში გაემგზავრა და პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მისაღები გამოცდები ჩააბარა.

ლილიანას სახლსაც მიაკვლია. ძველი ნაცნობობა და ცხენისწყლის პირად გატარებული დღეები შეახსენა. გაუმხელელი სიყვარული კიდეც უფრო გაულკვიდა.

საოცარი თვისება დასჩემდა არჩილს. ლილიანას მუდამ შორიდან უთვალთვალებდა, მისი ეშხით მუდამ შორიდან ტკბებოდა. სიყვარულით უხმოდ და უთქმელად იწვებოდა და ამ გრძნობას გულში ზრდიდა და ამწიფებდა. უცდიდა, როდის

ამოიწურებოდა „შორით წვისა და დაგვის“ წუთები. ის იყო გადაწყვეტა, დრო გავეშქრადენო ყველაფერი ლილიანასო, რომ ერთმა შემთხვევამ ყველაფერი დაარღვია. ერთხელ ბოტანიკურ ბაღში წავიდა. მოულოდნელად მადლობ ადგილზე, კლდის ძირში, სადაც მშვენიერი წყარო მოჩუხჩუხებდა, საოცარ სურათს წააწყდა; ლილიანა ერთ მოწიფულ ვაჟკაცს გულში ჩაეკრა და კოცნიდა. ლილიანა წინააღმდეგობას როდი უწევდა, ითენთებოდა და ვაჟკაცს თანდათან ნებდებოდა. მერე სულ მოეშვა და მიწაზე დაეცა. არჩილს თვალი დაუბნელდა და გონება კინაღამ დაჰკარგა.

ასე გათავდა არჩილის პირველი გაუმხელელი სიყვარული...

ამის შემდეგ საშინლად შეძულდა ქალები. ინსტიტუტი ისე დაამთავრა, ქალის გვერდით ერთხელაც არ გაუვლია. თავი სულ წიგნებში ჰქონდა ჩარგული.

არჩილი უკანასკნელ კურსზე იყო, როცა ჩვეულებრივ ესტუმრა ბზიანეთს. პომპეუსის ხილთან ჩაიარა, სადაც გლეხებს მოეყარათ თავი.

— ნეტავი როდის გვადირსებენ ამ ხილის შეკეთებას? საცაა სულ ჩაიმტვრევა, — ჩიოდა ერთი გლეხი.

— ა, ბატონო, აგერ გიორგის ბიჭიც მალე დაამთავრებს საინჟინეროს და ვენახო!

როგორი სიამაყე იგრძნო არჩილმა მაშინ! მაგრამ მისი სიხარული ხანმოკლე გამოდგა, ერთმა ენამყარალმა ახალგაზრდამ მოუშხამა გული.

— შეტი არაა ჩემი მტერი, მანამ არჩილი ინჟინერი არ გახდება!

არც ეს გამოპარვია არჩილს, მაგრამ რა გაეწყობოდა, უნდა მოეთმინა, თბილისში მობრუნებულს სადარდებელი მოემატა, რადაც არ უნდა დაჯდომოდა ძველი, ისტორიული ხიდი უნდა განეახლებინა. დღედაღამ იმ ხილის რეკონსტრუქციაზე ფიქრობდა.

იმ ხილთან ხომ არჩილის ბავშვობის წლები იყო დაკავშირებული.

დადგა სანატრელი დღე. არჩილმა დიპლომი ბრწყინვალედ დაიცვა და თბილისიდან გამგზავრების თადარიგს შეუდგა.

დიასახლისს ბავშვივით ერთსა და იმავეს უმეორებდა:

— დეიდა მარო, ხვალ-ხვებ ჩემს რაიონს დავუბრუნდები, ბზიანეთში ისევე გავაჩაღებ კერას, შენც უნდა ჩაგიყვანო, ბზიანეთი ნამდვილი აგარაკია. შენს ამავს ბზიანეთში გადავიხდი. — სიყვარულით უღიმოდა არჩილი დიასახლისს.

დიასახლისი მარო, რომელთანაც ის მდგმურად იდგა, ერთი გადაბერებული, გაუთხოვარი, ბუნებით ძალიან კეთილი ქალი იყო. არჩილი დედისტოლა ქალს მუდამ პატივისცემით ეპყრობოდა. დიასახლისი სწუხდა, რომ არჩილი ცოლს არ ირთავდა, ბევრჯერ ცდილა ჩაეგონებინა, ოჯახი შეექმნა, მაგრამ არჩილს თავი ყოველთვის შორს ეჭირა, ლილიანას მოგონება გულს სევდით უჩრდილავდა. ბოლოს დიასახლისიც მოეშვა.

ერთხელ არჩილი შინ ადრე დაბრუნდა. საჩქაროდ ლოგინში ჩაწვა, მაგრამ თვალებს ძილი მაინც არ გაეკარა. კვლავ ბზიანეთი წარმოუდგა თვალწინ. პომპეუსის ხილის პროექტზე თავს ამათ დამტვრევდა, გონებაში ჩასახული ქალაღზე ვერაფრით ვერ გადაეტანა. ამ ფიქრებში იყო არჩილი, როცა დეიდა მაროს ოთახიდან უცნობი ქალის ხმა მოესმა.

— რა ვქნა, დეიდა მარო, ნეტავი როდემდე გაგრძელდება ჩემი ტანჯვა?!

— რაზ იზამ, შვილო, ბედს ვერსად ვერ გაექცევი, — ამოშმინებდა დიასახლისი.

— დაიწვეს ჩემი ბედი, სული მიმწარდება, ვერ ვიტან იმ კაცის უემურ გამოხედვას და რა ვქნა...



— უნდა მოითმინო, შეილო, — იმეორებდა დიასახლისი.

— ვითმენ, აბა რა, განა ჩემი ახალგაზრდობა მას არ შეეწირე? ხანს ვინ ჩივის, ხასიათი რომ უვარგოდეს მაგ ოხერს, — წუხდა ქალი.

არჩილს მათი საუბარი ნაწყვეტ-ნაწყვეტად ესმოდა. „ნეტავ ვინ უნდა იყოს, გულში რომ ამდენი ნალველი ჰქონია დაგუბებული?“ ... გაიფიქრა მან. ქალის სევდიანმა, მაგრამ სასიამოვნო ხმამ მისი ყურადღება უფრო მიიპყრო და სუნთქვა შეკრული უსმენდა. ცნობისმოყვარეობას შეეპყრო, მაგრამ ლაბარაკის დედააზრს მაინც ვერ ჩაწვდენოდა.

კიდევ დიდხანს ისაუბრეს მეორე ოთახში.

არჩილი წამოდგა. ტანთ ჩაიცვა. რატომღაც გულმა დიასახლისის ოთახისაკენ გაუწია, და ის ქალიც სწორედ დერეფანში პირისპირ შემოეფეთა. არჩილი ქანდაკებასავით შედგა, ქალის უზადო სილამაზემ და მისმა მიმზიდველმა თვალებმა მოხიბლა. თითქოს იმ ადგილას დააბესო, ასე უძრავად იდგა ერთხანს. ქალმა თავი დახარა და არჩილს მორცხვად ჩაუარა.

არჩილი დიასახლისთან შებრუნდა.

— დეიდა მარო, ვინ არის ეს ქალი?

— ნათესავია.

— ნათესავი?

— ჰო, აბა, ვინ გეგონა? — გაიღიმა მარომ.

არჩილი ჩაფიქრდა, მერე თითქოს დაბნეულ აზრს თავი მოუყარა, სახე-გაცრეცილ დიასახლისს მიაჩერდა.

— გამაცანი, დეიდა მარო, ის ქალი!

დიასახლისმა არჩილს გაკვირვებით ამოხედა.

— რას ამბობ, ბიჭო, ქმარ-შვილიანი ქალი რა შენი საქმეა, შენ გაუთხოვარი, ქორთვა გოგონა უნდა მოძებნო, — ოდნავი საყვედური შეაგება მარომ.

— როგორ, გათხოვილია?! — წამოიძახა არჩილმა და გონებაში ახლავდა მიხვდა, თუ რას ნიშნავდა იმ ქალის ნათქვამი.

— აბა, რა.

— შევიღებოცა ჰყავს?

— ორი, ქალ-ვაჟი.

არჩილს მეტი არაფერი უთქვამს. საკუთარ ოთახში გავიდა. ლოგინზე წამოწვა. იმ უცნობი ქალის სახე და გულისტკივილი ჯავრად ჩაჰყვა. მისი ეშხით სავსე თვალები მთელი ღამე რაღაც საოცარ შუქს აფრქვევდნენ და თავისკენ ეწეოდნენ.

დეიდა მაროს არჩილის ჩუმე სევდა როდი გამოეპარა, მაგრამ მისი ეჭვი კიდევ უფრო მაშინ გაძლიერდა, როცა რაიონში გასამგზავრებლად გამოზადებული არჩილი თბილისში სამუშაოდ მოეწყო.

— აკი წასვლას აპირებდი, ბიჭო! — გამომცდელად ჩაეკითხა დეიდა მარო.

— აზრი შევიცვალე, დეიდა მარო, ცოტა ხანს აქ წავიმუშავებ, გამოცდილებას მივიღებ, რაც უნდა იყოს თბილისია, — იცრუა არჩილმა, დეიდა მაროს გამომცდელ მზერას თვალი აარიდა.

არჩილმა იმ ქალის გაცნობა გადაწყვიტა. მას შემდეგ საგანგებოდ ბაზარში მოუხშირა სიარული, სადაც იმ ქალს სურსათ-სანოვანის ყიდვა უხდებოდა. ორი რამ აწვალებდა არჩილს: ერთი მისი თვალების ეშხი, მომაჯადოებელი და დამატყვევებელი სახის იერი და მეორე მის გულში გაჩენილი წუხილის თავიდან ბოლომდე ამოცნობა.

დაინახავდა თუ არა იმ მშვენიერი ქალის ატმის ყვავილივით აფეთქებულ

სახეს, ჭკვიან თვალებსა და სავსე გულ-მკერდს, არჩილი წითლდებოდა, მთელი ღამეები არ ეძინა, მთვარეულივით დაბარბაცებდა.

ამგვარ ფიქრებში საკმაო ხანმა განვლო.

ის ქალი დიასახლისთან ხანგამომშვებით გამოჩნდებოდა, მაგრამ არჩილს გაცნობა მიანიც ვერ მოეხერხებინა, ხოლო დეიდა მარო მათს გაცნობას ვანგებ გაურბოდა.

აგერ, თითქმის მთელი თვე არ ენახა არჩილს ის ქალი. როგორ უნდოდა სადმე შეხვედროდა, პირდაპირ მისულიყო, ეთქვა რაიმე, თუნდაც ოროიდე სიტყვა. ამ ფიქრებით დაღონებულმა არჩილმა დიასახლისის კარი უხალისოდ შეაღო და უეტრად შეკრთა: ის ქალი კვლავ დიასახლისთან იჯდა.

დიასახლისსაც სხვა რა გზა ჰქონდა. არჩილი სტუმარს გააცნო.

იმ ღამეს არჩილმა ქალი სახლამდე მიაცილა. რამდენი რამ უნდოდა ეთქვა, მაგრამ თითქოს ენა დაება, ხმას ვერ იღებდა.

არჩილმა მხოლოდ ისღა მოახერხა, რომ შეიპირა, ხვალ შებინდებისას ბალთან შეხვედროდნენ ერთმანეთს. არჩილის გასაოცრად ქალმა მორჩილად თავი დახარა, უსიტყვოდ დაემორჩილა.

*

არჩილი მეორე საღამოს ფაქიზოს უნდა შეხვედროდა. დელავდა, ღამენათევს ფერი ოდნავ გაკრთობოდა. ქუჩაში გამოსულმა, ბალისკენ მიუხვია, ლოდინიც დიდხანს არ დაჰკირვებია. დათქმულ ადგილას ფაქიზოც გამოჩნდა. უსიტყვოდ მიესალმნენ ერთმანეთს, გაუღიმეს კიდეც და ბაღში ცისფერ გრძელ სკამზე ჩამოსხდნენ.

სრული ერთი წელიწადი უთვალთვალა მან შორიდან ქალს და რაკი გაცნობას ეღიროსა და დიდი ხნის ნანატრი აუსრულდა, ხელის პირველი ჩამორთმევისა და თვალეში ჩახედვისთანავე მის გულში საოცარმა თბილმა გრძობამ იფეთქა.

ამ სასიამოვნო განცდით დაბრუნდა გუშინაც სახლში. დამძიმებული თავი ბალიშში ჩარგო, მაგრამ თვალეხს ძილი არ გაეკარა. თითქოს ამიერიდან მას სიმშვიდე გაშორებოდა, თუმცა არჩილისათვის პირველი როდი იყო ეს განცდა, მაგრამ იგი დიდად განსხვავდებოდა პირველისაგან.

ახლა არჩილის გული რაღაც უცნაური ნეტარებით დელავდა და იგი სიცოცხლეზე ბევრად ძვირფასი ეჩვენებოდა.

მოზღვავებულ ფიქრებს თავი ვერ გაართვა. უძინარსა და უთენია წამოდგარს თვალეხი დაწითლებოდა, სადღაც გულის სიღრმეში სხეულიც ეწვოდა, თუმცა არა სტიოდა, პირიქით — სიამოვნებდა და შარბათისაგან დამთვრალივით ვატრუნულიყო, ცეცხლი, რომელიც ფაქიზოსაგან გასჩენოდა, გულში გაუნელებლად გიზგიზებდა. ბოლოს, როცა ერთის წუთითღა გაეუჩნდნენ ეს მშფოთვარე ფიქრები და გულსაც შვება დაეფულა, მიხვდა არჩილი, რომ ეს ნიაღვარივით მოვარდნილი აღტყინება სიყვარული იყო.

არჩილმა ფრთხილად დაიწყო. მერე თანდათან გამბედაობა მოემატა, საკუთარი გულის ვარამი და სიხარული უბრალოდ გადაუშალა, იმ შეგინებული ტრფიალების შესახებაც ცოტა რამ გაანდო და მერე მას სიყვარული გაუმჟღავნა.

ფაქიზოს უკვირდა სიყვარულის ასე პირდაპირი გამოცხადება, თითქოს ეჭვობდა კიდეც, მაგრამ ეჭვსა და გაკვირვებას არჩილის მიმზიდველი თვალეხი, ვაჟკაცური გამოხედვა, ტუბილი საუბარი და უფრო თბილი გრძნობა იმორჩილებდა. ამიტომაც სდუმდა ფაქიზო. ხმა ვერ გაეღო. სააასუნო სიტყვა ვერ გა-



მოექდნა, მაგრამ ერთის შეხედვითაც კარგად მიახვედრა, რომ მის გულშიაც სხეანიირი ნაპერწკალი ჩაეარდნილიყო.

ენანებრდა არჩილს ქალთან დაშორება, ჯერ საღამოს ცხრა საათიც არ იყო, ფაქიზო აქეთ-იქით მოუსვენრად იმზირებოდა, თითქოს ვიღაც მესამე პირი უთვალთვალებდა.

არჩილი ქალის მოძრაობას თვალს არ აშორებდა. მიხვდა, რომ რაღაც აწუხებდა, და წამოდგა, ხათრი ვერ გაუტეხა. საოცარია, რა მალე ამოიწურა დრო? შუალამე გადასულიყო, როგორ მოხდა ეს? აკი ძალიან იჩქაროდა ფაქიზო შინ წასვლას?

იმ დღიდან ისინი ხშირად ხედებოდნენ ერთმანეთს.

მთელი ღამე ებრძოდა არჩილი ფიქრებს, ვერ იქნა, ვერაფრით ვერ ამოეხსნა, თუ რა წყლული აწუხებდა ფაქიზოს, რად იყვნენ მისი თვალები ეგრე სევდიანი და ამავე დროს ეგრე შეტყვევნი.

არა, ვერ შეძლო არჩილმა ქალის საიდუმლოს ამოხსნა!

ერთხელ ფაქიზო მოულოდნელად არჩილის წინაშე თავის წარსულზე ალაპარაკდა.

არჩილიც ამ წუთს ელოდა. უხაროდა, რომ ფაქიზოს საიდუმლოს ფარდა ეხსნებოდა. ოღონდაც ეთქვა, ეთქვა და როგორც არ უნდა ყოფილიყო მისი ცხოვრების დღეები, ეს არჩილისათვის ამ წუთას სულ ერთი იყო.

რამდენი გულისწუხილი, რამდენი სინანული და სამღურავი ისმოდა ფაქიზოს წრფელ აღსარებაში.

... თექვსმეტი წლისაც არ იყო ფაქიზო, რომ მასზე ბევრად უხნეს კაცს მიათხოვეს. ბუმბულშეუმოსაც ბარტყივით ადრე წამოაფრინეს ცხოვრების საბუღრიდან, ჯერ ფრთებიც არ წამოზრდოდა და ცხოვრების მძიმე უღელში შეაბეს. ფაქიზო შორეულ ნათესავთან იყო სტუმრად. ვიღაც უცნობ მამაკაცს რამდენჯერმე ენახა ეზოში. ის უცნობი ნათესავ ქალს შეუჩნდა, ეგ გოგონა უნდა მომათხოვო!.. იმ ჰკუამოკლე ქალმაც, მშობლების დაუკითხავად თანზმობა განუცხადა. ერთ ბნელ ღამეს გვიან მოვიდა ის კაცი, ნათესავმა ქალმა გაშლილი სუფრა დაახვედრა და იმ სუფრასთან დამორცხვებული ფაქიზოც გვერდით მოუსვა. ქალიშვილს სასმელში რაღაც გამაბრუებელი წამალი შეაპარეს, დაათვრეს. ალა-რაფერი ახსოვს ფაქიზოს. ბნელმა ღამემ და ამოვარდნილმა ქარმა შთანთქა მისი უმწეო შეკივლება და მილეული კენესა. მხოლოდ დილაადრიან მოვიდა გონს ნამუსახდელი ფაქიზო და გვერდით მწოლარე ის მამაკაცი რომ ნახა, ერთხელ კიდევ შეჰკივლა და ფეხქვეშ ასე უსულგულოდ გათეილილი ქალწულობა ჩუმი კვითინითა და ცხარე ცრემლებით გამოიგლოვა.

გვიანი იყო. ყველაფერი გათავდა და ფაქიზოც ბედს დაემორჩილა — იმ კაცის ცოლი გახდა.

იმ დღიდან მოყოლებული გაუხარელად და უსიამოდ შეება ფაქიზო ცოლქმრობის მძიმე ჭაპანს. ბავშვებმა ოჯახის უსიტყვო და ერთგულ მსახურად აქციეს იგი. მხოლოდ გულში ტიროდა ფაქიზო, გარეგნულად კი არაფერს იმჩნევდა, სახეც მუდამ მომდიმარი და ნათელი ჰქონდა, თვალები გაბრწყინებული, მოელვარე ტუჩები, ყელი სანთელივით ჩამოქნილი, რბილი და სათუთი, როგორც ხვერდი. ტანი შნოიანი და სავსე, მოქნილი და ამავე დროს თავისებური სინაზით აღსავსე. ერთი გასაუბრებით ძნელი იყო ამ ქალის მწუხარების ამოკითხვა, მაგრამ საკმარისი იყო ღრმად ჩაეხედათ მის სულსა და გულში, მაშინათვე იპოვნიდით შიგ ყველაფერს. საკუთარი თვალებით ამოიცნობდით სიყვარულისა და სითბოს გარეშე დარჩენილ ადამიანს.



ყველაფერი ჰქონდა ფაქიზოს, ყველაფერი, გარდა სიყვარულისა. მთელი თავისი მწუხარების გაქარვებას შვილების სიყვარულით ცდილობდა. ცდილობდა, მაგრამ ამაოდ, ის, ვისაც ფაქიზო ალერსსა და სინაზეს სთხოვდა, სიტკბოებით სხვაგან ტკებებოდა, შინ მობრუნებული საწოლზე მიუგდებოდა და საზარელ ხვრინვას ამოუშვებდა.

ასუ გადიოდა დღეები.

როცა დროთა ვითარებაში ფაქიზო გამოერკვა და ცხოვრების აკვარჯი შეიცნო, გაბედა და ქმარს სულიერი მეგობრობა, სიბო და ადამიანური სიყვარული მოსთხოვა. ხელში გამოფიტული, გამომშრალი და უსულგულო ჩონჩხი შემორჩა, რომელსაც ხანაც მოძალებოდა და ჭადარაც მორეოდა.

ფაქიზი კი სწორედ ახლა შედიოდა სიმწიფეში, ახლა იფურჩქნებოდა და სწორედ ახლა ეწადა ნამდვილი სიტკბო და სიამოვნება, მაგრამ სადღა იყო ეს ნანატრი ტკბილი ცხოვრება? იგი სხვებისთვის მიეცა, უთავბოლოდ გაეფლანგა მისი ცხოვრების მეგობარს, და მხოლოდ ცივი გული, შექმუხენილი წარბები, მოდუნებული სხეული და გაბზარული, ხრინწიანი ხმა შემოენახა ფაქიზოსათვის. ფაქიზი კი პირიქით, ხორცსა და კანში ვერ ეტეოდა, სიცოცხლის ნამდვილი გაზაფხული ახლა დადგომოდა. ბევრს ფიქრობდა საკუთარ უბედობაზე, სიყვარულზე, მომავალ ცხოვრებაზე, მაგრამ ვერაფერი გადაეწყვიტა, იყო შინ და ბოღმას გულში იკლავდა. უსიამო წარსულს მისტიროდა. ზოგჯერ საწოლში ვნებიანად იშმუშნებოდა, თქმით კი ვერაფერს ეუბნებოდა და უბედავდა მას, ვისაც მისთვის უნდა გაეგო და გულისხმა გაენელებინა, პირი კედლისაკენ ჰქონდა შებრუნებული, ხოლო კედელი ისე ცივი და გულქვა იყო, რომ ფაქიზოს გულისტკივილი აღარ ესმოდა.

აი, ეს იყო ფაქიზოს განვლილი გზა.

*

ანაპოდისტე ბაჯელიძე საშუალო ტანის, ხმელ-ხმელი, ბეჭებში ოდნავ მოხრილი კაცი იყო. კატასავით ჭრელი თვალები და წინ წამოწეული ყბები ჰქონდა. ნიკაბიც ასევე გრძელი და უშნო. ცხვირი თითქო ვინმეს გაეჭექუყოსო, შუაზე, ზედ ხრტილთან ჩაზნექოდა. ისეთი უქმური შესახვედაობისა იყო, ძალიან მაგარი გული უნდა გქონოდა, რომ გაგეძლო, ხოლო მასთან სუფრასთან ჯდომა და მისი ჭამისათვის ყურება რაღაც საოცარ ნებისყოფას მოითხოვდა.

ჩვიდმეტი წლისამ დასტოვა თავისი ოჯახი. ჯერ ბათუმში შეეკელა შორეულ ნათესავს. ზღვისპირა ქალაქში მთელს დროს უქმად ხეტიალს ანდომებდა. ნათესავი მიხვდა, რომ ასეთ ცუდლულტ ანაღაზრდას მისი ოჯახი ვერ შეითვისებდა. ანაპოდისტეც გრძნობდა ამას და ერთ მშვენიერ დღეს ბათუმიდან წაიქცა. მშობლების მოცემულ ფულს ბოლო სონუმში მოუღო, ქალებთან დრო ნატარებდა და ნაქეფარს ორიოდ გროში შემორჩა და იმ მცირე თანხით გაგრას ესტუმრა. ულუკმაპურად დარჩენილს სხვა რა გზა ჰქონდა. პრინც ოლდენბურგის მამულში მოეწყო. პრინცის აგრონომს დიდად განათლებულსა და ზრდილობიან კაცს მისთვის ბაღისა და ვაზის მოვლა უნდა შეესწავლებინა. ანაპოდისტემ ამ საქმეში ნიჭი და მონდომება გამოიჩინა, ფრანგული ჯიშის ვაზის გამოყვანასა და გაზარებაში კარგად დახელოვნდა. ხუთი წლის მანძილზე ფრანგი აგრონომის წყალობით საუკეთესო მეხილე და მევენახე დადგა.

პირველად გაგრაში დაქორწინდა. ანაპოდისტემ რუსი ქალი შეიერთო. შეიძლება მას მართლაც შეექმნა კარგი ოჯახი, რომ ერთი მეტად ცუდი თვისება არა ჰქონოდა. ეს თვისება, რომელიც მას ბოლომდე გაჰყვა, სწორედ გაგრაში გამოუვლინდა: მეუღლე მხოლოდ და მხოლოდ საწოლის დამამშვენებლად და



ოჯახის საჭიროებისათვის ჰყავდა წარმოდგენილი. თვითონ კი სამსახურს არა მორჩებოდა, ისაღილებდა და მაშინვე ზღვისპირისაკენ გასწევდა. შიშველი ქალების თვალთვალს არაფერი ერჩია. ახლო მიუჩინებოდა, ერთ რომელიმეს შეარჩევდა და მთელი კვირა რომ ედია, მაინც არ მოეშვებოდა, ხელში ჩაიგდებდა და ორი კვირა სახლში ერთხელაც არ ამოვიდოდა. მეუღლე მუდამ დაეძებდა. მერე საღაც მიაკვლევდა თუ მალულად მისაწავლებდნენ, ისიც ლანძღვა-გინებით ანაპოდისტეს სახლისაკენ გაიგდებდა. ბოლოს ისევ შერიგდებოდნენ, მაგრამ ანაპოდისტე თავისას მაინც არ იშლიდა და გუშინდელი ამბავი ისევ მეორდებოდა. ორ წელიწადს მაინც გაუძლო ცოლმა. ბოლოს იძულებული გახდა, კირვეულსა და გამოუხსწორებელ ქმარს თვითონვე ჩამოსცილებოდა.

ანაპოდისტემ ახლა თავისი „ბედი“ მეორეს დაუქავშირა, იმ უბედურ ქალსაც მალე დაშორდა; ამასობაში რევოლუციამაც იფეთქა. ფრანგი აგრონომი საფრანგეთს დაუბრუნდა, ხოლო პრინც ოლდენბურგის მამულები სახელმწიფოს გადაეცა.

ანაპოდისტე ახლა ოდესაში გაჰყვა გემს. იქაც დიდხანს იბორიალა, მაგრამ ფეხი ვერსად მოიკიდა. ისევ საქართველოში დაბრუნდა. ვილაციის რჩევით წინანდლის სახელმწიფო მამულებში აგრონომ-მებაღედ დაიწყო მუშაობა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე წინანდალში დარჩა. იქაც თავისებური რომანი გააბა, მაგრამ არ გაუმართლდა. შემდეგ მუხრანის მეურნეობას მიადგა და ისევ თავის პროფესიას მიჰყო ხელი.

ორი, სამი წლის შემდეგ, სწორედ ის იყო თავის ნათესავ ქალს ეწვია და ამჯერად ფაქიზო შეაქვინა და ხელში ჩაიგდო.

ანაპოდისტე საბოლოოდ თბილისში დასახლდა. ყველას უკვირდა, რომ ამ მახინჯს ასეთი ახალგაზრდა ლამაზი ცოლი ჰყავდა. მართლაც, ცოლქმარს შორის ასე დიდი განსხვავება იყო, ვის არ გაუკვირდებოდა, და ექვს ვის არ მოგვირია. ზოგი ფაქიზოს უპატრონოდაც თვლიდა. ვინც ანაპოდისტეს იცნობდა, ეგონა, შეიძლება ლამაზმა და ახალგაზრდა ქალმა ხასიათი შეუცვალოსო, მაგრამ ანაპოდისტეს არც ხასიათი შეცვლია და არც ძველებური ამბები დაეწიყებია. გასაოცარი ის იყო, რომ ანაპოდისტე ვენახის თვითეულ ძირს ისე ეალერსებოდა, ნამიცი რომ არ მოხვედროდა, ვაზი მაინც გაიხარებდა, მაგრამ ცოლისადმი ერთი უბრალო თბილი სიტყვაც არ დაცდებოდა. დაწესებულებასა და თანამშრომლებში გულისხმიერ კაცად იცნობდნენ და მართლაც ასე იყო. სახლში მოსვლამდე სახეზე მუდამ ღიმილი დასთამაშებდა, კარს შემოაღებდა თუ არა, კოპები თავისთავად ეკვრებოდა, სახე ეღუშებოდა.

რა საოცარი გოგონაა!

ახალგაზრდა ფაქიზოს მიმართ პირველივე დღიდანვე მკაცრი და უემური ხასიათი გამოაჩინა. ნაცვლად იმისა, რომ თბილი და სათუთი ყოფილიყო, ცივი გული შეაგება. გარდა ფაქიზოსი არაფერს შეეძლო მასთან გაჩერება, გარდა ფაქიზოსის, რომელსაც ჯერ ცხოვრების არავითარი გამოცდილება არ ჰქონდა. ქალს ეგონა, ალბათ ყველა მამაკაცი ასეთი ყოფილაო და ისიც ბედს უსიტყვოდ დაემორჩილა. ძმებსაც რცხვენოდათ და ფაქიზოსს მორჩილებსკენ მოუწოდებდნენ. იქნებ ანაპოდისტეს ბავშვებმა მაინც შეუცვალოს ხასიათიო, მაგრამ ანაპოდისტე ისევ ისეთი გულქვა, უკარება და ცივი დარჩა, როგორიც იყო.

ანაპოდისტე მუხრანში მუშაობდა. ცოლთან სახლში იშვიათად ამოდიოდა. როცა მოვიდოდა, ისიც მთვრალი და გაღუშული, საწოლზე უღონოდ მიეგდებოდა, და საზარელ ხვრინვას ამოუშვებდა. არც ფაქიზოს ასვენებდა და არც მეზობლებს. რაკი ფაქიზოს ოდნავი წინააღმდეგობის გაწევაც ვერ მოეხერხებინა, ანა-



პოდისტე უფრო გამძვინვარებულიყო და ოჯახის ნამდვილი დესპოტი გამდნარიყო. ქმრის ხასიათში ფაქიზოს ისეთი თვისებაც ვერ გამოენახა, რომ ოდნავადაც მაინც შეგუებოდა და კმაყოფილება გამოეწვია. ბოლო ხანებში კი თვემზრთხელ თუ გამოჩნდებოდა ანაპოდისტე სახლში. მას ფაქიზო ბრძივი და ქმრის მოშიშარი ეგონა, რომელიც მისი ფიქრით სიკვდილამდე ასე დარჩებოდა.

მაგრამ დრომ მაინც თავისი გაიტანა. წინათ, სანამ ანაპოდისტეს ჭაღარა მოეძალეებოდა, ფაქიზოზე როგორ იეჭვიანებდა, მაგრამ როცა ხანაც მოეძალა და შინაგანი უძლურებაც შესამჩნევად იგრძნო, ექვიანი გახდა. ვერ იტანდა, როცა ტანსაცვლზე ფაქიზო კარგად, კოხტად და გემოვნებით იცვამდა.

არჩილიც სწორედ ამ დროს ამოიზარდა ფაქიზოს გულში.

დღე ისე არ გავიდოდა, ფაქიზოსა და არჩილს ერთმანეთი არ ენახათ. თბილი და ალერსიანი იყო ყოველი შეხვედრა. რაღაც უცნაური აღმაფრენა ისადგურებდა მათს გულებში. არჩილს ძლიერ უყვარდა სიმღერა. მღეროდა ძველსა და ახალ სიმღერებს სიციცხლესა და გამარჯვებაზე. მღეროდა მთელი არსებით და ამ სიმღერაში ლაღად ჟღერდა გასაოცარი ლტოლვა სიყვარულისკენ. ეს გრძნობა მასში ცხოვრების გაზაფხულივით იშლებოდა და იფურჩქნებოდა. უსმენდა ფაქიზო და არჩილისადმი სიყვარულით უფრო იცებოდა. პირველად ხმა ვერ შეუწყო ფაქიზომ, მაგრამ როცა ერთმანეთს უფრო დაუახლოვდნენ, გულთან ერთად ხმებმაც იგრძნეს სითბო, ფაქიზოს წკრიალა ხმას არჩილის ბარიტონი აძლევდა საოცარ ძალას.

... მიდიოდნენ დღეები, ყოველ დღეს რაღაც ახალი, თვალთ უხილავი სითბო და ხალისი შემოჰქონდა მათ ცხოვრებაში. ბოლო ხანებში ფაქიზო ისე შეეჩვია არჩილს, რომ როცა მას დაავიანდებოდა, სწუხდა, ღელავდა, შფოთავდა, ოთახში ვერ ისვენებდა, დრო რომ მოეკლა, ერთსა და იმავე ნივთს ადგილს ხუთჯერ შეუნაცვლებდა. ზოგჯერ ტირილიც მოერეოდა, გული აუჩუყდებოდა, თვითონაც უკვირდა, თუ რა მოსდიოდა, ღრმა ფიქრებით დამძიმებულს, თვალეზზე ცრემლი მოადგებოდა, დერეფანში შემოსულის ფეხისხმას მიაყურადებდა, არჩილს ათასი კაცის ნაბიჯში გამოარჩევდა, ოთახში ნათელ მზერას მიმოავლებდა. თითქო უხილავი ძაფი ყოფილიყო გაბმული მის გულსა და არჩილის ფეხისხმას შორის, დერეფანში ჩიტივით გაფრინდებოდა, არჩილს საყვედური მაინც არ აცდებოდა, ფაქიზოს საყვედურს არჩილი ალერსით ანელებდა.

ფაქიზოს ქმრის შორს ყოფნა და თბილისში ხანგამომგებით გამოჩენა ერთგვარ შედღავათად მიაჩნდა. ბედით დაჩაგრულმა ქალმა ნელ-ნელა დაარწმუნა თავისი თავი, რომ უთუოდ სჯობდა დარჩენილიყო თავის ოჯახში, ბავშვებისათვის ზრუნვა არ მოეკლო და ოღონდ ქმრისაგან არ ყოფილიყო დამოკიდებული.

ასე დიდხანს იყო, მაგრამ ასე როდის დარჩა ბოლომდე.

უსიამოვნებამ თავი ახლა უფრო აშკარად იჩინა.

ერთხელ ანაპოდისტე შინ გაცეცხლებული მობრუნდა, შეშლილივით მოვარდა, რუსთაველზე დაინახა მან ფაქიზო ვიღაც უცნობ, ახოვან მამაკაცთან. ბალის კიდესთან დალანდა ისინი და ანაპოდისტეს სისხლი თავში აუვარდა. ერთიანად ცანცახმა აიტანა. არასოდეს დაენახა თავისი მეუღლე ასე შუბლგახსნილი და ახლა კი საკუთარი თვლით ხედავდა, თუ როგორ ნეტარებას განიცდიდა მისი ცოლი უცხო მამაკაცთან.



ანაპოდისტე ქუჩაში გამვლელთ თითქო არც კი ამჩნევდა. იქვე სასტუმროში „თბილისის“ კედელს მიყრდნობოდა, ბადის კედეს უნაზროდ მიშტერებოდა, სადაც ამ წუთას ფაქიზო იმ უცნობს შეჰყოლოდა.

„სად იყავ, ადამიანო, ამდენ ხანს? ვის, თუ არა შენ, უნდა გამოგეჩინა ადამიანობა და გულისხმიერება საკუთარი ცოლისადმი? რად იყავ მუდამ ასე გულცივი და უხეში, უხამსი და უსულგულო ანაგაზრდა ლამაზი ცოლისადმი?“ — თითქო ვილაცამ ჩასძახა კედელთან ატუხულ ანაპოდისტეს და სიმწრის ოფლმორეული, იქვე ადგილზე გაშეშდა. ფეხის გადადგმა ვერ მოახერხა.

შინ დაბრუნებული ანაპოდისტე მეუღლის წინ იდგა და ფაქიზო ქმრის გაცეცხლებულ თვალებში უზომო რისხვის ამოცნობას ცდილობდა.

ოჯახში დავა ხშირად ჰქონიათ, მაგრამ ფაქიზო ამ წუთას რალაც არაჩვეულებრივს ელოდა.

— სად იყავი, ქალო, დღეს! — უხეშად შეეკითხა ქმარი.

ქმრის მოულოდნელად თბილისში გამოჩენამ ფაქიზო დააბნია, სიმშვიდის შენარჩუნება სცადა, მაგრამ ვერ შესძლო, თავი ვერ შეიკავა, წლობით დაგუბებულმა ბოლმამ თავი ერთბაშად იჩინა და პასუხი მკვახე გამოუვიდა.

— აქამდე როდის გიკითხავს, სად და ვისთან დავდიოდი!

— ის კაცი ვინ იყო-მეთქი! — იღრიალა ანაპოდისტემ.

ფაქიზოც თითქო ამ წუთს ელოდა. უკან დახევა აწი არაფრით არ იქნებოდა. „როდემდის, როდემდის უნდა ვიტანჯო!“... გონებაში გაივლო და გული აუტოკდა ფაქიზოს, თვალებში კი სიცივე ჩაუდგა.

— ვისზე ამბობ, სახელი დაარქვი!

— მე იმისი არც სახელი მინდა და არც გვარი.

— ის კაცი ჩემი მეგობარია, — თითქოს განგებ გაუსვა ხაზი სიტყვა „მეგობარს“ ფაქიზომ.

— უკანასკნელი იყოს შენგან ასეთი თავხედობა უნამუსო, უსირცხვილო, შენი მეგობარი ამქვეყნად მხოლოდ ერთი კაცია!

— ვინ არის ის ერთი?

— ეს მე ვარ — შენი ქმარი! — შეშფოთებით წამოიძახა ანაპოდისტემ.

პასუხად ფაქიზოს მოკლე სიცილი უფრო მწარე ირონიამ შესცვალა.

— ჩემი ქმარი?! დღემდე სად იყავი ქმრის სახელი გედო, თორემ სინამდვილეში, განა არ ვიცი, გულს ვის უხარბდი! სხვებს მეგობრობდი, ხოლო დღეს, როცა ჩემი გული საბოლოოდ დაასამარე, სინდისი და ნამუსი ქურდულად გამომძალე, ახლა მეგობრობის ვაწევას მავალე?

— ფაქიზო, გონს მოდი, ქალო, ადამიანი ვარ, მტერი მყავს და მოყვარე! — ანაპოდისტეს ხმაში ახლა სინაწულიც გამოსჰვიოდა, ბრძანებაც და სითბოც.

— დიახ, აქამდე ბრიყვი და სულელი ვიყავი, მაგრამ შენმა საქციელმა ცოტა მოგვიანებით, მაგრამ მაინც მომიყვანა გონს და თვალები ამიხილა... ჩემი მეგობარი მხოლოდ ის შეიძლება იყოს, ვინც ნამდვილ მეგობრობასაა დანატრებული და სიყვარულსა და ადამიანობას მაგრძნობინებს! — გახევებულ ანაპოდისტეს პირდაპირ მიახალა სახელეწილმა ფაქიზომ.

— ფაქიზო, გონს მოდი-მეთქი, მე ჯერჯერობით ვცოცხლობ და... — ისევ გაიმეორა ანაპოდისტემ.

— მკვდრის გაცოცხლება რომ შეიძლებოდეს, მაშინ სასულაო საქირო არ იქნებოდა, ათი წლით დაიგვიანე, ვაჟბატონო! — მიუგო ფაქიზომ და ქმარს ზურგი შეაქცია.

— მაშ, ასე? — ღვარძლიანად ამოიკვნესა გაფითრებულმა ანაპოდისტემ, —



ხვალვე დასტოვე ჩემი ოჯახი, შე უნამუსოვ და ქმარ-შვილის უღირსო დედმამ-ცო, ხვალვე! — ისევე იღრიალა მან, კარები ბრაზით მიახეთქა და წავიდა.

ფაქიზოს მკერდში თითქოს რაღაც ჩაუწყდა.

გონება მოიკრიბა, მიხვდა, რომ ქმარს ასე არ უნდა დახვედროდა, რას იტყოდნენ ძმები, ნათესავები, შორეულები. ხომ ფეხქვეშ გაითვლებოდა ფაქიზოს პატიოსანი სახელი?

მაგრამ სხვა გზა არ ჰქონდა ფაქიზოს, სიყვარული უხმობდა, ეძახდა.

ანაპოდისტე კი ქუჩაში გიჟივით გარბოდა. პაერი არ ყოფნიდა. ქოშინებდა. ზოგჯერ კი შედგებოდა, დაფიქრდებოდა. რამდენადაც უფიქრდებოდა თავის თავს, იმდენად რწმუნდებოდა, რომ მან ოჯახურ ურთიერთობაში მიუტყვევებელი შეცდომა დაუშვა. ახალგაზრდა ლამაზ ქალს ალერსისა და სოთბოს მაგივრად გულში ნადველი და შხამი ჩააღესა, ცხოვრება მოუწამლა.

ფაქიზო არჩილს ყოველთვის როდი უმხელდა ქმართან ურთიერთობის წვრილმანს. ეს ფაქიზოს ერთგვარ დამცირებადაც მიიჩნდა, მაგრამ ანაპოდისტესთან მისი უკანასკნელი შეჯახება იმდენად მწვავე და აუტანელი იყო, რომ ბევრი ეცადა, მაგრამ მისი დამალვა მაინც ვერ მოახერხა.

იმულებული გახდა არჩილისათვის ყველაფერი ეამბნა. ეს არჩილის პატარა ოთახში მოხდა.

არჩილს როდი ეწყინა, პირიქით. გაუხარდა, თვალები აენტო, თითქოს ამ წუთს ელოდა. ფაქიზოს ხელი მოხვია, ხარბად ჩააცქერდა და მერე მკერდზე მიიკრა.

— ძლივს... ახლა მაინც გადაწყვიტე, ფაქიზო, მოშორდი ქმარს, ყველაფერი დასტოვე, ნურაფერი გინდა, წამოდი ჩემთან, სოფელში, ბავშვებიც წავიყვანოთ, მე იქ ვიმუშავებ, — აღტაცებით ჩასჩურჩულებდა არჩილი ათრთოლებულ ქალს და მკერდიდან არ იშორებდა.

— რას ამბობ, არჩილ! — წამოიძახა ფაქიზომ და გველნაკბენივით მოშორდა, მისი მკლავებისაგან თავი გაინთავისუფლა.

— რა მოგივიდა, ფაქიზო?

— არა, არა, ეს არ შემიძლია, არჩილ! — ხელები გაასავსავა ფაქიზომ.

— რატომ, ჩემო თვალის სინათლე? — ხმა დაიტკბილა არჩილმა.

— ნურაფერს მკითხავ, მეორედ არ მითხრა, ჩემი შვილები... ჩემი ოჯახი... რაც ჩემს ოჯახში საყუთარი თვალით გინახავს, ყველაფერი ჩემი ხელითაა შექმნილი, წვითა და დაგვით. ცრემლითა და სულიერ სიღატაკეში მოწყობილი სახლ-კარი ანაპოდისტეს დავეუტოვო? არა, არა, ეს არ მითხრა! — ხმა უკანაკლებდა ფაქიზოს.

— შენ თუ მარტოკა შესძელ ტანჯვაში შეგექმნა ამდენი, ორივენი ერთად უფრო უკეთ არ მოვაწყობთ ახალ ოჯახს სიყვარულში! დაფიქრდი, ფაქიზო!

— არა, ნუ მეტყვი ამას, ოჯახს ვერ დავანგრევე!

— ეს მაინც მითხარ, რომელი ოჯახის დანგრევაზე მეუბნები, იმ ოჯახზე, რომელიც თურმე შენ არ გეკუთვნის, რომელიც სიძულვილის ბუდედ ქცეულა და სადაც ტანჯვისა და გაუხარებელი დღეების მეტი არაფერი გინახავს?

— გემუდარები, ნუ, ნუ მეტყვი ამას! — ვედრებით მიმართა ფაქიზომ. ახლა არჩილმა მის ხმაში ქალური სისუსტე და უმწყობა იგრძნო.



— დაფიქრდი ფაქიზო, მეტს არაფერს გეტყვი, იცოდე, უკან უფსკრულში წინ კი წალკოტი, სიყვარული, ირჩიე რომელი გინდა!

— არა, არჩილ, არა... მე იმ უფსკრულში მიირჩევნია, ოხ, ღმერთო ჩემო... უკან უფსკრული, წინ სიყვარული... ერთი წუთით დამასვენე, დავილაღე, თავი მტკივა, მეტი არ შემიძლია! — საცოდავად აკვნესდა ფაქიზო და საწოლზე უღონოდ დაეშვა.

არჩილმა ფრთხილად წამოაყენა აცრემლებული ქალი.

— უკან უფსკრული, წინ კი სიყვარული და სიცოცხლეა, ჩემო ფაქიზო. დღეს, სწორედ დღეს უნდა გადავწყვიტოთ, ხვალ გვიან იქნება, ზეგ კიდევ უფრო გვიან; სანამ ქმარი გამოგადგებდეს, მანამ შენ დასტოვე ოჯახი, ეს უფრო კარგი იქნება, დამშვიდდები, შევებას იგრძნობ.

— არა, ვერ ვიზამ, ბავშვებს მამა უნდათ, მამა! — ამოიგმინა ფაქიზომ.

— მამა? — არჩილი არც კი დაფიქრებულა, მაშინვე უპასუხა: — მე მამაც ვიქნები და მზრუნველიც.

— არა, მათი მამა შენ ვერ იქნები, მათ თავიანთი მამა ჰყავთ, მართალია, უღირსი, მაგრამ მაინც საკუთარი. რა დავაშავე? როდემდის უნდა ვიტანჯო ასე?

— დიახ, როდემდის, ფაქიზო, გადასწყვიტე! — მიეძალა არჩილი.

ქმართან გატარებული ტანჯვისა და სულიერი მარტოობის დღეების მოგონებამ ფაქიზოს გული დაუსერა, ბოღმა და ნადველი ერთად აერია, მერე ყელში მოებჯინა, კინაღამ გაიგუღა, ზეზე წამოვარდა, ოთახში გაიარ-გამოიარა, თმები გაისწორა, ფანჯრები ფართოდ დააღო: გარეთაც სიხარული და სიცოცხლე ებრძოდა სიძულვილს. ფაქიზომ იგრძნო, რომ მართლაც უფსკრულის პირას იდგა, ერთხელ კიდევ ამოიოხრა და არჩილის წინ ქანდაკებასავით გაქვავდა. მერე ამ ქანდაკებას სიცოცხლე დაეტყო, ფერი მოუვიდა, სული მოითქვა, საავდროდ მოქუფრული ცა გაუბრწყინდა, ღრუბლები შორს გადაარეკა, გამოიღარა და სულ სხვა თვალებით შეანათა არჩილს, ჯერ უხმოდ მიეყრდნო მის მკერდს, მერე კი თანდათან შევებით ალაპარაკდა:

— უფსკრული არ მინდა, არჩილ... სიყვარული... შენი სიყვარულის იმედი მაქვს, გათავდა, გადავწყვიტე, აწი შენ იცი, სამუდამოდ შენი ვარ, სადაც გინდა წავიდეთ, შენს სოფელში წავიდეთ!

და ისევ ჩაეკრა მკერდში არჩილს.

არჩილის გული უჩვეულოდ ღელავდა, ფაქიზოს ორივე ხელი მძლავრად მოხვია და ქალის ტუჩებს მხურვალედ დაეკონა.

ფიქრებში გართული ფაქიზო კარების უხეშმა კაკუნმა გამოაფხიზლა. გაუკვირდა, თუ ვინ უნდა ყოფილიყო, მაგრამ როცა კარებში შემოსული გაფითრებული არჩილი დანახა, შეკრთა. გული შეუქანდა. თითქოს მოსალოდნელი უბედურება წინასწარ იგრძნო. ერთ ღამეში გამოცვლილიყო არჩილი, განიერ მხრებშიაც მოხრილიყო.

უხალისოდ მიესალმნენ ერთმანეთს.

ღუმილი არჩილმა დაარღვია.

— ნახვამდის ჩემო ფაქიზო, — და თავი მორჩილად დახარა არჩილმა.

— რას ამბობ, არჩილ, ნუთუ ასე მალე შეგეცვალა გული, აზრი, წუხელ ხომ...

— წუხელ ბედნიერების მწვერვალებზე ვიყავით, მაგრამ დღეს ხომ ხედავ,—



დამნაშავესავით წაიდუღუნა არჩილმა, ისე რომ ქალისათვის ერთხელაც არ შეუხედავს.

— ღმერთო ჩემო, ეს რა მესმის, ნუთუ მამაკაცები ყველანი ასეთები ხართ, კი მაგრამ, რისთვის დაგჭირდა ეგ თამაში. მე ხომ დედა ვარ, რად ამიბნეი ისე-დაც აბნეულს თავგზა, უფსკრულის პირად მარტოდმარტო დამტოვე და სიკვდილამდე ეს ძუნწი „ნახვამდის“ უნდა მაკმარო?

არჩილი შეცბა. მერე ისევ ფაქიზოს საყვედურმა გამოაფხიზლა.

— რას ამბობ, ფაქიზო?

— დამცინი კიდევ?! — სინანულით წარმოსთქვა ქალმა.

— არა, ფაქიზო, მე მგონი შენ ყველაფერი იცოდი, ომი დაიწყო, ომი?

— ომი? — უეცრად შემობრუნდა ფაქიზო.

— ჰო, ომი დაიწყო გერმანიასთან! — ჩასაკეცად გამზადებული ფაქიზო არჩილმა მძლავრ მკლავებში მოიმწყვდია.

— მე კი... მერე და შენ? — ამოილულულა მან.

— მე მეთაური ვარ. მივდივარ.

ფაქიზოს ტირილი წასკდა.

ამჯერად სიყვარული ატირებდა ფაქიზოს, ის სიყვარული და ბედნიერება, რომელიც გუშინ ეღირსა და ახლა ასე მოულოდნელად ემუხთლა.

— ქვეყანა დიდია და ვრცელი, ფაქიზო! — რაღაც უაზროდ წარმოსთქვა არჩილმა და ეს თვითონაც იგრძნო.

— მერე რა, რომ ვრცელია?

— დაცვა უნდა, მოვლა უნდა, ისე, როგორც ჩვენს სიყვარულსა და სიცოცხლეს! — თითქო თავი მოაბა სათქმელს არჩილმა. წელში ოდნავ გაიმართა. ქალს თვალები გაუსწორა.

— სიყვარულს... რა იყო წუხელ და რა არის დღეს, ღმერთო ჩემო, რა უბედური ვყოფილვარ...

— მეც... — რატომღაც ისევ გაიმეორა არჩილმა უცნაურად აკვიატებული სიტყვები.

მეორე დღეს არჩილი ფრონტისაკენ გაეშურა...

სიკვდილი ინატრა ფაქიზომ, მაგრამ, როცა მეორე ოთახში თავისი ქალ-ვაჟის ტიტინს მოკრა ყური, რომლებსაც წიგნები გაეშალათ, ენაზე მწარედ იკბინა და მძიმედ ამოიოხრა, თითქოს გული თან ამოატანათ.

მეთაურმა ის იყო ძლივს მიაგდო სული ზღვასავით ატორტმანებულ პურის ყანამდი, რომ ირგვლივ რაღაც საშინელი გრუხუნის გაისმა, ფეხქვეშ მიწაც შეირყა. სულ მალე უშველებელი შავი ბელტები ავარდნენ და ცა ჩამოაბნელეს.

რამდენიმე წუთის შემდეგ ისევ დედამიწას დაასკდნენ, დაიმსხვრნენ და იმ ადგილას ვეებერთელა გორაკი წამოიმართა.

დღილით ჯარისკაცი ბროვკო მახლობელ ტყიდან ფრთხილად გამოძვრა და იქითკენ გაეშურა, სადაც რამდენიმე ხნის წინათ მტრის უშველებელი ყუმბარები ეცემოდნენ. მოულოდნელად ბროვკო მიწაში ჩამარხულ მეთაურს — არჩილ ღვინფაძეს წაადგა.

— ამხანაგო მეთაურო! — შესფოთებით წამოიძახა გახევებულმა ბროვკომ.

მეთაურს მზრუნველი ხელის შეხება ეამა. თვალები ოდნავ გაახილა. ყველაფერი შეცვლილი ეჩვენა: ფირუზისფერი ცაც, შეფოთილი ტყეც. მხოლოდ ერთადერთი, რაც უცვლელი ეჩვენა, ეს იყო ბროვკოს ნაღვლიანი ხმა. ახლა ეს



ხმა განსაკუთრებულის მიმზიდველობით ჟღერდა და სასიამოვნოდ წვედებოდა დასისხლიანებულ და გაბრუებულ ყურებს.

როცა ბროვკოს მეთაურის გამოცოცხლების იმედი მიეცა, სანგრის გათხრაში გაწაფული ხელები საოცარის სისწრაფით ამოქმედა. მხრებამდე ჩაფლულს მიწა შემოაცალა. არჩილმა შეება იგრძნო და ღრმად ამოისუნთქა. ორმოდან ამოსვლა თვითონ მაინც ვერ შესძლო და ბროვკომ გაშეშებული მეთაური ფრთხილად ამოიყვანა. მოღუწებული მკლავი და მუხლი თანდათან აუმოძრავეს. დასისხლიანებული ყურები მოუწმინდა.

მეთაურმა მეორედ გაახილა თვალები. ბროვკო კარგად იცნო. გაუღიმა, გამხნევდა. უცებ რაღაც მოაგონდა, სახეზე ხელი მოისვა. უგუნებელი იყო... ფაქიზო მოაგონდა, გარშემო მიმოიხედა „თავს ისე გაუფრთხილდი, როგორც ჩვენს სიყვარულს!“ ჩაესმა ქალის ჩურჩული.

— ცოცხალი ვართ, ამხანაგო ბროვკო, არა?

— ამხანაგო მეთაურო, ჩვენ უკრაინის მიწაზე გვიდგას ფეხი, ეს კი მშობლიური მიწაა, ორივეს შეგვიინახავს, გვიპატრონებს, როგორც უკრაინელს, ასევე რუსსაც და ქართველსაც.

— მართალია, მაგრამ ამჟამად ხომ მტრის ზურგში ვართ...

ბროვკო ძალაგამოლეულ მეთაურს მხარში შეუდგა და ნელინელ იქით გაემართა, სადაც სახურავდამწვარი უპატრონო ქოხი ეგულებოდა.

— ბროვკო!

— შესმის, ამხანაგო მეთაურო!

— ხვალ ნაწილში უნდა ვიყოთ!

— არის, ხვალ ნაწილში ვიყოთ! — მხედრულად გაუმეორა რიგითმა ჯარისკაცმაც.

გზადაგზა არჩილს ყველაფერი მოაგონდა. თვალწინ წარმოუდგა, თუ როგორ მოედო ცეცხლი მტრის შტაბს. დარწმუნებული იყო, რომ შტაბიდან ამბის წამლებიც ვერ გადაარჩებოდა ცოცხალი, რადგან იქვე არჩილის დარჩეული ბიჭები იყვნენ ჩასაფრებულები.

ბროვკომ უსიტყვოდაც ამოიკითხა მეთაურის გულისნადები და თვითონაც ალაპარაკდა. უხაროდა მეთაურს, რომ ოფიცრებთან ერთად მტრის გენერალიც გამოესალმებინათ წუთისოფლისათვის. ეს თვითონაც იცოდა, მაგრამ ბროვკოს მონაცოლი ორმაგი სინარულით ავსებდა.

— ხუთმა ყუმბარამ ბოლო მოუღო არამზადებს, — ქაქანებდა თვალებანთებული ბროვკო და არჩილიც კვლავ ისე უსმენდა, თითქო სხვის, ნამოქმედარს უამბობდა თავისივე ჯარისკაცი. არ იმჩნევდა, რომ ყველაფრის სულის ჩამდგმელი თვითონ იყო.

— ის წყეული ჩვენი ბიჭები მაინც სად გაქრნენ, ვერც ერთს ვერ შევასწარ თვალს! — გულისტკივილით იკითხა არჩილმა.

— იმათზე ნუ იდარდებთ, ამხანაგო მეთაურო, მოუსვენარი „ჭინკები“ ალბათ სადმე მიმოიფანტნენ, ამ კუთხისანი არიან და მავათვის ყოველი ბილიკი ისევე ნაცნობია, როგორც თქვენთვის საქართველო.

— ბროვკო, შენ რა იცი, რომ ქართველი ვარ? — გაუღიმა თანამებრძოლს არჩილმა.

— ვიცი, ამხანაგო მეთაურო, ვიცი, მე მაშინ პოლკის ბლინდაუს ვიცავდი, პოლკოვნიკმა რომ მოგვაპტიყათ. მაშინ გავიგონე თქვენი სიმღერაც, დაბალ ხმაზე მღეროდით, მაგრამ საოცრად ტკბილი ხმა გქონიათ თურმე, ასეთი სიმღერა პირველად მე გურიასში გავიგონე.

— გურიაში როდის ყოფილხარ? — შეჩერდა მეთაური და გული სიამით ავე-
სო, გვერდში თითქოს ამ წუთას თანამემამულე მოყვებოდა და არა სამხედრო
ოპერაციის მონაწილე ჯარისკაცი, რომელიც არჩილს შორეულ და სათაყვანო
სამშობლოზე ესაუბრებოდა.

— მბაბტიეთ, ჯერ ეს დავამთავრო, — მოიბოდიშა ბროვკო.

— კარგი, როგორც გინდოდეს, — ჯარისკაცის ნებას დაჰყვა არჩილი.

— ჰო, იმას ვამბობდი, გურიაში გავიგონე-მეთქი, უკრაინული სიმღერაც
ხომ თავისებურია და ტკბილი? ვიმღერებდი, მაგრამ ხმა არ მწყალობს, მაძაჩემი
კი დნებრისპირად რომ სიმღერას წამოიწყებდა, მეთევზეები თავიანთ საქმეს
თავს მიანებებდნენ და ირგვლივ შემოუსხდებოდნენ.

— ერთი ხიდან ბარიც გამოვა და ნიჩაბიცო, ნათქვამია, ბროვკო, — გაუცინა
არჩილმა თანამებრძოლს.

— თქვენ კარგად მღერით, ამხანაგო მეთაურო...

არჩილს გული გაუთბა, გახალისდა.

— შენ ეს მითხარი, ბროვკო, გურიას საიდან იცნობ! — შეახსენა მეთაურმა
და ბროვკომაც დაწვრილებით უამბო. ბროვკოს რაიონს სოციალისტურ შეჯიბ-
რებაში გამოეწვიათ ნატანებლები. ბროვკო დელეგაციის წევრი ყოფილა, იქ მო-
ესმინა მას ქართული სიმღერები. ის იყო, მეორედ უნდა წასულიყვნენ გურიაში,
მაგრამ ვერ მოესწრო, ომმა ყველაფერი ჩაფუშა და უკულმა შეატრიალა.

— ნუ დარდობ, ბროვკო, კვლავ გაგრძელდება სოციალისტური შეჯიბრება,
ჩემი სიტყვა გახსოვდეს! — გაამხნევა ჯარისკაცი არჩილმა.

მეთაურის ხმაში ფოლადის სიმტკიცე ეღერდა.

ჯერ კიდევ შორს იყო განთიადი, როცა უპატრონო ქოხი დასტოვეს და მრუ-
ბე ტყეს მისცეს თავი.

მიდიოდნენ, ვზას მიიკვლევდნენ ხშირ, გაუვალ ტყეში.

განთიადისას ზურგს უკან დარჩათ ფრონტის ხაზი და ზარბაზნების ყრუ
გრუხუნნი.

მეთაური არჩილ ღვინეფაძე და ჯარისკაცი ბროვკო დივიზიის მეთაურის წი-
ნაზე წარსდგნენ.

*

არჩილის ფრონტზე წასვლის მეორე დღეს ფაქიზო გვიან წამოდგა. განა ეძი-
ნა, მთელი ღამე თეთრად გაათენა, დილით ბავშვები თავთან ჩამოჯდომოდნენ.
საწოლზე თვალმოიღუღლესა და აცრემლებულ დედას რომ შეჰყურებდნენ, მუ-
დამ მტრედებივით მოღუღუნე გოგო-ბიჭს, ხმა ვერ გაეღო. ფუნთუშა ლოყებ-
ზე ცრემლები დაჰადლებით ჩამოსდიოდათ.

რა იციოდნენ პატარებმა, თუ რა ცეცხლი უთუთქაევდა გულს მათ საყვარელ
დედიკოს! რა ჩაუქრობელი ხანძარი მძვინვარებდა მის გულში?!

ყუაყუოსფრად ლოყებდაყუაყებულმა გოგონამ, რომელიც სულ დედის გან-
სახიერება იყო, თავისი სათუთი თითები დედას თვალელებში ფრთხილად ამოუსვა.
ფაქიზო შეკრთა, თვალეები გაახილა, რაკი თავისი გოგონა შეიცნო, თავი ისევ
მძიმე ფიქრებს მიანდო. პატარა ბიჭმა დედის უხმო წუხილი ვერ აიტანა და
ალერსით თავზე ხელი შეავლო, მაგრამ ფაქიზომ არც ამჯერად აგრძნო-
ბინა მშობლიური სითბო, თითქოს ყოველ ამოხვერისას გული ამოჰქონდა. სანამ
უნდა ყოფილიყო ასე მიგდებული და უმოქმედო? ოჯახს, ბავშვებს ხომ მოვლა
და პატრონობა უნდოდა?

ერთი რამ წყუროდა ფაქიზოს, ოღონდ ამ წუთას შეილებს, მტერს და მოყ-



ვარესაც ედროვებინა მისთვის, ხმა არ გაეცათ და არაფერი ეკითხათ — უნდოდა, რომ ასე მკვდარ-ცოცხალივით მარტოდმარტო გდებუდიყო ლოგინში, მხოლოდ თავის თავთან ესაუბრა, გული ცრემლებით მოეჯერებინა.

მაგრამ, ო, არა, ამას რას ფიქრობს ფაქიზო? ეს რა საშინელი რამ გაივლო გულში? ვინ გაიგონა ასეთი რამ, ვის შეუძლია ასეთი ცილი დასწამოს ფაქიზოს? „არამც და არამც, ღმერთო, შენ დამიფარე უმსგავსებებისაგან!“..

ტანში გააქრქოლა ქალს და წამოდგომა სცადა, მაგრამ მთელი სხეული ტეხავდა და ტკიოდა, ხოლო თვალები, ის ლამაზი ცისფერი და მომხიბვლელი თვალები, რომლებშიაც არჩილს ასე დაეინებოდა უყვარდა ჩახედვა, ახლა ისე დასიებოდა, თითქოს ფუტკრებს დაეკბინათ. ხვეწროვანი რბილი პირის კანი ცრემლებს გაეხმო, გიშრისფერ თმებსაც თითქო ფერი შეეცვლოდა, გული კი ისე დამძიმებოდა, თითქო ზედ ვეებერთელა ლოდი დაედოთ, ტანი ძლივს აითრია, უცებ თავბრუ დაეხვა, დაბარბაცდა და კედელს აეკრა. კედელს რომ არ შეეკავებინა, იტაკზე გაიშხლართებოდა. დიდხანს იყო ასე კედელზე გაკრული, გაქვავებული. მოულოდნელად თავი გამოსწია და კედელს ორჯერ მიახალა. ამის შემყურე ბავშვებმა მეტის მოთმენა ვერ შესძლეს, საწოლებიდან ძირს გადმოეშვენენ, დედას ხელები კალთაში ჩაავლეს და ერთხმად ალულლულდნენ. მხოლოდ მაშინ მოვიდა გონს ფაქიზო. კედელს მოშორდა, ნორჩებს ხელი ჩაავლო, საწოლზე უღონოდ დაეშვა და ორივე ბავშვი მკერდში ჩაიკრა. კიდევ დიდხანს ღვარა ცრემლები. როცა გული იჯგრა და ცრემლებიც გაუშრა, თითქოს გამხნევდა, საკუთარ თავს შემოუტია, წამოდგა, ტანთ ჩაიცვა, მერე სამივე ოთახის კარები ფართოდ გააღო, თითქოს ვინმეს დაეძებო, ყოველი კუნჭული დაათვალიერა. კიდევ კარგი, რომ ქმარს ჩამოსვლა დაგვიანებოდა და სახლში არ იყო, თორემ რა გული გაუძლებდა მას. ისევ საწოლ ოთახში შემობრუნდა, ორივე ბავშვი ერთმანეთს უსიტყვოდ მიშტერებოდა. ცრემლებს ვერ იკავებდნენ.

ფაქიზო დატრიალდა. ბავშვებს ტანთ ჩააცვა, ხელ-პირი დაჰბანა, ასაუზმა, სახლკარის დალაგებას უსულგულოდ შეუდგა.

იმ დღეს სახლიდან ფეხი არ გამოუდგამს. არა თუ იმ დღეს, მთელი კვირა მგლოვიარესავით სახლში ჩაიკეტა. დარდი და ბოღმა თავის ღრმა და უძირო ბნელ მორევში ითრევდა.

გარეთ ქალაქი აფორიაქებული იყო და ადამიანს ვინ მოასვენებდა, სიმშვიდეს ასე მალე ვინ დაუბრუნებდა, რომ განმარტოვებულს მხოლოდ ზავისი ნაღველი ელესა?

ირგვლივ ყველაფერი ხმაურობდა, ადამიანიც, ცაც და მიწაც.

ამ საერთო მოძრაობამ, არაჩვეულებრივმა გამოცოცხლებამ და წუხილმა ფაქიზოც საკუთარ დარდსა და ვარამს გამოთიშა, გარეთ გამოიტყუა, ხალხში გარია, საერთო სიხარულსა თუ წუხილში ჩააბა. ქვეყნის საერთო ტვირთმა და სიმძიმემ თითქო საკუთარი დარდი შეუშლუბუქა. განა სულ მთლად გაუქრო, განა მთლად გაუნლა, მაგრამ გამხნევა, გულში იმედი ჩაუსახა. ცხოვრება და სიყვარული გადაწურული რომ ეგონა, მოყვარეს ვახედა, არც მტერი დავიწყა და როცა ყველას გულში იმედისა და სიცოცხლისაკენ სწრაფვა ამოიკითხა, ჩაკეტულ გულს გასაღები თვითონაც მოუნახა.

ფაქიზო საკუთარი თვალით ხედავდა, თუ როგორ მიდიოდნენ მამაკაცები სამხედრო კომისარიატებსა და სამობილიზაციო პუნქტებში, ხოლო იქიდან კი ფრონტებზე, მასშიაც რაღაც საოცარი სურვილი და ნდობა იკიდებდა ფეხს, ქალური ფანტაზია ისხამდა ფრთებს, მასაც უნდოდა მამაკაცივით ჩაეცვა მახარა.



ხელში შაშხანა აედო და ფრონტზე წასულიყო, შეიძლება... არჩილიც ენახა იქ. მაგრამ შეილება? რა ეყო მათთვის? ვისთვის დაეტოვებინა ისინი, თორემ ფაქიზო მართლა წავიდოდა, წავიდოდა და ივლიდა, სადმე არჩილს მიაკვლევდა, მხარში ამოუდგებოდა და მტერს, რომელმაც მათი სიყვარული აზღვავებისას გაწყვიტა, მზეს დაუბნელებდა, მოსპობდა, დაასამარებდა და არჩილთან ერთად სიძულვილზე სიყვარულის გამარჯვებას იზეიმებდა, მაგრამ ბავშვები, ბავშვები...

აგერ რამდენიმე თვეა ომი მძვინვარებს. ყველას ყურადღება ფრონტისაკენ არის მიპყრობილი. ყველა ზურგში მყოფი ფრონტისათვის იღწვის და რალაცას აკეთებს. ფაქიზომ რა ქნას, რა სახით შეიტანოს მტერზე გამარჯვების საქმეში თავისი წვლილი? რაში გამოადგეს ქვეყანას, საკუთარ თავს? როგორ დაიბრუნოს არჩილთან გატარებული ბედნიერი წუთები. მარტო ბავშვების მოვლა და ოჯახის პატრონობა? განა ეს დააკმაყოფილებდა ფაქიზოს აზღვავებულ გულს?

სწორედ ეს ფიქრები აწვალებდა ფაქიზოს, რომ მის უბანში ხმა დაირხა, მახლობელი საავადმყოფო ჰოსპიტლად გადაკეთდა და კავკასიის ფრონტიდან პირველი დაქრისებიც მოიყვანესო.

ერთი მხრივ უსიამო განცდა დაეუფლა ფაქიზოს. წარმოიდგინა არჩილი. ეგებ, ისიც ფრონტზე გასვლის პირველ დღესვე დაიჭრა და სულთმობრძავე რომელიღაც შორეულ ჰოსპიტალში სიკვდილს ებრძვის: აი, ვიღაც მოწყალეების დამ ხელი სათუთად შეახო, დაქრისს ჩუმად ჩასჩურჩულებს, ანუგეშებს, რომელიც ნატყვიარ ვაჟკაცს გულზე მალამოსავით ედება, ნეტავ ვინ არის ის ქალი!.. ამ ამაზრუნენ განცდასთან ერთად ფაქიზომ საოცარი შვევა იგრძნო, თვალეში შუქი ჩაუდგა, შინაგანმა ძალამ და აღმაფრენამ შეიპყრო.

გამოსავალიც იპოვა. ჩიტივით ამჩატდა. როცა ბავშვებმა გახარებული დედა დანახეს, ისე გაუყვირდათ, როგორც მამინ, როცა ტირილით თვალედასიებული იდგა.

რაკი გულმა ადგილი იპოვა, ფაქიზოსაც ბევრი არ დაუყოვნებია. საგარეო თხელი კაბა გადაიცვა და ჰოსპიტლის კარებთან გაჩნდა.

დახურულ მანქანებიდან სანიტრებს საკაცეებით დაქრისი ჯარისკაცები გადმოჰყავდათ.

ფაქიზოს გულს ბაგაბუგი გაჰქონდა. ერთხანს მოშორებით იდგა და ვერაფერი გადაეწყვიტა. ბოლოს თითქო რალაც უჩინარმა ძალამ უბიძგა, მეტი ვერ მოითმინა და პირველი ჯარისკაცის დანახისთანავე ხმამაღლა ატირდა. ჰალარამოსილმა სამხედრო ექიმმა განზე მდგარ აცრემლებულ ქალს თვალე მოჰკრა, ახლო მოიხმო, და მზრუნველად ჩაეკითხა:

— რა გატირებს ქალო, შენი ქმარია ეს დაქრისი ჯარისკაცი?

ფაქიზო შეკრთა. პასუხისათვის შესაფერისი სიტყვა ვერ ეპოვნა. თვალეები ამოიწმინდა, თავაულებლივ თითქო თავისთვის წაილაპარაკა:

— არა, ბატონო, ისე რალაც...

— ჰო, რალაც რა?

— არჩილი წარმოვიდგინე! — ისე წარმოსთქვა, თითქოს არჩილის ძველი ნაცნობი ყოფილიყო ის სამხედრო ექიმი.

— არჩილი ვინ არის?

— არჩილი? — უაზროდ გაიმეორა ფაქიზომ და კვლავ ჰალარა ექიმს შეაჩერდა.

— ჰო, არჩილი, ძმაა, მეზობელი თუ...

ახლა ფაქიზომ ენაზე იკბინა, რა უნდა უთხრას? რა უბასუხოს? უთხრას რომ სიყვარულში უბედური ქალი აღმოჩნდა? არა, ვერც ამას ეტყვის, შეიძლე-



ბა დასცინოს კიდევ, ამიტომ თავი ოდნავ მაღლა ასწია ნამტირალევა ფაქიზო და თამამად წარმოთქვა:

— დიახ ქმარია, ბატონო, ნამდვილი ქმარი!

და რაჯი ამ შესიტყვებამ საბაბი მისცა თავის გულისნადების გასამხელად. იმ სამხედრო ექიმს თავისი სურვილი გაუმჟღავნა.

— ბარაქალა შენს ქალობას, მობრძანდი, დავგზავნებ, იქნებ შენი დარდიც გაიწიოს! — თვალეში ღიმილით ჩახედა ჰოსპიტლის უფროსმა.

თითქოს ფაქიზოს გულში იჯდა ეს დარბაისელი, ხანში შესული სამხედრო ექიმი, რა იცოდა ამ კეთილშობილმა ადამიანმა, რომ ფაქიზოს სწორედ ქვეყნის დარდსა და ტვირთთან ერთად საკუთარი დარდის განელება და მისი დათრგუნვა უნდოდა.

ფაქიზოს არასოდეს ემუშავნა დაწესებულებაში, იგი ყოველთვის სახლში იყო და ოჯახს თავს დასტრიალებდა. მართალია, ადრე გაათხოვეს, მაგრამ საშუალო განათლების მიღება მაინც მოესწრო. რასაც ხელს მოჰკიდებდა მის ნახელავს აუცილებელი არ ეთქმოდა, საუცხოოდ ქარგავდა. ფაქიზოს შეეკრიბა კაბას ან კოსტუმს ვინც კი ერთხელ ნახავდა, მერე სხვასთან შესაკერად როგორ წავიდოდა. რომ იტყვიან, ნამდვილად ოქროს ხელი ჰქონდა. შეიძლება ასე მონდომებით ამ პროფესიას არც დაუფლებოდა, ქმრის იმედი და სიყვარული რომ ჰქონოდა. ფაქიზო მატერიალურ სიფიწროვეს არასოდეს არ განიცდიდა, გარდა იმისა, რომ ქმარს ორიოდე გროში სახლში მაინც მოჰქონდა, ფაქიზოს მართო თავისი გარჯით შეეძლო ეცხოვრა. ძმები ქარგვასა და კერვას თავიდანვე უშლიდნენ „ეგ რა შენი საქმეა“, მაგრამ ოჯახს ბევრი რამ სჭირდებოდა და ფაქიზოც ძმებს ყურადღებას არ აქცევდა.

ფაქიზოს, როგორც მოწყალების დას, ერთი პალატა მიუჩინეს და ავადმყოფებისადმი თვალყურის დევნება დაავალეს. ფაქიზოც გათენდებოდა თუ არა, ოჯახს მიხედავდა, ბავშვებს სკოლაში გაისტუმრებდა და მერე ჰოსპიტალში გაიქცეოდა. რას არ აკეთებდა ფაქიზო ჰოსპიტალში. სანატრებს დაჭრილების მიღებაში შევლოდა, ექთანებს ავადმყოფების საოპერაციოდ მომზადებაში ეხმარებოდა. უფრო დაჭრილების კულტურულ მომსახურებაში გამოეჩინა თავი. ხშირად აწყობდა მწერლების და მსახიობთა შეხვედრას დაჭრილებთან. მძიმე დაჭრილები, რომელთაც სიარული არ შეეძლოთ, საკაცეთი შემოპყავდათ კლუბში, თვითონაც მათ შორის ჩადგებოდა, და ცალი ყური თუ სცენისკენ ჰქონდა მიპყრობილი, მეორე დაჭრილებისაკენ ეჭირა. ერთხელ ასეთი შეხვედრისას, მოხუცი რუსი მწერალი გამოვიდა და მოთხრობა წაიკითხა. მოთხრობა რუსეთ-იაპონიის ომს ეხებოდა, რომლის მონაწილაც თვითონ მწერალი ყოფილიყო. დაჭრილები სულგანაბული უსმენდნენ მოხუცს. ერთი მძიმე დაჭრილთაგანი, რომელსაც თავისით გადაბრუნებაც არ შეეძლო, ფაქიზოს შეუმჩნევლად საკაცეზე წამომჯდარიყო და მწერალს თვალს ვერ აშორებდა. ფაქიზო შეკრთა, დაჭრილს არაფერი მოუვიდესო, ორივე ხელი ფრთხილად მოჰხვია და ისევ საკაცეზე დააწვინა. ფაქიზო მაშინ მტკიცედ დარწმუნდა, რომ მწერალი დოსტაქარზე ნაკლებ როდი ჰკურნავდა ავადმყოფს. ბოლოს სცენაზე ყავარჯენებიანი ჯარისკაცი გამოჩნდა, რომელმაც მწერლებს დაჭრილთა სახელით გულთბილი მადლობა გადაუხადა.

ფაქიზო ფოსტაში ყოველდღე შედიოდა და იმ საღამოსაც შეიარა. რარიც გაიხარა, როცა კონვერტზე არჩილის ხელი შეიცნო. იქვე ფოსტის კუთხეში მიღვა და წერილი საჩქაროდ გადაიკითხა, მაგრამ აღლევებულმა და გახარებულმა წერილს ვერაფერი გაუგო. პირდაპირ სახლისაკენ გაეშურა. ბავშვების შიში უკვე



არ ჰქონდა, რადგან რაც პოსპიტალოში დაეწყო მუშაობა, სოფლიდან ძმისშვილებს ჩამოეყვანა და იგი ყველაფერში შევლოდა.

სახლში ბავშვები სიხარულით შემოეხვივნენ დედას, მაგრამ აფორიქებულმა დედამ შვილებს თითო კოცნა აკმარა.

ფაქიზომ დრო ისევ იხელთა და წერილი ახლა უფრო დამშვიდებით ჩაიკითხა.

არჩილი იწერებოდა:

„ძვირფასო ფაქიზო! მაპატიე, წერილის გამოგზავნა დამიგვიანდა. გასაკვირიც არ არის. წამოველ თუ არა, ხანმოკლე სამხედრო ვარჯიშების შემდეგ პირდაპირ ცეცხლის ხაზზე გამიყვანეს. გაათვრებული ბრძოლებია. სად არის დრო, რომ თუნდ ერთი წამი ვიხელთო და ორიოდ სტრიქონით ფრონტული დღეები დაგისურათო.“

ომის კანონი სასტიკი, დაუნდობელი და საშინელი ყოფილა. იგი არაფერს არ ემორჩილება, პირიქით, თვითონ მას ემორჩილება ყოველივე და მათ შორის... ჩვენი სიყვარულიც.

როგორ შეიძლება სიკვდილისაკენ ხელყუმბარით მივბოძო და პირად საქმეზე ფიქრობდე? ვინ ირწმუნებს, რომ მტრის ტანკი შენს გასასრესად მოგრიგებდეს და შენ კი ამ დროს ცოლზე ან შვილებზე ოცნებობდე?

ადამიანის აზრი, გონება და გულის ყური მაშინ მხოლოდ ერთისკენა მიპყრობილი: რაც შეიძლება ჩქარა მოსპოს მტერი, ურჩხულს თავი გაუსრისოს და დაამიწოს. მაგრამ, ვიმეორებ... ადამიანის გული მიანიც სხვა ყოფილა. ეტყობა მისთვის კანონი არასოდეს და არავის დაუწერია. გული თავიდანვე კანონს-გარეშე ყოფილა გამოცხადებული და ალბათ ამიტომ არის, რომ ჩემი გული, მაშინაც კი, როცა მას ამისი უფლება არა აქვს, სხვა რამეზე ფიქრობს, გარდა მტრის მოსპობისა, წამით დასტოვებს, გამოეთიშება ომის ორომტრიალს და შენზე, ჩვენს ტბილ სიყვარულზე ოცნებობს, ფრონტელ მეგობრისთვისაც ვერ გაშინდვია ეს. გული შეტევის წინ, ჯერ შენზე ფიქრით იწყებს ძვრას, ძალას იკრებს და მერე მტრისკენ მიიწევს საბრძოლველად. როცა ასე ავინთები, მაშინ ჩემთვის არც შიში არსებობს და არც სიკვდილი.

მხოლოდ სიცოცხლე, სიცოცხლე და სიყვარული!

ეს შენა ხარ და შენი მოსიყვარულე თვალებია, გზას რომ მიუშუქებენ! ეს შენა ხარ, ყურში რომ თრთოლვით სიყვარულზე ჩამჩურჩულებ და ფრთებს მასხამ. მტერს ფეხდაფეხ მივსდევ და სამარეს ვუთხარი.

ამიტომაც ნუ გაიოცებ, ძვირფასო, თუ გეტყვი, ყველა იარაღს, რაც გამაჩნია, თუ რატომ დავარქვე შენი სახელი. განსაკუთრებით ის შემთხვევა არ დამავიწყდება, როცა ყელამდე ჭაობში ვიყავ ჩაფლული... მე მაშინ უკანასკნელ ხერხს მივმართე. ხელყუმბარა ვიშვივლე და მას შენი სახელი ვუწოდე, პირდაპირ მტრის სანგარში გადავისროლე, ყუმბარამ სულ ამობუფა იქაურობა.

ამ გულს რა განსაცდელი არ გამოუვლია, მაგრამ ჯერჯერობით უენებლადაა.

გახსოვს, ჩვენ ერთი სიმღერა გვიყვარდა და მას ხშირად ვმღეროდით? შეიძლება არავინ დამიჯეროს, მაგრამ შენ უსათუოდ მიმიხვდები და გამახსოვრება. მე იმ სიმღერას გულში ახლაც ვმღერი. არავინ გამოიგონოს-მეთქი და მალულად გარშემო ვიმზირები. რამდენჯერ ყოფილა, იმ სიმღერით შეტევაზე გადავსულვარ. გუშინ მეთაურმა ათასეული შეტევაზე გადაიყვანა. „სამშობლოსათვის!“ ასე დასკვეტა მან და მე მას ჩვენი სიმღერებით მივყევი.

მხოლოდ ახლა მივხვდი, თუ რად აგუგუნებდნენ ომახიან ლაშქრულს ძველად ქართულები, სანამ მტრის წინააღმდეგ გადაეშვებოდნენ და ხმაღს იშიშვლებდ-



ნენ. მათ გუგუნზე თითქოს სამშობლოს მთებიც იღვიძებდნენ და მტრისაგან დარულ ჯარს ბანს აშველებდნენ, ამხნევებდნენ.

მთების ეხორც მტერს შიშის ზარს სცემდა! თურმე მკლავი, ხმალი და გონება თუ გულს ერთიანად არ ემორჩილება, ისე ყველაფერი ფუჭი ყოფილა!

ვიცი, მჯერა, რომ გავიმარჯვებთ... ომის ხანძარსაც მალე ჩაეაქრობთ, მხოლოდ ჩვენი სიყვარული არ ჩაქრება არასოდეს. იგი სულ უფრო და უფრო გაძლიერდება. მაგრამ როდის იქნება ეს? ეეხ, ვინ იცის! შეიძლება შენ უკეთ იცოდე, შეიძლება არც შენ და არც მე!

ახლა კი არ მიკვირს, თუ რა ძალა ამოქმედებს ადამიანებს, როდესაც ისინი მტრის ტანკებს ყუმბარის კონებით უვარდებიან, მათ გამარჯვების რწმენა ამოქმედებთ და ჩვენც, ჩემო სიყვარულო, დეე, ეს რწმენა გვასულდგმულეზბდეს, ეს რწმენა გვინერგავდეს სიცოცხლის ტრფიალს და იგი გვიფარავდეს ყოველგვარი საფრთხისაგან. გახსოვდეს, რომ რწმენადაკარგული ადამიანი ფუტურია ხესა ჰვავს.

... ხვალ მეტად სასიფათო დავალების შესასრულებლად მივიღვიართ მე და ჩემი მეგობარი ბროკო. იგი ნამდვილი უკრაინელი ვაჟკაცია.

ჰო, წუხელ სიზმარი ვნახე, ვითომ თბილისში ვიყავ, კარგა შედამებული იყო. ნათესავთან შევიარე. მოულოდნელად საშინელი სროლა ატყდა. ისროდნენ ფუნთულორიდან, კომკავშირის ხეივნიდან, ყოველის მხრიდან... გრიალებდნენ საზენიტო ქვემეხები. ცეცხლის ენა ლოკავდა მრუმე ცას. მტრის „მესერაშიტები“ დაზუზუნებდნენ. დაფეთებული ხალხი უგზო-უკვლოდ მიზბოდა, საჩქაროდ წამოგვარდი, თავშიშველი და უქამრო ჩაზნელებულ ქუჩას მივყევი. უეცრად შენს სახლთან აღმოვჩნდი. შესასვლელთან გვრავინ მიცნო. შენი სახლის კარები დაუკითხავად შევადე, შენ ბავშვებიანად კუთხეში მიყუყულიყავ და შიშისაგან ერთიანად ცახცახებდი. ჩემმა მოსვლამ სახეზე ვარდი ავიყვავილა, მაგრამ ეს იყო წამით. შენ მალულად მეზობელი ოთახისაკენ მზერა გააპარე და თითით რაღაც მანიშნე. მე მკერდში ჩაგაკარ მაშინ. უცებ იქიდან ფეხის ხმა შემომესმა. მალე ჩონჩხად ქცეული მოჩვენება გამოფრატუნდა, ის შენი ქმარი იყო. მიცნო. მომწულსხველად შემოგვაჩერდა. ერთი გესლიანად, ცივად ჩაიხითხითა, თითქოს გვაფრთხილებდა: „წუთიერია თქვენი აღერსო“ და მყისვე გაუჩინარდა.

... გამომედვიძა, უვარსკვლავო რუსული ცა გადმომყურებდა, სანგარში მოკუნტულს. მოშორებით არყის ხეები შრიალებდნენ და მე კი სიზმარი არ მასვენებდა. მართალია, ეს სიზმარი იყო, მაგრამ ჩვენს დედა-თბილისს ხომ არ ემუქრება განსაცდელი? მის ცაზედაც ხომ არ გამოჩნდნენ შავსუასტიკაწები? ძლიერ მაწუხებს, მომწერე, ყველაფერი მომწერე, ჩემი მიტოვებული სახლკარის ამბავიც მომწერე.

ძვირფასო! ახლაც შენზე ვფიქრობ და ეს ერთი არ მასვენებს. ვაი, თუ სიცოცხლე მართლა გაგიმწარო, მაგრამ ნუ დამემდურები...

სიყვარული ყველაფერს გვაპატიებს, მას დიდი ძალა აქვს. შენი არჩილი“, მეორე დღეს ფაქიზო თვალეზგაბრწყინებული ესტუმრა ჰოსპიტალს.

*

არჩილი დივიზიის მეთაურის მორიგი დავალების შესრულების სამზადისს შესდგომოდა.

მტრის კომუნიკაციები უნდა გადაეღახათ, მარჯვენა ფლანგზე მტრის ადგილსამყოფელი აღმოეჩინათ და საჭირო ცნობებთან ერთად მოენეც ჩაეგდოთ ხელში.



ეს სამოქმედო გეგმა არჩილმა ბროვკოს გაანდო.

არჩილი და ბროვკო უხმოდ შეცურდნენ ლელიანში...

ბროვკოს ისედაც ფართო თვალეზი უფრო გაფართოვებოდა.

...ბროვკო ძველი პარტიზანელის შვილი იყო. ნადირობის, თევზაობისა და ხეტიალისადმი სიყვარული მიმიდან დაპყლოდა. ფრთხილი იყო, მაგრამ ხიფათების ვადაკიდებდას არაფერი ერჩია. საფათერაკო ამბებს ბავშვით შეხაროდა. ახლა არჩილს რომ აკვირდებოდა, მის მონაყოლსა და საუბარს უსმენდა, გრძობდა, რომ მარტო თვითონ როდი ყოფილიყო ასეთი. არჩილსაც უყვარდა გამოუვალ მდგომარეობაში მოხვედრა და მერე იქიდან თავის დაღწევა, თითქო განგებ ქმნიდა ასეთ ვითარებას. რისკზე წასვლა და მოულოდნელობა ყველაფერს ერჩია, სამაგიეროდ გონივრულად მოქმედებდა.

ამიტომაც უფრო დაახლოვებოდნენ ერთმანეთს მეთაური და ჯარისკაცი.

... სიტყვაც არ იყო საჭირო, საკმარისი იყო ბროვკოს ერთი შეხედა თვალეზში არჩილისათვის, რომ მეთაურის ფიქრი ნათლად ამოეკითხა.

... აი, ახლაც, როცა არჩილი მიწაზე გაწვა და ბალახებში უხმოდ ოსტატურად გასცურა, ბროვკომ მეთაურს გახედა. არჩილი რაღაც დადწყვეტილებს მისაღებად ემზადებოდა.

— ამხანაგო მეთაურო!

— ჩუმად, ბროვკო, უხმოდ მომყევი...

ამის თქმა ძლივს მოასწრო და მოშორებით გზაზე ხუთი ფაშისტი მზვერავი გამოჩნდა. წინ ოფიცერი მიუძღოდათ.

არჩილმა თვალთ ანიშნა ბროვკოს, თვითონ გზის მარჯვენა მხარეს ჩაცურდა, ბროვკო თვალის დახამხამებაში უჩუმრად გზის მარცხნივ გაჩნდა.

მზვერავები თანდათან უახლოვდებოდნენ. ოფიცერი ახლა ჯარისკაცების ზურგში მოქცეოდა. ჩასაფრებულ არჩილსა და ბროვკოს გულის ცემა მოწმირებოდათ, ორივე მღელვარებას შეეპყრო, თითქოს მოთმინება დაკარგოდათ, მაგრამ ეს იყო წამით, მალე დამშვიდდნენ და გულში ამოვარდნილი ქარიშხალიც დაუცხრათ.

თოფმა ზედიზედ იგრიალა...

ოთხი ჰიტლერელი უსულოდ ჩაიკეცა.

ოფიცერი ერთ ადგილას გაშეშებულყო. მალა ამართული რევოლვერიანი მარჯვენისათვის ვერაფერი მოეხერხებინა და ხელეზს ჰაერში უმწეოდ ასავსავებდა, თითქოს მორევი უძირო ფსკერისაკენ ითრევედა.

არჩილმა ვეფხვის ნახტომით გზისკენ ისკუბა და ოფიცერს ომანხანად შეუძახა. გადაფთვრებულმა ოფიცერმა რევოლვერს გაყინული თითები შეუშვა.

მხოლოდ ახლა მიხვდა ბროვკო მეთაურის სიტყვების მნიშვნელობას: „ოფიცერს გაუფრთხილდით!“.

კარგი მოენე ჩაეგდოთ და ეს ნადავლი რამდენიმე საათის შემდეგ ძვირფას სამსახურს გაუწევედა შტაბს.

ოფიცერი უხმოდ წინ გაიგდეს.

არჩილს უხაროდა რომ პოლკოვნიკს ხელცარიელი არ მიუვიდოდა. ამჯერადაც გამარჯვებული წარსდგებოდა მის წინაშე. მას ძალიან უყვარდა თავისი უშუალო უფროსი. ცოტა დროს იმოვნიდნენ თუ არა, ყოველთვის თავს შეიყრიდნენ და ერთმანეთს უამბობდნენ თავიანთი მშობლიური მხარის ამბებს — არჩილი საქართველოსა და პოლკოვნიკი დონის მხარის შესახებ.

არჩილი ისე გატაცებით უსმენდა პოლკოვნიკს, თითქოს მის წინ დიდი წიგნი ყოფილიყოს გადაშლილი, რომელშიაც კახაკების ცხოვრება იყო გამოხატუ-



ლი. პოლკოვნიკი, რომელსაც მიხეილი ერქვა, მაღალ-მაღალი, ზორბა ტანის აგებულების იყო. თავზე ნაცრისფერი კაზაკური ფაფახი გვერდზე ეხურა, მხრებზე ყოველთვის შავი ნაბადი ჰქონდა მოდებული. მისი ანთებული ცისფერი თვალები, მუდამ ღიმილ დაფრქვეული სახე ყველას ხიბლავდა. მხედრულად გამოწყობილი, შნოიანი, ვაჟკაცური მიხერა-მოხერის მიხეილი არჩილს მოწაფეობის დროის ნახულ ერთ ლეგენდარულ ადამიანს აგონებდა. იგი მთლად თავისი სახის იერით, აღნაგობით, ახოვნებით, გამოხედვით, ღიმილით, სისწრაფით და სამხედრო ჩაცმულობით სწორედ იმ ადამიანს აგონებდნენ. ნეტავ ვინ უნდა ყოფილიყო ის ადამიანი? დიახ, ის ნატვრით მოსაგონარი ვაჟკაცი, რომელსაც ამსგავსებდა მიხეილს არჩილი, საშა გეგეჰკორი იყო. ამიტომ უხაროდა არჩილს მასთან შეხვედრა. ამიტომ იყო, რომ ამ გახურებული ბრძოლის დროს ერთი წუთით წარმოიდგინა, თითქოს მის წინაშე იდგა და ბრძოლის შედეგების შესახებ ესაუბრებოდა, უყურებდა მას და თითქოს ლეგენდარული გეგეჰკორის წინაშე იდგა. ჩასტკეროდა თვალებში მას და თითქოს ბზიანეთში იყო. ბზიანეთის გახსენებას კი მთვარესავით გაბადრული ფაქიზოს სახე ადევნებოდა. ამ ფიქრებში თავისი სოფელი გამოსახულიყო. მაღალ მთაზე წამოდგმული ოდა სახლი, ხეხილებითა და მადლარით დაფარული ეზო, ირგვლივ ამწვანებული მთები, შორს მაღალ კლდეთა მწვერვალები, მწვანით შემოსილ ცხენისწყლის ხეობაში მუხლმაგარ მდინარის განუწყვეტელი ხმაური, მთიდან მთაში გადაძახილი, ასწლოვანი მუხების შრილი და ტევერივით მიმდგარ ტყეში ათასნაირ ფრინველთა ქიკიკიგალობა, ძველთაძველი პომპეუსის ხიდი და მრავალი სხვა მას რაღაც საოცარ ფიქრებში ხვევდნენ. მაგრამ ის იყო რამდენიმე ნაბიჯი გადადგეს და უეცრად ტყვიამფრქვევების კაკანს, ნაღმტყორცნების ღმუილი და ყეფა მოჰყვა. არჩილი ფიქრებიდან გამოერკვა.

— ვიჩქაროთ, ბროკო... — ესლა მოასწრო არჩილმა და მკერდის არეში საშინელი ტკივილი იგრძნო, მალე თვალთ დაუბნელდა, მუხლები მოეკვეთა და ძირს უსულოდ დაეცა.

გაწყდა სიცოცხლის უკანასკნელი სიმი.

ვინ იცის, შეიძლება იმ წუთში, სულის უკანასკნელ ამოხდომამდე ხედავდა იგი ბზიანეთსა და ფაქიზოს მზიურ სახეს. კვდებოდა ვაჟკაცი და ალბათ სიცოცხლე ჩამქრალ თვალებში ბზიანეთი და ფაქიზო სქელ ბურუსში გახვეულ სანატრელ საგანივით სადღაც იკარგებოდა, სიცოცხლესა და სიკვდილს შუა გათხრილ ბნელ უფსკრულში ინთქებოდა.

თითქმის მთელი საათი გრიალებდა ყუმბარები. კაკანებდნენ ტყვიამფრქვევები, მტერს იმ ადგილას ქვა-ქვაზე დაედუღებინათ. ბოლოს ყველაფერა მიწყნარდა და მიჩუმდა, მხოლოდ გზის გარდიგარდმო გაფანტული ბუჩქები კრთოდნენ და თეთრი არყის ხეები შრიალებდნენ.

ორი ვაჟკაცი, ორი ძმანდაფიცი, ვერც მკვდარი ნახეს და ვერც ცოცხალი.

ვინ იცის, მერამდენე ქართველის სისხლით დაინამა შორეული უკრაინული მიწა.

ეს იყო სამამულო ომის მეორე წელს.

ეპილოგის მაგიერ

ფაქიზო სანთელივით ჩამოდნა. თითქოს სიცოცხლის ნიშან-წყალიც დაეკარგა. ამბის გაგების მოლოდინში მიილია.

აგერ ომიც რა ხანია დამთავრდა...



ბრუნდებოდნენ ომგადახდილები, ბრძოლის ქარცეცხლში გამოწრთობილი ვაჟაკები, მათ შორის არჩილის ამხანაგებიც შეიცნო ლანდადქეულმა ქალმა. თვითონ არჩილი კი არსად ჩანდა: არც მკვდრებში ახსენებდნენ და არც ცოცხლებში ერია.

მართალია, ოჯახის კარები სულ ვერ გამოეკეტა, მაგრამ ფაქიზოსათვის გარდა ორი შეილისა და არჩილზე ოცნებისა, ქვეყნად სხვა არაფერი არსებობდა.

როცა ცხოვრების ნამდვილი ფასი შეეგრძნო, სწორედ მაშინ გასლტომოდა ხელიდან ის უჩვეულო ბედნიერება.

დაბრუნდება არჩილი? ვინ იცის, განახლება მათი სიყვარული?

ამაოა, ამაო ყოველი, განა მკვდრის გაცოცხლება შეიძლება? განა ოდესმე გაწყვეტილი სიმი გამთელდება?!

მაგრამ ეს კია: ნუ ეტყვიტ ფაქიზოს სიმართლეს. დეე, სჯეროდეს, რომ არჩილი ცოცხალია, დეე, მუდამ სჯეროდეს, რომ არჩილი ჯანსაღადაა და უვნებელი, რომ ყოველდღიურ ლოდინში მაინც ცოცხლობდეს სიყვარულის ოცნება.

სჯეროდეს, მაგრამ იქნება სჯობდეს ახლავე გაიგოს, რომ არჩილი არასოდეს არ დაბრუნდება და ისევ ქმარს მიუბრუნდეს, შეეგუოს და ისევ განაგრძოს მასთან ტანჯული ცხოვრება?

მაგრამ არა! ეს არასოდეს არ მოხდება. ხუთი წელი მოუთმენია უარჩილოდ და კიდევ დიდხანს მოითმენს. ფაქიზოს ურჩევნია, არჩილის სიყვარულის ცეცხლი წვადეს, არჩილის ჩამოსვლის ნატვრაში დნებოდეს, ვინემ ქმარს ოდესმე მაინც გაუხსნას გული.

არა, ამას არ იზამს ფაქიზო!

ნურც ჩვენ ვეტყვიტ სიმართლეს: სჯეროდეს, რომ არჩილი ცოცხალია!

ნუ ვეტყვიტ, ნუ, რომ მათი სიყვარულის სიმი უღროოდ და სამუდამოდ გაწყდა!



ბიოგრაფიული

სიმღერა ფერებზე

რა ფერებია...
ფერთა ზღვა არის,
ფერთა ზღვა,
ფერად მამულს მაგონებს,
ფერთა სიყვარულს არ აქვს საზღვარი,
არც ჩემს სამშობლოს უღვევ მთა-გორებს.

მე ბევრი ფერი მალხენს, მალაღებს,
რა შეგძლებია შევთვალეზიანს,
ამ თვალთა კარებს ფერთათვის ვაღებ,
გზედავ და თეთრად გამთენებია.

ნათელ მამულში შავი ვერ დგება,
დიდ სიყვარულში შავი ვერ გასძლებს,
არის ფერების სხვა მოლანდება,
ცისარტყელების ფერებით სავსე.

ნუ ხუჭავ თვალებს,
ამ ნათელ ფერებს
შეხედე, დასტკბი,
იხილე ახლოს,
ძილშიაც ვისმენ ფერთა სიმღერებს
მთიდან აფრენილს საიალალოდ.

ფერთა ტრფიალი თუ გულით დაგაქვს,
შეხედე რიყრაყს,
წამოდექ ადრე,
თორემ მზის ფერის ხილვას დაჰკარგავ,
იებს — ცის იერს სალამი ჰკადრე.

ლურჯი მაგონებს ზღვას მომქუხარეს,
ყვითელი ფერი — სატრფოს დაკარგვას,
ფერი — ცისფერი უფრო მახარებს,
მაგრამ სხვა ფერებს რაღა დავარქვა?!
!

ჯერ ფერებისთვის არ მიმღერია,
მიყვარს წითელი,
ტრფიალი ვკადრე,
წითელი ფერი,
დროშის ფერია,
არ შემიძლიან, რომ არ მიყვარდეს.

შავი წუხილის ფერს ვერ დაგწამებ,
ყველაზე თეთრი სულის ნაწილო,
მოდო აფყვები მაგ შავ ნაწნავებს,
იქნებ გულამდი ამოვადწიო.

მე მიყვარს შენი სიშავე მარტო,
გიცქერ შევთმიანს,
შავთვალეზიანს,
მე შენი თეთრი ნათელი მათოვს,
შენთან,
შენს ახლოს გამთენებია.



სიღმვან ნაკიბანიძე

უჩემოდ

ამ გაზაფხულსაც შეიძლება შეხვდე უჩემოდ,
და მე შორს ვიყო, ისე შორს ვიყო,
რომ შენი ნახვა ვეღარ შევძლო ვეღარასოდეს...
უბრალოდ გეტყვი:
მე იქნება არც მინახიხარ,
და ასევე შენც არა გყავარ ნახული არსად,
მაგრამ მე მაინც შენი ძმა და მეგობარი ვარ,
ისევე, როგორც მიმაჩნიხარ ძმად და მეგობრად.
შენ რომ გიყვარდა, მე ის ტყე ვარ, ვარ ტყეთა კალთა,
წყარო ვარ, გულს, რომ გიგრიღებდა სიანკარეთი.
ის ზალათი ვარ, შენ რომლისაც გიყვარდა ჩაცმა,
მე ის ვაზი ვარ, რომელსაც შენ ზედ დაჰხაროდი.

იფიქრე:
ახლა შენ რომ ზიხარ აყვავებულ იასამინთან,
ქათქათა მთვარე რომ გიგზავნის საამო ალერსს.
ვარსკვლავები, რომ შენს სიამეს თრთოლვით უკრთიან,
სატრფოს ალერსში რომ ნატრულობ გაგრძელდეს ღამე...

იფიქრე:
რომ მეც ხშირად, ხშირად, ძალიან ხშირად,
ასევე დიდ ხანს მიცქერია მაღლა მთვარისთვის,
მთვარესაც ჩემთვის უცქერია ასევე მშვიდად,
ასევე ფიცი მიმიცია ნაზი ქალისთვის.

შენ რომ მიდიხარ ორღობეში მთვარიან ღამით,
და შეგაჩერებს ზოგჯერ აზრი, დიადი აზრი,
ანდა სხვა რამემ შეიძლება შეგაკართოს წამით,
ან საღამოს ჟამს სულ უბრალოდ, მეზობლის ძაღლი,
გამოგეკიდოს ყეფით, გნისით.
ან დაირის ხმა მოგწვდეს უცებ გაღმა უბნიდან,
მაისობაა,

დაიღალო იქნებ ბუქნითაც,
 ჩაფიქრებული გაჰყვე შემდეგ შენს ნაცნობ წნორებს,
 გაკვირვებული ამა სოფლის მარადისობით,
 სადღაც ოლოლი, რომ ეძახის, უხმობს თევდორეს,
 ყველა ესენი აღმიქვია მე ჩემის გრძნობით;
 მომისმენია ჩემის ყურით, დამინახავს თვალებით ჩემით,
 როგორც შენ ახლა — მეც ოცნებით შორეთს მივჭროდი,
 შენსავით ასე მეც მივლია მომავლის რწმენით,
 მომავალთ დღეზე მეც ვფიქრობდი, მრავალს ვფიქრობდი,
 მეც მაწვალებდა წინაპართა დაღვრილი ცრემლი.

*

ახლა უჩემოდ რომ მიჰყვები მთვარიან ბილიკს,
 რომ ისმენ ხევის ჩურჩულს, მოძახილს,
 მიაჭრიალებს შორს საძნე ურემს
 მეურმე, ვისაც ძლიერ უყვარს მეზობლის გოგო.
 ყველაფერს ამას რომ განიცდი შენ,
 და მას განიცდი მარტოდ, უჩემოდ,
 იფიქრე:
 ძმაო, მეგობარო ჩემო იფიქრე,
 რომ ყველაფერი ეს ასევე მეც განმიცდია...

დღეები

დღეებო,
 ჩემო ნაცნობებო, სალამი თქვენდა,
 ბავშვობიდანვე ხილვა თქვენი სიამეს მფენდა,
 დღეებო, მუდამ თქვენს გარშემო ოცნება ჰქროდა,
 მეც მოზიარე ვიყავი თქვენს აღმაფრენაში,
 დაბადებიდან მოვდიოდი, მომიხაროდა,
 ვით უროს ცემას, გულის ცემას ვგრძნობდი მე მაშინ.
 დღეთა ნათელი,
 მზევ, — ლაქვარდის საამო ბრწყინვაე,
 მთებო, ველებო, თქვენით ვხარობ ყოველ განთიადს,
 თქვენგან შევიგრძენ, თქვენ მითხარით,
 რაც ვიყავ, ვინც ვარ,
 დღეებო, თქვენ ხართ, უფრო დიდი —
 რაც მინატრია...

*

მე შევიყვარე, მეგობარო, დღეთა ნათელი,
 მან დამინახვა, როგორია ხალათი შენი,
 მან მაგრძნობინა კუნთებიც შენი,
 შენი ღიმილის ელვა და ფერი...
 მხოლოდ და მხოლოდ დღის ნათელმა შემაგრძნობინა
 სიყვარული და,
 რასაც ქვეყნად ხალისი ჰქვია,
 ყყოფილვარ ზევისის, ნათელ დღეთა მოწმე ყყოფილვარ,

გულგაღებელი მისთვის ვხვდები მზეს და განთიადს.
 დღემ გამცნო შენი, განცდაც დიდი მწუხარებისა,
 მან წამაკითხა სიხარულიც შენს თვალებიდან,
 როცა ვიხილე, როცა გცანი ხალისიანად,
 მე ის დღემა და შენმა მზერამ გამიზიარა...
 სიცოცხლე ჩემო,
 მზის პატარა ჩამონაჭერო,
 გადიდრი მეტად:
 შენც გადიდრი დღეო ნათელო...

მე ლამეებიც შევიცანი კუმეტი, ბნელი,
 ცისა ვარსკვლავთა მინახია ციაგი ნელი,
 მარტოდ ვყოფილვარ, სადღაც უღრანს, ბნელ ხეობაში.
 ჯიხვთა და არჩვთა სამეფოში, მთის დღეობაში.
 მუხის ფესვებზე ჩამომჯდარსა ღრმად მიფიქრია,
 რა იყო ქვევით, მთების ქვევით,
 ვერ შემიტყვია...
 მხოლოდ ხმაური,
 ღელის ხმაური,
 ცელქთა ნიავთა ქროლვა სხვაგვარი,
 მხოლოდ შორეულ მთათა ეხოთა,
 გამოძახილი უზარმაზარი,
 მხოლოდ დაკრული ელვა მეხისა
 დაანათებდა ბნელში ხეობას,
 მაშინ დავწყველე ქვეყნად სიბნელე,
 გცანი სინათლის მძლევა მძლეობა...

ყოველ განთიადს ბულბულივით ხილნარში ვხვდები,
 დღეო ნათელო, — დავიძახებ, — სალამი შენდა,
 ირგვლივ ყოველი:
 ტყე, მინდორი, მშობელი მთები,
 მზის სადიდებელს დაიწყებენ სიმღერას ერთად.
 მე გათენებას ბულბულივით ხილნარში ვხვდები,
 რათა მშობელი მიწის მზერით გავაძლო თვალი,
 რათა გაზაფხულს მე მივუძღვნა სიცოცხლე ჩემი,
 რათა ატოკდეს ნაკადული ახალი ძალით,
 რომ მდინარეთა არა მარტო ხმაური ვიგრძნო,
 არამედ მისი დავინახო ნავარდი, დეღვა,
 რათა შენს თვალში სიყვარული ამოვიკითხო,
 შენც წაიკითხო ჩემთა თვალთა სიამით ელვა.
 დღეო ნათელო,
 დიდება შენ, ნათელო დღეო...





უილიამ შექსპირი

ჰენრი მეთხუ

ნაწილი პირველი

(ხუთმოქმედებიანი ისტორიული ქრონიკა)

მოქმედნი პირნი

- | | | |
|--|---|-------------|
| მეფე ჰენრი მეთხუ. | } | უფლისწულები |
| ჰენრი, უელსის პრინცი. | | |
| პრინცი ჯონ ლანკასტერი. | | |
| გრაფი უესტმორლენდი. | | |
| სერ უოლტერ ბლენტი. | | |
| გუსტერის გრაფი თომას პერსი. | | |
| ნორთამბერლანდის გრაფი ჰენრი პერსი. | | |
| ჰენრი პერსი, მეტსახელად პოტსპერი, მისი ვაჟი. | | |
| მარჩის გრაფი ედმუნდ მორტიმერი. | | |
| იორკის მთავარეპისკოპოსი სკრუპი. | | |
| დუგლასის გრაფი არჩიბალდი. | | |
| ოუენ გლენდაუერი. | | |
| სერ რიჩარდ ვერნონი. | | |
| სერ ჯონ ფოლსტაფი. | | |
| სერ მაიკლი, იორკის მთავარეპისკოპოსის მეგობარი. | | |
| პოინსი. | | |
| გედსჰილი | | |
| პეტო. | | |
| ბარდოლფი. | | |



ლელი პერსი, პოტსპერის ცოლი, მორტიმერის და.
 ლელი მორტიმერი, გლენდაურის ქალი, მორტიმერის ცოლი.
 მისის კუიკლი, ისტიპის ფუნდუკის დიასახლისი.
 ლორლები, ოფიცრები, შერიფი, ფუნდუკის მსახურნი, მეტლები,
 მოგზაურნი, მხლებელნი. მოქმედების ადგილი—ინგლისი.

მოქმედება პირველი

სურათი I. ლონდონი. სასახლე.

შემოდინა მეფე ჰენრი, უესტმორლენდი, სერ უოლტერ ბლენტი და სხვანი.

მეფე ჰენრი. ამდენი შფოთით მოსვენება თუმც დაგვიკარგავს ფერიც მიგვხდია მეტის ზრუნვით... ჩვენს შინაგან ვეგარტებს, დამფრთხალ მშვიდობას ცოტა სული მოვათქმევინოთ, რომ ბრძოლის რისხვა უფრო მძლავრად ჩაგებროთ შემდეგ და უცხო ქვეყნებს შევესიოთ ომის ყიჟინით. ამიერიდან მწყურვალ ტუჩებს მშობელი მიწა შვილების სისხლით აღარასდროს არ შეიღებავს; ვერ გადაგვიხანავს ველებს ომი, ყოვლის მომთხრელი, ვერ გათლავენ მტრის რაშუბი მინდერის ყვაილებს, და სისხლბორცულ ნათესავთა მტრული თვალებიც — ვით მეტეორთა გაელვება საავდრო ცაზე — თუკი უბღვერდნენ აქამომდე ერთიმეორეს და ძმაო შორის გაშმაგებულ სისხლისღვრას ქვრიტდნენ, — წარუძღვებიან აწ ერთ მწყობრში დარაზმულ ლაშქარს, რომელიც მუდამ ერთად ივლის შეხმატკბილებით; ძმა დაშნას ძმაზე არ აღმართავს ამიერიდან; ქარქაშგაცვეთილ ხანჯლის მსგავსად, ომის მახვილი თვისივე პატრონს ვეღარასდროს ვეღარ დაკოდავს. აწ გავილაშქროთ და მაცხოვრის საფლავი ვიხსნათ, აკი შვერაცხეთ თავი ქრისტეს ჯარისკაცებად და მისი ჯვრის ქვეშ ფიცი დავდეთ, რომ ვიბრძოლებდით! ახლავე უნდა გაილაშქრონ ინგლისელებმა, მათ ზომ მკლავები საშოშივე უკაქდებოდათ უწმინდურების აღსაგველად წმიდა მიწიდან, რომლის ყოველ გოჯს, ამ თოთხმეტი საუკუნის წინ, მიჰკარებია მაცხოვარის წმიდა ტერფები, ჯეარზე უწყალოდ მიღურსმნული ჩვენი ხსნისათვის. მაგრამ ეს აკი გადაწყვეტეთ ერთი წლის წინათ და რა აზრი აქვს, ვიჩინოთ ისევ და ისევ, განა ამისთვის შემოვიჩნართ! ახლა ისა მსურს, კეთილშობილო ბიძაშვილი უესტმორლენდო, გეაუწყო, წუხელ ჩვენმა საბუკომ რა გადაწყვიტა, და ფრთა შეასხა ჩვენს განზრახვას, დიდად სანუეგარს. **უესტმორლენდი.** წუხელ, მეფეო, როცა ერთად შეკრებილები ცხარედ ვდავობდით ამ ლაშქრობის დაჩქარებაზე, როს აღვუნსხეთ და დაფამტკიცეთ ომის ხარჯებიც, — უცებ მოვიდა უელსიდან ცული ამბები; ყველაზე მძიმე კი ის განსავთ, რომ მორტიმერი, რომელიც ველურ გლენდაურის ასალაგმავად ისე გმირულად წინ წარუძღვა პერფორამირელებს, იმ ტლანქ და ხეპრე უელსელებს თვით შეუპყრიათ და ათასამდე ჯარისკაციც მოუკლავთ მისი. ხოლო უელსელ დედაკაცებს ისე მხეცურად, ისე უტიფრად შეულანძლავთ მათი გვამები, მრცხვენია კიდევ, თქვენს წინაშე გაიმეორო.



მეფე ჰენრი. მამ გამოდის, რომ გალაშქრებას, წმიდა მიწისკენ ჩვენ ეს სისხლისღვრა დაგვიყოფნებს და გადაგვიღებს.

უესტმორლენდი. ესეც და სხვაცა, მოწყალეო უფალო ჩემო: ჩრდილოეთიდან უარესი ამბები გახლავთ.

ჯვართამაღლებას პარი პერსი — გმირი პოტსპერი — და სიამაყით ქვეყანაზე სახელგანთქმული შოტლანდიელი არჩიბალდი ერთმანეთს, თურმე, შეჭიდებიან ჰოლმედონში;

მძიმე ბრძოლაში მთელ ერთ საათს სისხლი უღვრიათ, თუკი ვერწმუნეთ ზარბაზნების ბათბაბუთქსა და ფიცხელი ომის სხვა ნიშნებსაც, რაც ჩვენ გვაუწყეს, რადგანაც მაცნე ამ ბრძოლისა ცხენს მოხტომია და ვიდრე ბრძოლა მძვინვარებდა, გამოუქუსლავს, ასე რომ, ბედი შეტაკების მან არც კი უწყის.

მეფე ჰენრი. აგერა ჩვენი მეგობარი, კარგის მოსურნე უოლტერ ბლენტი... შედავთ, ჯერაც ზედვე აჩნია მთელი გზის მტვერი... მოაგელვა ცხენი ახლახან და კარგის ამბით გაგვახარა და დაგვამწვიდა: გრაფი დუგლასი დამარცხეს, უოლტერს თურმე თვითონ უნახავს ბრძოლის ველზე სისხლით მოთხვრილი ათი ათასი გამბედავი შოტლანდიელი და ოცდაორი დარჩეული მათი რაინდი.

ხოლო ცოცხლადვე შეუპყრია ბრძოლაში პოტსპერს უფროსი ვაჟი დამარცხებულ არჩიბალდისა, ფაიფის გრაფი მორდეიკი, გრაფი ეთოლი, გრაფი მერეი, ანგუსიცა და მენტეითიც. ხომ დიდებული ალაფია, პატისადები?! ჯილდოდ ხომ კმარა? ჰა, ძმობილო, შენ რაღას იტყვი?

უესტმორლენდი. პირდაპირ გეტყვი, ამ გამარჯვებით თვითონ პრინციც იამაყებდა.

მეფე ჰენრი. შენი სიტყვები გულსაც მიკლავს, ცოლვაშიც მაგდებს, — რადგან მშურს ხოლმე, ვერ დავფიცავ, ნორთამბერლანდის:

ეგ უნდა იყოს ღირსეული შემკვიდრის მამა, მაგის ვაჟიშვილს მოწიწებით იხსენიებდნენ, პირზე ეკეროს მთელს ქვეყანას მისი დიდება, თანატოლთაგან იმგვარადვე განირჩეოდეს, როგორც ქალაში აშოლტილი წერწეტა ჩქოლა, ბედის ნებეირს ქედმაღლურად ეჭიროს თავი!.. მე კი შორიდან უნდა ეჭვრეტდე მის განდიდებას და, გულმოკლული, ჩემი პარის შუბლზე ვხედავდე უტიფრობის და თავაშვებულ თარეშის ლაქებს. პოი, რომ მართლაც ამხდომიდა ტყბილი ზღაპარი — ჩვენი ბალები შეეცვალა ლამით ფერიას, მისას რქმეოდა პლანტაგენეტ, ჩემსას კი პერსი! იმისი პარი გახდებოდა ჩემი შემკვიდრი, ჩემი კი იმას ერგებოდა... რაღას ვოცნებობ!.. რას იტყვი, ძმაო, პარი პერსის ქედმაღლობაზე? სამხედრო ტყვეებს — ამ ბრძოლაში რაც შეუპყრია — საკუთრებად თვლის და თავისთვის იტოვებს თურმე, მე კი, ხელმწიფეს, ასე მითვლის — ფაიფის გრაფის მორდეიკის მეტს სხვას ვერავის ვერ გარჯუნებო.

უესტმორლენდი. ეგ ბიძამისის ოინია, მან ჩააგონა, ისა გმტრობს მუდამ თუ იხელთა, ისა, ვუსტერი! გაათავებდა აწ ძმისწულოც და ნორჩი ქედი მეფის წინაშე ასე მალლა დააჭერინა.

მეფე ჰენრი. უკვე მოვიხმე, რომ თვითონვე გაგვეს პასუხი,



და ამიტომაც ხელს ავიღებთ ამ მცირე ხნობით
წმიდა განზრახვით იერუსალიმს გამგზავრებაზე.
იმ ოთხშაბათს კი, ბიძაშვილო, განზრახული გვაქვს —
- საბჭო შევეკრიბოთ უინძორში. — აცნობე ლორდებს.
მაგრამ იჩქარე, რომ მაღლეე დაბრუნდე უკან:
საქმეც არ ითმენს და სათქმელიც ბევრი რამ დაგვრჩა,
რის თქმისაც ახლა ბოლმა გვიშლის, ყელს მობჯენილი.
უესტმორენდი, ახლავე წავალ, ხელმწიფო.

გადიან.

სურათი II. ლონდონი. შაფლსის პრინციის ოთახი.

შემოდინ პრინცი ჰენრი და ფოლსტაფი.

ფოლსტაფი. პალ, შენს გაზრდას, რომელი საათია?

პრინცი ჰენრი. ისე გაგიტება ძველი ღვინის წრუპვა, ნაგახშმვეს ქამრის მოშვება, ნასადილევს კი-
დევ სკამლოგინებზე ხვრინვა, რომ ტვინი ქონად გექცა და ახლა აღარც კი გახსოვს, რისი კი-
თხეა გსურდა. აბა, რა ჯანდაბა ვესაქმება, რომელი საათია? სულ სხვაა, საათი რომ ღვინის
ფალაღებად იქცეს, წუთები — ყვერულებად, ისრები — მაჭანკლების ენად, ციფერბლატი —
საროსკიპოს აბრად, ხოლო თვით კურთხეული მზე — ალისფერ თაფთაში გამოწყვებულ მხურ-
ვალე, ტურფა გოვოდ გამოგეცხადოს.. ნეტა გამაგებინა, რაში გეკითხება, რომელი საათია!

ფოლსტაფი. თითქოს ჩემს გულში მჯდარხარო, პალ; ფულის ქისებზე მონადირეებმა მთვარე და
ვარსკვლავების ხარგუთანი უნდა ვიკითხოთ, რა ჩვენი საქმეა ფები — ეს „მონებთიალე რაინ-
დი ტურფა“? და იცი, რასა ვთხოვ, გენაცვალე, მეფე რომ განდებში — ღმერთმა დაიფაროს
შენი მოწყალეება... — შენი დიდებულება უნდა მეთქვა, რადგან ღვთის წყალობას თავის დღე-
ში ვერ ეღირსები...

პრინცი ჰენრი. რატომაც ვერ ეღირსები?

ფოლსტაფი. თავს ვაფიქვები ვერ ეღირსები... ერობ-კვერცხით დანაყრების წინ რომ ლოცვას იტყვი-
ან, იმასაც კი ვერ ეღირსები.

პრინცი ჰენრი. ვთქვით ეგრე იყოს: მერე? მოკლედ მოსჭერ, მოკლედ მოსჭერ.

ფოლსტაფი. პოდა, როცა მეფე განდები-მთქი, გენაცვალე, ნებას ნურავის მისცემ, რომ ჩვენი, და-
მის რაინდებს დღიური სილამაზის მძარცველები გვიძახონ. დე, ვიყოთ დიანას მტყუანებში,
სიბნელის რაინდები, მთვარის საყვარელი ბიჭები; დე, ჩვენი თქვან — კარგი პატრონის ქვე-
შვერდობში არიან, ზღვისა არ იყოს, ეგვიპტე უმანკო ქალბატონ მთვარეს ემორჩილებიან და
მისივე მფარველობის წყალობით იმარაგეო.

პრინცი ჰენრი. კარგად ამბობ, სურული ჭეშმარიტებაა; ჩვენი ხომ მართლაც მთვარის ხალხი ვართ და
ჩვენი დოვლათიც, ზღვის მიტყვევა-მოტყვევასაგით, ხან იკლებს და ხანაც იმატებს. აბა დაუ-
კვირდი: ოქროთი გამოტენილ ქისას ორშაბათ ღამეს საგულდაგულოდ ავწახნით, ხოლო სამ-
შაბათ დილას უსულგულოდ გავფლანგავთ ხოლმე; აწახნის დროს შევძახებთ: „აბა ჩამოყაჭე!“
დახარჯვის დროს კი ვაფახებთ — „გადმოალაგე!“ ხან ისეთი სუსტია მოტყვევა, კიბის ქვეითა
საფეხურის ძლიერა წვდება, ხან კი ისე მოვარდება, რომ სახარხოზელასაც უწყებს.

ფოლსტაფი. მართალს ამბობ, ღმერთმანი. რას იტყვი, ტკბილი ქალი არ არის ამ სასტუმროს დია-
სახლისი?

პრინცი ჰენრი. ბიბლას თაფლივით ტკბილი, მშობილო. კამეჩის ქურთუკზე რაღას იტყვი, ხომ ტკბი-
ლი მოსახამია საპყრობილეში?

ფოლსტაფი. რას ამბობ, კაცო, რას ვადამეკიდე. შე უქნარა! რა გუდა-სტვირივით ააწყვე? კამეჩის
ქურთუკი რა ჯანდაბად მინდა.

პრინცი ჰენრი. მაშ მე რაღა დოზანად მინდა ჩვენი სასტუმროს დიასახლისი?!

ფოლსტაფი. რა ვიცი, წარამარა კი ეძახი ხოლმე ანგარიშის გასწორების დროს.

პრინცი ჰენრი. შენთვის კი არასოდეს დამიძახნია, შენი წილი გადაიხადე-მთქი?

ფოლსტაფი. აჰ, არა, ამას ვერ დაგიკარგავ. აქ ყველაფერს შენ იხდი ხოლმე.

პრინცი ჰენრი. აქაც და სხვაგანაც, სადამდეც კი ჩემი გროშები გამწვდომია; ხაცა გროშები არა
მყოფნის — იქ ნისია!

ფოლსტაფი. ვიცი, და ისე გულუბვი ხარ ხოლმე ნისიაზე, რომ ახლა ყველას უფლება აქვს უფლება-
მოსილ მემკვიდრედ გადაიაროს... მაგრამ ერთი ეს მითხარა, ბიჭიკო, მეფე რომ განდები, სა-
ხარხოზელების მოსაბობს არ აპირებ ინგლისში? ნუთუ მამაცი ხალხი ისეც ამ ბებერი მასხარა
ქანონის დაქანებულ ხუნდებში უნდა იტანებოდეს? ტახტზე რომ აბეაღ, ქურდებს ნუ ჩა-
მოახრჩობ.



პრინცი პენრი. მე არა, შენ ჩამოგახრჩობინებ.

ფოლსტაფი. მე ჩამომახრჩობინებ? დიდებულია! ღმერთმანი, მშვენიერი მსაჯული ვიქნები.

პრინცი პენრი. უკვე ვეღარა სჯი სწორად: მე გეუბნები, ქურდებს ჩამოგახრჩობინებ-მეოქი, ასე რომ მსაჯული კი არა, დიდებული ჯალათი გახდები.

ფოლსტაფი. კეთილი, პალ, ეგრე იყოს. მართალი თუ ვინდა, ეგ ხელობა სასახლეში სამსახურზე ნაკლებ როდი მომდის ტყუაში.

პრინცი პენრი. აქაც ტანსაცმელს მიიღებ, არა?

ფოლსტაფი. მაშა, ჩამოხრჩობილის ტანსაცმელი ხომ კანონით მე დამრჩება! ჯალათებს რითი აქვთ ცული გარდერობი?! მაგრამ ისე ვარ დამხარებული, როგორც დაკოდლი კატა, ან ურემზე გამოპშული დათვი.

პრინცი პენრი. ან კიდევ, როგორც დამაჩანაკებული ლომი, გინდ შეყვარებულთა ფანდური.

ფოლსტაფი. ანდა როგორც ლინკონშირული სტიერის ტყიპინი.

პრინცი პენრი. კურდღელს რომ შევადარო, რაღას იტყვი, ან მურფილდის ქაობს?

ფოლსტაფი. პოი, რა მწარე-მწარე შედარებები გიყვარს! შენისთანა მოხერხებული მუდრეგი... მშვენიერი პრინცი უკრ არ მინახავს. მაგრამ რასა ვთხოვ, პალ: ფუჭი საქმეებით ნულარ მატუხნებ, ღმერთმა ხომ იცის, რომ შენთვისაც და ჩემთვისაც კეთილი სახელის მოხვეჭა მსურს, მაგრამ რომ არ ვიცო, სად იყიდება ეს ძვირფასი საქონელი! გუშინწინ ერთმა მოხელემ ლორდმა, კარის მრჩევლმა, ქურაში გამომთათხა შენი გამოისობით... ყურიც არ ვთხოვე, მაგრამ ბრძნულად კი ლაპარაკობდა... აინუნშიაც არ ჩამიგდია, თითქოს სულაც არ დამენახოს... თუმცა ბრძნულად კი ლაპარაკობდა... და, ისიც ტყუაში...

პრინცი პენრი. კარვად მოქცეულხარ; ხომ გავგიონია — სიბრძნე ქურაში დალადებს, მაგრამ ყურს არაგინ მოუპყრობსო.

ფოლსტაფი. აჰ, რა ჯოჯოხეთურად გიყვარს ეს ქარაგმები! წმიდანის წარყვასაც კი არ ერიდები. ძალიან ცული საქმე მიყავი, პალ... ღმერთმა შეგიწოდოს! მანამ შენ ვადაგვეყვობი, უმანკო ვიყავი, არაფერი გამეგებოდა, ახლა კი მართალი თუ ვინდა, ისე გამოვიქექე, წყალწაღებულ მრუსსაც ბევრით აღარ ჩამოვრჩები. ვადავწყვიტე, გამოვსწორდე, და გამოვსწორდები კიდევ, ღმერთთა მოწმე; თუ არ გამოვსწორდე, არამზადა ვიყო: აბა მეფის ბიჭის გულისთვის საულს ხომ არ წაგიწყმენდა!

პრინცი პენრი. შენ ისა სთქვი, ხვალ ფული სად ვიშოვოთ, ჯექ?

ფოლსტაფი. საცა გენებოს, ყმაწვილო, მე თანახმა ვარ. თუ არ ვიშოვო, არამზადა მიწოდე და გამოითათხე.

პრინცი პენრი. ვხედავ, რომ მართლაც გამოსწორების გზას დასდგომიხარ — ლოცვიდან პირდაპირ ქისების ასაწაანად მიემგზავრები.

შემოდის პოინსი

ფოლსტაფი. ჩემი ხელობა ხომ ეგ არის, პალ; კაცმა რომ თავის ხელობაზე იმუშაოს, განა ცოლად ჩათვლება!.. აგერ პოინსიც... ახლავე გავიგებთ, რა სეირს გვმზადებს გელსპილი. ეჰ, ვინ რის ღირსია, იმის მიხედვით რომ უზღავდნენ, ამ გარეწარისთვის ჯოჯოხეთშიაც კი ვერ გამოქებინდნენ შესაფერ ცხელ ორმოს. მაგისთანა გაქნილ არამზადს მეორეს ვერ შეხვდები.

პრინცი პენრი. გამარჯობა, ნედ.

პოინსი. გაგიმარჯოს, ძვირფასო პალ; რაო, ბატონი სინდისის ქენჯნა რასა ბრძანებს? სერ ჯონ, შეტკბილებული ღვინო რასა იქმს? პა, ჯექ, ვერაფერს ვახდი ეშმაკთან? აი, წარსულ პარასკევს ერთ ფინჯან მადრასა და ცვიად მოხარმულ ყვერულის ფეხში სული რომ მიჰყიდე?

პრინცი პენრი. ეშმაკი უსათუოდ მიიღებს დანაპირებს, სერ ჯონი სიტყვის კაცია, აბა ანადაზას ხომ არ უღალატებს — თავისი წილი ეშმაკსაც უნდა მიუზღაო.

პოინსი. მაშინ კი მართლაც დაწყვეტილი იქნები სულის გაყიდვისათვის.

პრინცი პენრი. სულერთია, თუ არ მიჰყიდა, სიტყვის გატეხისათვის იქნება დაწყვეტილი.

პოინსი. ახლა რა განართო, ბიჭებო! ხვალ დილით ოთხ საათზე გელსპილში უნდა ვიყოთ. კენტერბერისკენ მდიდრული შესაწირავებით დატვირთული მლოცველები მიემგზავრებიან, ხოლო ლონდონისაკენ უმბეგამოტენილი ვაჭრები მოდიან. ცხენები თქვენი იყოს, ნიღბები მე დავიმზადეთ. გელსპილი როჩესტერში ათვებს ღამეს, მე კი სახვალთ ვახშამი ისტნოში დაეუკვეთე, სიფათის შიში ნუ გექნებათ — თუნდაც ლოჯინში გძინებოდეთ! წამოხვალთ — ქისებს ფულებით გამოგიტენით, არ წამოხვალთ — შინ ივევით და სახრჩობელას ელოდეთ.

ფოლსტაფი. მაშ, ენაც იცოდე, ეღუარდ, თუ შინ დაერჩი და არ გამოგყვეით, წასვლისათვის თქვენ ჩამოგახრჩობთ.

პოინსი. მაგას გულით ამბობ, დაკეპილო ხორცო!



ფოლსტაფი. წამოხვალ, პალ?

პრინცი ჰენრი. რაო, ძარცვა დავიწყო? ვიქტორლო? ნურას უჯაცრავად.

ფოლსტაფი. არც სინდისი გაგაჩნია, არც ვაჟაკობა, არც მეგობრის გამტანობა; რაღა მეფის მემკვიდრე ხარ, ათი შილინგის შოვნაც ვერ გაგიბედავს.

პრინცი ჰენრი. ჯანდაბას, ერთხელ ჩემს სიცოცხლეში მეც გავგიჟდე!

ფოლსტაფი. ეს კი მწამს!

პრინცი ჰენრი. რაც იქნება იქნება, მე შინ დავრჩები.

ფოლსტაფი. შენ რომ ტანტზე ახვალ, ღმერთმანი, გადაგიდგები.

პრინცი ჰენრი. ეგვეც მე ვინაღლო?

პოინსი. სერ ჯონ, გეთაყვა, მე და პრინცი მარტო დავგეტოვებ: უნდა დავარწმუნო, რომ წასვლა აუცილებელია.

ფოლსტაფი. აგრე იყოს, ღმერთმა შენ დარწმუნების ნიჭი მოგმადლოს, მაგას კი განუზუნას ყურნი მოსასმინად: შენმა სიტყვებმა გაამხნევოს, ხოლო რასაც თვითონ მოისმენს, იმან დაარწმუნოს, რომ თავის შესატყვევად ნამდვილი პრინციც შეიძლება მოგონილ ქურდად იქცეს; ცოტათი მაინც გავერთოთ ამ ჩვენს მოსაწყენ დროში! აბა მშვიდობით. ისტრიპში შეგხვდებით.

პრინცი ჰენრი. მშვიდობით, ნაგვიანევო გაზაფხულო! მშვიდობით, ბებრის ყვავილობავ!

ფოლსტაფი გადის.

პოინსი. აბა, ჩემო ტკბილო თაფლის პრინცი, გამოგვეყვი ხვალ. ერთი კარგი ოინი მოვიგონე, მე მარტო არ გამოვივა. ჩვენ ისიც გვეყოფა, რომ იმ ხალხის კვალს მივაგენით; ფოლსტაფმა, ბარდლოფმა, პეტომ და გედსჰილმა — გაძარცვეს; არც შენ იქნები იქა და არც მე; მაგრამ როგორც კი ჩაიგდებენ ნადავლს ხელში, შენი ხმალი და ჩემი კისერი, თუ მაშინვე მე და შენ არ წავაგვიჯოთ.

პრინცი ჰენრი. გზაში როგორღა ჩამოვშორდებით?

პოინსი. ეგ ადვილია; ან გავასწრებთ, ან უფრო მოვიგვიანებთ წავალთ; შეხვედრის ადგილს დავუნიშნავთ, მაგრამ არ მივალთ დროზე. ისინი უჩვენოდ გაძარცვავენ, და ვერც კი მოასწრებენ გონს მოსვლას, რომ ახლა ჩვენ დავესხმით თავს.

პრინცი ჰენრი. პო, მაგრამ ადვილად გვიცნობენ ტანსაცმლით, ცხენებით და სხვა რამეებით.

პოინსი. ეგ არაფერი. ცხენებს ვერც კი დაინახავენ, ტყეში დავაბამ; დავშორდებით თუ არა, ნიღბებს გამოვიცვლით, მუშაშბის მოსახამებიც მაქვს, რომ ტანსაცმელი დავგიფაროს.

პრინცი ჰენრი. ვაი თუ ვერა ვსძლოთ.

პოინსი. რა ბრძანებაა! ორი მათგანი წმინდა წყლის ლაჩარია, მაშინვე ზურგს გვაჩვენებენ. მესამე-მაც ხელათში თუ ჩაიგდოს თავი და იმაზე დიდხანს გავეციქოს წინააღმდეგობა, ვიდრე ამას გონიერულად ჩასთვლიდეს, მზადა ვარ, იარაღი ავიყარო. მაგრამ მთავარი სერი ის იქნება, ჩვენი გაბერილი ყალთაბანი რომ მოხსნის თავს ტყუილების გუდას ვახშმად — სულ ცოტა, ოცდაათი კაცს მაინც შეეგებრძოლო, ასე შევეუბნეო, ისე დავარტყეო, თავი გავწირეო! ნამდვილი ოინი კი მაშინ ნახე, როცა მის იშკილბაზობას გავამქვანებთ.

პრინცი ჰენრი. კეთილი, გამოგვეები. რაც საჭირო იყოს, ყველაფერი მოიმარაგე და ხვალ საღამოს ისტრიპში მელიოდე. იქ ვივახშმებ. ახლა მშვიდობით.

პოინსი. მშვიდობით, მილორდ. (გადის).

პრინცი ჰენრი. რა შვილიცა ხართ, კარგად გიცნობთ, მაგრამ ჯერ მაინც

ხელს ვუწყობ ამ თქვენს თავაშვებულს ლაზღანდარობას და ბრწყინვალე შუეს ვბაძე ამით, რომელიც ზოგჯერ ბნელი ღრუბლების საბურველში გამოეხევეა და მთელს ქვეყანას დაუმალავს თვის სიღამაზეს; ხოლო როდესაც მოისურვებს კვლავ გამოჩენას, გააპობს ხოლმე ბილწ და მახინჯ ნისლის საბურველს, რომელიც თითქოს აქამომდე ახრჩობდა იმას, გამოიხედავს და დანატრულ ხალხს გაახარებს. მთელი წელი რომ გადაბმულად იუქმოს ხალხმა, მაშინ გართობაც მოსწყინდებათ მძიმე შრომისებრ, მონატრებული უქმე დღე კი სუყველას ატკბობს, გულს იშვიათი სიხარული უფრო ახარებს. ამგვარად, როცა ამ ფუქს თარეშს თავს დავანებებ და გადავიხდი აქამომდე გადაუხდელს ვალსა, რის გადახდასაც ჯერ არავის შეგპირებივარ,

ხალხს ცუდ მოლოდინს გავუმტყუნებ და ყველას თვალში იმაზე კარგი გამოგჩნდები, ვიდრე ჰგონიათ.
აკი ლითონი შავ მიწაში უფრო ელვარებს.
მეც, გარდაქმნილი ჩემი ძველი ცოდვების შემდეგ, —
უფროვე კარგი გამოგჩნდები და ხალხის მზერას სამკაულზე უფრო შეტად ამით მივიპყრობ.

გადის.

სურათი III. ლონდონი. სასახლე.

შემოდინ მეფე ჰენრი, ნორთამბერლანდი, ვუსტერი,
ჰოტსპერი, სერ უოლტერ ბლენტი და სხვები.

მეფე პენრი. მეტად წყნარი და თვინიერი კაცი ციყავი,
ასეთი წყენა ცივ სისხლს არც კი ამჩნევს, —
თქვენც შემეჩვიეთ, ჩემს ხასიათს ალღო აუღეთ
და მოთმინებას მოურიდლად ფეხით მითელავთ.
მაგრამ დღეიდან გარდვიქმნები ღირსების ცვალად,
გავხდები ქუში და გოროზი, შიშის ზარს დაგცემთ;
ზეთივით რბილი, ბუმბულივით ნაზი ციყავი,
და პა, დავკარგე ამიტომაც პატივისცემა,
რადგან ყოველთვის ასე ხდება — თვითონვე ტლანქი
პატივისცემით მოქცევა მხოლოდ ქედმაღალს.

ვუსტერი. ჩვენს სახლს, ხელმწიფე, ასე თათხვა არ ეკადრება,
მით უფრო, ისეთ აღწევებულ მზრძანებლისაგან,
ვის განდობებას ჩვენ თვითონვე შეგუწყვეთ ხელი.

ნორთამბერლანდი. მილორდ...

მეფე პენრი. თვალთაგან დამეკარგე ახლავე, ვუსტერ, —
შენს თვალში ვხედავ ურჩობას და საშინელებას; —
ჩემთანაც ბედავ თავნებულად კოპების შეკვრას,
მაგრამ ხომ იცი, რომ ხელმწიფე მირონცხებულ
კარიკაცების დაბღვერილ შუბლს ვერ შეიწყენარებს.
ჯობს გამეცალო, ამაზე კარგს ვერცა რას იზამ,
თუ დამჭირდება შენი რჩევა, ისევ მოვიხმობ.

ვუსტერი გადის.

(ნორთამბერლანდს)

თითქოს რაღაცა უნდა გეთქვა...

ნორთამბერლანდი. დიახ, ხელმწიფე,
თქვენ რომ პოლმლონში პარის მიერ ტყვედ შეპყრობილი
ჯარისკაცები მოითხოვეთ, იმათზე ჩემს შვილს
უარი თურმე ისე მკებახედ არ გაუბედავს,
როგორც გადმოსცეს თქვენს ხელმწიფურ დიდებულებას.
აგერ, თვითონვე ამბობს ამას, და დამნაშავეც
ჭორო ან შერი უნდა იყოს, არა ჩემი ძე.

ჰოტსპერი. განა ტყვეებზე ვოქვი უარი, ჩემო ხელმწიფე, —
ახლაც თვალნათლივ მაგონდება, ბრძოლას რომ მოგრჩით,
ქანცაწყვეტილი, სიბრაზისგან პირგამომშრალი,
სუნთქვამეგრული, ხმაღს ღასღასით ძლივს ვეყრდნობოდი,
როცა მოგვადგა უცებ ერთი პრონწია ლორდი,
სასიძოხავით გამოწყობილ-გამოპრანჭული,
ახლახან მომიკლ ყანასავით პირგაფხეცილი,
მეწერილმანისებრ ნელსაცხებლით აქოთებული;
ცერსა და სალოკ თითებ შუა პიწკად უჭირა
პაწია შუშა, დაჩერეტილი, რაც წარამარა
დასაყნოსავად ნესტოებთან მიჭირნდა ხოლმე,
და ყოველ ასეთ დაყნოსავზე მისივე ცხვირი
გაბრაზებული აცხინკვებდა და აცხინკვებდა.
თან ლაქლაქებდა, თანაც ცმუკვით იკრიჭებოდა,

ხოლო როდესაც დამაშვრალმა ჯარისკაცებმა ჩამოატარეს დახოცილთა გვამები იქვე — თქვე გაუთლელი ბრწყინებოო, ასე შესძახა, რადგან გაბედეს და უმგვანი, ბილწი ცხედრები მის ბრწყინვალეობას ზედ ცხვირის წინ ჩამოუტარეს. ქალისებური მანჭვა-გრეხით რაღა არ მკითხა, და მერე უცებ ის ტყვეებიც მომთხოვა თქვენთვის. გამწარებულმა უკვე შემხმარ ჭრილობებისგან, ამ სასაცილო თუთიყუშით გაბეზრებულმა და მოთმინებადაკარგულმა, აღარც კი მახსოვს რა ვუბახუხე — „ჰო“ თუ „არა“ დაუდევრობით; რადგან, ხელმწიფევე, ცოტას ვაწყდა, არ გამაგიჟეს მისმა ბრწყინვალე მორთულობამ. ნელსაცხებლებმა, სისხლზე, ბრძოლაზე, ჭრილობებზე, თოფ-ზარბაზნებზე სეფე-ქალების შესაფერმა მისმა ტიტინმა. ღმერთო მისხენი! — მარწმუნებდა, რომ კონტუზია ყველაზე კარგად სპერმაციტით იკურნებაო, საწუხარ არსო, — თუმც კი მართლაც სამწუხაროა. — რომ წიაღიდან ამ უფნებელ დედამიწისა თხრიან და თხრიან ყოვლის მომსპობ გვარჯილას უხვად რაც მრავალ ვაჟკაცს ბოლოს უღებს მუხანათურად; ეს საზიზღარი ზარბაზნები არ იყოს ქვეყნად, მაშინ თვითონაც ჯარისკაცი გაებდებოდით. ამ უთავბოლო ყბედობაზე, ჩემო ხელმწიფევე, მეც აგდებულად ვუბახუხე, გითხარით კიდევ; ახლა კი ამას გვედრებით, მისი დასმენა საბარალებულო ნიაღვარად ნუ გადიქვევა, ნუ დავგაცილებს ერთმანეთსა და ჩემს ზიკვარულს. ნუ მოაშორებს თქვენს უმაღლეს დიდებულებას.

ბლენტი. ჩემო ხელმწიფევე, როცა კარგად განვსჯით ყველაფერს, თუ ვის მიმართა პარი ბერსიმ ამგვარ სიტყვებით, ან როდის უთხრა, რა ადგილას, რა ბირობებში, და სხვადა, აქ თქმულს, თუ ყველაფერს ავწონ-დავწონით, მაშინ მოკვდება და არასდროს აღარ აღსდგება მის საგნებად და გასაკიცხად იგი სიტყვები; აკი თვითონვე უკან მიაქვს თვისი ნათქვამი.

მეფე პენრი. უკან სად მიაქვს, როცა ტყვეებს ბირობით გვაძლევს და იმ ტყვეების სანაცვლოდ კი გვაგვალდებულებს, ბრიყვი ცოლისძმა მორტიმერი გამოვუსყიდოთ, — ის მორტიმერი, ვინაც ჩვენი ჯარისკაცები, გლენდაუერის წინააღმდეგ ბრძოლად გასულნი, მუხანათურად გასწირა და გააწყვეტინა, თვითონ კი ჯვარი დაიწერა ცოტა ხნის წინათ იმ დაწყვეტილი ჯადოქარის ასულზე თურმე! მისთვის დაფცალო სახელმწიფო საღაროები, რომ მოღალატე გამოვიხსნა და შინ მოვუშვა? ღალატი ფულით შევისყიდოთ? ანუ ლაჩართან, რომელმაც თავი ტყვედ ჩაიდლო და მტერს დანებდა, კავშირი შეეკრა მეგობრული? არა და არა, დაე შიმშილით გასძერეს სული უღაბურ მთებში! არც მას ვიწამებ აღარასდროს ჩემად მეგობრად, ვინც აჯანყებულ მორტიმერის გამოსასყიდად და შინ მშვიდობით მოსაყვანად თუნდაც გროშს მომთხოვს.

პოტსპერი. აჯანყებული მორტიმერი! — ხელმწიფევე, თქვენგან ის არასდროს არ განდგომილა, — ამის მიზეზი გახლავთ ომის მუხანათობა,



და ამ სიმართლეს დაღდებენ მისი სისხლმჩქეფი,
 პირდაბრენილი ჭრილობები, რაც მამაცურად
 სწრაფი სვეერნის ნაპირებზე მიიღო იმან,
 როს ლელიანში სახელგანთქმულ გლენდაურს შეხვდა
 და შეეჭიდა სიმამაცის გამოსაცდელად;
 მთელი საათი გრძელდებოდა მძვინვარე ბრძოლა,
 სამჯერ შეჩერდნენ წამიერად, სულმოსათქმელად,
 სამჯერ მათივე სისხლიანი თვალებისაგან
 დამფრთხალ მდინარეს დაეწაფენ, რომელიც შიშით
 აცახცახებულ ლელიანში მიიჭურწოდა
 და ამ მებრძოლთა სისხლით ნამულ ნაპირების ქვეშ
 ცდილობდა გრუზა ქორიანი თავის დამალვას.
 ბილწი, დამაალი თვალთმაქცობა ასე არასდროს
 მომაკვდინებულ ჭრილობებით თავს არ შეიმკობს.
 არც ღირსებასრულ მორტიმერსა შეეძლო ასე
 მოსამკვნებლად დაეჩხა თავისი თავი,
 დე, ნურც შებლაღვენ მოლაღატის სახელით იმას.

მეფე პანკრი. შენ სტყუი, პერსი, სტყუი-მეთქი, რადგან არასდროს
 გლენდაურთან მას პირისპირ არ უბრძოლია.

იცი, რას გეტყვი,
 იგი ეშმაკთან შეჭიდებას უფრო გაბედავს,
 ვიდრემდე ბრძოლას იმ ოუენ გლენდაურთან.
 არა გრცხვენია?! მაგრამ მორჩა, ამიერიდან
 კრინტის დაძვრაც კი მორტიმერზე არ გამიბედო;
 გიჯობს ტყვეები გამოგზავნო დაუყოვნებლივ,
 თორემ ისეთი მწარე-მწარე მოგასმენინო,
 აღარ გეჩვენოს სასურველად. — ლორდ ნორთამბერლანდ,
 ნება გეძლევა, გამეცალო შენს შვილთან ერთად.
 ჩქარა ტყვეები გამოგზავნეთ, თორემ განანებთ!

გადიან მეფე პანკრი, ბლენტი და ტრენინი.

პოტსპერი. თუნდა ღრიალით თვით ეშმაკი გამომეცხადოს,
 იმ ტყვეებს მაინც არ ვაღირსებ. — გავსდევ და ამას
 პირში მივახლი: გულზე მაინც მომეფონება,
 მერე თავიც რომ წავასაკრო, აღარ დავტყებ.
 ნორთამბერლანდი. ბოღმამ დაგათრო? დაიცადე, სული დაითქვი;
 ჰა, ბიძაშენიც.

შემოდის ვუსტერი.

პოტსპერი. მორტიმერზე არ დაძვრა კრინტი?!

პოი, ჯანდაბა! მაინც მასზე ვილაპარაკებ!
 და წაწყმედილი ვიყო მართლაც სულით-ხორცამდე,
 თუკი არ შევხვდე; ეს ძარღვები გამიხმეს მაშინ,
 სისხლი წვეთ-წვეთად დამედინოს და მტვერი მორწყას,
 თუ დაცემული მორტიმერი არ აღვადგინო
 და იქ არ დავსვა, სადაც ახლა ეს უმადური,
 ეს მანკიერი ბოლინგბროკი წამოჭიმულა.

ნორთამბერლანდი. ხომ ხუდავ, როგორ გაგიცოფა მეფემ მშისწული
 ვუსტერი. ჩემს არყოფნაში ვინ დაანთო ასეთი ცეცხლი?

პოტსპერი. ასე ინება, მომგვარეო ტყვეები ჩქარა,
 ხოლო როდესაც შევახსენე ჩემი ცოლისძმის
 გამოსასყიდი საფასური, მთლად გადაფირდა
 და მომაშტერა გამგმირავად თვალთა ისარი...
 იმის უბრალო ხსენებაზეც კი ცახცახებდა!

ვუსტერი. და ვერც დაძვრახვ, აკი იგი განსვენებულმა
 მეფე რიჩარდმა თვის მემკვიდრედ გამოაცხადა!
 ნორთამბერლანდი. მეც ჩემის ცურით მოვიმინე, შენ მართალს ამბობ.

ეს მაშინ მოხდა, როცა მეფე, ბედუკულმართი, —
 ღმერთმა შეგვიდოს, მის წინაშე რაც ცოდვები ვვაქვს! —
 ემზადებოდა ირლანდიის გასალაშქრებლად,
 სიღვანაც იგი სულ მალევე დაბრუნდა უკან,
 შემდეგ ტახტიდან ჩამოაგდეს და მოჰკლეს კიდეც.

ვუსტერი. აკი ჩაეცვივდით ხალხის პირში მაგ მკვლელობისთვის
 და მთელი ქვეყნის სალანძღავად გადავიქციეთ.

პოტსპერი. რაო, რას ამბობთ? თუ ღმერთი გწამთ გამაგებინეთ,
 ჩემი ძმა ედმუნდ მორტიმერი მეფე რიჩარდმა
 ტახტის მემკვიდრედ დაგვიტოვა?

ნორთამპერლანდი. ჰო, მეც იქ ვიყავ.

და ჩემის ყურით მოვისმინე მეფის სურვილი.

პოტსპერი. მამ მეც არ ვძრახავ მის ბიძაშვილს, დღევანდელ მეფეს,
 მაშინ შამშილით მოკვდინებას რომ ემუქრება.

მაგრამ რას ფიქრობთ თქვენ, რომელთაც მეფის გვირგვინი
 თავზე დაადგით კაცს უმადურს და გულმაგიწყსა,
 ვისთვისაც მკვლელის სამარცხვინო ლაქას ატარებთ. —

რას ფიქრობთ-მეთქი, წყველა-ქრულვა გაგიტკბათ განა,
 ესურთ ვიწოდებდნენ მის დამქაშებს, ბინძურ იარაღს —
 სახჩრობელას თოკს, ანუ კიბეს, ან თვითონ ჯალათს?!

ო, მომიტევეთ, რომ ამგვარად დავეშივლი დაბლა,
 რათა გაჩვენოთ გაიძვერა ხელმწიფის ხელში
 თქვენი ნამდვილი ადგილი და მღვთმარეობა, —

სირცხვილო, ნუთუ ყველას უნდა ეკეროს პირზე,
 ეამთაღმწერელმაც ეს გადასცეს შთამომავლობას.

რომ თქვენისთანა დიდებულნი, ყოვლისშემძლენი
 შეთქმულებაში ჩაგითრიეს და უსამართლოდ, —
 ო, მოგიტევეთ დიდმა ღმერთმა, — მეფე რიჩარდი,

ეს ტკბილი ვარდი ამოგლიჯეთ ძირფესვიანად,
 რათა ეკალი ბოლინგბროკი დაგერგათ ნაცვლად?!

ნუთუ იმასაც შეურიგდით, ჰოი შერცხვენავ,
 რომ კვლავ ეს ჰქონდეთ სალაქლაქოდ — ვით გაგაწიბლიათ,

გაგასულელათ, მოგიშორათ მერე თავიდან
 სწორედ იმ კაცმა, რომლისთვისაც ამ სირცხვილს ზიდავთ?

არა, არ არის ჯერაც გვიან, რომ დაქარგული
 პატიოსნება დაიბრუნოთ და ქვეყნის თვალში

ძველი დიდება-სათნობა კვლავ აღიდგინოთ.

☛ **შური** იძიეთ ზიზღისა და დაცინვისათვის
 გაგოროზებულ ხელმწიფეზე, რომელიც მუღამ,

დღისით და ღამით, იმას ცდილობს ვალში არ დაგრჩეთ
 და მკვლელობისთვის სისხლით გიწლათ სამაგიერო.

მიტომაც ვამბობ...

ვუსტერი. კმარა, ჩუმაღ, ჩემო ძმისწულო,
 მე შენ ახლავე საიდუმლო წიგნს გადაგიშლი,
 რათა პასუხად მაგ ნაჩქარევ წყრომა-ტუქსებისა
 შიგ წაგაქითხო მეტად ღრმა და საშიში საქმე,
 რასაც სჭირდება უფრო დიდი თავის განწირვა,
 ვიდრემდის წვერილი შუბით გავლას აქოთქოთებულს
 და ამორგებულს ნიაღვარზე!

პოტსპერი. უანი გავარდეს!
 თუ ჩაეცვივდებით, დე ჩაეცვივდეთ! ბოლოს და ბოლოს,
 ან ჩაგვიძრავს და ან გავცურავთ. დაე დაიძრას
 საშიშროება აღმოსავლით დასავლეთისკენ,
 მას გადაპყვეთაც ვწად შემხვედრი პატიოსნება,
 ჩრდილოეთიდან წამოსული სამხრეთისკენ,
 დე, შეეჭიდონ ერთმანეთსა! კურდღლებს დვენას

ლომთან ჭიდილი მირჩვენია — სისხლს ამიჩქროლებს,
 ნორთამბერლანდი. მართო ფიქრიც კი ასეთ გმირულ შემართებაზე
 მას მოთმინებას უკარგავს და ბრძოლად აღაგზნებს.

პოტსპერი. ზეცას ვფიცავ, არად მიჩანს მთვარეზე ავსტე
 და ავგლიჯო სათნობა მკრთალი სახიდან;
 ანდა ჩაგყვინთო ზღვის უფსკრულში, — რასაც საწომაღ
 საძირაუი ქვაც ვერა სწდება, — და კულულებით
 ამოჭათრიო ჩაძირული პატოსნება,
 რომელსაც მხოლოდ იმ ბირობით დავისნდი ახლა
 თუ მე დამჩება და არავინ შემეცილება,
 რადგან არ მიყვარს საზიარო მე არაფერი.

ვუსტერი. რაღას არ ხედავს ოცნებაში, მაგრამ ერთადერთს
 იმას ვერ ამჩნევს, რასაც უნდა ხედავდეს იგი!..
 ორიოდ სიტყვა მათქმევინე, ჩემო ძმისწულო

პოტსპერი. ო, შემობრაღეთ...

ვუსტერი. წარჩინებულ შოტლანდიელებს,
 რომლებიც ტყვედ გყავს ჩაგდებულნი...

პოტსპერი. ჩემთვის ვიტოვებ,

ერთ ჯარისკაცსაც არ დავუთმობ, ღმერთს გეფიცებით;
 თუნდ მისი სულის სხნა შეეძლოს ერთ შოტლანდიელს,
 მარჯვენას ვფიცავ, არ დავუთმობ.

ვუსტერი. ისევ დაიწყო
 და როგორც ვატყობ არც აპირებს მათხოვოს ყური.
 ტყვეები შენთვის დაიტოვე...

პოტსპერი. ვიტოვებ კიდევ!

არ მსურსო, ამბობს, გამოსყიდვა მორტიმერისა,
 ნე მუღბუნება — მორტიმერზე კრინტს ნუ დასძრავო;
 მაგრამ როგორც კი ვიხელეთებ და მიინარეს ვნახავ,
 ყურში ჩაგძახებ მორტიმერის სახელს სმამალდა.
 არა, ამასაც არ ვაგმარებ, შოშის ვაგწვრთნი,
 მხოლოდ ერთ სიტყვას შევასწავლი, მხოლოდ „მორტიმერს“
 და მას მიფუძღვნი, რომ მუდამ დღე გულზე სკდებოდეს.

ვუსტერი. მეც მათქმევინე ერთი სიტყვა, ჩემო ძმისწულო

პოტსპერი. საქვეყნოდ ვამბობ, რომ ხელს ვიღებ ყველა საქმეზე
 და დღის შემდეგ მუდამ იმის ცდაში ვიქნები,
 გმხელიტო და გვესლო ბოლინგბროკი, გულზე გავხეთქო;
 იმ ლოთიფოთსა და ჩსუბისთავს უელსის პრინცსაც
 ლუდში საწამლავს ვაუტრედე, მაგრამ მე მგონი
 მზე აგრერიგად არ ამოსდის ხელმწიფეს შეილზე,
 და ფათერაკს თუ გადუყარა, მოიღებენს კიდევ.

ვუსტერი. მშეღობით იყავ; საუბარი მაშინ განგაგრძობთ,
 როცა მოსმენის გუნებაზე იქნები, შვილო,

ნორთამბერლანდი. გაეციდი? ზვიკის ნაკუნით რამ გაგამწარა?
 დედაკაცივით რას გახელდი და გაკაპანდი!
 სხვას აღარც უსმენ და ყურს უგაღებ შენივე ლაქლაქს!

პოტსპერი. ასე მგონია მწყებლაფენო, ქინქრით მცემენო..
 ჭიანჭველები მკმენენ თითქოს — როდესაც ვუსმენ
 ამ გაიძვერა ბილინგბროკსა.

რიჩარდის დროში... — დამავადეთ, რა ციხეაო?
 ჭირმა წაიღოს, რა ციხე დგას გლოსტერშირისში!
 იქ დამთხვეული ბიძამისი პატრონაკობდა,
 აი, ზერცოვი იორკისა, — მაშინ პირველად
 მუხლი მოვდრიკე ამ ქყანია მეფის წინაშე...
 ოჰ, ჯანდაბას... ენაზე მადგას!

რევენსპეტრიკიდან რომ დაბრუნდა ის თქვენთან ერთად...

ნორთამბერლანდი. ბარკლის ციხეში...

პოტსპერი. ჰო, ბარკლის ციხე... შაქრად დადნა, თავაზად იქცა,

კულის ქიციანი მელაქუცა ეს ძალი მაშინ!
 „გაიზარდოსო ჯერ ეგ ჩემი ყმაწვილი ბელი...“
 „ო, ჩემო კარგო ჰარი ბერსი... ჩემო ძმობილო“...
 ეშმაკმა იძმოს მაგისტანა გაიჭყერები!..
 ღმერთო შემინდე!.. — აპა, გისმენ, მე მოვრჩი, ძია,
 ვუსტერი. რატომ? განაგრძე, თუკი დაგრჩა სათქმელი რამე,
 დაველოდებით.

პოტსპერი. არა, მოვრჩი, თავს გევიცებით.

ვუსტერი. მამ შოტლანდიელ ტყვეებისგან დავიწყით ისევ: —
 ყველა გაუშვი, გამოსყიდვას ნუღარ მოითხოვ —
 და მაშინ შვილი დუგლასისა დაგეხმარება —
 შოტლანდიაში ჯარისკაცებს შეგაკერებინებს. —
 მჯერა იოლად მოგვარდება სუყველაფერი,
 და რატომ ვფიქრობ ამას ასე, წერილით გამცნობ.
 (ნორთამბერლანდს).

მილორდ, ვიდრემდე თქვენი შვილი შოტლანდიაში
 მოაგვარებდეს თავის საქმეს, უნდა იმარჯვოთ
 და ყველასაგან საყვარელის, კეთილშობილის
 ეპისკოპოსის გული უნდა მონადიროთ. —

პოტსპერი. ეპისკოპოსი იორკისა? —

ვუსტერი. დიახ, იორკის,

რომელმაც მეფეს აქნობამდე ვერ მიუტევა —
 ბრისტოლში მოკვლა თავისის ძმის ლორდის სკრუპისა. —
 მე რასაც ვამბობ, არ მიიღოთ ლიტონ სიტყვებად
 და არც ჩემს ბირად ვარაუდად; წინასწარგვა
 აწონ-დაწონილ, მოფიქრებულ-გადაწყვეტილი:
 აწ ისღა გემართებს — დაველოდოთ მარჯვე შემთხვევას
 და შევასრულოთ ყველაფერი, რაც განგვიზრახავს.

პოტსპერი. წინასწარვე ვგრძნობ, ჩვენი საქმე აღწუხე მოვა.
 ნორთამბერლანდი, ძალღებს ნუ უსევ, მანან ნადირს წამოაგებდე.

პოტსპერი. უკეთეს გეგმას, გევიცებით, ვერც ვინატრებდი;
 შოტლანდიელებს და იორკელთ შეუერთდება
 თვით მორტიმერიც! ხომ ასეა?

ვუსტერი. ასეა სწორედ.

პოტსპერი. ღმერთს გევიცებით, ჩინებულად მოვიფიქრიათ.

ვუსტერი. დიდი სიჩქარე გემართებს მაინც, ნუ დაივიწყებთ,
 რომ მისი თავის წაცლით ვიხსნით საკუთარ თავებს,
 რადგან თუნდ ასე მორჩილებით ევახლოთ ყველგან,
 მაინც მუდამკამს ეხსომება, არ დაივიწყებს,
 რომ ჩვენი ვალი ჯერაც არ აქვს გასტუმრებული,
 გულს აკლიათო, მუდამ ასე მოიჩვენება,
 ვიდრე იხელოებს და იმ ქვეყნად არ გაგვისტუმრებს.
 ხედავთ, ღიმილიც დავიფიქრია თანდათანობით

პოტსპერი. და ამიტომაც ყველას გემართებს ვითით უფრი. —

ვუსტერი. მშვიდობით, შვილო; იმაზე მეტს ნუღარ შესტოპავ,
 რასაც წერილით არ მოგწერ და არ დავაროვებ.
 როცა დრო მოვა, ეს კი მალე იქნება ახლა, —
 ლორდ მორტიმერს და გლენდაუერს მივეახლები.
 იქ კი შენსა და დუგლასის ჯარს, — ისე მოვაწყობ, —
 დაუყოვნებლივ შეუერთდეს ჩვენი მხედრობაც.
 და ჩვენს ბედობაღს, ცხანცხანით რომ გეიჭირავს ახლა,
 უფრო ღონივრად ჩავეჭიდოთ ჩვენივე ხელით.

ნორთამბერლანდი. მშვიდობით, მამო, იმედი მაქვს, რომ გავიმარჯვებთ.

პოტსპერი. მშვიდობით, ძია, სული მიმდის, ვერ ვდგები შინა,
 ვიდრე ძალუზად დაიქუსებს ბრძოლის ყიჟინა.

გაღიან.



მოქმედება მიმორა

სურათი I. როჩისტარი. სასტუმროს ეზო.

შემოდის 1-ლი მეეტლე, ხელში ფანარი უჭირავს.

1-ლი მეეტლე. პეი-პეი! თავს ვდებ ჩამოსახრჩობად, თუ დილის ოთხი საათი არ იყოს; დიდი ხარ-გუთანი უკვე ახალ საწვიმარ მილს გაუსწორდა, ამით კი ჯერაც არ აუცილნიათ საძალნე ცხენებისათვის. პეი, შეჯინიბე!

მეჯინიბე. (გაოედღაშ შოედღეარ, მოედღეარ)

1-ლი მეეტლე. ტომ, შენი ჭირიბე, კუდა-ცხენს კეხი მოხადე და კოტის ქვეშ ცოტაოდენი ქეჩის ნაჭრები შემოუწყვე, თორემ საბრალო ჯაგლავს ფაფართან ტყვი უწყალოდ გადაყვლივია.

შემოდის მე-2 მეეტლე.

მე-2 მეეტლე. ცერცვი და მუხულო ერთიანად დამაალია, საბრალო ცხენებს მატლებს გაუჩენს მუცელში; რაც მეჯინიბე რობინი მოკვდა, ამ სახლში ყველაფერი თავდაყირა დგას.

1-ლი მეეტლე. საწყალი! შერია რომ გაძვირდა, მას უკან გაღიგებული აღარ მინახავს; და გადაყვა კიდევ იმის ჯაგრს.

მე-2 მეეტლე. ამისთანა საშინელ ფუნდუსს მეორეს ვერ ნახავ მთელს ლონდონის გზაზე — რწყილე-ბითაა ზავსე; ისე დამკბინეს, სულ კაპარჭინასავით ამაჭრულეს.

1-ლი მეეტლე. კაპარჭინაო! შე კდეე პირველი მამლის ყვილის შემდეგ ისე მაგრად დამკბინეს, რომ წირვის მადლმა, არც ერთი ქრისტიანი მეფე არ იქნება ჩემსავით დაკბენილი.

მე-2 მეეტლე. დაგებენენ, მა რა მოგივა, ღამის ჭურჭელს რომ არ გაღირებებ; მეტი რაღა ჩარაა, პირდაპირ ბუხარში უნდა მიუსვა; სწორედ მაგისგან მრავლდებიან რწყილები გოჭალებივით.

1-ლი მეეტლე. მეჯინიბე! არ გეყურება?! ჩქარა გამოდი, შენი ჩამოსხრება ვნახე! ჩქარა-მეთქი!

მე-2 მეეტლე. დამაშუილი ბარკალი და ორი საძალნე ილი მიმაქვს ჩარინე-გაროსში.

1-ლი მეეტლე. ღმერთო, ჩემი ინდურები შიშვლით იხოცებიან კალათში. — პეი, მეჯინიბე! რა ქირი გეცა! დამრმავდი? დაყრუდი? გათახსირებული კაცი დამიძახეთ, თუ მაგის მიტყუება ისეთივე მაღლი არ იყოს, როგორც ერთი კაი გამოზრუცვა. გამოდი, შე ძელზე ჩამოსაკილო! ღმერთი აღარა გყავს?

შემოდის გედსპილი.

გედსპილი. გამარჯობათ, მეეტლეებო; რომელი საათია?

მე-2 მეეტლე. ორი საათი იქნება.

გედსპილი. თუ ძმა ხარ, ფანარი მათხოვე, ჩემს ლაფშას დაეხედავ, საჯინიბოში.

1-ლი მეეტლე. აჰ, რააა ბრძანებ, ვინც გავიცურებია, ახლაც ის გააცურე.

გედსპილი. მამ შენ მათხოვე, თუ კაცი ხარ.

მე-2 მეეტლე. რატომაც არა, მაგრამ როდის? აბა გამოიცანი! მათხოვეო, ხომ? ჯერ ვნახო, როგორ ჩამოგახრჩობენ!

გედსპილი. ეს მაინც მითხარი, შე ხებრე მეეტლე, რა დროისთვის ფიქრობთ ლონდონს ჩასვლას.

მე-2 მეეტლე. რა დროისთვის და, ლონდონს რომ ჩავალთ, სანთლის ანთება დაგჭირდება. — წამოლა, ჩემო მეზობელო მეგს, ბატონები გავაღვიძოთ, იმდენი ბარგებარჩანა აქვთ, რომ ერთად მგზავრობას არჩვენ.

გედსპილი. პეი, ბიჭო!

მსახური. (გარედან) ემ საათში, ჯიბგირებისა არ იყოს.

გედსპილი. რაღა ჯიბგირს მივარდი, ბარემ გეთქვა — ფუნდუსის მსახურისა არ იყოსო; თქვენი საქმე ვის გაუყვა — შენ ასწავლი, ის კი იბარავს.

შემოდის მსახური.

მსახური. დილა მშვიდობისა, მისტერ გედსპილი. რაც წუხელ მოვახსენეთ, ყველაფერი გამართლდა: ჩვენთან დგას ერთი კენტელი მემამულე, სამაის ოქრო მიაქვს თან, ჩემი ყურით გ-გიგონე, წუხელ ვანშამზე ეუბნებოდა თავის თანამგზავრს; ეს მეორე კი ოლიტორი უნდა იყოს, მაგასაც კაი ძალი ბარგებარჩანა მოაქვს, ოღონდ ღმერთმა იცის, რა საქონელი უყრია შიგ. უკვე აღდგენ და კვერცხი და კარაქი მოითხოვეს. საცაა, გაულდებთან ბიდევაც გზას.

გედსპილი. შენი ხმალი და ჩემი კისერი, თუ ეგენი წმიდა ნიკოლასის ჰიშებს არ გადაეყარონ.

მსახური. ნეტა რა ჯანდაბად მინდა შენი კისერი, ისა სჯობია გაუფრთხილდე და ჯალათს შეუნახო მარყუქვი გასაყოფად, რადგან შენც ისე სცემ ბატონს წმიდა ნიკოლასს, როგორც ყველა ყალბ-თახანდი და გაიძვერა.



გელსპილი. ჯალათი რა მოხატანა? გინდა მე ჩამოხრჩვივარ და გინდა წყვილი ჩასუქტულო კსტ, ეგ სულ ერთია, რადგან მე თუ ჩამოყიდეს, ჩემთან ერთად ბებერ სერ ჯონსაც გააყოფინებენ ყულფში თავს; ხოლო ჯონი რომ შიმშილით ჩამომხმარი არ არის, ეს შენც კარგად მოგეხსენება! რას ამბობ, კაცო! ისეთი ვაჟბატონები არიან ჩვენთან, რომ სიხმარშიაც არ მოგვლანდება; უბრალოდ, გართობის სათრით სწყალობენ ჩვენს ხელობას; ასე, რომ თუ ვინმემ ეჭვი აიღო ჩვენზე, არხენად ბრძანდებოდე, ის ჩვენი ვაჟბატონები თავისივე თავის სათრით ყველაფერს მოაგვარებენ. ქუჩის მაწანწალებთან როდი ვარ დაკავშირებული, არც ხელჯონიან არამზადებთან გემგობრობ, ერთი გროშისთვის რომ თავს გაიტეტუნე! არც იმ უღვაშა ცხვირწაწითლებულ დამთხვეულ ლოთებთან! ნურას უკაცრავად! ჩემი მეგობრები კეთილშობილი და დარჩეული ხალხია, სულ ბურგომისტრები და დიდ-დიდი ვინმეები, თავს არაგის და-ანაგვრინებენ, ცარიელა ლაქლაქს დარტყმას ამჯობინებენ, დაღევას — ლაქლაქი უუგობთ, ხოლო ლოცვას ისეც დაღვეა ურჩვენიათ; თუმცა ეს რა ეთქვი, ეშმაკმა დალახეროს, შემეშალა — მუდამ ლოცვა-გედრებაში არ არიან! თავიანთ წმიდანზე — ხაზინაზე — ლოცულობენ; არაკი არ ლოცულობენ, ზედ დააჯირითებენ, მაგრად თულავენ, როგორც საკუთარ წაღებს.

მსახური. რაო, სახელმწიფო ხაზინა მათი წაღებიაო? მერე და ცუდ გზაზე რომ მოხვდნენ, წყალს დაიჭერს?

გელსპილი. დაიჭერს, დაიჭერს; მართლმსაჯულებით არის გაპოხილი. ჩვენ უხიფათო ქურდობა გეყვარს, თითქოს ციხე-კოშკში ვიყოთ გამოკეტული უშიშრად; გვიმრისფრად ვართ შეღებილები და უხილადად დავდივართ.

მსახური. მე კი მგონია, ღამე უფრო გივარავთ, ვიდრე გვიმრისფერი. გელსპილი. ხელი მომეცე: შენც გიღევს წილი ჩვენს ნადავლში, პატროსანი კაცის სახელს გეფიცება. მსახური. სჯობს გაიძვირა ქურდის სახელი დაიფიცო, უფრო დაგიჯერებ.

გელსპილი. კარგია ერთი; კაცი კაცია, ყველას ერთი სახელი აქვს — homo. გასწი, მეჯინებეს უთხარი, ჩემი ჯავლაჯი გამოიყვანოს. მშვიდობით, შე ქუჭყიანო არამზადა. გადიან.

სურათი II. გზა გელსპილის მახლობლად.

შემოდიან პრინცი ჰენრი და პონსი; ბარდოლფი და პეტო მოსორებით ჩანან.

პონსი. ჩქარა, დამალეთ! დამალეთ! ფოლსტაფს ცხენი მოგპარე და ახლა გახამებული ხვერდით დაფარვატებს თვითონ. პრინცი ჰენრი. აქვე გვერდზე მივდგეთ. (გვერდზე მიდგებიან).

შემოდის ფოლსტაფი.

ფოლსტაფი. პონს! პონს! შე ჩამოსახრჩობო! პონს! პრინცი ჰენრი. (წინ წამოდგება) ხმა ჩაიკმიდე, შე ვაბერილო არამზად! რა გაღრიალებს?! ფოლსტაფი. პონსი სად წავიდა, პალ? პრინცი ჰენრი. ამ გორაკზე ავიდა, წავალ, მოვებენი.

ისევ მიიძალება.

ფოლსტაფი. ნეტა ასე ვინ დამწყველა, რომ ამ ბაცაცასთან ერთად მიწერია ხალხის ძარცვა; არამზადამ ჩემი ცხენი სადღაც გააღალა, ეშმაკმა უწყის, სად მიბა, ოთხიოდ ნახიჯი რომ დაავდგა კიდევ, მეტი არც მინდა — სული გამვარდება. თუ ღმერთმა ქნა და სახრჩობელას გადავჩრი ამ გაიძვირას მოკვლისათვის, მერე რა მიჭირს, პატროსანი კაცის სიკვდილით მოკვდები; აგერ ოცდაორი წელიწადია დღე ისე არ დღამდება, საათი ისე არ გაივლის, რომ არ დავიფიცო — ჩამოვცოდებო-მითქი, მაგრამ რა გამოვიდა, თითქოს მონუსხული ცყვდე, მაინც ვერ გწორდები ამ ყალბაბანდს. ახლავე ჩამომხრჩონ, თუ ამ არამზადას სამსალა არ შემოეპარებინოს ჩემთვის. ნამდვილად სიყვარულის სამსალა დამალევიან, პონს! პალ! ჰირი გეცათ ერთსაც და მეორესაც! — ბარდოლფ! პეტო! — მორჩა. შიმშილით რომ მხდებოდეს სული, აქედან ფეხის მომცველი არა ვარ. არა, უნდა ჩამოვმორდე ამ არამზადებს და პატროსანი კაცი გავხდე; ეგ თუ ღვინის ყლოურწვასაბით კარგი საქმე არ იყოს, უკანასკნელი ყალბაბანდი დამიძახონ. რაღა სამოცდაათი მილი გზის ფეხით გავლა და რაღა ამ ოღროზოღრობში რვა ნახიჯის გადადგმა, ჩემთვის სულერთია. განა ამ გულქვა არამზადებმა კი არ იციან ეგა! ჰირი მავათ! გაგონილა, ქურდმა ქურდს უღალატოს!



ისმის სტვენა.

ფუჰ! ჰირი გეცათ! ჩემი ცხენი მომგვარეთ, არამზადებო! მომგვარეთ ჩემი ცხენი და თქვენ თუნდა ჯანდაბამდის გზა გქონიათ!

პრინცი პენრი. (წინ გამოდის) შენ ეი, ჰიპა, ხმა ჩაიკმოდე! ახლაც პირქვე დაემხვე და ყურით მიწას გაეკარ, ნახე მგზავრების ფეხის ხმა ხომ არ ისმის.

ფოლსტაფი. მერე ბერკეტი გაქვთ, რომ პირქვე დამხოზილი, ისევე ფეხზე წამომაყენოთ? გშემა და ლახვროსი მორჩა, თუნდა მამაშენის მთელი ხაზინა მაჩუქონ, ამ სიმორსე მინც აღარ წამოვიღებ ჩემს ღობს. მაგრამ ერთი მითხარი, ჩემს ცხენს რაღა ეშველება?

პრინცი პენრი. ცხენს რა უჭირს, შენ შენი იკითხე, შენ რა გეშველება! ფოლსტაფი. გემუღარებო, ჩემო კარგო პრინცო ჰალ, კაი ხელმწიფის შვილო, ხოხაფენინე ჩემი ცხენი.

პრინცი პენრი. ამ ყალთაბანდს ვერ უყურებ! მე რა შენი მეჯინე მნახე?! ფოლსტაფი. წადი, წადი და შენს სამეგვიდრო წვიგსაკრავზე თავი ჩამოიხრჩვე. ფიქრი ნუ გაქვს, მე თუ ჩავევარდი, თქვენც გაგვცემო. დღინით სავსე ფილაა შხამად შექცეს, თუ ლექსები არ შევთხზა შენზე და ხალხი ბინძურ კილოზე არ გამღერო! ვერ გიტან ხოლმე ხუმრობაში ასე შორს შეტოვას... და ისიც ფეხით!

შემოდის გედსპილი.

გედსპილი. შესდექი!

ფოლსტაფი. ძალიანაც არ მინდა, რომ ვიდეგე, მაგრამ რა გქნა, ვდგევარ და ეგ არის.

პოინსი. ო, ეს ხომ ჩვენი მეძებარია, ხმაზედა ვცნობ (წინ წამოდგება პარდოლფსა და პეტოსთან ერთად).

პარდოლფი. ახალს რას იტყვით?

გედსპილი. სახე დამალეთ. სახე დამალეთ. ნიღბები გაიკეთეთ. გორაკიდან საცაა მეფის ფულგბი ჩამოცურდება და შეფისავე ხაზინისაკენ გასრიალდება.

ფოლსტაფი. სტყუი, არამზად! მეფის სამიკიტნოსკენ გასრიალდება.

გედსპილი. გვეყოფა კიდევ...

ფოლსტაფი. სახრობელაში თავგასყოფად კი.

პრინცი პენრი. ბატონებო, პირველად თქვენ ოთხი დახედებით ვიწრო მოსახვევში; ნედი, პოინსი და მე ქვემოთ ჩავინაცვლებთ; თუ გაგეცათ, ჩვენ წამოგვადგებიან თავზე.

პეტო. სულ რამდენი იქნებიან?

გედსპილი. რვა თუ ათ!

ფოლსტაფი. ეშემა და ღალახვროსი, თვითონვე კი არ გავეძარცვო!

პრინცი პენრი. აი, შე გულღელალო ჟრ ჯონ ჰიპა!

ფოლსტაფი. მართალია, ტანწირწიტი პაპაშენი გონტი არა ვარ, მაგრამ გულღელალო მინც არ ითქმის ჩემზე.

პრინცი პენრი. ამასაც ცნახავთ.

პოინსი. შენი ცხენი თუ დაგჭირდეს, ჯეკ, ღობის გადაღმა ნახავ. ახლა მშვიდობით, მაგრად დადექ. ფოლსტაფი. ვაი რომ ახლა ვერც შემოგვრავ. თუნდა წამომხარჩონ.

პრინცი პენრი. (ჩუმად პოინსს) ჩვენი მოსახამები სად არის, ნედე?

პოინსი. (ჩუმად პრინსს) აქვეა ახლოს. დავიმალეთ.

გალიან პრინცი და პოინსი.

ფოლსტაფი. აბა ბატონებო, ღმერთმა ხელი მოგიმართოთ! ადგილებზე!

შემოდის მგზავრები.

1-ლი მგზავრი. წამოდი, ჩემო მეზობელო, ცხენებს ბიჭი ჩამოიყვანს გორაკიდან, ჩვენ კი ცოტა გავიართო, მუხლი გავმართოთ.

ქურდები. შესდექით!

მგზავრები. ღმერთო შენ გვიშველე!

ფოლსტაფი. მიდი, მისცხე, სული გააფრთხოზინე, ყელი გამოლადრე მაგ არამზადებს, მაგათ! საზიზღარი მულღუბები! ღორით დასუქებული არამზადები! დასანახადაც ვერ გეიტანენ ჩვენ — ახალგაზრდებს. მიდი და სულ გაატყავით!

მგზავრები. მორჩა, დავილუბეთ ჩვენცა და მთელი ჩვენი ზოდგამც!

ფოლსტაფი. ჩამოხრჩობის ღირსი ხართ, თქვე ფაშვიანო არამზადებო! რაო, დავილუბეთ? ვაი რომ ასე არ არის, თქვე ქონით გატენილო წუწურაქებო! ნეტა მთელი ავლა-დიდება თანა გქონდეთ! მოუსვით, ქონის გუნდებო, მოუსვით! ახ, თქვე თაღლითებო! ახალგაზრდებს ცხოვრება



ალარ გვინდა? რაო? ნაფიცი მსაჯულები ხართ? ჰა? ისე გავსაჯოთ რომ... (აღიკვირებს მგზავრებს და შეკრულები გაპყავთ).

შემოდან პრინცი და პონსი, გადაძეულები.

პრინცი პენრი, ქურდებმა პატოსანი ხალხი შებოქეს. ჩვენ რომ ეს ქურდები გავპარცვით და მხიარულად დავბრუნდეთ ლონდონს, სალაპარაკო მთელი კვირისა გვექნება, სასაცილო — მთელი თვისა, ხოლო სალადობო მოსაგონებელი სამარის კარამდე გვეყოფა.

პონსი, დავიმალეთ, მოდიან... (დაიშალეს).

შემოდან ქურდები.

ფოლსტაფი. აბა, ჩქარა, ბატონებო, ნაღვლი გავინაწილოთ და სანამ ინათებდეს, ცხენებს მოვახტეთ; თუ პრინცი და პონსი პირწავარდნილი ლაჩრები არ იყვნენ, მაშინ ქვეყნად სამართალი აღარ ყოფილა და ეგ არის რაღა პონსი და რაღა გარეული ბატი, სიამაყეში ერთმანეთს ვერ გაიქცევიან

პრინცი პენრი, ფულები ჩამოყაპეთ!

პონსი, არამზადები!

ფულის განაწილებაში ვართულ ქურდებს თავს წაადგებიან პრინცი და პონსი. ქურდები გაიქცევიან. ფოლსტაფი, ერთი-ორი დარტყმის შემდეგ, გაიქცევა, ნაღვლს იქვე დატოვებს.

პრინცი პენრი, იოლად ვივადეთ ხელთ ნაღვლი. ცხენებზე მარდა!

ისე დაფეთდნენ, რომ სუყველას თავგზა აებნა, დაიფანტნენ და ვერც ბედავენ — ერთმანეთს შეხედნენ, ჯარისკაცებად ეჩვენებათ თვისი მომენი.

აბა გავსწიოთ, ძვირფასო ნედ. საბრლო ფოლსტაფს

ისე დაასხა ჭირის ოფლმა, რომ მწირი ნიდაგეს.

თან მიცუნტრუყებს, თანაც ოფლით აპოხიერებს.

შეებრალებდი, სასაცილო არ ყოფილიყო.

პონსი, როგორ ბლაოდა არამზად!

გაღიან.

სურათი III. შორპორტის ციხე-სიმაგრე.

შემოდის ჰოტსპერი, წერილს კითხულობს.

ჰოტსპერი. „...მაგრამ ისეთი სიყვარული მაქვს თქვენი სახლისა, მილორდ, რომ მე პირადად მოხარული ვიქნებოდი, თქვენთან ვყოფილიყავი... — მოხარული იქნებოდა! მაშ რაღა უშლის ხელს? ჩვენი სახლის სიყვარული! ზედვე არ ეტყობა, რომ ჩვენს სახლს თავისი საბჭილი ურჩევნი! აბა ქვემოთ ვნახოთ: „მეტად საშიშარ საქმეს მოსჭიდებხართ“. რაღა თქმა უნდა! ასევე საშიშია ვაცივება, ძილი, დაღვევა; მაგრამ უნდა მოგახსენოთ, ჩერჩეტო მილორდ, რომ ამ ჭინჭირიდან, რასაც საშიშროებას ეძახიან, ჩვენ უშიშროებად ხმობილ ყვავილებს დავკარგეთ. „მეტად საშიშარ საქმეს მოსჭიდებხართ; თქვენ რომ თანამზრახველებს ასახელებთ, სანდონი არ არიან; დრო — შესაფერი არ არის; და საერთოდ მთელი თქვენი გეგმა ზერეულად არის მოფიტრებული, ასეთი ძლიერი მტრის წინააღმდეგ არ გამოდგება“. ვითომ? ასე გვონიათ? მე კი ვაკვირებოვ, რომ თქვენ ქარაფშუტა და ლაჩარი ბრძანდებით. და სტყუით კიდეც! უტყინო! დემირთმა ხომ იცის, რომ ასეთი კარგი გეგმა ჯერ არავის მოუფიტრებია, თანამზრახველები ერთგული და სანდონი არიან; კარგი გეგმა, კარგი თანამზრახველები, კარგი იმედიები!.. შესანიშნავი გეგმა, ძალიან კარგი თანამზრახველები! უსულგულო არამზად! მაშ — იორკის მთავარეპისკოპოსის რატომ მოსწონს ჩვენი გეგმაცა და მთელი ჩვენი მოქმედებაც! ოჰ, ერთი აქ მომცა ეს არამზადა, თავისივე ქალბატონის მართით გამოგუბერტყავდი ტვინს თავიდან. ბოლოს და ბოლოს, მამაჩემი, ბიძაჩემი, მე თვითონ... ამ შეთქმულების მონაწილენი არა ვართ? ახლა ლორდ ედმუნდ მორტიმერი? იორკის მთავარეპისკოპოსი? ოუენ გლენდაუერი? დოვლასიცი ლორ ჩვენთან არის? აგერ არა მაქვს მათი წერილები — იმ თვის ათში ანჯარასხმულებს გველოდეთო?! ზოგიერთი ხომ დაიძრა კიდეც ჩვენსკენ! ეს რა ურჯულო არამზადა ყოფილა! უწმინდური! ჰა! ნახე თუ ეს ციხისსილიანი ლაჩარი მეფესთან არ მივიდეს და მთელი ჩვენი განზრახვა არ ჩაუკაკლოს! ო, რომ შეიძლებოდას შუაზე ვაციყო და ჩემივე თავს სილა გავაწუნა; ამ დოვლასიას ასეთი დიდი საქმე როგორ გავანდი! ჯანდაბამის გზა ჰქონია! უთხრას მეფეს — ჩვენ ხომ მზადა ვართ! ამალამე დავიძრებო.



შემოდის ლედი პერსი

შენა ხარ, კეიტ? კიდევ ორი საათი და გაგზორდები.
 ლედი პერსი, ჩემო ძვირფასო, რატომა ხარ ჯანპარტოებით?
 ეს ორი კვირა მიტოვებულ დედაკაცოვით
 ჩემს პარის საწოლს რად ვარ ასე მიმორებული?
 მითხარი, ჩემო საყვარელო, რა მოგვიდა,
 რამ დაგიკარგა ოქროს ძილი, მადა, სიამე?
 გამუდმებულად მიწას რისთვის ჩაშტერებინხარ?
 მართო რომ ზიხარ, ხშირად რატომ შვეკრები ხოლმე?
 მჩქეფარე სისხლი რამ გაგიქრო მაგ ლაწვებიდან?
 შენ ხომ ჩემი ხარ, და ეგ ჩემი ტკბილი საუნჯე
 წყეულ სევდას და მძიმე ფიქრებს რისთვის დაუთმე?
 ოდნავ რომ წათვლემ — იქვე ვინდები და გითვალთვალებ, —
 შენ რკინის ომზე ვაცხარებთ მოპყვები ბუტბუტს;
 თითქოს შენს მერანს მიაგელებ თევამოდებით,
 ყვირი — „გამხნეველი! მტერს ეკვეთო!“.. რას არ ახსენებ:
 სანგრებს, შეტევას, კარგებას და უკან დახევას,
 მიწაყარლებსა და ღობურებს, ალყის შემორტყმას,
 ბასილიკოსა და კულევინის, პირქუშ ზარბაზნებს,
 მოკლულ მეომრებს და ფულს, ტყვეთა გამოსასყიდად...
 ყველაფერს, რაც კი გაფიცებულ ბრძოლას თანა სდევს.
 და იშვარად ხარ ომის ცეცხლით გულანთებული,
 ბრძოლებზე ფიქრი ძილსაც ისე გიშფოთებს მუდამ,
 რომ შუბლზე ცვარად სიმწრის ოფლი დაგასხამს ხოლმე.
 ვით აბორგებულ ნიაღვარზე ბუშტები წყლისა;
 სახის იერიც უცნაურად გამოგეცვალა —
 როგორც ხიფათის მოლოდინში სუნთქვაშვეკრულებს;
 გამაგებინე, ეს რას ნიშნავს, რას მოასწავებს?
 მეუღლეს ჩემსას რაღაც მძიმე საქმე აწუხებს
 და თუ ვუყვარვარ, მეც გამანდობს წუხილის მიზეზს.

პოტსპერი. პეი,

შემოდის მსახური.

პეიტი ჯილიამსმა წაიღო უკვე?
 მსახური. დიახ, წაიღო, საათია, მას შემდეგ, მილორდ.
 პოტსპერი. ბატლერს ცხენები შერიფისგან არ მოუგვრია?
 მსახური. ეს წუთი არის, ერთი ცხენი მოგვგვარათ, მილორდ.
 პოტსპერი. ის ყურგაპირილი ლურჯა ცხენი?
 მსახური. დიახ, ბატონო.
 პოტსპერი. ეგ ლურჯა — ბურჯად გადიცევა, ტახტზე ამიყვანს.
 წავალ, ახლავე მოვატები; ოი, esperance.
 ბატლერს უბრძანე, მომიყვანოს პირდაპირ ბაღში.

მსახური გადის.

ლედი პერსი. მე არ მომისმენ?
 პოტსპერი. რას მიბრძანებ, ჩემო მეუღლე?
 ლედი პერსი. რა გაიძულებს, რას მიყვებარ შინიდან, პარი?!
 პოტსპერი. ცხენს, რა თქმა უნდა, ცხენს მიყვარ, ჩემო ძვირფასო.
 ლედი პერსი. ეჰ, დამთხვეულო მაიმუნო! დღეოფალასაც
 არ აქვს ამდენი ხუსტური და უცნაურობა!..
 მაგრამ, ვიფიცავ, ჩემო პარი, გულით მწაღიან
 გავივო შენი საიდუმლო, ნუ დამიმაღავ.
 ვაჰ თუ ჩემმა ძმამ მორტიმერმა მოიწადინა
 ძველი უფლების აღდგინება და შენცა ვთხოვია,
 რომ შეუერთდე აჯანყებულთ! იქ თუ წახვედი...
 პოტსპერი. ფეხით? ასე შორს, ჩემო კარგო?! ხომ დაგიქანცი!



ლელი პერსი. კმარა, გეყოფა, თუთყულო, ის გირჩევნია ჩემს შეკითხვაზე პირდაპირი პასუხი მომცე; პარი, იცოდე, ნუკს მოგამტერებ, ღმერთს გეფიცები, მთელი სიმართლე ამ საქმისა თუ არ გამანდე.

პოტსპერი. კარგი, გეყოფა, ნუ გიყვარვობ! სიყვარულით? როდის მიყვარხარ! შენთვის ახლა აღარ მახალია. ვილასა სცხელა ტოკინებთან თავშესაქცევად, ანუ ტურქების საგარჯიშოდ; აწუ თაგის ჩეგვა და სისხლის დენა ცხვირპირიდან!—ო, ცხენი, ჩქარა!— რას ამბობ, კეიტ? რა გსურს ჩემგან, ერთი მითხარო!

ლელი პერსი. აღარ გიყვარვარ? მართლა აღარ? შენი ნებაა, მეც, მიტოვებ, ჩემი თავი არ მიყვარება!

პოტსპერი. წამოდი, არ გსურს დამინახო, როგორ გავქუსლავ? როდესაც ცხენზე ავმედღრდები, მაშინ შეგფიცავ, მიყვარხარ-მეთქი შენ უსაზღვროდ. მისმინე კეიტ. ნულარა მეთხავე, სად მივდივარ, ან რა საქმეზე; უნდა წავიდე, და მიეღივარ! მოკლედ რომ მოგპრა, ამაღამ უნდა მიგატოვო, ძვირფასო კეიტ, განა არ ვიცი — ჭკვიანი ხარ, თუმცე პარის ცოლზე უფრო ჭკვიანი არ იქნები; ვიცი მტკიცე ხარ, მაგრამ ქალი ხარ, რაგინდ იყოს, თუმცა ქალთაგან შენებრ ვერაფერ საიდუმლოს ვერ შეინახავს; მიტოვაც მკვება: რაც არ იცი, იმას არც იტყვი; შენი ნდობა მაქვს მეც ამდენად, ძვირფასო კეიტ.

ლელი პერსი. მხოლოდ ამდენად?

პოტსპერი. არც ერთი გოჯით მეტად არა. მისმინე, კეიტ: საცა მივდივარ — შენც იქითკენ უნდა წახვიდე; მივემზავრები მე ამაღამ, ხვალ შენ წამოხვალ. ახლაც არა ხარ კმაყოფილი?

ლელი პერსი. მეტი რა გზა მაქვს.

გაღის.

სურათი IV. ისტრიპი. ტრაპტირი, ტახის თაში

შემოდის პრინცი ჰენრი.

პრინცი ჰენრი. ნედ, თუ კაცი ხარ, გამოდი მავ გაზინთულ ოთახიდან და ცოტა გამამხიარულე შემოდის პრინსი.

პრინსი, სად ყოფილხარ, პალ?

პრინცი ჰენრი. სამ თუ ოთხ მუხის კუნძისთა ვაჭბატონთან ერთად სამოც თუ ოთხმოც მუხის კანრზე დროს ვატარებდი. უკვე ფსკერზე დავეშვი, მღაბიობთან, და ყველაზე ქვეითა სიმხ შევეხე: მიკიტნების მთელი ხროვა ძმად გაეხადე; შემძლია ყველას ნათლობის სახელე გითხრა — ტომ, დიკ, ფრენსის... სულსა ჰფიცავენ; მართალია, ჯერ ტახტზე არ ასულხარ, მხოლოდ უელსის პრინცი ბრძანდები, მაგრამ ნამდვილი თავაზიანობის მეფე ხარო; პირდაპირ მეუბნებიან — ფოლსტაფივით გაბლენძილი კი არ დადიხარ, ნამდვილი კორინთელი ხარ — ჩვენი ბიჭო, სწორედ ასე მეძახიან, ღმერთმანი, — ინგლისის მეფედ რომ გავურთხებენ, მთელი ისტრიაის კაი ბიჭები შენს სამსახურში გვიგულეო; ღვინის სმას გაჭარხლებას ეძახიან; სმის დროს თუ ცოტათი სული მოითქვი, „აბა-აბაო“, მოგაძახებენ და ბოლომდე დაგაცლევინებენ ფიანს. მოკლედ, თხუთმეტ წუთში ისე გაეწაფე, რომ ახლა არ გამიჭირდება მთელი ჩემი სიცოცხლე ვინმე თოქმაჩთან ვილოთო და მისივე ენაზე ვესაუბრო. ზევრი პატივი და დიდება დაგაკლდა, თან რომ არ მახლდი. მაგრამ, ჩემო ტკბილო ნედ, — კიდევ უფრო ტკბილი რომ გახდეს შენი სახელი, აბა, ერთი კვინტი შეაჭარი; სწორედ ახლა მომჩეჩა ხელში მსახურმა ბიჭმა, ერთმა იმათგანმა, რომელთაც ინგლისურად მხოლოდ რამდენიმე სიტყვა იციან — „რვა შოლინგი და ექვსი პენი“, ანდა „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება“, და მაშინვე დაუმატებენ წრიპინით „ეხლავე, ეხლავე, სერ! ერთი პინტი ტკბილი ღვინო ნახევარ-მთვარის ოთახში“... — მაგრამ-მეთქი, ნედ, ფოლსტაფის მოსვლამდე დრო რომ მოკლათ, ადექი და მეზობელ ოთახში შედი, მე კი მანამდე მსახურ ბიჭს ვამოკვიოხავ, რამ მოუხუსტურა, ეს შეაჭარი



რომ მომცა: ამასობაში შენ იძახე და იძახე — ფრენისი, ჩემთვის, პასუხის მოცემას ნუღა დააქლო, სულ „ეხლავე“ და „ეხლავე“ აყვირე. აბა წადი, გასწავლი, როგორ უნდა მოიქცე. გადის პოინსი.

პოინსი. (შიგნიდან) ფრენისი!
პრინცი ჰენრი. დიდებულია.
პოინსი. (შიგნიდან) ფრენისი!

შემოდის ფრენისი.

ფრენისი. ეხლავე, ეხლავე, სერ. — ბროწეულის ოთახს მიხედვე, რაღფ.

პრინცი ჰენრი. აქ მოდი, ფრენისი.

ფრენისი. რას მიბრძანებთ, მილორდ?

პრინცი ჰენრი. კიდევ რამდენი წელი უნდა იმსახურო, ფრენისი?

ფრენისი. ხუთი წელი, სწორედ იმდენი, რამდენიც...

პოინსი. (შიგნიდან) ფრენისი!

ფრენისი. ეხლავე, ეხლავე, სერ.

პრინცი ჰენრი. ხუთი წელი! ღვთისმშობელს ვფიცავ, კიდევ ბევრი დრო დაგრჩენიათ ქვაბების საჩხრიალოდ. მაგრამ ეს მითხარი, ფრენისი, იმდენ მამაცობას თუ გამოიჩენ, რომ ლაჩრის როლი გაითამაშო, შენს დამჭირავებელს ზურგი აქციო და გაექცე?

ფრენისი. ღმერთო ჩემო, რასა ბრძანებთ, ბატონო, რაც ინგლისში ბიბლია მოიძებნება, ყველაზე დავიფიცავ, რომ მაგის მამაცობა მე...

პოინსი. (შიგნიდან)

ფრენისი!

ფრენისი. ეხლავე, ეხლავე, სერ.

პრინცი ჰენრი. რამდენი წლისა ხარ, ფრენისი?

ფრენისი. დამაცათ, გამოვთვალო... მომავალი მიქელობას გავხდები...

პოინსი. (შიგნიდან) ფრენისი!

ფრენისი. ეხლავე, სერ. — ცოტა ხანს დამიცადეთ, მილორდ.

პრინცი ჰენრი. კეთილი, მაგრამ იცი, რა ვითხრა, ფრენისი, შენ რომ შაქარი მომეცი, აკი ერთი ჰენრი ღირს.

ფრენისი. ეჰ, ღმერთო ჩემო, ნეტა ორი ღირდეს სერ.

პრინცი ჰენრი. ათას გირვანქას მოგცემ იმ შაქარში, შენ მხოლოდ მითხარი, როდის გინდა და ნაშინევი მიიღებ.

პოინსი. (შიგნიდან) ფრენისი!

ფრენისი. ეხლავე, ეხლავე.

პრინცი ჰენრი. ეხლავე, ფრენისი? არა, ფრენისი, ხვალისათვის გადავდეთ ან ხუთშაბათს, ფრენისი ერთი სიტყვით, როცა შენ მოიგუნებებ, ფრენისი; მაგრამ, ფრენისი...

ფრენისი. რას მიბრძანებთ, მილორდ?

პრინცი ჰენრი. იმ ტყავის ქურთუკიან კაცს თუ გაქურდავ, აი მინის ღილებიანს, თმაშეკრეჭილს, აგათის ბეჭედს რომ უკეთია თითზე, ნაცროსფერი წინდები აცვია, შალის ბაფთის წივიცაყრავი, ან ენალატუცას, აი, ესპანური ქისა რომ ჰკილია...

ფრენისი. ო, ღმერთო ჩემო, ვისზე მეუბნებით, მილორდ.

პრინცი ჰენრი. მაშ, ამ შეტყობილებული წითელი ღვინის გარდა არაფერი გაქვთ სასმელი? ფრთხილად, ფრენისი, ეგ თეთრი ქურთუკი არ გაისვაროთ. არა, ბატონო, ბერბერიში ამას არავე იზამს.

ფრენისი. რასა, სერ?

პოინსი. (შიგნიდან) ფრენისი!

პრინცი ჰენრი. აბა მოუსვი, არამზადავ, არ გესმის, რომ გეძახიან?

პრინცი და პოინსი ერთდროულად დაუწყებენ ძახილს. ფრენისი გაოგნებული დგას, ვეღარ გადაუწყვეტია, საით წავიდეს.

შემოდის მეზუფეტი.

მეზუფეტი. რას გაშტერებულხარ, არ გესმის, რომ გეძახიან? აბა, იმ ოთახში მიხედვე სტუმრებს.

ფრენისი გადის.

მილორდ, ბებერი სერ ჯონი დგას კარებთან, ექვსიოდე კაცი ახლავს; შემოვუშვა?

პრინცი ჰენრი. ჯერ აყურყუტე და მერე შემოუშვი.

მეზუფეტი გადის.

პოინსი



შემოდის პოინსი

პოინსი, ეხლავე, ეხლავე, სერ.

პრინცი ჰენრი, ფოლსტაფი და დანარჩენი ბაცაცები კარებთან დგანან. რას მოვილხნეთ!
პოინსი. ჭრიჭინასავით მოვილხნეთ. ეს რა ოინი უყავი იმ ლაწირაკს! რითი გათავდა?

პრინცი ჰენრი. ისეთი ოინები მიტრიალებს თავში, როგორიც ჯერ არავის დასიზმრებია ადამის დრო-
იდან მოკიდებული ამ შუალამის თორმეტ წაათამდე... რომელი საათია, ფრენსის?

ფრენსისი. (შიგნიდან) ეხლავე, ეხლავე, სერ.

პრინცი ჰენრი. გაგონილ, ყმაწვილმა კაცმა იმდენი სიტყვაც კი არ იცოდეს, რაც თუთიყუშს დაუ-
ზებირებია, და მაინც ქალის ნაშობად თვლიდნენ! მთელი საქმე მაგისა კიბეებზე აღმა-დაღმა
სირბილია, მაგისი მჭევრმეტყველება — ანგარიშის მოთხოვნა... ჯერ კიდევ ვერ დავგმავავე
პერსის, ამ ჩრდილოეთის ცხელ შუბს; ვითომც არაფერიო, გაუჟავს ექვს-შვიდ ღუჭინ შოტ-
ლანდიელს საუზმის წინ, ხელს დიხანს და ცოლს ეუბნება — „ფუჰ, შეგარცხვინე ამისთანა
მშვიდობიანი ცხოვრება; მომწყინდა უსაქმობა!“ „ო, ჩემო ძვირფასო ჰარი, — მიმართავ
ცოლი, — რამდენი მოჰკალი დღეს?“ „ლურჯას წყალი დააღვინეთ“, — იტყვის იგი; „ოთონ-
მეტამდე!“ და ერთი საათის შემდეგ დასძენს — „ცუდღებარალოდ მიდის დრო!“ ერთი, თუ
ღმერთი გწამს, ფოლსტაფს გასძახე. მე პერსი უნდა წარმოვადგინო, მაგ ქონის გუნდამ კი
ლელი მორტიმერი, პერსის ცოლი. „Rivo!“ ლოთებისა არ იყოს! გასძახე მაგ ქონის გუნდა!

შემოდინ ფოლსტაფი, გედსპილი, ბარდოლფი და პეტო. მათ შემოყვება
ფრენსისი, რომელსაც ღვინო მოაქვს.

პოინსი. გამარჯობა, ჯექს, სად ყოფილხარ

ფოლსტაფი. ჭირი, რაც ქვეყანაზე ლაჩრებია! ჭირი და გაწყვეტა! ამინ! მითქვამს და ასეც იქნება!
ერთი ჭიქა ღვინო დამალევიზე, ბიჭო. — ამისთანა ცხოვრებას, როგორ არ მიჩრევნია დავჯდე
და წინდები ვქსოვო, დაგლეჯილი ადგილები გამოვკეცხო, ტერფი გამოვაკეცი! ჭირმა გაწყვი-
ტოს, რაც ქვეყანაზე ლაჩრებია! — ერთი ჭიქა ღვინო-მეთქი, არამზადა. — სათნო ხალხი სულ
გადაშენდა! (სვამს ღვინოს).

პრინცი ჰენრი. არ გინახავთ ტიტანი („ის გულმონწყალე ტიტანი!“) როგორა კოცნის და აღერსია-
ნი ზღაპრებით ადნობს თუფშუხე კარაქს? თუ არ გინახავთ, ამ ქონის გუნდას შეხედეთ.

ფოლსტაფი. აჰ, შე თაღლითო! კიდევ კირი გაურევია ღვინოში! თაღლითობის მეტს რას უნდა მოე-
ლოდე გაიძვერა კაცისაგან... მაგრამ ლაჩარს ისევ კირგარეული ღვინო მიჩრევნია. საზიზღარი
ლაჩარი! შენი გზით იარე, ბებერო ჯექს; როცა მოგეხუსტუროს, მოკვდი. გამოვიგნული ქა-
შაყი ვიყო, თუ ვაჟაკობას, ნამდილე ვაჟაკობას, კიდევ ჰქონდეს რამე ფასი ქვეყანაზე. მთე-
ლი ინგლისი რომ შემოიარო, სამ ბატონსან კაცს ვერ ნახავ ჩანოებრჩობს; და იმათგანაც
ერთს სიმსუქნე და სიბერე შეეპარა. ღმერთო, შენ მოუმართე ხელი! არა, მითქვამს და ვიტყ-
ვი, რომ სულ გათხსირდა ხალხი. ნეტა ფეიქარი მაინც ვიყო, ფსალმუნების გალობას გა-
დავყოლებდი გულს. ჭირმა გაეჟუქოს ლაჩრები! მითქვამს და ვიტყვი კიდევ!

პრინცი ჰენრი. რა იყო. მატყლის ბარდანავ, რას დუდღუნებ?

ფოლსტაფი. უფლისწულს დამიხედეთ! ქონს ვიყო, თუ ხისაგან გამოჩორკნილი ხანჯლით არ დაგა-
ფრინოთ გარეული ბატებივით შენცა და მთელი შენი ქვეშევრდომებიც. უელსის პრინცს და-
მიხედეთ!

პრინცი ჰენრი. რა იყო, შე ჩატიტნილო ნაბუშარო, აღარ იტყვი, რა მოვიცადა?

ფოლსტაფი. ლაჩარი არა ხარ? არა, მიპასუხე. არც პოინსი ჩამოგრჩება!

პოინსი. ჰაი, შე ჭიპა, თუ კიდევ გაგიბედავს ლაჩრის დაძახება, ღმერთს გეფიცები, ხანჯლით გამოგ-
შვიცავ.

ფოლსტაფი. მე დავიძახე ლაჩარი? უმალ სულს წავიწყებდი, ვიდრე მე ლაჩარს დავიძახებდი. მაგ-
რამ ნეტა შენისთანა სირბილი ვიცოდე და ათასი გირვანქა ვალი მქონდეს! კაი მხარბეჭიანი
ბაჰი ხარ და ზურგის შეტყვევა არ გერცხვინება. ამას ეძახი შენ ზურგის გამაგრებას? ღმერთ-
მა შეარცხვინოს მაგისთანა ზურგია გამაგრება! ამა ერთი თვალი გამისწოროს ვინმემ! —
ღვინო დამისხი! — გათახსირებული კაცი ვიყო, ერთი წვეთი ღვინო თუ ჩამეშვას პირში
დღეს.

პრინცი ჰენრი. აი შე თაღლითო! ისევ ტუჩზე გაჩნია ღვინო.

ფოლსტაფი. სულერთი არ არის! (სვამს) ჭირმა გასწყვიტოს ლაჩრები! მითქვამს და ვამბობ.

პრინცი ჰენრი. აღარ იტყვი, რა მოიღა?

ფოლსტაფი. რა მოხდა! რა მოხდა და, ოთხმა აქ მყოფმა დღეს დილით ათასი გირვანქა ჩავიგდეთ
ხელში.

პრინცი ჰენრი. მერე სად წაიღეთ, ჯექს, სად წაიღეთ?



ფოლსტაფი, სად წაიღეთ! ჩვენ კი არ წავიღეთ და ჩვენგან წაიღეს: ასი მაინც დაგვესხა თავს ოთხ საწყალ კაცს.

პრინცი პენრი. რას ამბობ, ასი კაცი?!

ფოლსტაფი. ბარე ორი საათი ვუმკლავდებოდი ჩემი ხმლით მთელს დღეებს; გარეწარი ვიყო, თუ ვტყუოდა. სასწაულოა ჩემი ვადარჩენა! რვა ადგილას მაქვს ქურთუკი ვახერხებელი, შარვალი — ოთხგან, ფარი სულ დამიციხრილეს, ხმალს პირი აღარ შერჩა, ხერხად იქცა. აჰა ecce signum! რაც თავი მოვიყარე, ასე მაგრად არ მიბრძოლია. მაგრამ რა გამოვიდა?! ჭირმა გაუქუოს, რაც ქვეყანაზე ლაჩრებია ამათ კიბზე თუ გინდა: თუ მოუმატონ, ან დააკლონ რამე, არამზადები და ჯოჯონეთის მოციქულები იყვნენ.

პრინცი პენრი. გვიამბეთ, ბატონებო, როგორ მოხდა?

გედსპილი. ჩვენ ოთხნი ვიყავით, და თორმეტამდე კაცს დავესხით...

ფოლსტაფი. თექვსმეტი მაინც იქნებოდა, მილორდ!

გედსპილი. გაკოჭეთ.

პეტო. რას ამბობ, როდის გაგვოჭეთ?!

ფოლსტაფი. როგორ არ გაგვოჭეთ, არამზადა, ყველა გაგვოჭეთ. ურია ვიყო, თუ არ გაგვეოჭოს, ურ-ჯულო ურია ვიყო!

გედსპილი. ის იყო, ნადავლის გაყოფა დავიწყეთ, რომ ექვსი თუ შვიდი სხვა დაგვესხა...

ფოლსტაფი. მაშინვე მიცივიდნენ გაკოჭილებს და ხელ-ფეხი გაუხსნეს. ამასობაში სხვებიც მიეშველენ...

პრინცი პენრი. მერე, ყველას შეებრძოლეთ?

ფოლსტაფი. ყველასო! არ ვიცი, ყველას რას ეძახი, მაგრამ ნოლოკის კონად დამსახეთ, თუ მარტო მე ორმოცდაათ კაცს არ შევებრძოლებოდი. კაციშვილი არ ვიყო, თუ საბრალო ბუერი ჯეკი ორმოცდათორმეტ, ორმოცდაცამეტ კაცს არ გამკლავებოდას.

პრინცი პენრი. ღმერთმა ნუ ქნას, რომ ვინმე შემოგვედომოდეს!

ფოლსტაფი. ღმერთი რაღას უშველის, ორი მათგანი წიწაკასავით გაფსრის... იცოცხლებ, ორს გაგუსწორე ანგარიშო... მოსასხამში ვახვეულ ორ არამზადას. იცი რას გეტყვი, პალ, თუ ვტყუოდე, სახეში შემაფურთხე, ჭკვი მიწოდე. შენ ხომ იცი, როგორ ვხმარობ ხმალს — ასე დავდექი, ასე შევეტევი. ოთხი მოსასხამიანი არამზადა გამოვარდა...

პრინცი პენრი. ოთხი? აკი ორიო!

ფოლსტაფი. ოთხი, პალ, ოთხი ვითხარი.

პოინსი. კი, კი, ნამდვილად ოთხი თქვა.

ფოლსტაფი. ერთამზად დამესხნენ ოთხივენი, წინიდან. მეც ბევრი წილადობილა არ დამიწყია, შვიდივეს დარტყმა აი ასე მოვიგერიე, ფარით.

პრინცი პენრი. შვიდი? ამ წუთში არ ამბობდი ოთხიო!

ფოლსტაფი. მოსასხამებიანი?

პრინცი პენრი. პო, კაცო, მოსასხამიანთავე ოთხი კაციო!

ფოლსტაფი. შვიდი, ამ ხმლის ვადას გეფიცები! არამზადა ვიყო, თუ ვტყუოდა.

პრინცი პენრი. კარგი, ნუ უშლი; კიდევ მოიმატებს.

ფოლსტაფი. არ მისმენ, პალ?

პრინცი პენრი. გისმენ და მერე როგორ, ჯეკ.

ფოლსტაფი. პო, მისმინე, ღირს კიდევ მისმენად. ერთი სიტყვით, ამ ცხრა მოსასხამიანს...

პრინცი პენრი. ასე უცებ მოემატა ორი?

ფოლსტაფი. გადაუტყდათ თუ არა ხმლები...

პოინსი. შარვლებიც ჩასტვრათ.

ფოლსტაფი. უკან დახვევა იწყეს. მაგრამ რას მოვეშვებოდი! ფეხდაფეხ მივსდიე და თვალის დახამამებაში, თერთმეტიდან შვიდს გავეუსწორდი.

პრინცი პენრი. პირდაპირ სასწაულოა; ორიდან — უცებ თერთმეტი მოსასხამიანი გახდა!

ფოლსტაფი. მაგრამ ეშმაკს არ ეძინა. უცებ უკანიდან სამი არამზადა ნაბუშარი მომვარდა. კენდალური მწვანე შალის ქურთუკები ეცვით! რა უნდა მექნა, ისე ზნელოდა, პალ, რომ თვალში თითს ვერ მიიტანდა...

პრინცი პენრი. ეს ტყუილი კი თავისივე შექმნილ ჩამასა ჰგავს: მასავით გაბერილია, მოკლევფეხება და აშკარა — მაშინვე თვალში გეცემა. აი, შე თიხით თავგამოტენილო, დამთხვეულო, ნაბუშარი, უტიფარო, მუჭყიანი ქონის ჯულავე...

ფოლსტაფი. რა მოვიგია? გაგიჟდი? ჭკუიდან შეცმალე? თუ სიმართლეს ფასი დაეკარგა!

პრინცი პენრი. არა, თუ კი ისე ზნელოდა, რომ თვალში თითს ვერ მიიტანდი, კენდალური მწვანე შალი როგორღა დაინახე! პა, აგვისსენი, როგორღა დაინახე-მეთქი?

პოინსი. პო, აგვისსენი, ჯეკ, აგვისსენი.



ფოლსტაფი. ძალით გნებავთ მათქმევინოთ? ვერ მოგარვით! ჯვარზეც რომ მაცვათ და მაწამოთ...
ლათი მაინც ვერ მათქმევინებთ. ძალათი გნებავთ მათქმევინოთ! მაცვალივით თავზე საყარა
რომ მქონდეს სათქმელი, ძალათი მაინც ვერ მათქმევინებთ.

პრინცი ჰენრი. არც მიფიქრია ამისთანა ცოდვის ჩადენა; შე ლაქაჯა ლაჩარო, შე ნაცარქექია, ხორ-
ვის გორავ, ცხენის ზურგის ჩამტეხელო...

ფოლსტაფი. კარგი, გეყოფა, შე ჭნავო, თვეზის ქექელო, გამხმარო ძროხის ენავ, ხარის კულო, გამო-
მშრალი ვირთვეზავ... სულმოუთქმელად რა კაცმა უნდა ჩამოთვალოს ყველა შენი სახელი..
შე თერძის არშინო, ცარიელა ქარქაშო, კაპარტო, დაბლაგვეულო დაშავა...

პრინცი ჰენრი. დაიცე, სული დავითქვი და ისევ განაგრძე; ხოლო როცა ამ ცარიელა ბრაბა-ბრუნით
დაილალო, შე მომისმინე.

პოინსი. მოუსმინე, ჯეკ.

პრინცი ჰენრი. ჩვენ ორნი ვითვალთვალვებით, როგორ დავსხით თქვენ ოთხნი იმ ოთხს, როგორ ვა-
კოქეთ და შერე მივლს იმათ ავლა-დიდებას დაეპატრონეთ... აბა ნახე, ჩემმა უბრალო ნაამ-
ბოზმა როგორ ჩამოგხსნათ ნიღაბი. — შერე ჩვენ ორი თქვენ ოთხს დავესხით, ციმციმ და-
გაყრევივით ნადეაღი და წამოვიღეთ. მაშაი თუ გნებავთ, ახლავე გაჩვენებთ; შენ კი, ფოლს-
ტავ, ისე მარდად გააქანე შენი ღიბი, ღრიალითა და შეწყალების მუდარით — ისე გარბოდი
და ბლაოდი, რომ ღმერთმა შეარცხვინოს კუნტრუშა ხბო, ღაჩარი მონა ხომ არა ხარ, ხმლის
ბირი დავიბლაგვეზია და ახლა ჩვენ გვარწმუნებ ბრძოლაში გაცვდომ! ნეტა რა ფანდს მოი-
გონებ, რა ხრიკს, რა ოინს, რომ ამ აშკარა და ნამდვილ შერცხვენას თავი დააღწიო.

პოინსი. აბა, გისმენთ, ჯეკ; რა ოინი მოიგონე?

ფოლსტაფი. ღმერთმანი, მაშინვე გიცანიოთ, საკუთარი მამა ვერ გიცნობდათ ისე უცებ! მაგრამ ერთი
ესეც იფიქრეთ, გავატონებო, ტახტის მემკვიდრეს მოვკლავდი?! ნამდვილ უფლისწულს შე-
ვებრძოლებოდი?! ყველა-ყველა და — შენ მაინც ხომ იცი, რომ სიმაშაცეში ჰერკულესსაც არ
დაუდებებ ტოლს მაგარამ ალღოს რა დაუდებება?! ლოში რომ ლოშია, ისიც კი არ შეებრძო-
ლება ნამდვილ ჭუჭილწულს ეხუნრები ალღოს! სწორედ ალღომ გამალაჩრა. მანამ პირში
სული მიდგია, აამაყოდ მექნება რომ უშიშარი ღომის ალღო არ მიმტყუნა და ნამდვილი
უფლისწული მაშინვე შემაცნობინა. ისე კი, ღმერთმანი, მიხარია, ზიჭებო, რომ ფული თქვენ-
თან არი. დიასახლისო, კარი დაკეტილი იქონიე, — დამით იფხიზღე, დღისით ილოცე! — გმი-
რებო, ზიჭებო, ჯეღებო, ოქროს გულებო!.. აღარ ვიცი, რა სახელებით შეგამკოთ, რაც არ უნ-
და კაი სახელი მოვიგონო. თქვენზე უპროანი იქნება, ჩემო მეგობრებო, არ გავმხიარულდეთ?
სახელდახელოდ რამე კომედია არ გაგიტამაშოთ?

პრინცი ჰენრი. ყაბუღსა ვარ... შენი ვაქცივის ამავი გაგიტამაშოთ

ფოლსტაფი. აბ, მავას ნულარ მიხსენებ, თუ გივჯარდე, პალ!

შემოდის დიასახლისი.

დიასახლისი. ოი, იქნა მაცხოვარო! მილორდ პრინცი..

პრინცი ჰენრი. რაო, მიღედი დიასახლისო! ახალს რას გვეტყვი?

დიასახლისი. მილორდ, ვიღაც კარისკაცს თქვენი ნახვა სურს, ასე იძახის მამამისმა გამომგზავნა,
უნდა მოველაპარაკო.

პრინცი ჰენრი. მაშ დირსების კვალობაზე უთავაზე და უკანვე გააბრუნე, დედაქმთან.

ფოლსტაფი. მაინც როგორი კაცია?

დიასახლისი. ბერიკაცია.

ფოლსტაფი. მერედა, დარბაისელი კაცი შუალამისას ლოგინიდან რამ წამოაბტუნა? მე ხომ არ ვუ-
ბასუსო?

პრინცი ჰენრი. კარგს იზამ, ჯეკ.

ფოლსტაფი. მაშ, შე ვიცი, საცა ვავგზავნი.

გადის.

პრინცი ჰენრი. ბატონებო, ღვთისმშობელს ვფიცავ; დიდებულად იბრძოლეთ, თქვენზე ვამბობ, პეტო
და ზარდლოფ; თქვენც ლომები ყოფილხართ: ალღომ არ გიმტყუნათ და მოჰკურცხლეთ, ნამ-
დვილ პრინცს ხელი არ ახლეთ. ღუი, სირცხვილი!

ზარდლოფი. რა უნდა შექნა, სხვები გარბოდნენ, მეც ავდექი და ვაგექეცი.

პრინცი ჰენრი. ევ მაინც მითხარით, ფოლსტაფის ხმალი ასე რამ დააშალავა?

პეტო. თავისივე ხანჯალზე დააშალავა და დიდის ამბით ვანაცხადა — თუნდაც მთელი სიმაართლის
განდგენა მომიხდეს ინგლისიდან, არ მოვეშვები, სულ ვიფიცებ და ვიფიცებ, მანამ პრინცს
არ დაუკარწმუნებ, რომ ბრძოლაში დამიჩლუნვდეთ. თქვენც ასე მოიქცეთო, გვარბებდა.

ბარდლოფი. მერე ისიც გვითხრა — ცხვირპირი ეკლით დაიჩხვლიტეთ და სისხლი დაიდინეთ; ტან-საქმელიც მოითხვარეთ და დაიფიცეთ. თითქოს დახოცილთა სისხლი იყოსო. ისეთი საქმე მომივიდა, რაც ამ შვიდ წელიწადში ერთხელაც არ მომხდელია — მაგის თაღლითურ სიტყვებს რომ ვისმენდი, გაწვივდი.

პრინცი პენრი. არამზადავ, რაც ამ თვრამეტი წლის წინათ ერთი ჭიქა ლინო მოიპარე და ქურდობაზე წავასწრეს, სულ ასე გადავდაკებულ-გაწვივებული დადინარ, სახეზე თითქოს ცეცხლი გიკიდო; ეს ცეცხლი და მახვილი თანა გქონდა და მიანიც გაიქცევი; ნეტა ვიცოდე, რა ალღოს დააბარალებ?

ბარდლოფი. (თავის ცხვირ-პირზე აჩვენებს) ამ შეტეორებსა და განთიადის სიკაშკაშეს ხომ არ გულისხმობ?

პრინცი პენრი. მამა.

ბარდლოფი. მერე როგორა გგონიათ, რისი ნიშანია?

პრინცი პენრი. ცხელი ღვიძლისა და ცივი ქისისა.

ბარდლოფი. მართალი თუ გუნებავთ, ფიცხელი ხასიათის ნიშანია, მილორდ.

პრინცი პენრი. უფრო მართალი თუ გინდა, სახარხოველას ნიშანია, — ავერ ჩამომხმარი ჯეკიც მოდის, ძვალ-ტყავა ჯეკი.

შემოდის ფოლსტაფი.

რაო, ჩემო გაბერილო! რამდენი ხანი იქნება, ჯეკ, საკუთარი მუხლისთავები არ გინახავს? ფოლსტაფი. საკუთარი მუხლის თავები? შენოდენა რომ ვიყავი, პალ, ჩემი წელი არწივის კლანჭის სიმსხოც კი არ ყოფილა. მამასახლისის ცერის ბეჭედში გაეძვრებოდი; დარდი და ოხერა და წვევლოს ღმერთმა! ბუშტივით გაბერავს ხოლმე კაცს!.. ცუდი მახარობელი ვარ: სერ ჯონ ბრეის გამოუგზავნია მამამშენს, სასახლეში უნდა მიხვიდე ზვალ დილით. ისეც ეს დამთხვეული ჩრდილოელი პერსი და უელსელი... აი ამამონს რომ კეტი სთხლიშა თავში, ლოუციფერს რომ რტები დაადგა და ეშმაკს უელსური აფთის ჯვარზე ქვეშევრდომობის ფიცი დაადებინა... ჰქვია, ეშმაკმა დალაზეროს...

პოინსი. გლენდაფერი!

ფოლსტაფი. ოუენი, ოუენი, — მართალი ხარ; მისი სიძვე, მორტიმერი; ბებერი ნორთამბერლანდიც, ის მარდი პირწყარდნილი შოტლანდიელი დუგლასიც, აი ციცაბო კლდეზე ცხენით რომ ადის...

პრინცი პენრი. გაქანებული ცხენიდან რომ გაფრენილ ბელურასს პკლავს.

ფოლსტაფი. სწორედ ნიშანში მოახვედრე.

პრინცი პენრი. უფრო მარჯვედ, ვიდრე იგი ბელურასს ასვედრებს, არა?!

ფოლსტაფი. კაი გულადი ბიჭი კია ის არამზად, ფეხს ვერ მოაცვლივინებ ადგილიდან.

პრინცი პენრი. შენ თვითონ არამზადავ, ახლა სწორედ სიმარდესა და სიბრძლეს უქებდი!

ფოლსტაფი. შენც კაი გუგული ბრძანდები ცხენით დაპქირის-გეთი, ფეხით ერთ ნაბიჯსაც ვერ გადაადგმევინებ.

პრინცი პენრი. ესეც ალღოს კარანახით ალბათ.

ფოლსტაფი. თუნდაც ასე იყოს, ალღოს კარანახით. — ერთი სიტყვით, ისიც მათთან არის, ერთი ვილაყ მორდღეიცი და კიდევ ათასი მაგათთანა ლურჯქულა. ვუსტერი წუხელ გაპარულა. მამაშენს წვერი გაუთერთა ამ ამბავმა; მიწები ახლა აყროლებული ოფენის ფასად გაიყიდება.

პრინცი პენრი. მამო, თუ იენისში სიცხეები დაიჭირა და ეს მშადა ცემა-ტყეპაც გაგრძელდა, ქალწულებს ნაღის ლურსმინის ფასად ვიყიდით.

ფოლსტაფი. მართალს ამბობ, სახარბის მადღმა, და კაი ვაჭრობაც გვექნება, მაგრამ ნუ დამიშალავ, პალ, ხომ მაგრად შეგეშინდა? მთელი ქვეყანა რომ გადაკოთოს, ტახტის მეშვედრე სამ ამისთანა მეტოქეს მაინც ვერ გამოჩხრეკს! ეხუმრები — ეშმაკი დუგლასი, ქაჯი პერსი და ავი სული გლენდაფერი! ჰა, ხომ შეგეშინდა? ხომ გაგეყინა სისხლი?!

პრინცი პენრი. სულაც არა. ეტყობა, შენი ალღო მაკლია.

ფოლსტაფი. აგრე იყოს, მაგრამ კაი მაგარ-მაგარს კი მიიღებ ზვალ დილით, მამაშენს რომ გამოეცხადებ. თუ ვიყვარდე, პასუხი ახლავე მოამზადე.

პრინცი პენრი. მოდი, შენ მამა იყავი ჩემი, და გამოიკითხე მთელი ასავალ-დასავალი.

ფოლსტაფი. კეთილი და პატროსანი. ეს სკამი ჩემი ტახტი იყოს, ხანჯალი — სამეფო კვერთხი, ხოლო ეს ბალიში — გვირგვინი.

პრინცი პენრი. მამო ასე, დასაკეცი სკამი — შენი ტახტი იქნება, ტყეის ხანჯალი — ოქროს კვერთხი, ხოლო შენი გამელოტებული თავის კოტორი — პატროსანი თვლებით შემყული გვირგვინი!



ფოლსტაფი. თუ კიდევ შეგრჩენია კეთილშობილების ნაპერწკალი, იცოდე, რომ გუნებას მღერევ. — ერთი ჭიქა ღვინო დამალეგინეთ, რომ თვალები გამიწითლდე და ნამტირალევი გამოჩნდეს, რადგან მგზნებარედ უნდა ცილაპარაკო, კამბიზ მეფესავით.

დალევს.

პრინცი პენრი, აბა, ვიჩოქებ.

ფოლსტაფი. მე კიდევ ვიწყებ. — დიდებულნო, გვერდზე მიდევით. დიასახლისი, მაცხოვრის მადლმა, დიდებული სახანავია.

ფოლსტაფი. „ამაოდ ნუ ღვრი, დედოფალო, მდულარე ცრემლებს“.

დიასახლისი. ზედგამოჭრილი მამა! რა სახე ადევს!

ფოლსტაფი. „გაპყვეით, ლორდნო, თუ ღმერთი გწამთ, მწუხარ დედოფალს, რადგან ცრემლებით აღვსებია თვალის რაბები“.

დიასახლისი. იესო მაცხოვარო, რა კარგად გამოსდის, ასე მგონია მოხეტიალე მსახიობებს ვუყურებდე.

ფოლსტაფი. გაჩუმდი სალულე ჯამო; გაჩუმდი, წინწანაქარო, — პარი, მარტო ის როდი მივირის, თუ სად დადინარ, მე ისიც მაწუხებს, ვისთან ატარებ დროს. მართალია, გვირილას რაც მეტს თვალავენ, მით უფრო კარგად ხარობს, მაგრამ ახალგაზრდობა სულ სხვაა — რასაც მეტს ფლანგავ, მით უფრო მალე ცვდება. ჩემი შვილი რომ ხარ, ეს ნაწილობრივ დედაშენისგან გამიგონია და ნაწილობრივ ჩემი საკუთარი მოსაზრებებითაც ვიცო; მაგრამ ყველაზე უფრო ამის საბუთად გამოდგება შენი ავანაჟური გამოხედვა და სულელურად ჩამოშვებული ლაშა, ჰოდა, თუ ნამდვილად ჩემი შვილი ხარ, — და მთავარიც ეგ არის, — რაღა მაინცადამაინც ჩემი შვილი უნდა იყოს ჩაგარდნილი ქვეყნის ყბაში?! განა შეიძლება კურთხეული მზე მთელი დღე დაიკალოდეს და მაყვალსა სჭამდეს?! ამისი კითხვაც კი უხერხულია; შეიძლება ინგლისის უფლისწული ქურდი იყოს და ქისებზე დაძვებოდეს?! ამისი კითხვაც კი მართლაც ღირს. არის ერთი რაღაც, რაც შენ ზნირად გაგიგონია, პარი, ჩვენში მას კუპრს ეძახიან; ძველი მწერლების გადმოცემით, კუპრი ყველაფერსა სერის. ასეთივე თვისებისაა ის ხალხი, რომელთანაც შენ მეგობრობ. ამას რომ გეუბნები, კი არ მიღხინს, პარი, მიმძიმს; ღვინით კი არა მიქვს პირი საესე, ცრემლები მახზრობს; მარტო სიტყვები კი არ ამოდის პირიდან, თხვრაც თან მოპყვება... თუმცა ერთი სათნო კაცი კი შემინიშნავს შენს მეგობრებში... მაგრამ სახელი როდი ვიცი.

პრინცი პენრი. როგორი კაცია, იქნებ გვიბრძანოთ, თქვენო უდიდებულესობავ.

ფოლსტაფი. წარმოსადეგი კაცია, ვერ დაფიციავ; ბრგე ვაყვავი; სახე უღიმის, თვალები უციმციმებს, მიხვრა-მოხვრა მეტისმეტად კეთილშობილური აქვს; ჩემის ვარაუდით, ორმოცდაათი წლისა იქნება, ან ასე სამოცანდე; ჰო, მომაგონდა, ფოლსტაფი ჰქვინა; თუ ეს კაციც გარყვნილებას მისდევს, ძალიან შეგმცდარავარ, რადგან მის თვალებში მე სათნობასა ცხედავ. თუკი ხე ნაყოფით ცნობა, ხოლო ნაყოფი ხით, მაშინ უყოყმანოდ შეიძლება ითქვას, რომ ფოლსტაფი ერთი თვალსა სათნო ადამიანია. იმეობრე მასთან, ხოლო სხვები — თავიდან მოიცილე. ახლა კი ეს მითხარი, უქნარავ, სად დაწანწალებ მთელი თვე?

პრინცი პენრი. ეს არის მეფური ლაპარაკი? აბა ჩემს ადგილზე დადექი და მამას მე თვითონვე წარმოვადგენ.

ფოლსტაფი. ტახტიდან გადმოგდებს მიბირებს? შენ თუ ამის ნახევარს მოახერხებ დარბაისლურ ლაპარაკსა და მიხვრა-მოხვრას, ფეხებით დამკიდეთ გასაყიდი კურდღელივით.

პრინცი პენრი. აბა, უკვე დაფუკეტი.

ფოლსტაფი. მე კი გვგვევარ. აქვენ განსაჯეთ, ბატონებო.

პრინცი პენრი, აბა, მოვავსენე, პარი, საიდან მოდინარ?

ფოლსტაფი. ისტრიბიდან ბატონო.

პრინცი პენრი. მეტად დამალონებელი საჩივრები მომდის შენზე.

ფოლსტაფი. ღმერთს ვეფიცებით, სულ ტყუილი მონაჩმანია, მილორდ. — დამაცადე რა პრინცი გაჩვენო!

პრინცი პენრი. იფიცავ კიდევ, საძაველო ზიჰო? თვალთავან დამეკარგე. შენ ავაცდინეს ჭეშმარიტების გზას, ეშმა ავდევნებია, რომელსაც გაბერილი ბერიკაცის სახე აქვს მიღებულა... შენი მეგობარი ორფენა კასრია და სხვა არაფერი. ნეტა ვიცოდე, სალაპარაკოს რას ნახულობ ამ ყოველგვარი ხარახურის სკივრთან, პირუტყვობის საკუქნაოსთან, გაბერილ წყალმანცხვს, უზარმაზარ ღვინის ტიკთან, შიგნულთი გამოტენილ ტომარასთან, გამოუშვინავად შემწვარ მენინგტრულ ხართან, ამ ყოვლად საპატიო მანკიერებასთან, გათეთრებულ უღმერთობასთან, ბებერ არამზადასთან, დაჩაჩანაკებულ ამაოებასთან?! რის მაქნისია? ღვინის წრუპების მეტი რა იცის? რა სიუჟატიზე და სიწმინდე მოეკითხება? ყვერულების ვახლეისა და ჩახეტქვბს მე-



ტი არაფერი. რისი უნარი აქვს? მაილოდ სიცრუისა, რაშია მარჯვე? თაღლითობაში.

საზინღარა? ყველაფრით. რა ღირსება აქვს? არაფერი.

ფოლსტაფი. მეც ვამაგებინეთ, ჩემო მოწყალეებავ, ვისზედ ბრძანებთ, ხელმწიფე?

პრინცი პენრი. ვისზე და ახალგაზრდობის გამრყენელსა და გამფუჭებელს მრუმ ფოლსტაფზე, იმ და-ჩაჩანაკებულ თეთრწვერა სატანაზე.

ფოლსტაფი. მე ვიცნობ იმ კაცს, ხელმწიფეო.

პრინცი პენრი. ვიცი, რომ იცნობ.

ფოლსტაფი. რომ მოგახსენით ჩემზე უფრო ცოდვილია-მეთქი, ტყუილი მონაჩაზი იქნება. მისი ჭაღარაც მოწმობს, რომ მოხუცია (გაი, რომ ეს ასეა!) მაგრამ, — უკაცრავად პასუხია, — თითქოს მრუმე იყოს, ამას თავგამოდებით უარეყოფ. შაქრიანი ღვინის წრუპება თუ ცოდვად ითვლება — ღმერთმა შეუნდოს ცოდვილებს! ბერიკაცისათვის მზიარულება თუ ცოდვია, მაშინ ბევრი ჩემი ნაცნობი მიკიტანი მოხვედება ჯოჯოხეთში; თუ სიმსუქნეა შესაზიზღებელი, გამოდის, რომ ფარაონის მჭლე ძროხები უნდა შევიყვაროთ. არა, ხელმწიფე, გააძევე პეტო, გააძევე ბარდოლფი, გააძევე პოინსი, მაგრამ ჩემს ტკბილ ჯეკ ფოლსტაფს, კეთილ ჯეკ ფოლსტაფს, ალალ ჯეკ ფოლსტაფს, მამაც ჯეკ ფოლსტაფს და ათასჯერაც მამაცს, რადგან იგი უკვე მოხუცია, ნუ მოაშორებ შენს პარის; ნუ ჩამოაშორებ ლენს პარის; თუნდა მსუქანი ჯეკი გავიწირავს, და თუნდა მთელი ქვეყნიერება.

პრინცი პენრი. უნდა ჩამოვაშორო, ჩამოვაშორებ.

ისმის კაცუნი.

გაღიან დ ი ა ს ა ხ ლ ი ს ი, ფ რ ე ნ ს ი ს ი და ბ ა რ დ ო ლ ფ ი. ცოტა ხნის შემდეგ შემობრბას ბ ა რ დ ო ლ ფ ი

ბარდოლფი. მილორდ, მილორდ! შერიფი მოვიდა... საშინელი დარაჯები ახლავს. ფოლსტაფი. გაეთრიე, არამზადა! — ბოლომდე გაეთამაშოთ პიესა. კიდევ ბევრი რამა მაქვს სათქმელი ფოლსტაფის დასაცავად.

ფაციფუცით შემოდის დ ი ა ს ა ხ ლ ი ს ი.

დიასახლისი. ღმერთო, შენ გვიშველე! მილორდ, მილორდ! პრინცი პენრი. ჰეი, ჰეი, ეშმაკი ქამანით მოთხარაკიდა.. რაო, რა ამზავია? დიასახლისი. შერიფს მთელი რაში მიოუყენებია კარებზე. სახლი უნდა გავჩხრიკოთ! შემოგეშვავ? ფოლსტაფი. გეყურება, პალ? ნამდვილი ოქროს ფული არასოდეს არ უნდა მიიჩნიო ყალბად. წმინდა წყლის გიგი ხარ, ოლონდ ეგ არის, არ გეტყობა.

პრინცი პენრი. შენ კიდევ ლაჩრად დაბადებულხარ და ალოცე არ დაგყოლია. ფოლსტაფი. მთავარ ბრალდებას უკანვე გიბრუნებ, ოლონდ შენც უკანვე უნდა გააბრუნო შერიფი. არა და, შემოუშვი; თუ სხვებზე ცუდად დაგიჭირო თავი, როცა ფურგონით სახარბოელასკენ წამაბრძანებენ, ღმერთმა დასწყველოს ჩემი გაზრდილობა! იმედი მაქვს, მეც სხვებზემთა მალე წამაბრძობს ყულღი.

პრინცი პენრი. წადი და კედლის ხალიჩას ამოეფარე; დანარჩენები მალა აიკრიფონ. პატროსანი კაცის სახე მიიღეთ, თითქოს სულაც არ გაწუხებდეთ სინდისი.

ფოლსტაფი. სინდისიც მქონდა და პატროსნებაც. მაგრამ ყველი გაუვიდა; ისეც ისა სჯობს, დავი-მალო.

პრინცი პენრი. შერიფს დაუძახეთ.

პ რ ი ნ ც ი ს ა და პ ო ი ნ ს ი ს გ ა რ დ ა ყ ვ ე ლ ა ნ ი გაღიან. შემოდინ შე რ ი ფ ი და მ ე ე ტ ლ ე .

აბა, შერიფო, მომახსენე, რა გნებავს ჩემვან.

შერიფი. ჩემო ბატონო, მომიტყვეთ, მაგრამ ამ სახლში ვილაცეები შემოცვივდნენ აურზაურით.

პრინცი პენრი. მაინც ვინ?

შერიფი. ერთ იმ კაცთაგანს ყველა იცნობს — მსუქანს, ჩატიტკინის.

მეეტლე. ქონის გულდას ჰვავს.

პრინცი პენრი. ამ სახლში იმ კაცს ვერ იპოვნით, მე დამერწმუნეთ,

სწორედ ახლახან გავაგზავნე რაღაც საქმეზე.

სახელიოდა კი, სიტყვას გაძლეე, სადილობის ყამს,

გამოვაგზავნი ანუ შენთან, ან ვისთანც ვინდა,

და გაარკვიეთ, თუ რაიმე ბრალი მიუძღვის.



ასე რომ ახლა შევიძლიათ უკან გაბრუნდეთ.

შერიფი. ახლავე, მილორდ, მაგრამ ორი უკანტელმენი ჩივის:

თურმე წაგლიჯეს, თავდასხმის დროს, სამასი მარკა.

პრინცი პენრი. თუკი ეს ხალხი მართლაც იმან გაძარცვა გზაში,

ბასუხი უნდა აგებინოთ. ახლა მშვიდობით.

შერიფი. ღამე მშვიდობის, ჩემო კეთილო მილორდ.

პრინცი პენრი. მშვიდობის დილა რომ მისურვო, მგონი აჯობებს.

შერიფი. მართალსა ბრძანებთ, ვგონებ ორი საათიც არის.

გადიან შერიფი და მეეტლე.

პრინცი პენრი. პავლეს ტაძარი არ არის ისე ცნობილი, როგორც ეს ქონის გუნდა ავაზაკი. წადი, დაუძახე.

პოინსი. ფოლსტაფს!.. გემრიელად დაუძინია ხალიჩის უკან და ცხენით ფშვინავს.

პრინცი პენრი. ხედავ, რა მძიმედ სუნთქავს? აბა ერთი ჯიბეები გაუსწივე.

პოინსი ჯიბეებს უჩხრეკს და რაღაც ქაღალდებს ამოაცლის.

რა იპოვნე?

პოინსი. ქაღალდების მეტი არაფერი, მილორდ.

პრინცი პენრი. აბა, წაიკითხე, რა ქაღალდებია.

პოინსი. (კითხულობს) ერთიც ყვერული—ორი შილინგი და ორი პენი, ერთიც სოუსი—ოთხი პენი, ორი გალონი ღვინოც—ხუთი შილინგი და რვა პენი, ვახშმის უკან კიდე ღვინო და ანჩოუსი—ორი შილინგი და მ პენი, ბურიც—ნახევარი პენი.

პრინცი პენრი. ნამდვილი ურჩხული არ არის! ამდენ ღვინოზე ნახევარი პენის პური!.. დანარჩენი ქაღალდებიც კარგად შეინახე, როცა მოვიცლით, წავიკითხოთ. აქვე ეძინოს, მანამ გაათენდებოდეს. დილით სასახლეში უნდა მივიდეთ. მალე ომში წასვლა მოგვიწყებს და შენ საბატოთ თანამდებობა გელის. ამ ქონის გუნდას ქვეით ჯარში მოვაწყობ. ვიცი, ორასი ნაბიჯის გადაღვმა მაგისთვის სიკვდილია. ნაძარცვი ფული გადამეტებით უნდა დაეუბრუნოთ. ზღალ აღრიანად მოდი, ახლა კი მშვიდობით, პოინსი.

პოინსი. მშვიდობით, მილორდ.

გადიან.

მოქმედება მესამე

სურათი I. ბანგორი. მთავარდიამონის სახლი.

შემოდინან პოტსპერი, ვუსტერი, მორტიმერი და გლენდაუერი.

მორტიმერი. ძმებო, ყველასგან უყოყმანო თანხმობა მოგვედის—

და როგორც ვატყობ, კარგი ბირი უჩანს ჩვენს საქმეს.

პოტსპერი. ლორდო მორტიმერი.. ბიძაშვილო გლენდაუერი...

იქნებ დაბრძანდეთ!..

თქვენც, ძია ვუსტერი, თქვენც დაბრძანდით. პოი, დალაზეროს!

დამეიწყებია აკი რუკა!

გლენდაუერი. არა, აქა მაქვს.

დაჯექი, პერსი... ბიძაშვილო პოტსპერი, დაჯექი.

რამდენს ახსენებს ლანკასტერი შენს სახელს, ძმაო,

იმდენს გადაპკრავს ფერი მკვდრისა და ამოხენეშით

გისურვებს ხოლმე გამზავრებას მაღლა ზეცაში.

პოტსპერი. ხოლო როდესაც გლენდაუერს ახსენებს ვინმე,

იგი მაშინვე ჯოჯოხეთის გზას დაგილოცავს.

გლენდაუერი. ვერც კი დავძრავ: როდესაც მე ვიზადებოდი.

მწველი ცეცხლით და ჩირაღდნებით ცა დიფარა,

და როცა გაგჩნდი, საძირკველი დედამიწისა,

გულუაბანივით აცახცახდა.

პოტსპერი. სულერთია, დედაშენის კატასაც რომ დაეყარა იმ დროს ცინდლები, ხოლო შენ სულაც

არ დაბადებულიყავი, მაინც ასე მოხდებოდა.

გლენდაუერი. მე გეუბნებით, როცა გაეჩნდი, მიწა შეირყა!

პოტსპერი. მე კიდე ვამბობ— მიწა სულაც არ მგვანებია.



თუკი ნამდვილად შეაშინა შენმა გაჩენამ.
 კლენდაუერი. ცა ცეცხლისი აღში გაეზვია, მიწა შეტოკდა...
 პოტსპერი. ცეცხლმოღებულმა ცამ დააფრთხო ალბათ ეს მიწა
 და არა შენმა დაბადებამ.

სწულ ბუნებას ხშირად მოსდის ასეთი რყევა,
 ორსულ მიწასაც კრუნჩხვა-გვრემა აწამებს ხოლმე,
 რადგან საშოში მომწყვდეული, თავაწყვეტილი
 ქარები გარეთ გამოხეთქვას უსრავებთან
 და მძლავრი რყევით ბებერ მიწას აზანზარებენ.
 მაშინ იმხვერევა ცათაწველი სამრეკლოები,
 და ხავსმოღებულ ძველ კოშკებსაც ეღებათ ბოლო.
 ალბათ მაშინაც, შენ რომ გაჩნდი, ბებია მიწას
 ეს კრუნჩხვა ჰქონდა და მიტომაც შეირყა ძლიერ.
 კლენდაუერი. ყველას არ ვუთმენ, ბიძაშვილო, კადნიერებას!..

ნება მიბოძე, ერთხელ კიდევ გაგიმეორო,
 რომ ზეცას ცეცხლი წაეკიდა, როცა მე გაგჩნდი;
 თხები მთებიდან გამოქანდნენ; შიშით მოცული
 მინდორ-ფელები გააყრუა ჯოგის ბღავილმა.
 ხედავთ, როგორი უცნაური ნიშნებით გაგჩნდი,
 და მას შემდეგაც დაამტკიცა ჩემმა ცხოვრებამ,
 რომ არ ვშობილვარ ჩვეულებრივ ადამიანად.
 აბა მშფოთვარე ზღვით განზანილ რომელ ნაპირზე —
 გინდა ინგლისში, უელსში თუ შოტლანდიაში —
 სად ნახავთ-მეთქი ძეხორციელს, რომელსაც ჩემთვის
 უსწავლებინოს, ანუ წიგნი გადაეფურცლოს?!
 შეცნიერების ხლართულ გზაზე ვინ გამომყვება?
 ქალის ნაშობი, ვინ იქნება, გვერდში დამიდგეს
 და ჩემებრ ჩასწვდეს ხელოვნების იდუმალებას?!

პოტსპერი. მეც არაინ მიგულება ისეთი, უელსურს რომ შენსავით უძცვედეს — ეპ, წაფიდე, ვისადილო,

პორტიმერი. გეყოფა, პერსი; რატომ გინდა ჭკვიდან შეშალო!
 კლენდაუერი. მე ძალი შემწვევს, ქვეცხელიდან მოვუხმო სულელებს.

პოტსპერი. ნეტა ვიცოდე, ვის არ შესწვევს მოხმობის ძალი!
 მაგრამ ისა სთქვი — მოვლენ კია შენს მოხმობაზე?!

კლენდაუერი. გინდა, ეშმაკზე მბრძანებლობა გასწავლო, ძმაო?

პოტსპერი. მე კი გასწავლი, სიმართლის თქმით ეშმას შერცხვენას;
 იტყვი სიმართლეს და ეშმაკიც შერცხვენილია!
 თუ მართლა ძალგის ავი სულის გამოძახება,
 ვფიცავ, აქედან გაწბილებულს გაგაძნძნელებ.
 მანამ ცოცხალ ხარ, ნუ იტრუებ, სიმართლით ვლიდე,
 და ავი სულიც შერცხვენილი იქნება მუდამ.

პორტიმერი. კმარა, გეყოფათ! რით ვერ მორჩით უაზრო ლაქლაქს!

კლენდაუერი. სამჯერ დაიძრა ბოლინგბროკი ჩემს დასალაშქრად,
 მაგრამ უაის და სევერნის ნაპირებიდან
 სამჯერვე უკან გაგაბრუნე თავსმა წვიმაში —
 მობუზული და ბირში ჩალა გამოვლებული.

პოტსპერი. და სველი ჩალის გამოვლებამ არც კი აწყინა?
 საოცარია, ძალღის ბედი ჰქონია მართლაც!

კლენდაუერი. კმარა, ავილოთ ახლა რუკა და ეს ქვეყანა,
 როგორც შეეთანხმით, სამ თანაბარ ნაწილად გავყოთ.

პორტიმერი. ჩვენმა მთავარმა დიაკონმა ის უკვე გაყო
 და თანაბარი მიწა-წყალი გვარგუნა ყველას.
 მთელი ინგლისი — ტრენტისა და სევერნის აქეთ —
 აღმოსავლეთით და სამხრეთით — მე მერგო წილად;
 დასავლეთისკენ, სევერნ-გალმა მთელი უელსი,
 ნაყოფიერი ნიადაგით განთქმული მხარე,
 კლენდაურს შეხვდა; შენ კი, პოტსპერი, ძვირფასო ძმაო, —



რაც კი რამ დარჩა ტრენტ გადაღმა — სულ შენ გარგუნეს.
 სამ პირად არის დაწერილი ეს შეთანხმება,
 და ისღა დარჩა, რომ ბეჭედებით დავადასტუროთ, —
 მოვასწრებთ კიდეც ამაღამვე ბეჭედების დასმას, —
 ხვალ კი სამივე — ლორდ ვუსტერი, მე და შენ, ბერსი,
 გავმეგზავრებით შრუსბერიში, როგორც შეთანხმდით,
 და იქ შევხვდებით მამაშენს და მოტლანდიელებს;
 ჩემი სიმამრი გლენდაური ჯერ მზად არ არის,
 არც დავეჭირდება მისი შეველა ამ ორ კვირაში;
 (გლენდაურს) ამასობაში, თქვენც მოასწრებთ ქვეშევრდომების,
 მეგობრების და მეზობლების შეგროვებასა.

გლენდაური. არა, ლორდებო, უფრო ადრეც მოგეშველებით
 და იქვე მოგვერიო მიუღლებს; ახლა ის გიჯობთ,
 ცოლებს სახლიდან გაეპართო, თორემ მე ვიცი,
 განშორებისას ცრემლების ზღვას დააყენებენ.

პოტსპერი. მე როგორც ვატყობ, ჩრდილო მხარე — ბერტონს გადაღმა,
 თქვენ რომ მარგუნეთ, არცერთის წილს არ შეედრება.
 შეხეთ, მდინარე ჩემკენ როგორ დაკლაკენით უხვევს,
 თითქოს აყეთებს უშველებელ ნახევარ მთვარეს,
 საუკეთესო მამულებს კი მაჭრის და მტაცებს.
 მაგრამ მდინარეს ამ ადგილას მე ზღვარს დავუდებ
 და ანკარა ტრენტს — ვერცხლისფერად აქაფებულსა —
 ამიერიდან ლარივით სწორ არხში მივუშვებ,
 რომ კვლავაც აღარ დაიკლანოს და არ წამგლიჯოს
 ჩემი მდიდრულად გადაშლილი მინდორ-ველები.

გლენდაური. არ დაიკლანოს? კვლავაც ასე დაკლაკენით იფლის.
მორტიმერი. პო, კარგი, მაგრამ

აქაც შეხედე, როგორ უხვევს, როგორ გამიბრბის!
 გინაზღაურებს თითქო იმას, ზევით რომ გაართმევს
 და იმდენსავე მიწებს მაჭრის ჩემი წილიდან,

ვუსტერი. აქ კი ნამდვილად სულ პატარა ზღუდე ეყოფა
 და ჩრდილოეთით რომ კონცხი დევს, იმას მოვიგებთ.
 მერე სწორი გზით, სულ ვაკეზე იფლის მდინარე.

პოტსპერი. მეც ასე ვიზამ; ბევრი მაინც არ დამოხდება.

გლენდაური. წინააღმდეგი ვარ ამისი.

პოტსპერი. აჰ, არ გსურს ასე?

გლენდაური. არა. და ვერც შენ გააკეთებ!

პოტსპერი. მე ვინ დამიშლის?

გლენდაური. რაღა თქმა უნდა, მე დაგიშლი.

პოტსპერი. მამ გირჩევნია,

უელსურად თქვა — ვერ გავიგებ მაშინ შენს ნათქვამს.

გლენდაური. მე შენზე ცუდად ინგლისურსაც არ ვლაპარაკობ,
 რადგან აღზრდილი ვარ ინგლისის სამეფო კარზე,
 ჰაბსბურგში ინგლისური საგალობელიც
 ბევრი შემითხზავს ქნარისათვის, რითაც თქვენს ენას
 შნო და ღაზათი კიდე უფრო შემატეზია...
 ამას ნიჭი კი შენთვის არვის შეუმჩნევია.

პოტსპერი. მაღლობა ღმერთს, რომ მართლაც არ მაქვს ამის უნარი!
 მე მირჩევნია ცინდლად ვიქცე, კნავილი მოვრთო,
 ოღონდ სიმღერის მოხვედლობისგან დამიხსნას ღმერთმა!
 მოშლილი შანდლის ღრჭიალს ვარჩევ; გაუსაპნავი
 ლილვის ჭრაჭუნე მირჩევნია, და არაფერიც
 ისე არ მომეკეთს ხოლმე კბილებს, როგორც მოსმენა
 მანჭვით და გრეხით წარმოთქმული სიმღერებისა;
 ეს იგივეა, რომ ჯავლაგი ოთხით ატარო.

გლენდაური. კარგი, ყაბულს ვარ, შეუცვალე ტრენტს კალაპოტი.



ლოტხპერი. განა მშურს რამე, სამჯერაც მეტ მიწას დაეუთმობ
ერთეულ მეგობარს; მაგრამ თუკი გაყოფა ჰქვია,
ეს იცოდეთ, რომ ბეწვის მეცხრედს არვის შევარჩენ.
პირობის წიგნი დაამზადეთ? გვაქვს წასვლის ნება?
კლუნდაუერი. წასვლა ღამითაც შეიძლება, მთვარე ანათებს;
ჯობს, რომ შევიდე, დეაჩქარო გადამწერელი
და თქვენს ცოლებსაც თქვენი წასვლა მივუასამძიმრო.
მე იმას ვშიშობ, ქალიშვილი არ გამიგიჟდეს —
ერთი წუთითაც ვერ იშორებს თავის მორტიმერს.

გადის.

მორტიმერი. არა გრცხვენია, რა კრიჭაში უდგებარ, კაცო!

ლოტხპერი. სხვაგვარად თუ არ შემოძლია! შენი სიმაშირი.
ხანდახან ისე გამომიყვანს მოთმინებლიდან...
მოკცება ხოლმე თხუნელის და ჭინჭველის არაკს,
გრძნულ მერლინის წინაგრძობებს ჩამომიყაჭავს,
გაბამს ზღაპარს ურჩხულეზე, უფარფლო თევზზე,
უფრთო ყორანზე, გრიფონებზე, მძინარე ლომზე,
შებარვით შავალ კატებსა და ათას რამეზე...
ღამის თავისი აბდა-უბდით მომიღნოს კაცი.

ეს არაფერი, წუხელ დამსვა და მთელს ცხრა საათს
მიჩიჩინებდა იმ ეშმაკთა წყეულ სახელებს,
რომლებიც თითქოს მორჩილებით მას მსახურებენ;
მეც ვზივარ ჩემთვის და ხანდახან შევძახებ ხოლმე:
„პოო, რას ამბობ!“ „მერე, მერე, განაგრძე ბარემ!“
მაგრამ ნამდვილად სიტყვაც კი არ მომისმენია.
დალლილი ცხენი, ანჩხლი ცოლი რა არის მასთან!
და შევარცხვინე ქოხიც, კვამლით გამოვსებული...
მიჯობს, წისქვილში ყველს და ნიორს ვლოღნიდე საწყლად,
ვიღრე ტკბილ ნამცხვრებს მივირთმევდე სრა-სასახლეში
და თან მის გულსგამწყალებელ ზაასს ვისმენდე.

მორტიმერი. უნდა გამოვტყდეთ, ღირსეული კაცია ფრიად.

მეცნიერებას ღრმად ჩამწვდარი, დიდად ნაკითხი,
თავაზიანი, სიამაყით ღომის სადარი,
ისევე უხვი, ვით წიალი ინდოეთისა...
და გინდა ვითხრა? შენი დიდი პატივისცემით
ცდილობს მოთოკოს თავისივე ფიცხი ბუნება,
როცა შენ ასე ედავები გამოჯიბრებით;
ასეა-მეთქი, პირჯერის მადლმა. და დამერწმუნე,
ქვეყნად ვერ ნახავ ძეხორციელს, რომელსაც იგი
ამდენ დაცინვას მოუთმენდა; ამიტომაც გთხოვ,
ბოროტად ნუღარ ისარგებლებ მის მოთმინებით.

კუსტერი. მართლაც ღირსი ხარ გაიცხვებისა, ბატონო ჩემო:

რაც ჩამოხვედი, აღარ იქნა, არ მოასვენე,
მანამდე კაცმა მოთმინება სულ არ დაკარგა.
უნდა ეცადო და ეს ნაკლი გამოასწორო;
ეს თვისებები შენს სიდიდეს, გამბედაობას
და სისხლის კეთილშობილებას ანევენებს ზოგჯერ, —
ხოლო ამითი მართლაც ძვირფას სამსახურს გიწევს, —
მაგრამ ხშირად კი ნიშანია იგი სიტლანქის,
გაუთელელობის, თავაწყვეტის, ამპარტავნობის,
მოყვასთა ზიზღის, დიდგულობის, ყოყლოჩინობის...
და წარჩინებულს თუ შენიშნეს ასეთი ნაკლი
თუნდ ერთი ბეწოც, სულერთია ხალხი მაშინვე
გულს აიცრუებს ამჯვარ კაცზე და შეიძულებს.

ლოტხპერი. კმარა, გაენათლდი! გაუმარჯოს ქვეყნად ზრდილობას!

აჰა ცოლებიც! უკვე დროა, გამოვეთხოვით.

შემოდინ გლენდაუერი, ლედი მორტიმერი და ლედი პერსი.

მორტიმერი. არ ვიცი, რა გქნა, ლამის ბოლმამ დამახრწოთ კაცი;

ცოლი ინგლისურს ვერ ეწყობა, მე კი — უელსურს.

გლენდაუერი. ჩემი ასული მწარედ სტირის, შენ ვერ ეთმობი;

ასე იმახის, ჯარისკაცად წავალო ომში.

მორტიმერი. უთხარით, მამა, რომ მაგას და ლედი პერსისაც

თქვენ წამოიყვანთ სულ მალევე, ჩვენს წასვლის შემდეგ.

გლენდაუერი რაღაცას ეუბნება თავის ქალს უელსურად, ქალიც უელსურად უბასუხებს.

გლენდაუერი. ლამის თავგზა დაკარგოს ამ ჭირვეულმა და თავნება არამზადა ვოკომ! რაც გინდა დაარბო, სულერთია, მგლის თავზე სახარების კითხვასა ჰვავს.

ქალი უელსურად ამბობს რაღაცას.

მორტიმერი. თვალეში ვატყობ, რასაც ამბობ; მაგ კარგ უელსურს,

ნაკადულივით რომ ჩამოდის დაბერილ ციდან,

მე ჩინებულად გეხდები უკვე, და არ მრცხვენოდეს,

მაგ ენაზევე მოგივებდი, ძვირფასო, პასუხს.

ლედი მორტიმერი კვლავ უელსურად იტყვის რაღაცას.

ჩვენ კოცნით გვესმის ერთმანეთის და ამიტომაც

მუდამ ასეთი მღელვარება ჩვენი ბაასი.

მაგრამ მე მაინც, ჩემო კარგო, ვერ მოვისვენებ,

ვიდრე შენს ენას ჩინებულად არ შევისწავლო

შენგან ნაუბნი უელსური ისე ტკბილია,

როგორც სიმღერა, სატრფიალო, რომელსაც ტყემი

ტურფა ფერია მღერის ჩანგთან ხმაშეწყობილად.

გლენდაუერი. გამაგრდი, თორემ, თუ მოეშვი, მთლად გაგივდება.

ლედი მორტიმერი კვლავ უელსურად მიმართავს ქმარს.

მორტიმერი. რა გქნა, ამ ენის ინი-ბინი არ გამეგება.

გლენდაუერი. ფაფუკ ლერწმებზე დაწევიო, ასე მოგმართავს,

და თავი ნახად მოასვენე ჩემს კალთაზეო!..

იგი ვიმღერებს ისეთ ტკბილ და საამურ ჰანგებს,

რომ ძილის ღმერთი დაგისუჰავს მაგ ქუთუთოებს.

და სისხლსაც თელემა, საამური, მოგიჯადოებს;

მაშინ სიღბიზლე ძილს ისევე დაემსავსება,

როგორც დღე—ღამეს განთიადის ფერმკრთალ ბინდ-ბუნდში.

ვიდრე ცოური ოქროს ეტილი აღმოსაეღეთით

დაიძროდეს და დაიწყებდეს დღიურ მგზავრობას.

მორტიმერი. სულთ და გულით მე მოვისმენ იმის სიმღერას.

ამასობაში შეთანხმებაც დაიწერება.

გლენდაუერი. მამ ჩამოჯექი;

მუსიკოსები, რომელთაც თქვენ უნდა გიმღერონ,

ათასი მილის დაშორებით, ჰარში ფრენენ.

მაგრამ ახლავე, დამერწმუნე, აქ გაჩნდებიან.

აბა, დაჯექ და მოემზადე ყურის საგდებად.

პოტსპერი. მოდი, კეიტ, დაწოლაში შენ ვინ შეგედრება: აბა, ჩქარა, ჩქარა წამოწყევი, რომ კალთაში თავი ჩავიდო.

ლედი პერსი, მომეშვი, ერთი, ბატის ტვინავ!

ისმის მუსიკა.

პოტსპერი. მე როგორც ვატყობ, უელსური ეზმაცს სცოდნია;

სულაც არ მიკვირს, რომ ასეთი ჭინიანია;

ღვთისშობელს ვფიცავ, ჩინებული მომღერალია.

ლედი პერსი. თუ ასეა, შენზე კარგი მუსიკოსი ვინდა იქნება, ხუსტურში ბადალი არა გყავს. წყნარად, ბაცაცო, უსმინე, როგორა მღერის ლედი უელსურად.

პოტსპერი. მე მირჩევნია, ჩემი ძუკნა ლედის ირლანდიური ყმულილი მოვიმინო!

ლელი პერსი. თავის გატეხა ხომ არ მოგენატრა?

პოტსპერი. აჰა, არა.

ლელი პერსი. მაშ ჩუმად იყავ.

პოტსპერი. არ გავჩუმდები!

ლელი პერსი. ღმერთმა ხელი მოგიმართოს!

პოტსპერი. უელსელი ქალის ლოგინში.

ლელი პერსი. რაო, რაო?

პოტსპერი. ჩუმად! მღერის!

ლელი მორტიმერი უელსურად მღერის.

შენც მიმღერე, კვიტ.

ლელი პერსი. მაგას ვერ ეღირსები, შენ არ მომიკვდე.

პოტსპერი. „ვერ ეღირსები, შენ არ მომიკვდე!“ რა შეწერილობანის ცოლივით ფიცავ, ჩემო საყვარელო! „ვერ ეღირსები, შენ არ მომიკვდე!“ ბარემ ასე თქვი, — „მართალს ვამბობ, მიწა არ გამისკდეს!“ „ღმერთი გამიწყრეს“, „ჩემმა მზემ...“

აბრეშუმოვით იფიცები, ასე გგონია,

შენს დღეში ფეხი ფინსბურიდან არ მოგეცვალოს.

შენ ხომ ლელი ხარ, დაიფიცე ნამდვილ ლელივით,

გემრიელად და მადლიანად; „შენ არ მომიკვდე“

და მაგისტანა დაშაქრული ფიცი დაუთმე

კვირა დღეობით მოსეირნე პრანჭია ქალებს.

აჰა, იმღერე.

ლელი პერსი. არ ვიმღერებ.

პოტსპერი. გეშინია, თერძი ან გულწითელას გამწვრთნელი არ შეგარქვენ? პირობის წიგნს შეადგენენ და ორ საათში გავემგზავრები კიდევ. თუ გინდა, მოდი ჩემთან.

გადის.

გლენდაუერი. წამო, წავიდეთ, ლორდ მორტიმერ; რამდენად პერსის

მოჰკიდებია ომის ცეცხლი, იმდენად, შვილო.

შენ აქ ზოზინებ. პირობის წიგნს უკვე დასწერდნენ.

დავებულოთ ბარემ და მყისავე ცხენებს მოახტით.

მორტიმერი. სულთ და გულთ მიხარია.

გადიან.

(გაგრძელება იქნება)

ინგლისურიდან თარგმნა ვახტანგ ზემლიძემ



მოთაქ ქინძიძე

პრალიდან ღუნაის სანაპიროებამდე

(ყურნალისტის ბლოკნოტიდან)

ეს მანძილი არც თუ ისე დიდია. ჩქარი მატარებელი მას დაახლოებით ხუთნახევარ საათში ფარავს. ასე რომ ადგილობრივი მკვიდრნი საწოლი რონოდების გარეშე იოლად მიდიან. მგზავრების უმრავლესობა თვლემს სპეციალურად მოწყობილ რბილ სავარძლებში, ხოლო უცხოელს კი სარკმელთან დგომა ურჩევნია. მეც ასე ვარჩიე, თუმცა სიტყვა „უცხოელი“, ცოტა არ იყოს, მეჩოთირებოდა.

მატარებელი ღუნაის სანაპიროებისაკენ, სლოვაკიის დედაქალაქში მიმჩქარებდა; ბრატისლავაში სლოვაკი ახალგაზრდობის ყოველდღიური გაზეთის „სმენას“ კოლექტივი მელოდებოდა: სწორედ მათი მიწვევით ვიყავი ჩასული ჩეხოსლოვაკიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. აქ, ამ უცნობ გზაზე — პრალიდან ღუნაის სანაპიროებამდე — მე მელოდებოდა კეკელუცი ქალაქები და მწვანეში ჩამჯდარი მთაგორიანი სოფლები, მელოდებოდნენ ჯერ კიდევ უცნობი მეგობრები და სარედაქციო მუშაობის ურთიერთსასარგებლო გაცნობა-გაზიარებისათვის განკუთვნილი დღეები. სწორედ მათ შესახვედრად მიმჩქარებდა მატარებელი. მაგრამ უკვე ნაცნობი ჯერ კიდევ უცნობს სძლევა და მე ჩემდა უნებურად ვფიქრობდი ისევ პრალაზე, სადაც შთაბეჭდილებებითა და კმაყოფილებით სავსე მთელი კვირა გავატარე...

... ევროპის ამ ერთ-ერთ უძველეს, მაგრამ მუდამ ხალისიან ქალაქში გატარებულ იმ ერთ კვირას ერთი კვირადღეც გამოერია. სხვა დღეებისაგან განსხვავებული იგი იმიტაც იყო, რომ იმ დღეს მე ჩეხური ოჯახის გაცნობის საშუალება მომეცა. ოჯახის გაცნობას კი, კარგად მოგვეხსენებთ, ქართველი კაცისათვის არც თუ ისე მცირე მნიშვნელობა აქვს. ბევრი რამ, რაც გაუგებარი რჩება, თუ მხოლოდ შენობის ფასადის ყურებას დასჯერდი, გასაგები მხოლოდ შენობაში შესვლის შემდეგ ვახდება. ასეა საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც, მით უფრო, თუ ეს ცხოვრება შენი ქვეყნის საზღვრებს იქით მიედინება და შენ იქ პირველად ხარ.

ერთი სიტყვით, იმ კვირადღეს მე საშუალება მომეცა ერთ უცხოელ მეგობართან ერთად ავსულიყავი ოლდრიხოვოს ქუჩაზე მდებარე სახლის მესამე სართულზე და იქ მენახა

„ღიღი მოურავი“ იან იერემიაშის ოჯახში

ეს მართლაც საინტერესო შეხვედრა იყო. და, რა თქმა უნდა, მოულოდნელიც. პრალის ერთ-ერთი საავტომობილო ქარხნის ოსტატის იან იერემიაშის



ოჯახში მისმა ნათესავმა და ჩემმა კოლეგამ ვლადიმერ კუნამ მიმიყვანა. მისგლის მიზეზი ვლადიმერმა საკმაოდ მარტივად განმარტა: იანი ქალაქის მკვიდრი და პრალის დიდი პატრიოტი, მისი ისტორიის ჩინებული მცოდნე, ამასთან კულტურული და საკმაოდ საინტერესო პიროვნებააო.

... ზარის ხმაზე დიასახლისმა გამოიხედა. კვირა დილა იყო და ამ დროს მისული „დაუპატიებელი“ სტუმარი, ისიც უცნობთან ერთად, რომელიც ორიოდ წუთის შემდეგ უცხოელი აღმოჩნდება, მაინცდამაინც ვერაფერი აღტაცების მომგვრელი უნდა იყოს. ქართველები სტუმართმოყვარე ხალხი ვართ, მაგრამ კვირადღის დილა კვირადღის დილაა, სტუმარი — სტუმარია და ცხოვრება კი ცხოვრებად რჩება; ოჯახი თავისას მოითხოვს, განსაკუთრებით თუ ცოლ-ქმარი სამსახურის ხალხია. იმ დილითაც დიასახლისს ალბათ თავისი გეგმები ჰქონდა, მამა-შვილს — თავისი, და ამ დროს... კინაღამ ვინანე — ასე იოლად რატომ დავთანხმდი უცნობ ოჯახში მისვლას-მეთქი. მაგრამ სინანული ნაადრევი აღმოჩნდა.

ნათესავებმა, ალბათ კარგა ხნის უნახაობის გამო, ერთმანეთი გადაკოცნეს, მგონი საყვედურიც უთხრეს ერთმანეთს ისევე ამ უნახაობის გამო და ის იყო ყური მოვკარი სიტყვა „სოვიეტისა“ და რაღაც „გრუზიას“ მსგავს გამოთქმას, რომ მასპინძელთა ჩვენებური „უიი...ს“ მაგვარი აღტაცების ხმა მომესმა. პატარა სლავა კი — ბოლესლავ იერემიაში, იანის 13-14 წლის ვაჟიშვილია, რომელმაც ჩვენს დანახვაზე კითხვა მიატოვა და ფეხზე წამოდგა, პირგაღებული მომჩერებოდა გაშლილი წიგნით ხელში.

სტუმართმოყვარეობა, როგორც ერის უდავოდ ძვირფასი და ღირსშესანიშნავი ტრადიცია, ამავე დროს თვით ხალხის მაღალი კულტურის მაჩვენებელიცაა. ერის კულტურა კი, ამ შემთხვევაში სტუმართმოყვარეობის სახით, როგორც სარკეში ისე აისახება ოჯახში და ამიტომაც, რომ ერზე ხშირად ოჯახში მიღებული შთაბეჭდილებითაც მსჯელობენ ხოლმე. კულტურული ოჯახი, როგორც წესი, ერის საუკეთესო ტრადიციების მატარებელიცაა და უჭირს თუ უზღინს, აქვს დრო და საშუალება თუ არა, სტუმართან თავს არ შეირცხვენს თუნდაც იმიტომ, რომ ამით თვით სტუმარი არ შეარცხვინოს, უხერხულ მდგომარეობაში არ ჩააყენოს და ცუდი რამ არ აფიქრებინოს. ასეთი ოჯახი თავისებურად, მაგრამ მაინც ყველასათვის მისახვედრად, გასაგებად და გულწრფელად აგრძნობინებს მას, რომ იგი, ე. ი. სტუმარი — „ღვთისაა“. და, ჩემის აზრით, ამ შემთხვევაში მთავარი პურ-მარლით, განსაკუთრებით კი ღვინით თავის გამოჩენა არ უნდა იყოს. ეს საზომი, ქართველ კაცს მაინც, რომელიც მზადაა ყველაფერი „გაწყვიტოს“ სტუმრისათვის, არ გამოადგება სხვა ერის სტუმართმოყვარეობის ობიექტური შეფასებისათვის. ნათქვამი სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენები ან სლოვაკები პურადძვირი ხალხი იყოს. პირიქით, არც ოჯახებში პატივისცემა მომკლებია და არც საუკეთესო კაფეებსა და რესტორნებში დაპატივება. მაგრამ ღვინის მოძალეებს მიჩვეული კაცი ძალიან კმაყოფილი დავრჩი იმით, რომ არც სუფთაზე ჯდომა მართმევდა ბევრ დროს და არც „საპახმელიო“ მჭირდა რა.

ბევრი რომ არ გავაგრძელო, იან იერემიაშის ოჯახში მალე თავისუფლად ამოვისუნთქე და ისე ვივრძინე თავი, თითქოს მათი დიდი ხნის ნაცნობი და ახლობელი ვყოფილიყავი. ჩემს მასპინძელს არც საუბრის გაბმა გასჭირვებია. არ გასჭირვებია იმიტომ, რომ მას არ დაუწყია ლაპარაკი მშვიდობისათვის ბრძოლის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მუშაობის ან ატომის პრობლემების შესახებ. სანამ დიასახლისი ყავას ამზადებდა, თან ცალი ყურით ჩვენ საუ-



ბარს უსმენდა და ქმარს ეკითხებოდა — გაიგე ცოლ-შვილი და მშობლები თუ ჰყავს ან რას აკეთებენო, ჩვენ უკვე მოვასწართ ერთმანეთის შესახებ ბევრი რამის თქმა, მე კი ოჯახური ფოტოალბომისა და შინაური ბიბლიოთეკის ზოგიერთი წიგნის გადათვალიერებაც. ვსაუბრობდით უმთავრესად გერმანულ ენაზე, ხანდახან კი რუსულსაც ვიშველიებდით პატარა იერემიასის საშუალებით, რომელიც ამ ენას სხვა უცხო ენებთან ერთად სკოლაში სწავლობს. ამასობაში დიასახლისმა მაგიდასთან მიგვიწვია, მერე ქმარს მიუჯდა და ჩემს ნალაპარაკებს ამეორებინებდა. ის იყო ყავის ფინჯანისაკენ წავიღე ხელი, რომ უცნაური რამ მომესმა:

— ხომ არ იცნობთ თქვენ გიორგი სააკაძეს? — დამახასიათებელი ჩეხური აქცენტით მკითხა უმცროსმა იერემიასმა რუსულ ენაზე. მე მაშინვე წიგნს შევხედე. ბოლესლავს ხელში ანა ანტონოვსკაიას ჩეხურად თარგმნილი „დიდი მოურავი“ ეჭირა.

ამას კი აღარ მოველოდი. „დიდი მოურავი“ იან იერემიასის ოჯახში და ისიც პატარა სლავას ხელში? ეს, მართლაც, მოულოდნელი და, ამასთან, ძალზე სასიამოვნო შეხვედრა იყო.

— თქვენთან, ალბათ, დიდი მოურავის ძალიან დიდი ძეგლი დგას?..

— საქართველოს ისტორიული ან რაიმე ღირსშესანიშნავი ადგილების სურათები ხომ არა გაქვთ, რომ გვიჩვენოთ?..

— ახლა რა არის იქ, სადაც სააკაძე იბრძოდა?..

— შვილები თუ ჰყავდა დიდ მოურავს?..

— რატომ ჰქვია თქვენს ქალაქს თბილისი?

— რას ნიშნავს „გრუზია“? — არ მეშვებოდა იერემიასის გვარის ყველაზე უმცროსი შთამომავალი და თავისი ცნობისმოყვარეობით და კვიმატი შეკითხვებით ზოგჯერ უხერხულ მდგომარეობაში მაყენებდა.

ლაპარაკში უფროსებიც ჩაერივნენ, რასაც ბუნებრივად მოჰყვა საუბარი საქართველოს შესახებ. მეც, შეძლებისდაგვარად, ვაცნობდი ჩემი სამშობლოს ისტორიულ წარსულს და მის აწმყოს, ქართულ ლიტერატურასა და ხელოვნებას, ხალხის ზნე-ჩვეულებებსა და ტრადიციებს, ჩვენს გამოჩენილ ადამიანებს.

ჩემი სტუმართმოყვარე მასპინძლებისათვის თითქმის ყველაფერი ახალი და უცნობი იყო. იანმა, ისტორიული ნაწარმოებების დიდმა მოყვარულმა, ისიც კი არ იცოდა, რომ წიგნი, რომელიც მან იყიდა და სახლში მოიტანა, იერემიასების ოჯახს საქართველოს გააცნობდა. ასე შემთხვევით შემოაბიჯა ჩეხი მუშის ოჯახში დიდმა ქართველმა მოურავმა და თან საქართველოს სურნელება, ურის გმირული, თავისუფლებისმოყვარე სული და სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულის სპეტაკი გრძნობა შეიტანა. მას შემდეგ იანი უკვე შეგნებულად და მონდომებით ეძებს ყველაფერს, რაც საქართველოს ისტორიასთან, მის წარსულთან და აწმყოსთან არის დაკავშირებული. ეძებს, მაგრამ ვერაფერს პოულობს. ამიტომ მე მას ვუამბე პროფესორ იარომირ იედლიჩასთან და მის „ქართველ“ სტუდენტებთან ჩემი შეხვედრის ამბები.

... პრადის უძველესი უნივერსიტეტის ერთ-ერთი აუდიტორიის კარებს აბრა აქვს გაკეთებული. აბრაზე წარწერაა: „ქართული ენის კაბინეტი“. მე ვაკაკუნებ. კარები იღება — ჩემს წინ სამი ახალგაზრდა ჩეხი სტუდენტი. ისინი ქართული ენის მორიგი სემინარისათვის ემზადებიან; მათ იციან, რომ პროფესორი იედლიჩა საკმაოდ მკაცრი, მომთხოვნი ხელმძღვანელია, ამიტომ ჩემთან საუბარში დროის დაკარგვა მაინცდამაინც არ სიამოვნებთ. მით უფრო, რომ პრადში უცხოელი იშვიათი მოვლენა არ არის. მაგრამ მალე ირკვევა, რომ მე ქართ-

ველი ვარ და სურათიც ერთბაშად იცვლება. ამ სტუდენტებს, რომლებიც ქართულს სწავლობენ, არც საქართველო უნახავთ, არც ქართველები და არც ნამდვილი ქართველის ქართული გაუგონიათ. მე შევეცადე ეს ხარვეზი შემივსო. მაგრამ ვინაიდან სააკაძის წარმოსადგობამდე ბევრი მაკლია, თან არც წვერულვაშსა და ჩოხა-ახალუხს ვატარებ, მალე ცოტა არ იყოს შევფიქრიანიდი — ჩემისთანა ქართველის ნახვას ამ სტუდენტებს ქართველის სახელი ხომ არ ეჩიათ-მეთქი.

დრო ბევრი აღარ მრჩებოდა. პროფესორ იედლიჩკას ნახვა კი აუცილებელი იყო, რადგან მისთვის რამდენიმე წიგნი, ჟურნალი და ზოგიერთი სხვა რამეც მქონდა არმალანად წაღებული.

— პროფესორი, — მიპასუხეს სტუდენტებმა, — რამდენიმე დღეა უნივერსიტეტში არ დადის. შინ არის. „ვეფხისტყაოსანი“ თარგმნა და ახლა წინასიტყვაობაზე მუშაობს.

— მისამართი? — შევეკითხე მე.

პროფესორ-მასწავლებელთა ბინის მისამართი პრალის უნივერსიტეტში საძებარი არ არის. თითოეულ სტუდენტს აქვს ჯიბის ცნობარი, სადაც აღნიშნულია უმადლესი სასწავლებლის ყველა თანამშრომლის გვარი, ბინის მისამართი და ტელეფონის ნომერი.

აი პროფესორ იედლიჩკას სამუშაო ოთახიც. მაგიდაზე ქართული „ვეფხისტყაოსანი“, ხელნაწერი ფურცლების მთელი დასტა და უწესრიგოდ დაწყობილი რამდენიმე წიგნია. ერთ-ერთი მათგანის ყდაზე მე ძლივს ვარჩევ ინგლისურ წარწერას: „ალენ ვ. ე. დ. ქართველი ერის ისტორია დასაბამიდან მე-19 საუკუნემდე. ლონდონი. 1932 წელი“. ბევრი ქართული წიგნია თაროებზეც. შირიდან ვცნობ ილიას, ვაჟას და ყაზბეგის ტომებს. მაინც რამდენი სიბოზო, სინათლე და სიყვარულია ამ უხმო, უმოძრაო და ამავე დროს არაჩვეულებრივად მეტყველ ტომებში. შინ ეს ასე მძაფრად და გამოკვეთილად არ იგრძნობა, როგორც გარეთ, უცხო ქვეყანაში. მაგრამ აქ სხვაც იგრძნობოდა, იგრძნობოდა, რომ ამ ოთახში მუშაობს და ცხოვრობს ქართული კულტურის დიდი მოამაგე, რომელმაც „ვეფხისტყაოსანთან“ ერთად თარგმნა ბევრი გამოჩენილი ქართველი კლასიკოსის ნაწარმოები, ხოლო საქართველოში მოგზაურობის შემდეგ შეიმუშავა ჩვენი ეროვნული ლიტერატურის ჩეხურ ენაზე პროპაგანდის საინტერესო პროგრამა...

...იერემიაშები კმაყოფილი, არიან. მათ უკვე ზოგადი წარმოდგენა მაინც აქვთ საქართველოს ისტორიის, სახალხო მეურნეობისა და კულტურის შესახებ, მათ უკვე ისიც იციან, რომ „დიდი მოურავის“ გარდა შესაძლებელი ყოფილა ჩეხურად თარგმნილი სხვა ქართული წიგნების წაკითხვაც. და, რა თქმა უნდა, კმაყოფილნი არიან იმითაც რომ, თურმე, ნუ იტყვი, მათს მშობლიურ ქალაქში ქართული ენის სპეციალისტები და ქართული კულტურის მოამაგეები ცხოვრობენ.

მივიდვართ ქალაქის დასათვალიერებლად. იერემიაშის ბინაზე დაწყებული საუბარი პრალის ქუჩებში, მოედნებზე, სკვერებსა და ქალაქის უძველესი ისტორიული ძეგლების მიდამოებში გრძელდება. გრძელდება მეორე და მესამე დღესაც. ასე მიდის დრო. საათი საათს მისდევს, დღე დღეს და დრო თითქოს ჯიბრზე, სწორედ მაშინ გარბის შეუმჩნეველად, როცა კაცს სრულიადაც არ ეჩქარება. ვერაფერს ვერ გაიგებ: ჩვეულებრივად პირიქით ხდება ხოლმე — როცა შენ გეჩქარება, დროსაც მაშინ აუტყდება კროსის მანია. აქ კი...



... უკვე გვიან იყო, როდესაც ვლადიმერ კუნამ სალამოს გაზეთის გადათვალისწინების შემდეგ მითხრა: კომუნისკის საიუბილეო დღეებთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირიდან ჩამოსულია დღეგაცია და მათ შორის, მგონი, ერთი ქართული უნდა იყოსო. მაშინვე მივხვდი, რომ ეს პროფესორი დავით ლორთქიფანიძე უნდა ყოფილიყო. სასტუმროში დაბრუნებისთანავე შევეცადე დღეგაციის წევრთა ადგილსამყოფელის დადგენას და მალე მივაგენით სასტუმროს, სადაც ისინი დაებინავებინათ. კუნამ აკრიფა ტელეფონის ნომერი, სთხოვა პროფესორ ლორთქიფანიძესთან დაკავშირება და ყურმილი მე გადმომცა.

— ბატონი დავითი ბრძანდებით? — შევეკითხე ქართულად.

— ააა?! — მომქმსა ჩემთვის კარგად ნაცნობი, მაგრამ გაკვირვებისა და მოულოდნელობისაგან შეცვლილი ხმა. ცოტაოდენი ხუმრობის შემდეგ მე იძულებული ვიყავი დამესახელებინა ვინაობა. მეორე დღეს ჩვენ წინაღობით განცდილი გავუზიარეთ ერთმანეთს. სალამოს კი მე პრაღას გამოვემშვიდობე.

გაზეთი „სმენას“ სამი გამოშვება

ესეც ბრატისლავა. ალბათ მანძილის სიმცირეც უწყობს ხელს იმას, რომ მოგზაური ამჟამად ამჩნევს ამ ორ ქალაქს შორის არსებულ სხვაობას. პრაღაში მდინარე ვლტავა და სულ სხვა პეიზაჟია. ბრატისლავა კი გადაჰყურებს დუნაის მღვრიე ტალღებს, რომლებიც ერთდროულად სამი სახელმწიფოს — ავსტრიის, უნგრეთისა და ჩეხოსლოვაკიის სანაპიროებს, არ ვიცი, ეთამაშებიან, ეალერსებიან თუ ერთმანეთის ამბავს ეჩურჩულებიან. პრაღა შიგნიდან გარეთ, ცენტრიდან გარეუბნებისაკენ ვითარდება. ვითარდება და იზრდება თანდათანობით, კანონზომიერად. ბრატისლავა კი პირიქით — გარედან შიგნით, მაგრამ სწრაფად და ამავე დროს გეგმიანად. ამიტომ ქალაქის არქიტექტურის შეცვლა აქ უფრო თვალსაჩინოა, ყოველ შემთხვევაში პირველი შთაბეჭდილების შედეგად მაინც. ამ ქალაქში ძველის ახალთან „თანაარსებობის“ საოცრად რეალური პანორამა იშლება: პატარა დიდის დასაწყისივითა ჩანს, ახალი კი ძველის გაგრძელებად და ეს „პერმანენტული“ სურათი ქალაქის განვითარებისა ძალზე ორიგინალურ და მთლიან შთაბეჭდილებას ჰქმნის. ბრატისლავაში იშვიათად შეხვდებით მოასფალტებულ ქუჩებს, უფრო ხშირად ისინი მცირე ზომის ოთხკუთხა ქვებითაა ნოკირწყლული. ერთ-ერთ ასეთ ქუჩაზე მოთავსებულია გაზეთ „სმენას“ რედაქცია.

... ეს იყო სახელგანთქმული „მაღალი ტატრების“ მახლობლად. დილით ადრე, როდესაც მე და ჩემი კოლეგა „სმენას“ რედაქციიდან გარეთ გამოვედით, მრავალრიცხოვანი ტურისტები და ადგილობრივი მცხოვრებლები უკვე ეცნობოდნენ გაზეთის ახალ ნომერს.

— აქ ჩვენი გაზეთის პირველი გამოცემა მოდის, — მითხრა კუნამ და კმაყოფილებით შეხედა ფარდულთან რიგში ჩამდგარ მკითხველებს. მათ ჩვენც შევეუერთდით და მალე მე უკვე ვეცნობოდი წინააღმდეგობის ცხელ-ცხელ ამბებს, რომლებსაც გაზეთმა თავისი ფურცლები დაუთმო. ეს გაზეთ „სმენას“ მართლაც პირველი გამოცემა იყო, ჩვეულებრივად კი იგი ყოველდღიურად სამ გამოცემად გამოდის. და, აი, რატომ. წარმოუდგენელია, რომ ჩეხოსლოვაკიაში დღევანდელი გაზეთი დღეს დილითვე, სამსახურში წასვლამდე არ მიიღო და არ გადაიკითხო. ამას მიჩვეულია არა მარტო იმ ქალაქის მცხოვრებლები, სადაც გაზეთი იბეჭდება; ეს ჩვეულებრივი მოვლენაა არა მარტო პრაღელი ან ბრატისლაველი



მკითხველისათვის, არამედ ქვეყნის ნებისმიერი ქალაქისა და სოფლის, თუნდაც პატარა დასახლებული პუნქტის მცხოვრებისთვისაც.

პრაქტიკულად ეს შემდეგნაირად ხორციელდება. 20 საათსა და 30 წუთზე ადგილობრივი დროით (თბილისის დროისაგან იგი 3 საათით განსხვავდება) იბეჭდება გაზეთის პირველი გამოცემა, რომელიც იგზავნება შედარებით შორეულ რაიონებში ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეს. მეორე — ღამის 1 საათზე. ამ გამოცემის ტირაჟი თვითმფრინავით გადააქვთ აღმოსავლეთის რაიონებში. უკანასკნელი, მესამე გამოცემა კი იბეჭდება 2 საათსა და 30 წუთზე. იგი განკუთვნილია ბრატისლავისა და მახლობელი ქალაქებისათვის. სამივე გამოცემის გრაფიკი შეთანხმებულია საავტომობილო, რკინიგზისა და საავიაციო ტრანსპორტის განრიგთან, რაც უზრუნველყოფს მკითხველისათვის გაზეთის დროულად მიწოდებას.

მაგრამ ეს გამოცემები ერთმანეთისაგან მეტ-ნაკლებად განსხვავებულია: უცვლელი რჩება ძირითადი, ე. წ. „წამყვანი“ მასალები, ხოლო ზოგიერთი რამ იცვლება იმისდამხედვეთ, თუ რომელ მხარეს იგზავნება ესა თუ ის გამოცემა. მაგალითად, ის გამოცემა, რომელიც ქ. კომიცასა და მის მახლობლად მდებარე რაიონებში იგზავნება, სამივე გამოცემისათვის ერთნაირი მასალების გარდა, შეიცავს ისეთ მასალებსაც, რომლებიც უფრო საინტერესოა ამ მხარის მკითხველებისათვის. სხვა გამოცემებში კი ამ მასალების ადგილზე მოცემულია ის, რაც, მაგალითად, უფრო საინტერესებთ ბრატისლავაში ან ბრნოში მცხოვრებ მკითხველებს. გარდა ამისა, მომდევნო გამოცემები ივსება და ხალისდება უკანასკნელი ცნობებითა და ინფორმაციებით, რომლებსაც რედაქცია ამ სამი გამოცემის შუალედებში ღებულობს.

ამ ერთი შეხედვით საკმაოდ რთული პროცესის გასაადვილებლად გაზეთის თითოეული გვერდი განკუთვნილია გარკვეული ხასიათის მასალებისათვის, რასაც მკითხველებიც მიჩვეულნი არიან. ეს ადვილებს ნომერში ცვლილებების შეტანას, რასაც, რა თქმა უნდა, სწრაფად უზრუნველყოფს შესანიშნავი პოლიგრაფიული ბაზა და სტამბის მუშათა მაღალი კვალიფიკაცია. გაზეთი „სმენა“, როგორც ვთქვით, გამოდის ყოველდღიურად სამი გამოცემით ოთხ (ოთხშაბათი და პარასკევი), ექვს (სამშაბათი, ხუთშაბათი, შაბათი) და რვა (კვირაობით) გვერდზე.

— დღევანდელი ნომერი, — თქვა კუნამ — არც ისე საინტერესო გამოვიდა.

მე არ მეუცხოვა გაზეთის მუშაკის ამდაგვარი „თავმდაბლობა“ და ორივენი შევეუდღეით ნომრის შინაარსის გაცნობას.

იმ პერიოდში ჩეხოსლოვაკიის ახალგაზრდობის კავშირის ორგანიზაციები ანგარიშგება-არჩევნებისათვის ემზადებოდნენ. ამ საკითხისადმი იყო მიძღვნილი გაზეთის მოწინავე წერილიც. ჩვენგან განსხვავებით იქ მოწინავე წერილებსაც აწერენ ხელს. მოწინავეს ავტორის — იან რიშკას — გვარი წერილის სათაურის ქვეშ იყო მოთავსებული. მოწინავე წერილებს ჩვენთანაც გაზეთის ცალკეული მუშაკები ამზადებენ, მაგრამ გვარის მოუწერლობა ამგვარი წერილების სარედაქციო ხასიათს უსვამს ხაზს და ამდენად მთელი სარედაქციო კოლექტივის აზრის გამომხატველია. ჩვენს საგაზეთო მუშაობაში დამკვიდრებული ამგვარი პრაქტიკა იმის მაჩვენებელიცაა, რომ მოწინავე წერილებში გამოთქმული მოსაზრებანი და რჩევა-მითითებები სახელმძღვანელო ხასიათს ატარებენ. ასეთი პრაქტიკა, ჩემის აზრით, უფრო გამართლებულია.

მეორე გვერდი, როგორც ყოველთვის, ამ ნომერშიც დათმობილი ჰქონდა საერთაშორისო, ანუ როგორც იქ იტყვიან „საზღვარგარეთულ ცხოვრებას“.



ამ გვერდზე მკითხველი ბევრ საინტერესო მასალას პოულობს. მათ შორის შეგზვდებით გაზეთ „სმენას“ ე. წ. შტატგარეშე კორესპონდენტთა წერილებიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან. მათი ავტორები უმთავრესად არიან სტუდენტები, რომლებთანაც რედაქციას კავშირი დაუწყაარებია სტუდენტთა საერთაშორისო ორგანიზაციის მეშვეობით. აქვეა საზღვარგარეთული გაზეთებიდან გადმობეჭდილი მასალებიც. მათ საჭიროებისამებრ თარგმნიან რედაქციის თანამშრომლები, რომლებსაც დაწაწილებული აქვთ უცხოეთის ეს გაზეთები იმისდა მიხედვით, თუ ვინ რომელი ენა იცის (ძირითადად — ინგლისური, ფრანგული და გერმანული).

ჩვენი ჩენოსლოვაკელი კოლეგები ძალზე ფხიზლად ადევნებენ თვალს უცხოეთის ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებულ მასალებს, რომლებიც კი მათი ქვეყნის ავ-კარგს შეეხება. ამასთან ისინი მკითხველს დაწვრილებით აცნობენ ასეთი წერილების შინაარსს და რეალური ცხოვრებიდან აღებული უტყუარი საბუთებით და ცოცხალი მაგალითებით აბათილებენ რეაქციული ბურჟუაზიული პრესის ცილისმწამებლურ გამოხდომებს.

— ასეთი შემთხვევები არც ისე იშვიათია, — მითხრა ვლადიმერ კუჩანამ. — ამას წინათ ერთერთი ჩვენი მეზობელი სახელმწიფოს გაზეთმა საქმაოდ ვრცელი სტატია მიუძღვნა ერთ ჩვენს გამოჩენილ მწერალსა და მოღვაწეს და ჩენოსლოვაკიის საზოგადოებრივი წყობის უარყოფითად დახასიათების მიზნით სინანული გამოთქვა მის გამო, რომ მისი ხსოვნა ჩვენ ვითომც დაევიწყებას მივეციოთ. სხვათა შორის, ამაზე უკეთესს სამსახურს მტერი კი არა, მოყვარეც ვერ გაგვიწევდა. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ამ მწერლის იუბილეს მოახლოებასთან დაკავშირებული მზადება ჩვენ უკვე კარგა ხნის დაწყებული გვქონდა და ამ საქმეში ახალგაზრდობაც დიდ დაინტერესებას იჩენდა. ასე რომ ტყუილი და ცილისწამება აშკარაზე აშკარა იყო. ჩვენი მიზანიც ხომ ის არის, რომ ტყუილი ვამხილოთ და ცილისწამებას ნიღაბი ავხადოთ.

— კი მაგრამ, მაინც რაში იყო საქმე, ან როგორ გამოიყენეთ თქვენ მტრების ეს „სამსახური?“ — შევეკითხე მე.

— საქმე ისაა, რომ ამ მწერალს, რომელსაც აქ ახლაც დიდ პატივს სცემენ, თავის ღროზე ჰქონდა შეცდომები. მაგრამ ეს შეცდომები მის დამსახურებას ვერ ფარავდნენ. დაბოლოს მან თვითონვე აღიარა და დაგმო თავისი შეცდომები. ჩვენ მოვილაპარაკეთ და გადავწყვიტეთ ბურჟუაზიული გაზეთის ხსენებული წერილის გადმობეჭდვა. იქვე მოვათავსეთ მასალები იმის შესახებ, თუ ვინ როგორ ემზადება ამ თარიღის აღსანიშნავად და რატომ აღნიშნავენ სლოვაკები თავიანთი წინაპრის ხსოვნას. გამომხაურება დიდი იყო. რედაქციამ მკითხველებისაგან ბევრი წერილი მიიღო. ასეთი ტაქტიკა, — განაგრძობდა კუნა, — ჩვენ გვეხმარება დაეცვათ ახალგაზრდობა შესაძლო მერყეობისა და ბურჟუაზიული პროპაგანდის გავლენისაგან. ეს ჩვენ სერიოზულ საქმედ მიგვაჩნია და „კონტრაპროპაგანდის“ საკითხები ჩვენი სარედაქციო მუშაობის მნიშვნელოვან უბანს შეადგენენ, — დაასრულა მან.

მე ზოგიერთმა სხვა ანალოგიურმა მაგალითმაც ჩამაფიქრა, მაგრამ მოდი ისევ გაზეთის საკვირაო ნომრის შინაარსის გაცნობა გავაგრძელოთ, მით უფრო, რომ მინდა იქ გამოქვეყნებული ერთი წერილი მოვიხსენიო. წერილი დაიბეჭდა გაზეთში გაშლილ დისკუსიასთან დაკავშირებით, რომელიც მიძღვნილი იყო ჩვენი ახალგაზრდული პრესისთვისაც ნაცნობი თემისადმი: „რა არის ბედნიერება?“ პედაგოგმა ანდრეი რეჩანსკიმ თავის საქმაოდ მცირე მოკულობის (სხვათა შორის, გაზეთ „სმენასთვის“ ესეც დამახასიათებელია — მცირე მო-



ცულობა: ცოტა ლაპარაკი და ბევრის თქმა) და საქმაოდ ცოცხლად დაწერილ სტატიაში დააყენა რელიგიის, როგორც ადამიანის ბედნიერებისათვის ხელისშემშლელი მიზეზის, ანუ მისი უბედურების საკითხი. წერილის ავტორი პირდაპირ არც რელიგიის წინააღმდეგ ილაშქრებს, არც მეცნიერულ დებულებებს აყალიბებს ათეიზმის დასაცავად, არც რაიმეს მოუწოდებს მკითხველს. ანდრეი რჩინსკი გულისტყვილით მოუთხრობს მკითხველს ცხოვრებიდან აღებული შემდეგი სამწუხარო შემთხვევის გამო: ახალგაზრდა ქალ-ვაჟს ერთმანეთი შეუყვარდათ, მაგრამ ოჯახის შექმნა ვერ შეძლეს იმის გამო, რომ ერთი კათოლიკე აღმოჩნდა, ხოლო მეორე — პროტესტანტი. სწორედ მაშინ, როცა ამ ახალგაზრდებმა თავი ბედნიერად იგრძნეს და შეუღლებისათვის ხელი თითქოს აღარაფერს უნდა შეეშალა, მათ შუა ჩადგა რელიგია. ეს არის და ეს. საქმაოდ რთულსა და ზოგად კითხვავზე: რა არის ადამიანის ბედნიერება — გაზეთის მრავალრიცხოვანმა მკითხველმა თვითონ გასცა პასუხი ამ კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით — რელიგიისა და ცრურწმენისაგან თავისუფალი ცხოვრება.

კიდევ ერთი მაგალითი. გაზეთ „სმენას“ ლიტერატურული მუშაკი გაბრიელ გრიზლოვი მისი მორიგ მივლინებაში გამგზავრების წინ გაეცინა.

— ეს ჩვენი უმაღლესი, მეხუთე კატეგორიის მუშაკია — გამაცნეს გრიზლოვი რედაქციის პროპაგანდის განყოფილების თანამშრომლებმა, როცა იგი ოთახში შემოვიდა. მე დაეინტერესდი „კატეგორიების“ საკითხით.

— ჩვენთან, — მიპასუხა განყოფილების რედაქტორმა, — გაზეთის მუშაკების ხუთი კატეგორიაა. რედაქციაში ახალმიღებული, რომელსაც საგაზეთო მუშაობის გამოცდილება არა აქვს, ითვლება პირველი კატეგორიის მუშაკად. შემდგომში კი, სტაჟისა და კვალიფიკაციის მიხედვით, მას კატეგორია ემატება. პარალელურად იზრდება მისი ხელფასიც. ვინ როგორი კვალიფიკაციის მუშაკია — ამას მუშაობის სტაჟის გათვალისწინებით ადგენს სარედაქციო კოლეგია, რასაც შემდგომში ჟურნალისტთა კავშირი ამტკიცებს.

გ. გრიზლოვმა შეატყო, რომ ამ საკითხზე საუბარი შეიძლება გაჭიანურებულიყო და წასასვლელად მოემზადა.

— ნაინტერესოა, რა დავალებით მიემგზავრებით მივლინებაში? — შევეკითხე მე.

— ოო!.. ეს თითქმის საერთაშორისო მნიშვნელობის თემაა, — მიპასუხა მან ღიმილით: — ალკოპოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლა. ეს თემა, ვგონებ, არც თქვენთვის უნდა იყოს უცხო. ამბობენ, საქართველოში ღვინო წყაროსავით მოჩუხჩუხებს.

— ქართველები არაყსა და კონიაკს არ ვეტანებით, — ვიმართლე თავი და ხუმრობით ვუთხარი: — ჩვენებური, ნატურალური ღვინო კი ძალიან ხშირად სამკურნალო საშუალებადაც არის ხოლმე გამოყენებული.

— ჩვენთან სხვაგვარადაა, — სერიოზული ტონით მიპასუხა ანტისალკოპოლო ნარკვევების მომავალმა ავტორმა. — ჩვენთან „კონტრაპროპაგანდა“ ამ საქმეშიც საჭიროა. ჩვენ ვიცით, რომ ალკოპოლის გავლენის ქვეშ მოქცევა ისევე საშიშია, როგორც რეაქციული პროპაგანდის გავლენა. ამ უკანასკნელს გაზეთი უკეთესად ებრძვის — კონკრეტული, ცოცხალი, დამჯერებელი მაგალითებით. ლოთობის წინააღმდეგ კი აქამდე მხოლოდ ღრზუნებით, საერთო ხასიათის მოწოდებებით, ზოგადი ახსნა-განმარტებითა და რჩევა-დარიგებებით ვიბრძოდით. ეს სასურველ ეფექტს არ იძლევა. ესლა მე განვიზრახე პრინციპულად არა ვთქვა: არ დალიოთ, არ დათვრეთ, მავნებელია, თავს მოუფრთხილდით და სხვ. პირიქით, ნარკვევების ქვეტექსტი ასეთი უნდა იყოს: სვით, სვით — სასმე-



ლი ყველას ეყოფა, შედეგი კი აი, როგორია! ერთ ნარკვევს მე საავადმყოფოში სამკურნალოდ მოთავსებულ ნევრასტენიკს ან სულიერად დაავადებულ ალკოჰოლისტს მიუძღვნე და ვუჩვენებ, თუ რამ მიიყვანა იგი ამ მდგომარეობამდე; მეორეს — ციხეში მყოფ პატიმარს, რომელმაც სიმთვრალის დროს დანაშაული ჩაიდინა, ან ეს დანაშაული იმისთვის ჩაიდინა, რომ სასმელისათვის ფული ეშოვნა; მესამეს — ლოთის „ოჯახურ იდილიას“, როცა მამაკაცის ალკოჰოლიზმი აუტანელ მდგომარეობას უქმნის ცოლ-შვილს და დამღუპველად მოქმედებს ბავშვების აღზრდაზე; მეოთხეს... ერთი სიტყვით, ასე შემდეგ. თითოეულ ნარკვევში მოთხრობილი იქნება სხვადასხვა პიროვნების თავგადასავალი.

მე კვლავ დავფიქრდი. აი, ისევ საესებით კონკრეტული საუბარი მკითხველთან, საუბარი არა მოწოდების, ზოგადი ხასიათის ასხნა-განმარტებისა და მშრალი, ყოველგვარ არგუმენტაციას მოკლებული მეთოდით, არამედ მანკიერის აღწერისა და მისი უარყოფითი შედეგების ჩვენების მეშვეობით, როცა მკითხველს თვითონ გამოაქვს სწორი და სასურველი დასკვნა.

ორიოდე სიტყვა გაზეთ „სმენას“ მთავარი რედაქტორის როლსა და მის საქმიანობაზე. ძირითადი და დამახასიათებელი, რაც ყურადღებას იმსახურებს, ის გახლავთ რომ მთავარი რედაქტორი არ არის გადატვირთული, ასე ვთქვათ, ტექნიკური „წვრილმანებით“, არ არის „მიჯაჭვული“ თითოეული მორიგი ნომრის ანაბეჭდებსა და საგაზეთო გვერდებზე. არც სამივე გამოშვების უშუალო და პრაქტიკული მონაწილეა: იგი შინ ეცნობა გაზეთის პირველ გამოშვებას და თავის შენიშვნებს შემდგომი გამოშვებისათვის გასათვალისწინებლად მორიგე რედაქტორს უზიარებს. გარდა სერიოზული პოლიტიკური, კრიტიკული ან სხვა ხასიათის წერილისა, იგი ასაწყობად ჩასაგზავნ ყველა დედანსაც კი არ კითხულობს. ყველაფერი ის, რაც დაკავშირებულია მორიგი ნომრის გამოშვების პროცესთან, რედაქციის სამდივნოს, განყოფილებების რედაქტორებისა და მორიგე რედაქტორის მეშვეობით კეთდება. სტამბის, და არა რედაქციის, შტატში არიან კორექტორებიც. ამიტომ, თუ გაზეთში კორექტურული ან დედნისაგან განსხვავებული სხვა ხასიათის შეცდომა გაიპარა, სტამბა რედაქციას უხდის ჯარიმას. სამაგიეროდ, მთავარი რედაქტორი ბევრ დროს ანდომებს კოლექტივთან მუშაობას, ეხმარება განყოფილებებსა და თითოეულ თანამშრომელს საჭირო თემის შერჩევაში, მის სწორად გაგებასა, გადაწყვეტასა და შემოქმედებითი მუშაობის სხვა საკითხებში. ბევრი დრო მიაქვს სხდომებს, თათბირებსა და კრებებს, სხვადასხვა ღონისძიებებზე დასწრებას, მათ მუშაობაში მონაწილეობის მიღებას, საგულისხმო პარტიული და სხვა დოკუმენტების გაცნობას, ლიტერატურის კითხვას და, საერთოდ, საკუთარი თეორიული მომზადების დონის ამაღლებაზე ზრუნვას, მაგრამ ამის აუცილებლობას და სარგებლიანობას ყველაზე უფრო თვით მთავარი რედაქტორი გრძნობს. ეს მას საშუალებას აძლევს ქვეყნის ყოველდღიური პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ცხოვრების კურსში იყოს, რასაც პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს სარედაქციო მუშაობის სწორად წარმართვისა და ნაყოფიერი ხელმძღვანელობის განხორციელებისათვის, ანუ იმის კარგად შესრულებისათვის, რასაც გაზეთის რედაქტირება ეწოდება.

საინტერესო და საგულისხმო მაგალითების მოტანა ჩვენი სლოვაკი კოლეგების საგაზეთო მუშაობის პრაქტიკიდან კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ, მგონი სიტყვა გამიგრძელდა და ამით დავკმაყოფილდეთ, მით უფრო, რომ ცოტაოდენი კიდევ მაქვს სათქმელი სლოვაკური ლიტერატურისა და იმის შესახებ, თუ როგორ ასრულებს იგი ახალგაზრდობაში ძველი, უარყოფითი ზნე-ჩვეულებების,



შეხედულებებისა და მსოფლმხედველობის დაძლევის მეშვეობით ახალი, სოციალისტური მორალისა და იდეოლოგიის დამკვიდრების საერთო სახალხო საქმეში.

მე ვერ შევძლებ თანამედროვე სლოვაკური ლიტერატურის ზოგად დახასიათებასაც კი. უბრალოდ, არ მქონდა საშუალება საფუძვლიანად გავცნობოდი მას და გარკვეული აზრი გამომეტანა. ამის გარეშე კი მსჯელობა ძნელია. მართალი გითხრათ, არც მქონია ასეთი მიზანი. მაგრამ ერთმა გარემოებამ მიიქცია ჩემი ყურადღება და არ შემიძლია დუმილით ავუარო მას გვერდი, თუნდაც იმიტომ, რომ იგი საინტერესოდ მეჩვენება ჩვენი ლიტერატურული ახალგაზრდობისთვის მაინც. მე მხედველობაში მაქვს ისეთი თემა, — თემა ძველი, მაგრამ მაინც ახალი და საყურადღებო, თემა ყველა ერისათვის თავისებურად დამახასიათებელი, სპეციფიკური და, არ შევცდები თუ ვიტყვი, აქტუალურიც, — როგორცაა

ო.ჯახნი, კირძო სპაშტირება და სხემლმწიფო.

რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში ე. წ. საოჯახო-საყოფაცხოვრებო ხასიათის ლიტერატურაზე არაა ლაპარაკი. მით უფრო, რომ სლოვაკი მწერლების შემოქმედებისათვის ეს მთავარი და დამახასიათებელი არ არის. თანამედროვე სლოვაკურ ლიტერატურაში ოთხი მთავარი და ძირითადი თემაა: დამპყრობელთა წინააღმდეგ სლოვაკი ხალხისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ მუშათა კლასის ბრძოლა წარსულში; სლოვაკიის სახალხო აჯანყება; ქვეყნის რეკონსტრუქცია და ინდუსტრიალიზაცია; სოფლად სოციალიზმის მშენებლობა და ეკონომიურ-პოლიტიკური გარდაქმნები. დიდი ადგილი აქვს დათმობილი, განსაკუთრებით პოეზიაში, საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ხალხთა მეგობრობის თემასაც. სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურას სლოვაკიაში საფუძველი ჯერ კიდევ 30-იან წლებში, ჩეხოსლოვაკიის ბურჟუაზიული რესპუბლიკის არსებობის პირობებში ჩაეყარა. იმ პერიოდში დაიწერა პეტრე ილემნიცკისა და ფრანია კრალის გაბედული რეალისტური ნაწარმოებები.

ბუნებრივია, რომ სლოვაკური ლიტერატურის სოციალისტური რეალიზმის გზით განვითარების პროცესი რთული წინააღმდეგობებით და შეცდომებით ხასიათდებოდა, განსაკუთრებით ლიტერატურული კრიტიკის მხრივ. ფორმალისტური თეორიების მავნე გავლენას განიცდიდა პოეზიაც, მაგრამ მთავარი ახალი ლიტერატურისათვის — ცხოვრებასა და პოლიტიკურ მოვლენებთან მჭიდრო კავშირი — უკვე იძლეოდა დადებით შედეგებს. ეს შედეგები კიდევ უფრო საგულისწმოდ გახდა 1946 წლის შემდეგ, როდესაც უცხოელი დამპყრობლები საგან განთავისუფლებულმა ხალხმა მოიგერია ბურჟუაზიის შემოტევა და საბოლოოდ განამტკიცა თავისი დემოკრატიული და სოციალისტური მონაპოვარი.

ამით ამოიწურა ჩემი „მარაგიც“ ზოგადად თანამედროვე სლოვაკური ლიტერატურის შესახებ და თუნდაც ამიტომ მინდა საუბარი ისევ იმაზე გადავიტანო, რითაც დავიწყე.

ცნობილია, რომ ძველი ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრების გადმონაშთები შედარებით უფრო ხანგრძლივად განაგრძობენ არსებობას ადამიანის სულიერ სამყაროში და თავს იჩენენ ხოლმე ოჯახური ცხოვრების, პირადი ურთიერთობის, ყოფისა და, საერთოდ, მორალის საკითხებში. ამიტომაც, რომ საზოგადოებრივი განვითარების გარდამავალ პერიოდებში იდეოლოგიური მუშაობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ღებულობს. და, ბუნებრივია, მას დამახასიათებელი სიძნელებიც თან ახლავს ხოლმე. ზოგიერთი მათგანის შესახებ.



მე მიაშბეს გაზეთ „სმენას“ ირგვლივ შემოკრებილმა ახალგაზრდა ლიტერატორებმა იან შკამლაშ, პაველ კოიშმა და სხვებმა. მათივე დახმარებით შესაძლებლობა მომეცა გაცენობოდი ახალგაზრდა მწერალი ქალის მარინა ჩერეტკოვას ზოგიერთ მოთხრობას. ეს მოთხრობები ოჯახური ურთიერთობის, ყოფისა და მორალისადმი მიძღვნილი და, სიუჟეტის საინტერესო განვითარებასთან ერთად, საკითხების გაბედული, ორგინალური დასმით გამოირჩევა.

ოჯახის სიმტკიცისა და მისი კეთილდღეობისათვის ზრუნვა, ცოლ-ქმრული ურთიერთობის, როგორც ოჯახის საძირკვლის, სიწმინდისა და სიმტკიცისადმი ყურადღება საერთოდ დამახასიათებელია თანამედროვე ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობისათვის. იგი ბავშვებისადმი განსაკუთრებულ ყურადღებასა და მრავალშვილიანობის მატერიალურ წახალისებაშიც კი ვლინდება. რედაქციის მანქანის მძღოლმა კაროლ კუჟენბერგმა, რომელმაც თითქმის მთელი ჩეხოსლოვაკია მომატარა და რომელთანაც მისი დაჟინებული თხოვნის შემდეგ იძულებული გავხდი ოჯახშიც მივსულიყავი, მითხრა, რომ თავისი ორი ბავშვისათვის იგი სახელმწიფოსაგან „პრემიის“ სახით ყოველთვიურად ღებულობს 170 კრონს. მესამეზე კი, — კაროლმა გაიცინა და ცოლს შეხედა, — თვეში 360 კრონს მივიღებთო. ეს არც ისე ცოტა ფულია, — დაასკვნა მან ღიმილით. მართლაც და ბავშვები ჩეხოსლოვაკიაში ყველაზე „პრივილეგირებული კლასია“. ეს ყველგან და ყველაფერში იგრძნობა: ქუჩაში, ტრანსპორტზე, მილიციის მუშაკთა და მოქალაქეთა ბავშვებისადმი დამოკიდებულებაში, პარკებსა და სკვერებში, სადაც მათთვის გაშენებულია კეთილმოწყობილი მოედნები, უფასო რძეში, რომელსაც თითოეული ბავშვისათვის ოჯახი ღებულობს და სხვ.

ალბათ ოჯახისადმი ასეთი ყურადღებით უნდა აიხსნას ისიც, რომ სწორედ ჩეხოსლოვაკიაში წამოიკითხეს ადგილობრივ ჟურნალში დაბეჭდილი ერთი ქართული ზღაპარი, რომელიც ჩემდა სამარცხვინოდ მანამდე არც გამეგონა.

აი ამ ზღაპრის შინაარსიც: ცოლ-ქმარი სასტიკად წაჩუხებულან. გაჯავრებულმა კაცმა ცოლს გამოუცხადა — შინ დაბრუნდი, შენს მშობლებთან, რადგან ჩვენი ერთად ცხოვრება აღარ იქნებაო, თან „დიდსულოვნება“ გამოიჩინა და უთხრა: — შეგიძლია თან წაიღო ყველაფერი, რაც გინდა, რაც შენთვის ყველაზე ძვირფასი, საჭირო და აუცილებელიაო. ცოლმა სთხოვა ევაზშმათ და გამოსათხოვარი საღამო ერთად გაეტარებინათ, შემდეგ კი შინისაკენ გავსწევო. დიასახლისმა სანაქებო სუფრა გაშალა და უგუხნებო ქმარმა ღვინოც საქმარისად და უგრძობლად მთერალი იქვე დაეწვინა.

— ეს რას ნიშნავსო, — იკითხა ძლივს გონზე მოსულმა კაცმა.

— შენ არ მითხარი, რაც ყველაზე ძვირფასი იქნებოდა, წამელო და სახლში წავსულიყავი? მე შენს მეტი არაფერი მჭირდებოდა. ყველაზე ძვირფასი, რაც ოჯახში მეგულებოდა, ურემზე დავდე და სახლში მიმაქვსო, — მშვიდად უბასუხა ქალმა და ხარებს სახრე გადაჰკრა.

ვაი სირცხვილო! — ქართულ ზღაპარს პირველად ბრატისლავში ვისმენ, რუხულიდან სლოვაკურად თარგმნილს! მაგრამ იხტიბარი მაინც არ გავიტეხე და ირგვლივ შემოკრებილ ახალგაზრდა ლიტერატორებს ორიოდ ქართული იგავითა და ჩვენი კლასიკოსების აფორიზმებით გავუმასპინძლდი. ერთი ენამოსწრებული ანეკდოტიც ვთქვი, რამაც დიდი ენთუზიაზმი გამოიწვია და პასუხად სამი იმდენი წარმოითქვა.



გამოცოცხლება კვლავ საქმიანმა საუბარმა შეცვალა და, როცა ვლადისლავ ლარუსეის შემოქმედებაზე ჩამოვარდა ლაპარაკი, ხოლო მისი ერთ-ერთი მოთხოვნა „მარტინ ლორჩიაციის სიკვდილი“ კვლავ ოჯახის თემას შეეხო, მაშინ დავრწმუნდი, რომ ოჯახი აქ ლიტერატურაშიც სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის თემამდეა აყვანილი.

ვ. ლარუსეის მოთხოვნა, „მარტინ ლორჩიაციის სიკვდილი“ კერძო საკუთრებისა და მამა-შვილის ურთიერთობის საკითხებს ეხება.

ლორჩიაკი მდიდარი კაცი იყო. გამდიდრების სულსიკვეთებით ზრდიდა იგი თავის სამ ვაჟიშვილსაც. და აი შედეგიც, კაპიტალის დაგროვებისაყენ სწრაფვამ ერთი მათგანი ციხის კარამდე მიიყვანა, მეორე სახლიდან გააძევა იმავე სიმდიდრის საქებრად და შინ აღარ დაუბრუნებია, მესამე კი მამის საიქიოს გამგზავრებას ელოდება, რათა მის სიმდიდრეს დაეპატრონოს, როგორც ერთადერთი კანონიერი მემკვიდრე. მარტინი ავად ხდება. ირგვლივ ყველა დარწმუნებულია, რომ მოხუციის დღეები დათვლილია, მაგრამ ჯანმრთელი ორგანიზმი სიკვდილს ერევა და ბრძოლას განაგრძობს. შემდეგ კვლავ უნუგეშო მდგომარეობა, ისევ გამოკეთება და, ბოლოს „ხანგრძლივი ძილი“... ლორჩიაკი ისე დასაფლავებს, რომ ნოტარიუსმა მემკვიდრეობაზე ანდერძის გაფორმებაც კი ვერ მოასწრო. საგონებელში ჩავარდნილ შინ მიმავალ შვილს მესაფლავის ძახილი მოესმა:

— მიკოლას, დაბრუნდი, დაბრუნდი, სამარიდან ძახილი ისმის, მამაშენი კუბოს ურტყამს, კუბოს!...

მაგრამ შვილი არ დაბრუნებულა, ხოლო როცა დაბრუნდა — ვაი თუ მართლაც ცოცხალი დავმარბეო — შეშინებულმა მესაფლავეს ფული აჩუქა, რათა მამა უფრო ღრმად ჩაემარხა.

რა თქმა უნდა, შინაარსის გადმოცემა მოთხოვნის მხატვრულ ღირსებაზე საერთოდ ვერ შექმნის რაიმე შთაბეჭდილებას, მაგრამ ამ შემთხვევაშიც ისევ თემა მალაპარაკებს. მალაპარაკებს იმიტომ, რომ ჩვენთან დასტამბული ზოგიერთი მოთხოვნის ავტორი (უფრო მონუმენტალურ ქანრებზე რომ აღარ ვილაპარაკოთ) ამბავს ჰყვება და არაფერს კი არ ამბობს. ასეთ მოთხოვნაში ან მხატვრულ ნარკვევში ბუნების აღწერაც არის, სიყვარულიც, თითქოს სიუჟეტსაც ვერ დაემდურები, არც დიალოგებია ზოგჯერ ურიგო, მაგრამ საბოლოო ჯამში მოთხოვნა არაფრისმთქმელია: მხატვრული ნაწარმოები ლაპარაკობს, ჰყვება, მაგრამ არაფერს ამბობს. იმიტომაც, რომ „მოყოლას“ მიჩვეული მკითხველები ზოგჯერ „თქმასა“ ვართ დანატრებული. ხომ არ შეიძლებოდა ჩვენც გვეძებნა ჩვენი დღევანდლობისათვის უფრო მტკიცეული და სწოვადობისათვის უფრო საჭირობოროტო, სასარგებლო თემები? ხომ არ შეიძლებოდა მხატვრული სიტყვით გვეთქვა ის, რასაც ზოგჯერ საგაზეთო სტატიებსა და ფელეტონებში ამოვიკითხავთ ხოლმე?

ჩვენს სინამდვილეში არის მორალური აღზრდის, ოჯახური, პირადი და საზოგადოებრივი ურთიერთობის ზოგიერთი ისეთი საკითხი, რომლებიც თემად გამოდგება და მხატვრული სიტყვის ღირსიც არის. მაგრამ ამის შესახებ „თქმა“ არის საჭირო და არა „მოყოლა“, რაც ჩვენ, სამწუხაროდ, უფრო გვეადვილება ხოლმე.





ქვემოთ მოთავსებული მასალები წარმოადგენს მოსკოვში დეკადის დღეებში ქართული პროზისა და პოეზიის განხილვისას წარმოთქმული სიტყვების სტენოგრაფებს.

საქართველის მოთხრობები

სულ რამდენიმე დღეა, რაც ესტონეთიდან დავბრუნდი და ქართული პროზის განხილვამდე ორიოდე დღით ადრე მე გამოიმჯავენეს მოთხრობათა მცირე მოცულობის ტომი, რომლის წაკითხვა, რაღა თქმა უნდა, ვერ მოვასწარი.

მაგრამ, საბედნიეროდ, ხელთ ჩამივარდა ახალგაზრდა მწერლის პატარა წიგნი. ეს წიგნი იმდენად ნიჟიერად დაწერილი აღმოჩნდა, იმდენად გამიტაცა, რომ არაერთხელ გადამაკითხვინა თავი და არ კი მომბეზრდა, მსგავსად სამო მელოდიისა. ეს გახლავთ რევაზ ინანიშვილის წიგნი — „ნათელა“.

მინდა, უწინარეს ყოვლისა, ვილაპარაკო თავად მწერალზე, რადგან დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ამბავს, თუ როგორი ბიოგრაფიით გამოდის ახალგაზრდა მწერალი სალიტერატურო სარბიელზე.

იგი 32 წლისაა. 1942 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა და ქარხანაში წავიდა ზეივკლად. ხუთ წელიწადს მისდევდა ამ ხელობას; შემდეგ შევიდა თბილისის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე. იქ ორ წელიწადს სწავლობდა. როდესაც სამგორის მშენებლობა გაიშალა, უნივერსიტეტი შიატოვა და სამუშაოდ გაემართა სამგორს. ეს მით უფრო საგულისხმო ამბავია, რომ 1950 წელს სტუდენტთა აღმანახში დაიბეჭდა მისი პირველი მოთხრობა. მშენებლობაზე სამ წელიწადს მუშაობდა, შემდეგ კი უნივერსიტეტს დაუბრუნდა, ბრწყინვალედ დაამთავრა და მწერლობას მიჰყო ხელი.

რ. ინანიშვილის მოთხრობები კარგადაა თარგმნილი და მსუბუქი, სასიამოვნო საკითხავია. რა გვანცვიფრებს ამ წიგნისა? — ცხოვრების მშვენიერების ძალაში, გოეთესტური შეგრძნება. სადაც უნდა იყოს ავტორი, მისთვის მუდამ ყოველთვის საინტერესოა. მისი ლიტერატურული კრედიტე გამოთქმულია მოთხრობაში — „ნოშრევიანი“. მოთხრობად გვევლინება პირველი პირი, თუმცა ეს ავტორი არაა.

ამ მოთხრობაში გამოსჭვივის დაკვირვების დიდი უნარი, ყურადღება წვრილმანების მიმართ. ამ ცხოვრებისეული წვრილმანებით დაინტერე-

სებულ მწერალს უნარი შესწევს არა მარტო დიდი თემისადმი მიძღვნილი, დამაინტერესებელი და ამაღლებელი მოთხრობები ააგოს, არამედ სიუჟეტებიც კარგად გამოქმენოს. ერთი შეხედვით თითქოს ნატურალისტური ამბავივცა — დამჯღღარა, გარემოს დაკვირვებია და, რაც კი მის მზერას მოუტაცავს, მოთხრობების თემად ალღია. მაგრამ საქმეც ისაა, რომ მისი მზერის არეში მოხვედრილ წვრილმანებზე ავტორი აგებს არა მარტო ძალზე დამაინტერესებელ, მოულოდნელ სიუჟეტებს, არამედ აგრეთვე დიდმნიშვნელოვან თემებთან დაკავშირებულ სიუჟეტებსაც.

რ. ინანიშვილი კარგად იცნობს თავის ხალხს, თავის საქართველოს, მშვენივრად ესმის უბრალო ადამიანებისა, უმთავრესად მუშების; მათი დახატვისას იგრძნობა ავტორის უჩვეულო სითბო, ფერთა მოპირნელ გამოყენება და მრავალსიტყვაობისათვის თავის არიდება. მაგრამ სიტყვაძუნწი ავტორის სახეები უადრესად მრავლისიმომცველია.

დამწყებ მწერლებთან მუშაობისას მე ჩვეულებრივ მივუთხრობ ხოლმე მათ ერთ ბავშვობისდროინდელ ამბავს: მუსიკას რომ ვსწავლობდი, ვერაფრით ვერ შევძელი ნოტის სწორად აღება. მაშინ მასწავლებელმა მითხრა — სკამზე შედექით და შეხტიეთ. შევხტი და როგორღაც ვიგრძენი ჩემი სხეულის სიმძიმე. — ბგერა ყოველი სხვა საგნის მსგავსია, თქვენ უნდა გრძნობდეთ მის სიმძიმესო, — განმიმარტა მასწავლებელმა.

ასევეა ნაწარმოების კითხვისას; თქვენ უნდა გრძნობდეთ სახის სიმძიმეს, სიღრმესა და მოცულობას. და ჩვენი ავტორი ახერხებს შემთხვევითი მცირე დეტალებიც კი ისე დაგვიხატოს, რომ ისინი წონას იძენენ.

ახლა ბუნების გრძნობის თაობაზე; ლირიკული მოთხრობის შესახებ აქ უკვე ითქვა. რ. ინანიშვილის ნაწარმოებებში იმდენად მძაფრად ემოციურია ბუნების შეგრძნება, რომ თქვენ არა მარტო გრძნობთ ამ ბუნებას, არამედ განიცდით კიდევაც, თითქოს სუნთქავდეთ მისით, თითქოსდა გე-



ხეობდეთ, გელაციცობდეთ აი ეს ნიავი. ბუნების შეგრძნება გადმოცემულია ორიგინალურად, პლასტიკურად და, ამასთანავე, ძუნწადაც. ეს დიდი ოსტატობაა დამუყები მწერლისა.

ასევე წარმოგვისახავს ავტორი აღმნიანთა ემოციებსაც. რ. ინანიშვილი იშვიათად მიმართავს სიყვარულის თემას, ოღონდ ეს სიყვარული ფაქიზია.

საინტერესოდ არის მოთხრობილი ბერიკაცისა და დედაბერის სიყვარულის ამბავი. ისინი მთელი სიცოცხლის მანძილზე განუყრელნი ყოფილან, თქვენ გრძობთ, თუ რაოდენ მტკიცეა მათი კავშირი და როგორი სიამტკილობით ცხოვრობენ ეს მოხუცნი. მათი შვილები ხალხში გამოსულან, მშობლებს დაშორებიან. მართალია, ფულსკი ხშირად უგზავნიან ხოლმე, მაგრამ ბარათებს არ სწერენ. მოხუცებულებს მათი დარდი აწუხებთ. ერთხელ სკოლაში, სადაც ბერიკაცი დარაჯად მუშაობდა, მოვიდნენ სტუდენტები, რომლებიც ჩათვლისათვის ემზადებოდნენ. ბერიკაცს გაახსენდა, როგორ ღელავდა იგი თავისი შვილების გამო, გამოელაპარაკა ახალგაზრდებს, მათი ბედით დაინტერესდა. სტუდენტები რომ ჩასათვლელად წავიდნენ, ბერიკაცი მათთან ერთად ღელავდა. მან საგანგებოდ გადაძალა ნაჩუქარი ჩურჩხელა, რათა ჩათვლიდან დაბრუნებული სტუდენტებისათვის მიეცა. მაგრამ ახალგაზრდებმა, რომლებიც მოხუცს შეპირდნენ — დავბრუნდებით და ჩვენს ამბავს გვიამბობთო, თავი-

ანთი პირობა დაივიწყეს, და ისე გაემგზავრნენ, ბერიკაცი აღარც გახსენებიათ... თქვენ ხედავთ ბერიკაცს, რომელსაც ჯიბეში ჩარჩენია თავისი საჩუქარი. ამ მოთხრობამ მე ამაღელვა. ეს ნაწარმოები მრავალ დიდატიკურ მოთხრობაზე მეტად იმოქმედებს იმ ახალგაზრდებზე, რომლებიც მშობლებს ივიწყებენ ხოლმე.

ან კიდევ გავიხსენათ ამბავი იმ ბიჭისა, რომელსაც გულში ჩარჩების ტრფიალი ჩაუნერგავს და უყვარს მათი მიღერსება. მხოლოდ ის შეძლებს ასე დავიხატოს პატარა ბიჭის მისწრაფებანი, ვინც თვითონვე ყოფილა ზენიკალი. მშვენიერი მოთხრობაა.

რ. ინანიშვილის წიგნს თანაბარი სიამოვნებით წაიკითხავენ როგორც პატარები, ისე მოსწავლეებიცა და სრულსაკოვანნიც.

მე ვფიქრობ, დღევანდელი ახალგაზრდობის სახით იქმნება ნამდვილი საბჭოთა პროზა. ეს ახალგაზრდობა ძალიან კარგად იცნობს თავისი ქვეყნის აღმნიანებს, ქართულ ხასიათებს. მათს ნაწერებში ნაციონალიზმის ნასახიე არაა, თუმცაღა ეს ყოველივე ნაციონალურია ამ სიტყვის უკეთესი შობილიესი გავებით, რადგან ყოველი სახე თუ პლასტიკური მოძრაობა იმ აღმნიანებისა, ვისაც თხრობა შეეხება, თქვენ მივანიშნებთ ქართული ნაციონალური ხასიათის, უბრალო ხალხის ხასიათის საიდუმლოებაზე.

მარიბა შაგინიანი

აღმნიანის ბელი და სოციალური გარემო

ერთ წელზე მეტია, რაც მ. ქვლივიძემ მიიხრა, რომ ქართულ პროზაში გამოჩნდა საინტერესო ნაწარმოებები, — მათში ზოგი რამ სადავოა, ზოგსაც ვერ მორეგია ავტორი, მაგრამ მაინც ბევრი რამ მეტად საინტერესოა და დიდად საიმედო. კერძოდ, საქმე ეხება პერსპექტიულ რომანს. მეც დავინტერესდი და წავიკითხე რ. ჯაფარიძის რომანი — „ჯარისკაცის ქვრივი“, რომელმაც იმედი არ გამიცრუა. მან გვიჩვენა, რომ ეს ნაწარმოები მეტად საინტერესოა და საინტერესოა აგრეთვე როგორც ქართული პროზის დღევანდელი მდგომარეობისა და წინსვლის, ისე ახალგაზრდა მწერლების პედიღბლის მხრივ.

როდესაც რ. ჯაფარიძის „ჯარისკაცის ქვრივს“ კითხულობთ, გრძობთ, რომ საესეებით ჩამოყალიბებულ მწერალთან გაქვთ საქმე. თქვენ შეგიძლიათ ედავოთ მწერალს, არ დეთანხმობთ მას, მაგრამ ეს იქნება დავა მწერალთან, საინტერესო მწერალთან, რომელსაც აქვს ორიგინალური მწერლური მანერა, საკუთარი ცხოვრებისეული ფილოსოფია, საკუთარი მიღ-

გომა და გავება თვით ქანრისა, და ეს განსაკუთრებით საინტერესოდ მეჩვენება.

რომანს ერთიანად ვასდევს მწერლის ცხოველი ბნტერესი თანამედროვეობისადმი, მისწრაფება იმისკენ, რომ ცხოვრების შეუღამაზებულად გამოხატოს მნიშვნელოვანი მოვლენები. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს მწერლის ღატნტერესება ხალხის ფსიქოლოგიით, ხალხიდან გამოსული აღმნიანის განცდებით.

ჩვენ ხშირად ვლაპარაკობთ ხოლმე ზოგადად განცდებზე — ეს სწორია, მაგრამ არის უფრო რთული მოვლენაც: ხალხიდან გამოსული აღმნიანის განცდები. და რ. ჯაფარიძის ერთ-ერთი უძველესი დამსახურება ისაა, რომ იგი სერიოზულად და გულმოდგინედ იკვლევს რიგითი აღმნიანის — ჯარისკაცის ქვრივის ფსიქიკას.

ეს თემა არაა ახალი, მაგრამ აქ ისეა შემოტრიალებული, რომ ნაწარმოებიცა და თემაც ახლებურად აქდერდა, და ეს ძალზე საინტერესო გამოდგა.

ჩვენ ხშირად საოცარი დაწვრილმანებით



ვიანლიზებთ ხოლმე ლიტერატურულ ნაწარმოებს: ჯერ არის ყოფითი დეტალები, წარმოების პრობლემატიკა, შემდეგ, რათა სითბო ცოცხალი მანკი გამოჩნდეს, მიღის განცდები, ხოლო პიროვნების მთლიანობას, რაც აგვისახავდა ამ ადამიანს, იშვიათად ვხვდებით.

რ. ჯაფარიძემ ამ მხრივ საინტერესოდ შემოატრიალა თემა. მის რომანში ადამიანი მთლიანი სახით წარმოგვიდგება. მისი გმირის განცდები ორგანიულადაა შერწყმული გარემოსთან, ყოფასთან, ადამიანის ფიქრებთან.

გვიხსენით თუნდაც ის სცენა, როდესაც ხათუნას და მის ბიჭუნას გასასყიდად მიჰყავთ თხა. დიდებული სცენაა! რა საუცხოოდ და მდიდარი ფერებითაა დახატული ხილზე მდგარი დაღიქრებული ხათუნა. ბიჭუნას კი ხელში უკავია თხის რქებზე გამობმული თოვი და დედას ელოდება. ეს ორგანიული შერწყმა ადამიანის ღრმა ტრაგიკული განცდებისა, ყოფითი ფერებისა, პაერის სურნელებისა, ნაცნობი კუთხის გრძნობისა — ყოველივე ეს იმას მუქუნავს, რომ ჩვენს წინაშე ძალზე საინტერესო და დიდად საინტერესოა.

როგორია ავტორი რომანი? აქ სამართლიანად ამბობდნენ, მოგვებურდა შტამში ნაწარმოების სტრუქტურაში. შტამებს ვხვდებით მოთხრობებშიც და რომანებშიც. წესადაა შემოღებული ასეთი შტამი: საერთო ამბები, ისტორიული ამბები, ამას მოსდევს ამ ამბების აბსოლუტურად გადახლართული ან შერეული ბედი ნაწარმოების გმირისა, ადამიანებისა და კოლიზიების რაღაც შეჯახებანი და ა. შ. მერე კვანძის შეკერა პრობლემის განუვითარებლად და ვალაწყვეტლად — მორჩა და გათავდა. ჯაფარიძისათვის მთავარია ადამიანის ბედი, ამ ბედის გამოსაკეთად სჭირდება მას ფონიც, ყოფაც, სოციალური პრობლემატიკაც. ხოლო ადამიანის ბედობაში მისთვის მთავარია მორალური ზრდა, ზნეობრივი კრედი, ადამიანის წინსვლა. გორკი წერდა ლენინს: „მიყვარს დაჯივრება, თუ როგორ იზრდება ადამიანი“. ამ ზრდას ჯაფარიძე შესანიშნავად აღწერს. ზოგჯერ ამას იგი აკეთებს ვიწროდ, მაგრამ აღწერს ძალიან ღრმად, საფუძვლიანად, ადამიანის ზნეობრივი წარმოდგენების ღრმა დიალექტიკური გაგებით. იგი გმირს აყენებს ისეთ მდგომარეობაში და ისეთი პრობლემების წინაშე, რომლებიც თვით გმირსაც აწინებს.

მოიგონეთ ერთი მომენტი ხათუნას ხასიათის განვითარებაში, როცა იგი, პატრიარქალურ პირობებში აღზრდილი, მიდის ასეთ პრობლემამდე: ვითომ რატომ უნდა დავემორჩილო საყოველთაო წარმოდგენას, როცა ქალს... და თვითონვე ეწინაა გადაჭრებულს: როგორ თუ რატომ? იგი თითქმის უუსკრულს პირასა.

და სწორედ ეს ძალზე სერიოზული, ძალზე

ღრმა და მკვეთრი შემოპრუნება ადამიანის ბედობისა, რ. ჯაფარიძეს შესაძლებლობას აძლევს შემდეგში მოგვეცეს ადამიანის ბედის უფრო მდიდარი, ძალზე დინამიური და ხორც-შესხმული სურათი.

მაგრამ რამდენიც არ უნდა ვილაპარაკოთ, რამდენიც არ უნდა ვაჭოთ და ვაღიღოთ რომანი, — ეს იქნება მხოლოდ განცხადება, მხოლოდ მიდგომა. რა ხდება რომანში? ის, რომ ჯარისკაცის ქვრივი ხათუნა, რომელიც ჯერ მამის, შემდეგ კი ქმრის ხარჯზე ცხოვრობდა, დამოუკიდებლად ადვილს ეძიებს ცხოვრებაში. ქალის ცხოვრება ისე მოეწყო, რომ ის ვალდებულია ასე მოიქცეს. და რომანის დასასრულს იგი პოულობს კიდევ ამ ადვილს. თუ დავუკვირდებით რომანის სტრუქტურას, გამოვლინდება, რომ იგი ერთთავად ფართოვდება: შემოდიან ახალი ადამიანები, ახალი გმირები და მათი ბედობალი ისე დინამიურად არის გადახლართული ერთმანეთში, რომ შემდგომში რომანი დიდ სამყაროში გადავიყვანს. ჯერჯერობით ეს სამყარო ვიწროა არა მარტო პიროვნობის თვალსაზრისით, არამედ მოქმედ გმირთა დახასიათებითაც.

მე ვეთანხმები რ. ჯაფარიძეს იმაში, რომ ჩვენი მსაჯელობანი ხალხის ყოფაში მომხდარი ძალზე სწრაფ ცვლილებებზე ყოველთვის არ მართლდება. ჩვენი როგორც ჩანს, ვაწყდებით ხალხის ყოფაში არსებულ წინააღმდეგობებს, — ეს სწორია. და ეს წინააღმდეგობანი ძალზე მწვავეა. ადამიანთა ჩვეულებანიც, ფსიქიკაც, წარმოდგენებიც ათეული წლობით მუშავდება, — და ამ მხრივ ჩვენ მართლაც უნდა დავეთანხმოთ მწერალს და ყოველმხრივ მზარი უნდა დაუფიქროთ მის მისწრაფებას — ყურადღებით, დაფიქრებით წეროს ამ ყოფასა და ჩვეულებებზე.

აი, ჩვენს წინაშეა ბერიაკი, ხათუნას მამა. მან მძიმე და ძნელი ცხოვრება გაიარა. როდის გახდა იგი კოლმეურნი — არ ვიცი. იქნებ არც კია კოლმეურნი? ამ ნიშნებს ვერ ვხედავთ, ისინი დაკარგულია ჩვენთვის. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ისეთ ფაქტთან, როცა გმირის ფსიქოლოგიის გულმოდგინედ დამუშავებისას და მის განცდებზე ყურადღებით თვალყურის დევნებისას ავტორი ნაკლები სიღრმითა და რელიეფურობით გვიჩვენებს ტიპის ერთერთ უმნიშვნელოვანეს განსაზღვრებას: სოციალურ მზარეს.

ამაზე საჭიროა სერიოზული დაფიქრება. მწერალს შეუძლია რომანი სიუჟეტურად ააგოს ისე, როგორც სურს, გმირთა ბედობალიც სურვილისამებრ წარმართოს, მაგრამ სოციალური განსაზღვრებანი აუცილებლად შედის ტიპის შინაარსში.

შეგიძლიათ არ გვიჩვენოთ, რა კავშირშია



სპირიტონი გარემოსთან, მაგრამ უნდა გავგავ-
გებინოთ მის ცხოვრებაში მომხდარი გარდა-
ტეხა, მე მინდა დავინახო ეს კაცი ახლისა და
ძველის იმ წინააღმდეგობაში, რომელიც მას-
შია. ამას ვერ ვპოულობთ რომანში. ყოფითი
აღწერებითა და განცდების ვადმოცემით ვატუ-
ცებული ავტორი ნაკლებ ყურადღებას უთმობს
ტიპის სოციალურ განსაზღვრებას. ეს უნდა
გაითვალისწინოს ახალგაზრდა მწერალმა რ. ჯა-
ფარიძემ.

გადავიდეთ შემდეგ მომენტზე, რომელზედაც
ავრთვე ვერჩევდი ავტორს დაფიქრებას. ლა-
პარაიკა კულაკ-ის ოჯახზე... ოჯახში მომწიფ-
და დრამა. ირკვევა, რომ დრამა კულაკის
ოჯახშიც და... ოჯახშიც. მაგრამ ამ ორი დრა-
მის ფესვები პრინციპულად განსხვავებულია.
რამი მდგომარეობს კულაკის ოჯახური დრამა?
ოჯახისა და აღმავანის დაქცევაში. და ჩემთვის,
როგორც მკითხველისათვის, ნათელია, საიდან
ამოიზარდა ამ დრამის ფესვები. ფსიქოლოგი-
ური განცდებით ყველია, და რომ ვაიგო ამ
ყველის არსი, უნდა ჩააღწიო ფესვებამდე, —
მხოლოდ მაშინ გახდება-ნათელი ყველაფერი.

მარტივად და ტლანქად რომ ვთქვათ, საჭი-
როა სოციალური დახასიათება — უამისობას
თან სდევს მთელი რიგი შეუსაბამობანი.

ეს შეუსაბამობანი გვაფიქრებინებს, რომ
აღმავანის განცდათა მიღმა არსებული მთელი
ატმოსფერო — ზნეობრივიც, სოციალურიც და
სხვა — მწერლის ყურადღების გარეშე რჩება და
ყოველივე ამის აღწერაზე სერიოზულად უნდა
ფიქროს რ. ჯაფარიძემ.

ახლა ვილაპარაკოთ ყოფის შესახებ. ესეც
სერიოზული საკითხია.

რევან ჯაფარიძე მშვენივრად აღწერს ყო-
ფას, მაგრამ ზოგჯერ ეს მას მეტიმეტად იტა-
ციებს და შაბლონურადაც კი აღწერს. რომანში
დახატულია ბაზრის მშვენიერი სცენა, ჩინებუ-
ლადაა აღწერილი ყასაბი და ამ კაცის გამოჩე-
ნაც გამართლებულია. მაგრამ აქვე გამოჩნდ-
ება მეშვენიერე ქალი — ეს კოლორიტული ტი-
პია, მაგრამ რომანის მოქმედებასთან არავითარ
კავშირში არ არის. გაუგებარია, საიდან და რის-
თვის მოგვევლინა იგი. ამ მეშვენიერე ქალს
ღიღი „ტვირთი“ აწევს, მაგრამ ეს გარედან
შემოტანილი ტვირთია და არ უკავშირდება
რომანის შინაარსს.

რომანში მოცემულია აღმოსავლური ბაზრის
ხელშესახები სურათი, — და უცბათ იწყება
ნამდვილი ციტაცია ზოლადან — თქვენს წინამე-
დამის თბილისის კულწერებია „პარიზის კუნ-
ძულების“ ნაცვლად. მე ვეთანხმები რევან
ჯაფარიძეს იმაში, რომ საჭიროა გულმოდგინედ

დაუევირდეთ და შევისწავლოთ, თუ როგორ
გამოიყენოთ ყოფითი სურათების ნატვის ისე-
თი დიდიციტატის გამოცდილება, როგორცაა
ზოლა. მაშინ, მოდით, გამოიყენეთ ზოლა,
მაგრამ ისე, რომ ეს პირდაპირ ციტაციას არ
გავდეს. ამ მხარეს ყურადღება უნდა მიექცეს.
ვიმეორებ, როდესაც რ. ჯაფარიძე ყოფით
მასალას იყენებს, ის ამ ყოფითს მასალას ფა-
სადზე ძერწავს.

გახსოვთ ვოკის სიტყვები ერთი ციმბირე-
ლი მწერლისადმი: „ყოფა კარგია მხოლოდ
მაშინ, როდესაც იგი სავანთა საძირკველშია
ჩაყოლებული“. და იქ, სადაც ჯაფარიძე ყო-
ფას სავანთა საძირკველში დებს, ჩვენ ვხედავთ
ძალზე საინტერესო ფიგურებს; რა სხარტად,
ძალზე ლაკონურად და ძალზე მკაცრადაა
დახატული ზაქარია მუქდელი, მაგრამ თქვენ
ცოცხალივით ხედავთ ამ დიდი აზრისა და
სინდისის მქონე კაცს. თქვენ გრძნობთ კალ-
ისტრატესაც, მაგრამ როდესაც მწერალი აგვი-
წერს, როგორ სცემს იგი მსესუფრია პეპინას,
ამით ამცირებს თავის გმირს.

შესანიშნავია ზურია და მწერალს აღმოჩნდა
ზომიერების გრძნობა მის დასახატავად. ცხოვ-
რებამ ბიუს ისეთი სიძნელეები დაახვედრა,
რომლის დაძლევა მორბილ აღმავანს თუ
ძალუქს, და ზურია იწყებს მოზრდილივით
აზროვნებას. იგი ყურადღებით ეპყრობა დედას,
ესმის მისი, თქვენ გრძნობთ, როგორ იზრდება
ზურია. და იმავე დროს ზურია ბავშვია. იგი
ოცნებობს იმაზე, თუ როგორ წავა გემზე, რო-
გორ გამოვხავნის შინ ფულს და როგორ მის-
წერს დედას: მამატიც, რომ წამოვიდე, ზრუნ-
ვას არ მოვაკლებთო.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან მე ვასკენი,
რომ საჭიროა ელჩით კარგი წამოწყების
ავტორის მეტი სიღრმე, მეტი ყურადღება სო-
ციალური ატმოსფეროსადმი, სოციალური და-
საბუთებისადმი, ანა თუ იმ მხატვრული ტიპის
სოციალური განსაზღვრებისადმი.

მწერლის შეცდომა აქ იმაში კი არ არის,
რომ სიღმე რამე ნაკლებად დახატა ან ვადა-
ქარბა, — შეცდომა თვით მხატვრული ტიპიზა-
ციის ხასიათშია. ნამდვილი მხატვრული ტიპი
არ არსებობს მთელ რივ განმსაზღვრელ, არსე-
ბითსა და უშინშეწველო ნიშანთა გარეშე. და
ერთ-ერთ არსებით ნიშნად გვევლინება გმი-
რის სოციალური დახასიათება.

ნუ შეშინდება მწერალი, მეტი გასაქანი
მისცეს თავის გმირებს და მაშინ ისინი ნამდ-
ვილად იამობრწყინდებიან მთელი მრავალფე-
როვნებით.

3. დორღუფი.



ვივი გეგეჭკორი

გავშვები, სიტობო, სინაზმ...

დილაა, მაგრამ უკვე ცხელა.
 ეზოში ღურგალი ფიცრებს რანდავს.
 ეზოში შემოსული ბავშვები გულმოდგინედ
 ათვლიერებენ ღურგალსა და შენობაში შედიან.
 ღურგლის ფეხებთან ბურბუშელა გროვდება.
 იგი ჩერდება, იწმენდს ოფლიან შუბლს და
 შესცქერის ბელურებს, რომლებიც იქვე, ზღურბლ-
 თან დაყრილ პურის ნამცეცებს კენკავენ.
 შრიალებს ალვის ხეები. ნიავე არხვეს ფანჯ-
 რებზე ჩამოშვებულ ფარდებს.
 ძნელადის ქუჩას წითელი ავტობუსი მიჰყვება.
 კიბეებზე მშობლებს ფრთხილად ჩამოჰყავთ
 თეთრწინსაფრიანი ბავშვები და ეზოში შემოდიან.
 ეზოში ღურგალი ისევ რანდავს ფიცრებს და
 ბელურებიც ისევ კენკავენ პურის ნამცეცებს.
 კარებთან ბავშვებს ალერსიან რიმილით ეგე-
 ბება 102-ე საბავშვო ბაღის გამგე ქეთევან კაჭუ-
 შაძე.

ბავშვები კარადებისაკენ მიემართებიან, მცირე
 ზანს ჩერდებიან და შემდეგ ოთახებში შერბიან.
 კარადებს ბავშვების გვარი და სახელი არ აწე-
 რია. საბავშვო ბაღის აღსაზრდელებმა ჯერ არ
 იციან წერა-კითხვა. კარადებზე პატარა ფურც-
 ლებია მიწებებული. ამ ფურცლებზე მელია, დათ-
 ვი, ავტობობილი, ბარი, ნიჩაბი, თოჯინა, მერც-
 ზალი და სხვა მრავალი რამ ხატია. ნახატებით
 იმასსოვრებენ პატარები თავიანთ კარადებს.
 ქეთევანი ტკბილად ესაუბრება აღსაზრდელთა
 მშობლებს, ისტუმრებს მათ, ბოდიშს მიხდის, რომ
 მაცდევინა და ერთ-ერთ ჯგუფში შეეყავარ.
 ბავშვები ფეხზე დგებიან და გვესალმებიან.
 ბუთხეზა ბიჭს, რომელსაც წინ ორი კბილი აკ-
 ლია, ჩემთვის მოაქვს პატარა სკამი, და მე ისევ
 ეჯდები იმ პატარა სკამზე, რომელზედაც ვიჯექი
 წინათ, ძალიან დიდი ხნის წინათ...

მაშინ დედაჩემი მალეობებდა აღრე. მაცემვდა
 წითელი ფეხსაცმელებს, რომლებსაც ბურთის თა-
 მამით ყოველთვის თითობთან ვცვეთდი ხოლმე,
 მაცემვდა აგრეთვე მეზღვაურის ტანისამოსს, მა-
 ზურავდა ქუდს, რომელსაც თეორი ასოებით ვწე-
 რა „გამირი“ და მიყვადდი საბავშვო ბაღში. შემ-
 დღე იგი კიბეებზე ჩადიოდა და მე აივნიდან დიდ-

ხანს ვუყურებდი მიმავალ დედას და ველოდებო-
 დი, როდის მოიხედავდა და დამიქინედა ხელს...
 ახლა მე ისევ ვზივარ პატარა სკამზე და ცნო-
 ბისმოყვარეობით მათვლიერებენ ბავშვები. ჯერ
 თითქოს ვიბნევი, მაგრამ მალე ვიბრუნებ დაკარ-
 გულ უშუალობას. უხერხულობა ქრება და ჩვენს
 შორის იმემა დაახლოების იღუმალი ძაფები.
 ისინი ილიმებიან და ვილიმები მეც. ბავშვები
 შიშველ მკლავებზე თითებს მითათუნებენ,
 საათს ავირდებიან და სახელს მეკითხებიან.

ჩვენ გულიანად ვიცინით. ვსაუბრობთ. ვთა-
 მავსობთ.
 შემდეგ ბავშვები რიგში ეწყობიან და აღმზრ-
 დელს — თეთრთმიან შუშანა ცინცაქეს ისინი
 დიდ დარბაზში დილის ვარჯიშის ჩასატარებლად
 მეორე სართულზე აჰყავს. ოთახში რჩებიან მხო-
 ლოდ მორიგეები — ლალი ალიბეგაშვილი და
 ესმა დანელია. ისინი სუფრას აწყობენ, მაგდებ-
 ზე ალაგებენ თეფშებს, კოვზებს. ისინი დღეს
 დიდი ოჯახის პატარა დიასახლისები არიან...
 ზევით ავდივართ.

ბავშვები დიდ დარბაზს სირბილით უვლიან
 გარშემო, შემდეგ სამ მწკრივად დგებიან და იწ-
 ყება დილის გამამხნევებელი ვარჯიში. განსა-
 კუთრებით სასაცილოები არიან ისინი მაშინ, რო-
 დესაც დონჯს შემოიყრიან და მარჯვენა და
 მარცხენა მხარე ერევათ. აღმზრდელი მათ რამ-
 დენიმეჯერ ამეორებიანებს, თუ რომელი ხელია
 მარჯვენა და რომელია — მარცხენა.

— აბა, როგორ ვრგავთ ხეებს? — ეკითხება
 აღმზრდელი პატარებს. პატარები მხრებში იხრე-
 ბიან და ხელებით იატაკს ეხებიან.

— აბა, რამხელები გაიზარდნენ ხეები? —
 კვლავ ეკითხება აღმზრდელი პატარებს. ახლა
 პატარები მხრებში იმართებიან და ხელებს მალ-
 ლა იშვერენ...

ნორა მასწავლებელი, როგორც მას აღსაზრდე-
 ლები ეძნებინ, დიდ გასაჭირშია. დღეს მის
 ჯგუფს ორი ბავშვი შემოემატა. ახალმოყვანი-
 ლებს ყველაფერი ეუცხოებთ და განუე დგანან
 ბიჭუნა, ალექსანდრე ნოზაძე, კარის სახელურს

ეჭიდება და ნაბიჯის გადმოდგმის არ აპირებს. ლოყებზე დაბალუპით ჩამოსდის ცრემლები და შინ წაყვანას თხოულობს.

— ლა გატოლებს, შე შეუღლო! — ენას უჩაღებს ატირებულ ბავშვს აღმზრდელი ნორა კატუბიძე. იგი გულში იხუტებს ბავშვს, ეფერება, ფუნჩიულა ხელს ხეუტენს და ცრემლიან უბებს ცხვირსახოკით უმშრალებს. ვარდისფერ-კაბიანი გოგონა, მარინე ბაბალაშვილი, უფრო ყოჩაღადაა, კაბის ბოლო ჩაუღვია პირში და აქეთ-იქით გაოცებული იყურება.

მაღე ნორჩები მაგიდებთან სხდებიან და რძით შემზადებულ მანანის ფაფას მიირთმევენ. შემდეგ მოაქვთ ცხელი ჩაი. ისმის კოვზების წყარუნი. კარგია ჩაისთან კარაქიანი პურიც. მაგრამ კარაქიანი პური ყველას როდი უყვარს!

— ზურიკო, შეხედე ბიძია გივის, — უთითებს ჩემზე ნორა თმახუტუკა ბიჭს. — თუ არ ჭამე კარაქიანი პური, ბიძიას ხელა ვერ გაიზრდები!..

თმახუტუკა ბიჭი დიდხანს მიყურებს, თავიდან ფეხებამდე მათვალაურებს, შემდეგ საინიდან ხელმოკრედ იღებს კარაქიან პურს და შეეჭყევა...

— თამაზ, სწორად-დაჯეჭვი სკამზე, ახლოს მიიწიე მაგიდასთან! გფგი, როგორ გიჭირავს კოვზი? — მაგიდებს შორის დადის და ბავშვებს შენიშვნებს აძლევს ნორა მასწავლებელი.

— შეხედეთ, ამ მაგიდაზე რა ჩუმად არიან, — აქუნებს იგი მეორე მაგიდაზე მსხდომთ.

ახალმოყვანილი ალექსანდრე გაოცებული შესტკერის ტოლებს, რომლებიც გემრიელად მიირთმევენ საკმელს, და ისევ ტირილს აპირებს.

— მცხენია, — ამბობს იგი, — ყველა წავიდეს და მერე შევკამ.

აღმზრდელი იძულებულია კალთაში ჩაისვას ბავშვი და მოფერებით აჰამოს საკმელი.

ბავშვები მადლობას უხდიან აღმზრდელს და მაგიდებს შორდებიან.

მე დიდ დარბაზში ავიღივარ, მეორე სართულზე, სადაც მაღე ბავშვები უნდა ამოვიდნენ. მორიგე აღსაზრდელები მტკრის ტილოთი მწენდენ პიანინოს. პატარები მწყობრი ნაბიჯებით შემოდის დარბაზში. პიანინოსთან ჯდება მუსიკის მასწავლებელი ნინო ჯანდიერი და დარბაზში იღვრება წარმატაცი მუსიკალური ბეგრები...

„ღრუბლიან დღეში ნუ გაფრინდები,
დელიავ რანინა,
დელიავ რანინა, დელიავ რანინა,
დელიავ რანინა,
წვიმა მოგისწრებს და დასველდები,
დელიავ რანინა...“

მღერიან ბედნიერი ბავშვები. და მათი სიმღერა ისე მესმის, როგორც საღიდაც მოსმენილი ეფ-გნების ქლარუნი, როგორც ბელურების ნაზი ჩივილი და ფანჯრებზე შემომგადარი მტრედების

ლულუნი, როგორც უტოდველი ბალდების გულ-უბრყვილო ტიტინი...

შემდეგ პატივცემული ნინო უკრავს თამარ შავერზაშვილის სიმღერას: „სიცოცხლითა, კისკისითა...“ და თავმობრუნებული ბავშვებს ეკითხება — ამ სიმღერას რა ჰქვია.

პატარები პასუხობენ.

ნინო მასწავლებელი ცქვავ კლავიშებზე იხრება და საგაზაფხულო სიმღერას უკრავს. წინ გამოდის მომცრო ტანის ბიჭი ბესიკ ბარკალაია და წვრალი ხმით იწყებს:

„გაზაფხულდა, ბუჩქის ძირას
თავს იწონებს ნაზი ია...“

და ჩემს თვალწინ მართლაც გაზაფხულია — მერცხლები, ენძელები, კორჩიოტები, იები, თეთრი ხეები, თეთრი ღრუბლები, ანთებული ლაქვებში, ნორჩების თმებზე დაფრენილი თეთრი ბუჩულები, მზისკენ ხელგაწვდილი პატარა ყლორტები, სიტბო, სინაჲ...

პიანინოს სახურავი დაბლა ეშვება.

მუსიკის გაკვეთილი დამთავრებულია.

მუსიკის გაკვეთილის შემდეგ აღსაზრდელებს ხატვის გაკვეთილი აქვთ. კედელზე პატარა დაფა ჰქვია. აღმზრდელი დაფაზე ცარკით. ხატავს ხეს და პატარებს უხსნის, რომ ხის ტანისა და ტოტების დასახატად ყავისფერი საღებავი უნდა იხმარონ, ხოლო ფოთლების დასახატად — მწვანე. ბავშვებს უხერხულად უჭირავთ ფუნჯი, ისვრიან თითებს, შუბლს, ლოყებს, ეშლებით ფერები, მწვანე საღებავის ნაცვლად ხმარობენ ყავისფერ. გურამ ანთიმე კი ისეთი მაღალი ხის ტანი დახატა, რომ ფოთლებისა და ტოტებისათვის ფურცელზე ადგილი აღარ დარჩა.

— დათო, ნუ გიჭირავს ფუნჯი მარცხენა ხელში... — უწყურება ხატვით გართულ ბიჭუნას აღმზრდელი. დათო ემორჩილება აღმზრდელს და ფუნჯი მარცხენა ხელიდან მარჯვენაში გადააქვს.

ხატვის გაკვეთილი მთავრდება. ბავშვები ნამუშევრებს აბარებენ აღმზრდელს, პირსაბანთან ხელებს იბანენ და ეწყობიან.

პატარებმა ახლა ბაღში უნდა გაისეირნონ. ქუჩაში მიამიჯებს მრავალი დათო, მრავალი ზურიკო, მრავალი მანანა...

კარგი ბაღია მტკვრის სანაპიროზე.

აქ მათთვის ნაცნობია ყოველი ხე და ბუჩქი; დათბება თუ არა, ისინი ყოველდღე აქ არიან.

— ბავშვებო, — ეუბნება აღმზრდელი პატარებს, — ჩვენ ახლა ბილიკზე მივიღივართ.

„ბილიკი“ პატარებისთვის უცნობი სიტყვაა.

— ბავშვებო, ბილიკით დაგბრუნდეთ საბავშვო ბაღში თუ გზით? — ისევ ეკითხება აღმზრდელი პატარებს.

— ბილიკით! — ერთხმად პასუხობენ ბავშვები. ახლა „ბილიკი“ მათთვის ნაცნობი სიტყვაა.



— ბავშვებო, დღეს დედამ ზურიკოს კონფეტები მოუტანა. ზურიკომ კონფეტები თავის მეგობრებს დაურჩია. ხომ კეთილია ზურიკო?..

ამჯერად პატარებს პირველად ესმით სიტყვა „კეთილი“ და იგი მათ აზროვნებაში იჭრება.

პირველ საათზე დღის რეჟიმით სადილია გათვალისწინებული, ამიტომ პატარები საბავშვო ბაღში ბრუნდებიან.

ღერეთებს ედება მადისაღმძვრელი სადილის სურნელმა. ნეტავი როგორი სუბი მოამზადა დეიდა ნინომ?

დღეს აღსაზრდელებს სადილად ვერმიშელიანი სუბი, ჩახობილი და კომპოტი აქვთ.

ბავშვები ისევ იბანენ ხელებს. მოაქვთ სკამები და მაგიდებს გარშემო უსხდებიან. ხმაურობენ თურშები, წყარუნობენ კოვზები, სკამებქვეშ ქანაობენ ფეხები, მაგიდებზე იხრებიან თავები, ნიკაბზე ჩამორბის სადილის წვენი და აღმზრდელი სიწყენარის დამყარებას ცდილობს...

სადილის შემდეგ ბავშვები იძინებენ. ისინი იხსნიან წინსაფრებს, იხიან კაბებს, ხალათებს, შარვლებს, მისურებს, წინდებს და სკამებზე ღამაზად ჰკიდებენ. სანამ პერანგებს გადაიცვამდნენ, ბავშვებს მოუჩანთ შიშველი ზურგები, მუცლები, მუხლები, ზურგის ძვლები... გრძელი პერანგები ბავშვებს სიარულს უშლის. ისინი შუშაბანდში გადიან და წვებიან.

წყდება აღსაზრდელების ქრიამული და საბავშვო ბაღში სიმშვიდე ისაღკურებს.

შუშაბანდში შემოღობის საბავშვო ბაღის გამგე ქეთევანს კაკუშაძე. იგი რომელიღაც საწოლზე იხრება და საბანს უსწორებს მძინარე ბავშვს.

შუშაბანდში ფარდები ჩამოუფარებიათ, მაგრამ ქუჭრტანებიდან შემოსული ათინათი მაინც ეცმა საწოლებს, საბნებს, პატარა სახეებს, საბნებთან გამოშვებულ პატარა ტერფებს...

რამდენი სინაზე, ალერსი და მზრუნველობაა ქეთევანის თვლებში, ქცევაში, საუბარში...

უკვე ოცი წელიწადია ამ საბავშვო ბაღში მუშაობს იგი. ცარიელი შენობის გარდა არაფერი არ დახვედრია ქეთევანს. ამ შენობის წინ ნაგავს ყრიდნენ მაშინ. ახლა აგურის მაღალი კედელი აშენებული და წინ მრავალნაირი ხეხილი შრიალეს.

— ჩემი წასვლის დრო რომ მოვა, არ ვიცი, როგორ უნდა მივატოვო ჩემი საბავშვო ბაღი, აქედან მაინც არ გავალ პენსიაში, სხვა საბავშვო ბაღში გადავალ აღმზრდელად და მუშაობას იქ დავაინებებ თავს. — შემომჩივლა ქეთევანმა.

ძველებიდან ორიოდე აღმზრდელია მუშაობს ქეთევანთან. დანარჩენები სულ ახლები არიან, მისი გამოზრდილები. ქეთევანი მეთოდისტადაც მუშაობს გოგებაშვილის სახელობის პედაგო-

გიურ სასწავლებელში. აღმზრდლები ღილი შეაკაციშვილი და მერი გობეჯიშვილი მისი ყოფილი მოსწავლეები არიან. ასმათ იმნაქე სულ ახალგაზრდა. ისიც დედასავალი თავს ევლება აღსაზრდელებს, ტოლივით თამაშებდა.

ასევე მზრუნველობით უვლიან ბავშვებს მანია მურაჩაშვილი, თამარ ბახტაძე, იზოლდა დონაძე... ნამდვილად დასაფასებლები არიან აღმზრდები, რომლებიც მოზარდებში ზრდიან უფაქიზეს სულს, ხელმძღვანელობენ მათს მართვად წარმოდგენებსა და შეგრძნებებს და აღმზრდელში ადვილდებიან აღმზრდელს... ისინი მართლაც უბრალოების შარავანდელით არიან გარემოსილი...

დღის 4 საათია. პატარები იღვიძებენ. მათ დაკარგული აქვთ დროის ორიენტაცია და შუადღისას „ღილაშვილობისას“ მეუბნებიან.

იღვიძებენ დიდი და პატარა დათო, დიდი და პატარა თამაზი, შავი და თეთრი რუსიკო... ამოქნარებენ, თვალს იფშვნიტენ, ეძებენ ტანისაშოსს, უკუღმა იცვამენ კაბებს, მარჯვენა ფეხის ნაცვლად მარცხენა ფეხს უყრიან ფეხსაცმელში. პატარები ერთმანეთს ეხმარებიან (აბა ზურგზე დიღს თვითონ ხომ ვერ შეიბნევენ?) და პერანგებს საწოლის თავზე ჩამოკიდებულ ჩანთებში ინახავენ. ხელიდან ხელში გადადის სავარცხელი, ლაგდება მხრებზე ჩამოშლილი თმები...

რა ტკბილად მოიგონებენ ისინი ყოველივე ამას, როდესაც წამოიზრდებიან და მათი გრძობები სხვა ხასიათს მიიღებს...

ბავშვები სამხრობენ.

დღე დასასრულს უახლოვდება. მალე მოვლენ მშობლები, დები, ძმები, ქარხნის მუშები, მასწავლებლები, ექიმები, და ბავშვები გაუღვებიან გზას სახლებისაკენ...

მე ვხურავ კარებს და გარეთ გამოვიდვარ.

უკან რჩება საბავშვო ბაღი თავისი აღმზრდელითა და აღსაზრდელებით, ლულუნა მტრედებით, პაერის ფერადი ბუტლებითა და ფანქარებით, კრელ-ჭრელი კაბებითა და მიქმანებიანი პერანგის ამხანაგით შემოსილი თოჯინებით, პატარა სარკიანი კარადებით, ყვავილებით მოხატული პაწია თევზებით, სათითურისხელო ქიქებით, პაწია საწოლებით, რომლებშიაც გოგონები თოჯინებს აძინებენ, თავისი პლასტმასის ბატებით, მგლოებით, დათვებით, კურდღლებით, თავისი მზრუნველობითა და უზრუნველობით, ფაქიზი და ხელუხლებელი გრძნობებით.

დღევანდელი დღე საბავშვო ბაღისათვის იყო ერთი ჩვეულებრივი დღე, ხოლო ჩემთვის ოდესღაც განცდილისა, განვლილისა და ამჟამად მივიწყებულის ოდღვენა.





ჩვენა შეხვედრა

ვასილ ბარნოვი

უცაბედად გაცოცხლებულ და მჭრქალ-ხახვისფერ ქართულ ფრესკიდან გადმოსული თეთრწვერა ბიბლიური მამათმთავარი რუსთველის პროსპექტს მაშინდელი „სახელგამის“ წინ ყოველ შუადღე წერით დაღლილი ჩამოივლიდა და მალე ისევ გაქრებოდა. ზამთარ-ზაფხულ მას მუდამ ის განუყრელი შავი სერთუკი ეცემა და ზონარგამობული სათვალე და შავი ქუდი-ქვაბუნაკი მის ძველებურ პორტრეტს თითქოს კიდევაც ამშვენებდა. შეჩერებულს ან ვინმესთან ერთად მდგომს იშვიათად დაინახავდი, მიდიოდა და თითქოს მიწაზე ფეხის დადგმისაც ეშინოდა.

გატაცებული რომანტიკოსი და დაუცხრომელი გრაფომანი — ვასილ ბარნოვი ისეთივე მშვენება იყო ჩვენი ბოჰემისა, როგორც ჩვენი ჭალაქისა. ეს დიდი მესიტყვე და მესვეტე ქართველი ხალხის წარსულისა, დიდი ქადაგი და პატრიოტი თავისი ქვეყნისა გასაკვირველად აერთებდა თავის მდიდარ შემოქმედებაში პატრიარქის მოხუცურ სიბრძნეს, ყმაწვილურ ვნებას და, ვიტყვი თამამად, ვიზიონერულ ხილვას სამყაროსას. სისხლდაშრტილი ანაქორტი და წარმართული ზევის ბერი თითქოს იმიტომ შეერთებულნიყვნენ, რომ ვასილ ბარნოვი შექმნილიყო. მისი მსოფლმხედველობაც ამ შინაგანი კონფლიქტებით კიდევ იმიტომ არის აღსავსე.

ამ რთულ სამყაროს, მისგან შექმნილს და მოჩვენებულ სიცოცხლით გამობარს, რაღაც ისეთი უცნაური იერი დაპკრავს, რომ მისი რეალობა სულ სხვა ხარისხში აღის. ამ რეალობას თითქოს წონაც დაკარგული აქვს და პოეტის ლად ოცნებას უფრო მოგვაგონებს. თითქოს ყველაფერს, რასაც ბარნოვი თავისი მიღმა გადასულ თვალებით სკვრეტდა, მკვდრის მზე დაწათის.

რეალისტურად თვალის მომჭრელსა და მკაფიო ფერებს ვასილ ბარნოვი თითქოს განზრახვრიდებოდა — ის როდი იყო ტრიბუნი, ის დაუცადებელი ანტიკვარი და ტრფილი იყო ქართველი ერის დიდებულ სიძველეთა.

ქართული ისტორიული რომანის ეს ჭეშმარიტი ფუძემდებელი და „ქართლის ცხოვრების“ უამთა ხელახლა აღმწერელი თავისი თანადროული ცხოვრებას გამიერბსაც რეტროსპექტულ, ისტორიულ ასპექტში სკვრეტდა. ამიტომაცაა, რომ მისი ისეთი რეალისტური მოთხრობებიც, როგორცაა „თებერას დანიშნული“, „მუშა“, „გველის ზეიმი“ ამ უცნაური ოცნების ბინდით არის მოსილი.

მთაწმინდელის ამ დღევანდელმა თანამოკალემ ქართველი ხალხის მთელი წარსული თავისი მნიშვნელოვანი ეპოქებით გრძნობით ხელახლა განიცადა, თავის ცხელ გულში გაატარა, ფილოსოფიური პრობლემებით გაიაზრა და მერე მოღვა და ისე სწერა.

მართალია, მისი ისტორიული რომანები აღსავსეა ისტორიული რეალიზმით, დოკუმენტური მასალებით, საყოფაცხოვრებო წერილმანებით და დეტალებით, მაგრამ რეალიზმისაგან ყოველივე ეს მაინც შორს არის, თითქოს ავტორი ამას კიდევ ვაუბრის. ამ ირეალურ განყენებას ვასილ ბარნოვი იმიტომ მიმართავს ხოლმე, რომ ყველაფერს ისტორიული იერი დაპკრავდეს. ერიდება ისეთ წერილმანებს, რისი დანახვაც მხოლოდ თვალის მხილველს შეეძლო და არა ისტორიკოსს. არადა, ყოველ ლიტერატურულ ნაწარმოებს, ისტორიული იქნება ის თუ არა ისტორიული, ხომ ეს წერილმანები აცოცხლებენ და უეპველს ჰხდიან? ზოგიერთი კრიტიკოსი „ომისა და მშვიდობის“ დამწერს, გენიალურ ლ. ტოლსტოის იმას არ უყუთენებდა, რა იცოდა ამა და ამ დილას ცვარი ბალახში როგორ ბრჭყვიალდებოდა? ასეთ დეტალებს ვასილ ბარნოვი თითქოს ამიტომ ერიდებოდა. და თუ, ეს ასეა, მაშინ იგი ამ ირეალიზმით ნამდვილი რეალისტი და ამით გამოწვეული სიყალბისაც ამიტომ ეშინია. მაგრამ ეს ხომ ორღესული სატევიარია!

უნდა თქვას, რომ ბარნოვის სტილიც ასეთია. ხან რატომღო და ხან კიდევ ამდღებულ.

ამიტომაც მის ნაწარმოებს რომ კითხულობ, ხან იამბიკო და ხან სძლისპირი-საგალობელი გაგონდება.

ასეთივეა მისი ხატვის თვისებაც. ისტორიულად, რეალურად არსებული პირები ორგანულად ეწმახნებიან ავტორისაგან შექმნილ გმირებს და ეს თვისება ორგანიულად გადადის მის ენასა და მეტყველებაში, მის ხატვა სისტემასა და თხრობის უნარში. არქაიკა და ხალხური ლექსიკა თავისი ილიომებით ერთუროს ისე ექსოვებიან, რომ წარმატებულ ჩუქურთმებს და ქსოვილს ჰქმნიან.

დიდ რეალისტ დავით კლდიაშვილთან და ქართული სიტყვის მეჭურჭლის თედო სახოკიასთან მისი პირადი მეგობრობა კონტრასტების ამ სიყვარულით უნდა ყოფილიყო გამოწვეული.

ვასილ ბარნოვი ფრესკის უბადლო ოსტატი იყო და, როგორც ფრესკაში გამოკრთის ხოლმე მაჯისცემა სინამდვილისა, გვესმის ხოლმე სუნთქვა რეალური ადამიანისა. მის რომანებშიც

ასევე ნათლად გამოსჭვივის წარმართული ხორციელობა და სიცოცხლის ნამდვილი ძეგრა.

როგორც აღენიშნეთ, ყოველ მის რომანს საფუძვლად უდევს ღრმა ფილოსოფიური, მაგრამ განყენებული იდეა ანდა კონცეფცია. ალბათ მისი ამ პოლიტიკური ინერტულობით და ყოველდღიურობის ნაკლები გრძნობით იყო გამოწვეული აგრეთვე ისიც, რომ არც ერთ მის ნაწარმოებს არ გამოუწვევია ლიტერატურული ხმაური ან რაიმე სენსაცია.

ვასილ ბარნოვი აქაც ერთგული იყო თავის თავისა. ლიტერატურულ სენსაციას და აქიოტაჟს ის ვერ იტანდა. ამ აურზაურს ის პრინციპულად გაურბოდა და ასეც მოკვდა. მოკვდა ისე მშვიდად, თითქოს სხვა მარადიულ სიცოცხლეში გადადიოდა, ახალ ხილვათა ქვეყანაში გადასახლდა.

ეს სიცოცხლე მისი ნამდვილი სიცოცხლეა და ამიტომ ველით, მუდამ ველით, როდის ჩამოვიღის ის ჩვენი ქალაქის ახალ პროსპექტს.



კომე ჯავახიშვილი

როდესაც ვკითხულობთ ვასილ ბარნოვს

ვასილ ბარნოვის დიდ და ხშირად წინააღმდეგობით სავსე შემოქმედებაში გარკვევა სპეციფიკურ გამოკვლევათა სავანია. ეს შენიშვნები კი მხოლოდ მორაჯებულ კვათხველის აზრებია, რომლებიც აღიძრება, როდესაც ვკითხულობთ ვასილ ბარნოვს.

„ამიერიდან ვლიდე ამ გზით“

ჩვენ არ წავიკითხავს ის, რაც ვასილ ბარნოვს 1898 წლამდე დაუწერია.

როდესაც ქურნალ „მოამბის“ 1898 წლის მეხუთე წიგნში დაიბეჭდა მოთხრობა „ქოჩორა ხე“, ამ მოთხრობის ავტორი — ვასილ ბარნოვი, უკვე ორიოცდამეერთე წელში იყო გადამდგარი. ჩვენ ვიცით, რომ 1878 წელს „დროებაში“ დაიბეჭდა „რამდენიმე სურათი ხევსურეთის ცხოვრებიდან“; ვიცით, რომ 1879 წელს „დროებაშივე“ გამოქვეყნდა ბარნოვის პირველი ლექსი „ქართველ ქალს“; რომ აქვე დაიბეჭდა პირველი, გადმოკეთებული მოთხრობა „პირველი სკრიპკა“, ხოლო პირველი ისტორიული ხასიათის მოთხრობა „პატარა ლევანი“ 1893 წელს „ქალში“ დაისტამბა; მაგრამ ისიც ვიცით — ავტორი თავის ლიტერატურული ცხოვრების დასაწყისად მიიჩნევდა 1898 წელს — „ქოჩორა ხის“ გამოქვეყნების წელს.

„მე ვმერყეობდი, თან ხან რას ვკიდებდი ხელს და ხან რასა, თანაც ბუნდოვანდ ვხედავდი გზას, რომლითაც უნდა მევლო, თითქოს თვალზე ლიბარი მეფარა. ჩემი მეუღლე შევიყვანე სახლში... მაშინდა მოხდა რაღაც გარდატეხა ჩემში. თითქოს მოვიდა და თვალზეზე აფარებული რიდე ამეცალაო, მაჩვენა გზა განათებული, შემაყენა და მითხრა: ამიერიდან ვლიდე ამ გზით. და აჰა, მეც ამ გზით მოვიდიარ. 1898 წლიდან, დღემდე ამის ვერთგულობ“, — ამბობს ბარნოვი ერთ თავის მოგონებაში.

მრავალი პროზაიკოსისა და, განსაკუთრებით, რომანისტიკის შემოქმედებითს ბიოგრაფიას თვალი რომ გადავავლოთ, პირველი მნიშვნელოვანი ნაწარმოების დაწერისა და დაბადების თარიღები შევადაროთ — ამ თარიღთა შორის 35 — 40 წლის მანძილი აღმოჩნდება.

პოეტებისა და მუსიკოსების ხვედრია ყრმობიდანვე „მუხებთან დამეგობრება“, ხოლო პროზაიკოსმა — თავისი ხალხის ცხოვრების ეპოპოლოგიურად აღმოწერვამ, ჯერ საკუთარი თვლით უნდა ნახოს ცხოვრება, შეისწავლოს თავისი ხალხი და

შემდეგ თუ შეძლებს ყოველი ნახულისა და განცდილის გაზრებასა და განზოგადებას, მხატვრულ სახეებად ჩამოყალიბებას, მოვლენათა შინაარსის ჩაწვენას...

ვიღრე ვასილ ბარნოვის ცხოვრებაში ეს ნაყოფიერი შემოქმედებითი სთველი დადგებოდა, მან უკვე ვგვლო ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი და, ცხადია, რომ გამოკვლილების დაგროვებისა და ძალთა შემკრებლობის ამ წლების გარეშე წარმოუდგენელია მთელი მისი შემოქმედება.

ვასილ ბარნოვის ცხოვრების ქარგა გარეგნულად არაა მდიდარი ფაქტებით, მაგრამ ერთი გარემოება იპყრობს ყურადღებას — სადაც კი უცხოვრია მომავალ მწერალს: ყრმობის წლებში — კოდასა და ტოლათ-სოფელში, ღლეუსა თუ თბილისში, შემდეგ სიჭაბუკისა და დავეჯაკეების წლებში — მოსკოვსა, თელავსა, სენაკსა თუ თბილისში, ვგვლან „უნაყოფი მომზომველი თვლით“ ხედავდა იმ ფაქტებს, იმ ამბებს, იმ აღამიანებს, რომლებიც შემდეგ ამტყვევლდნენ და ამოქმედდნენ მის შესანიშნავ მოთხრობებსა და რომანებში.

ესეც კია, რომ გარემოებამ მოიტანა და ვასილ ბარნოვს თავიდანვე ისეთ გარემოში და იმგვარ გარემოცვაში უხდებოდა ცხოვრება, რომ საქართველოს ისტორიული წარსული მისთვის დაიწვებულ, გაკრეცილ მატიაწებში მოთხრობილი შროველი და ბუნდოვანი ამბავი კი არ იყო, არამედ ხელშესახები, პირსავსე და ჯერ კიდევ ცოცხალი სინამდვილე.

კოდამში, სადაც ბარნოვების ძველ სახლში 1857 წლის ივნისის სამს დაიბადა ვასილი, ჯერ კიდევ ახსოვდათ არსენა ოქელაშვილი. სახლში იყო ოთახი, რომელსაც „არსენას ოთახს“ უწოდებდნენ.

წიგნში, რომელსაც „სამწუხარო ღიმი“ დაარქვა მწერალმა, მან პატარა ნოველებად ჩამოაყალიბა თავისი ბავშვობისა და სიჭაბუკის მოგონებანი. წაიკითხეთ: „ოქელაშვილი და იაკობ



დღეღლი“ „გიგოს შუშპარი“, „ნესე-ყარფუზო-
ბა“, „პაპას საცოლეები“, „ღამიარული წიგნი“
და თქვენ უშუალოდ შეხვალთ იმ სამყაროში,
რომელშიაც დაიბადა და ბავშვობის წლები გა-
ატარა ვასილმა.

შემდეგ — ერწო, ხეცსურთა სოფელი ტოლა-
თი, სადაც თვით ყოფილია ჯერ ცოცხალი იყო
ისტორია. კობალესა და იახსარის სალოცავის
მთავარი მსახური, ქადაგი და მკითხავი, გან-
დგივლად მცხოვრები კურდღელა წარმართული
კულტის წესებს ასრულებდა. სიყვარულით
იხსენებდა მას მწერალი: „გუჟყვარდით, არაფერს
გვაკლებდა, განსაკუთრებით სულიერ საზრდოს
ბლამად იძლეოდა; უკვე მოსუყებულნი ვიყავით
ხეცსურ გმირთა თავგადასავლებით, ქისტებთან
გარდახდილ ბრძოლის ამბებით, ამ შეთვალას
გატყეობით, იმ დალაკავას მიერ თხუთმეტი
კაცის მოგერიებით, ყოველ ციხე-კოშკის ამბე-
ბით, ლეგენდებით და სიმღერებით... კურდღელა
დედის შემდეგ ჩემი მეორე მასწავლებელი იყო,
ბევრად მაალი, ვიდრე ისინი, ვის ხელშიაც ბედ-
მა და გარემოებამ ჩამაგდო, როდესაც ტფილისის
სასულიერო სასწავლებელში მიმბარეს“...

ამ სასწავლებელში გატარებული წლები მწე-
რალმა აღწერა მოთხრობაში „ქობორა ხე“.

„სასულიერო სასწავლებელში გამეფებულ რე-
ჟიმს, როდესაც მასწავლებელი „მტრად და
მღვრად“ მიჩნდათ გაწამებულ მოწაფეებს, შე-
იძლება სამუდამოდ ჩაეკლა სწავლის სურვილი,
რომ ამ ღრის ზედამხედველად არ დაენიშნათ
იკობ გოგებაშვილი.“

დიდმა ქართველმა პედაგოგმა ბევრად შეუწყო
ხელი ახალგაზრდა ვასილის გათვითცნობიერე-
ბას.

ტფილისის სემინარია, მოსკოვის სასულიერო
აკადემიის ისტორიული განყოფილება, დიმიტრი
ბაქრაძის ხელმძღვანელობით ისტორიულ არქი-
ვებში მუშაობა... უშედეგოდ არ ჩაუვლია მომა-
გალი მწერლისთვის სწავლის ხანგრძლივებს. შე-
იძლება შეისწავლა ისტორია და მშობლიური
ლიტერატურა.

1882 წელს 25 წლის ახალგაზრდა მასწავლე-
ბელი დაბრუნდა საშობლოში და შეუდგა მუშა-
ობას ჯერ სამეგრელოს, შემდეგ ტფილისის
სასულიერო სასწავლებელში, ხოლო 1886-დან —
1910 წლამდე — თელავში.

აქ, თელავში გაატარა მწერალმა თავისი ცხოვ-
რების ყველაზე ბედნიერი წლები. აქ საბოლოო-
დ გაირკვა მისი გზა და ცხოვრების მიზანი.

„თელავში ბინის დაღებიდან იწყება ვასილის
ცხოვრების მეორე პერიოდი; პერიოდი, როდესაც
ფრთა გაშალა მისმა, როგორც მწერლის ნიჟმს.
იგი ამოინდა როგორც აქტიური წევრი საზოგა-
დოებისა, მისთვის მზარუნველი, მისი მოამავე,
მისის ლხენით მომლხენი, მისის კირითა და ტკი-
ვილით გაქირავებული და ნატყენი... მოთხრობა

მოთხრობას ისეთი სისწრაფით მოსდევდა, რომ
ქონს რაც აქამდე მოსცდა, ახლა ერთბაშად უნდა
მკითხველს შესთავაზოს. რაც უფრო ხანში შე-
დიოდა, უმეტესად ნაყოფიერი ხდებოდა. გან-
საკუთრებით 1921 წლიდან წავიდა მთელი რიგი
რომანებისა. წელიწადი ისე არ გავიდოდა, თუ
ორი არა, თითო რომანი მაინც არ დაესრულები-
ნა იმის გარდა, რასაც მაშინდელ სალიტერატუ-
რო გაზეთებში ათავსებდა“, — წერდა თვლი
სახოვია.

„თელავურს“ მოჰყვა 1910 წელს დაწყებული
„ტფილისური“ პერიოდი (1910 — 1934 წწ.),
რომლის განმავლობაში დაიწერა ყველა ძირითა-
დი ნაწარმოები.

მრავალი რომანი და მოთხრობა, მოგონებები,
ქართული ლიტერატურის კურსი... ვასილ ბარ-
ნოვის ლიტერატურული მემკვიდრეობა მეტად
გრცელია — იგი 10.000 ნაბეჭდ გვერდს შეად-
გენს, ე. ა. 400 გვერდიან 25 წიგნს. მწერალი
ბევრს შრომობდა. სიცოცხლის უკანასკნელ წლე-
ბამდე არ შეუწყვეტია პედაგოგიური მუშაობა.
ვასილ ბარნოვის შემოქმედების მკვლევარები
აღნიშნავენ, თუ რა დიდ წინასწარ მოსამზადე-
ბელ მუშაობას ეწეოდა მწერალი რომანის დაწე-
რამდე. იგი შეისწავლიდა ისტორიულ წყაროებს,
სიგელ-გუჯარებს, ხალხურ თქმულებებს, გეოგრა-
ფიულ რუკებსა და ლოკის გეგმებს, გენეალოგიურ
ტაბულებს და ყველაფერს, რაც იმ ეპოქას ეხე-
ბოდა, რომელშიაც უნდა ემოქმედნათ ახალი
რომანის გმირებს.

ეს დიდი წინასწარი მუშაობა და საგნის
ზედმიწვენივითი ცოდნა საშუალებას აძლევდა
სრულიად ალღეგინა გონებაში დიდი ხნის გარ-
დასული წარსულის სურათები, თვლი გადაეე-
ლო მათთვის და უკვე შემდეგ შესდგომოდა წე-
რას.

მწერლის ქალიშვილი ლელა ბარნაველი წერს:
„შემოქმედების დროს მამა მთელი თავისი არ-
სებით გადასული იყო იმ ეპოქაში, რომელსაც
აღწერდა. ხედავდა თავის რომანის გმირებს,
ესაუბრებოდა მათ. „ტრფობა წამებულს“ რომ
წერდა, ერთხელ დიდის სინანულით გვითხრა:
„აშოტის სიმღერა გავიგონე, ნაწილი ჩამეწერე,
ინოს (მეუღლე) რომ არ დაეძახნა ჩემთვის,
სულ ჩაეწეროდა“. შემდეგ სინანულით თვიენე-
და, რომ ვერ მოასწრო აშოტის სიმღერის ჩაწე-
რა“.

„ძლიერი ნიჭი ამხატველი, გონე-
ბის თვალნი მხრელად მხედველი“

ვასილ ბარნოვმა თექვსმეტი რომანი დაწერა.
„არმაზის მსხვერვის“ მოქმედება IV საუკუნეში
ხდება, „ინის ისტორია“ — XVIII საუკუნეში.
რომანების ამ ვრცელ რკალში ასახულია საქარ-
თელოს ისტორიის ძირითადი, საკანძო, დრა-
მატული მომენტები. თუ დავუმატებთ, რომ
მოთხრობათა ციკლში მან XIX საუკუნის საქარ-

თველოს სოფლისა და ქალაქის გაშლილი სურათიც მოგვცა, ცხადი შეიქნება, თუ რაოდენ მძიმე და საძნელო საქმე იტყვიდა რომანისტი.

ძნელია რაიმე ერთი მოკლე და გარკვეული ფორმულის გამოჩნება ვასილ ბარნოვის შემოქმედების დასახასიათებლად — იგი მრავალფეროვანია, რთული და ხშირად წინაღმდეგობებით არის სავსე.

15 საუკუნოვანი ისტორიული სარბიელი, სარწმუნოებათა და იდეოლოგიათა ბრძოლა და ცვალებადობა, სამშობლოს დასაცავად წარმოებული მრავალრიცხოვანი ომები ყველა ჯურის დამპყრობათა — არაბთა, მონღოლთა, ყიზილბაშთა, თურქთა წინააღმდეგ — საშუალებას აძლევენ მწერალს დახატოს ისტორიულ და არაისტორიულ პიროვნებათა ვრცელი გალერეა.

და თუ რომანის არსებით თვისებას „პიროვნების განვითარების რთული გზების და საზოგადოებასთან მრავალმხრივი კავშირების ასახვა“ წარმოადგენს, ვასილ ბარნოვი ჭეშმარიტი რომანისტი, რადგან მის რომანებში საზოგადოებრივი ბრძოლა ყოველთვის ცალკეულ ადამიანთა ბედობლის ასპექტშია გაშლილი.

ვასილ ბარნოვის ძლიერმა ნიჭმა ააღორძინა, განამტკიცა და დაამკვიდრა ქართულ ლიტერატურაში ისტორიული რომანის ჟანრი.

ლიტერატურის ისტორიკოსები ვასილ ბარნოვს წინამორბედებად სრულიად სამართლიანად გიორგი მერჩულეს და ლიონტი მროველს ასახელებენ; მაგრამ ისიც ცხადია, რომ ვრცელი ისტორიული და ლიტერატურული ერთეულის მქონე მწერალი თავის შემოქმედებითს პრაქტიკაში იყენებს მთელ იმ დიდ გამოცდილებას, რომელიც გააჩნია მშობლიურ და უცხოურ ლიტერატურას, და საკუთარი გზის გამოძებნას ცდილობს.

როდესაც ვასილ ბარნოვის ისტორიულ რომანებს ეხეიან, ლიტერატურის ისტორიკოსები ხშირად ვახსენებენ ხოლმე ვალტერ სკოტს.

ვალტერ სკოტის ლიტერატურული „აღმოჩენა“ მისი ლიტერატურული მეთოდი იმაში მდგომარეობს, რომ მან შორეული წარსული დაგვანახა ისე, თითქოს გარდასული ამბები დღეს ზღებოდეს; შორეული ლეგენდური წარსულის ამბები მან დღევანდლობის დამაჯერებლობით დახატა. ბალზაკი ამ მეთოდს თავისებურ რეალიზმად თვლიდა.

ვასილ ბარნოვის გმირების მოქმედებაც გომართლებული და დამაჯერებელია, მაგრამ ამას მწერალი სულ სხვა ხერხით აღწევს: ვასილ ბარნოვი გვიამბობს შორეული წარსულის ამბებს ისე, თითქოს იგი თვით არის ამ ამბების მონაწილე; ამავე დროს იგი არასდროს არ კარგავს ისტორიულ პერსპექტივას და, როგორც სავსებით სამართლიანად აღნიშნავს სერჯი ჭილაია „თამარ მრწამს“ მიმართ, „აქაც და სხვა ნაწარმოებშიაც, რომლებიც ჩვენს დროს არის გამოქ-

ვეყნებულ, ავტორი ავლენს საბჭოთა მწერლის პოზიციას ისტორიული მასალისადმი დამოკიდებულებაში“.

მაგრამ რევოლუციამდე დაწერილ რომანებშიაც მათი გამოხსნა სავსებით ცხადია — მათ მათი ნაციონალურ-განმათავისუფლებელი იდეები ასახრდობს, რომლებიც დაფუძვლად ედო XIX საუკუნის დიდ ქართულ ლიტერატურას.

ვასილ ბარნოვმა შესანიშნავად იცის ისტორიული ფაქტები, და ეს ზედმიწევნით ცოდნა აძლევს მას საშუალებას ბუნებრივად, ამბის უშუალო მონაწილის დამაჯერებლობით მოგვითხროს შორეული წარსულის ადამიანთა შესახებ.

მიუთითებენ, რომ ბარნოვი ხშირად არ იყო პრეციოზული მიმდევარი ისტორიული ფაქტებისა. მწერალი-ისტორიკოსი სწორედ იმით განიჩხევა მეცნიერ-ისტორიკოსისაგან, რომ მას შეუძლია მიმართოს არა მარტო ზუსტად დამოწმებულ ფაქტებს, არამედ საკუთარ მხატვრულ ინტუიციასაც დაეყრდნოს.

ვასილ ბარნოვის ხელოვნება სწორედ იმაში გამოიხატება, რომ იგი დიდ ოსტატად იყო მხატვრული და ისტორიული სიმართლის შეჯერებისა. მას ჰქონდა ის „უნაკლოდ მომზომელი თვალი და უტყუარი ალლო“, რომელიც მხოლოდ ჭეშმარიტ მხატვარს გააჩნია.

ყოველი გამორუდება ამ სიმართლისა, ყოველივე გაყალბება, სულ მცირედიც კი საზიფათოა მთელი მხატვრული ნაწარმოებისათვის.

მოთხრობაში „ნაძვანის დევი“ ხუროთმოძღვარი ონისე ათვლიერებს ტძარის გუმბათს და ამბობს: „... ავერ მარჯვნივ წრე ოდნავ შემრუდებულა, თითქმის ერთ წყრთაზედ“, რაზედაც მისი მასწავლებელი ბაკური უპასუხებს: „მხოლოდ უნაკულოდ მომზომელი თვალი და უტყუარი ალლო შეჰნიშნავს ამას! ეგ სიმრუდე, თითქმის შეუმწეველი, მთელ გუმბათს შეარყევს ოდნავ, საუკუნეთა განმავლობაში. აქ არც ერთი ხაზის გამრუდება არ შეიძლება! ქრთილის ტლოი რაიმე მანე მთელ ტანს შეჰლახავს.“

— როგორადაც მწყობრ სიმღერაში.

— სწორედ! გუმბათი ქვით ნათქვამი შავალბელია ამდლებული“.

აქ თვით ვასილ ბარნოვის მხატვრული კრეალობა გამოთქმულია: არც ერთი გამრუდებული ხაზი მისი რომანებშიც ხომ თავისი აგებულებით მწყობრ სიმღერას მოგვაგონებენ.

მხატვრული სიმართლის გასარკვევად ვასილ ბარნოვი ერთ პიროვნულ და უტყუარ მოწმეს მიმართავს. ეს მოწმე — ხალხია, რომლის ლეგენდებსა და გადმოცემებში სათუთადაა შეინახული გარდასულ დროთა გმირების სახელები. კიდევ მეტი — თვით ხალხის საუკეთესო თვისებები ამ გმირებს მიეკუთვნება.

„ხალხისაგან გმირებად აღიარებული არსებები, მისგან ზეცაეებად დასახული პიროვნებები,



მისი საარაყო ბუმბერაზები ხალხისვე შვილები არიან-მეთქი, რომლებსაც ოდესმე უცხოვრიათ აკეთა შორის და უშრომნიათ ერის საკეთილდღეოდ. ხალხის მადლიერ ხსოვნას არ დაუვიწყნია მათი ღვაწლი, კიდევ გაუზვიადებია მათი პიროვნება და ნამოქმედარი, — წერდა ბარნოვი წერილში არსენა ოძელაშვილის შესახებ. „არსენა დღეს საზღაპრო არსებად არის გარდაქმნილი, ხალხის სათავყვანებელ ბუმბერაზად. ეს იმისთვის, რომ არსენაში განხორციელებულია ქართველი გლეხკაცობის ნატვრა თუ ოცნება“.

თვით ბარნოვიც, როდესაც თავისი გმირების ერთგვარ გაიდელალებას ეწევა, მიიწერს ამ გმირებს იმ საუკეთესო თვისებებს, რომლებითაც ისინი ხალხმა დააჯილდოვა.

დოკუმენტურად დამოწმებული ისტორიული ფაქტები და რეალური ისტორიული პიროვნებები ხალხის ფანტაზიაში გადატეხილი და თვით მწერლის მიერ ნანახ-განცდილი ამბებია და ცოცხალი ადამიანებიდან აღებული ხასიათებითა ხორკუშსხმული.

ვასილ ბარნოვის რომანების მთავარი მოქმედი პირები თითქმის ყოველთვის ისტორიული პიროვნებები არიან: მიოჩი მეფე, აშოტ კუროპალატი, გრიგოლ ხანათელი, დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე, დავით ნარინი, ულუ და ვითი, გიორგი სააკაძე, მეფე ლუარსაბი, ერეკლე მეფე, ალექსანდრე ბატონიშვილი... თითქმის ყოველთვის ეს ის ძლიერი პიროვნებები არიან, რომლებიც იბრძვიან „ბოროტ-ბნელის“ წინააღმდეგ.

რომანების თემად ქართველი ხალხისა და საქართველოს ისტორიის საკვანძო, დრამატული მომენტებია აღებული, როდესაც „გაბრძოლებს ვერი, შეიკრებს ძალას საკვირველს და წარმოსდგება მის წაადიდან გმირი უძლევი იმ ბოროტების დასათრგუნავად“.

ვასილ ბარნოვი გვიხატავს ხალხს ერის ისტორიის იმ მძაფრ მომენტებში, როდესაც ერი გაერთიანებულია გარეშე მტრებთან შესაბრძოლებლად, როდესაც მიწაზე მდგომარეობა შინაგანი წინააღმდეგობის, ერთი მიზნის მისაღწევად იბრძვის ყველა — ხალხიც და მისი წინამძღვრებიც.

ხალხი ვასილ ბარნოვის რომანებში ყოველივე სიკეთის და სიქველის მატარებელია. ტიპების ვრცელ გაღერებაში ვერც ერთ უარყოფით ტიპს ვერ ნახავთ ხალხიდან გამოსულს. უარყოფითი ტიპები მთლიანად წარმოიშობებიან გარეგანი ფაქტორებისგან; მათ წოდებრივი მისწრაფებანი, პირადი შუღლი ან ანგარება ამოძრავებს. დიდი ოსტატობით და სიღაქიხით დახატა ვასილ ბარნოვმა ქალთა პორტრეტების შესანიშნავი წყება. ნაზი თინანო („ისინი ცისკარი“), მეფე თამარი („პირიშუა“), მაკრინე („განგების რკალში“), მშვენიერი ხათუთა („დედოფალი ბიზანტიისა“) და გმირი შუშანი („ხაზართა სასქლო“), გულზვიადი გურანდუხ-

ტი და რელიგიური აღტიკებით შეპყრობილი თებრონია („ტრღობა წამებული“) — ქართველ ქალთა ასეთი მრავალფეროვანი გაღერების შექმნა ჯერ ვერც ერთმა ქართველმა მწერალმა ვერ შეძლო.

ამაღლებული თვისებებით მოსავს ბარნოვი თავისი რომანების გმირ ქალებს, მაგრამ ისინი ყოველთვის ცოცხალი არსებები არიან — ვნებებით, განცდებით, მისწრაფებებით, ღრმა და წმინდა სიყვარულით თავისი რჩეულისადმი, მაგრამ თუ ცხოვრების გზაზე სიყვარულის ყველაფრის წამლეკავი გრძნობა უპირისპირდება საეკლესიო და ოფიციალურ საზოგადოებრივ მოჩაღს, ვასილ ბარნოვი ღრმა დასაბუთებულ ფსიქოლოგიურ საფუძველს პოულობს ამისათვის (მაგალითად, „ტრფობა წამებულში“).

ვასილ ბარნოვის რომანებში მკვეთრად გამოიყოფა ორი ხაზი — რომანტიული-ამაღლებული და რეალისტური.

რომანტიული-ამაღლებული სტილითა დაწერილი, მაგალითად, „არმაზის მსხვერვა“, სადაც არა მარტო ამბების განვითარება, არამედ თვით თხრობის ფორმა — რიტმული პროზა, მიმართულია იქით, რომ შექმნას აწეული, სადღესასწაულო, თითქმის თეატრალურად პაუზირებული განწყობილება, ხოლო რომანების უმრავლესობაში, და მათ შორის ისეთ შედეგებში, როგორებიცაა „ისინი ცისკარი“ და „ტრფობა წამებული“, ბარნოვი რეალისტური პროზის საუკეთესო ნიმუშებს იძლევა.

„ტრფობა წამებული“ შეიძლება არა მარტო ისტორიული, არამედ ფსიქოლოგიური რომანის საუკეთესო ნიმუშად დავასახლოთ.

ვასილ ბარნოვი რომანის დიდი ოსტატია და, როგორც ყველა დიდოსტატის ნამუშევარს, მის რომანებს არსად „ნაკერი და ნაწიბური“ არ ეტყობა. ჩვენ არ ვიცით, რა ხერხი და ღონე იხმარა ოსტატმა, რა ჯაფა დახარჯა, რათა თავისი სულიერი განძის ძვირფასი მადანი ამ შესანიშნავ ლითონად გადაედნო, მაგრამ ჩვენს წინაშე ათასფერებად კრიალებს უცხო რამ ქანდაკება და ჩვენ მაღლიერნი ვართ მისი გულმეცნიერი ოსტატისა, რომ მან არაფერი არ დაიშურა — არც ცოდნა და შრომა, არც ნიჭი და გრძნობა, რათა თავისი შესანიშნავი რომანებით გაემდიდრებინა ქართული ლიტერატურა.

„ნათელი სრამ ქართველთა ჩაბნელებულ ყოფაში“.

ისტორიული რომანების ვრცელ რკალში ვასილ ბარნოვმა ასახა ქართველი ხალხის რომანტიული ბრძოლით სავსე ეპოქა, მოთხრობებსა და ნოველებში დახატა ვასილ საუკუნის საქართველოს ქალაქისა და სოფლის მშრომელთა „ცხოვრების უყვავილო ბიამანი“.



მაგრამ ამ უსინათლო „უყვავილო ბიამანიში“ იგი ყოველთვის ხედავდა ნათელ მომავალს, ხედავდა გმირებს, რომლებიც ებრძვიან უკუღმართობას და „ავლებენ ნათელ სრეს ქართველთ ჩაბნელებულ ყოფაში“.

იმ შინაურ მტრებს შორის, რომელნიც „ბორტად ჩაიხრულან ხალხის განვიტოების სიძულად“, არიან „მავნე სულდამურები, მტაცებელნი, რომელნი ისწრაფვიან იარსებონ კაცთ ნაშრომით თვით მისის ხორკით“.

ვასილ ბარნოვმა ამ „მავნე სულდამულთა“ მთელი წყება დაგვიხატა. ასეთებია ზარაფი მილუა („ისინის ცისკარი“), ვიპარი „ყვითელი პეტრე“ („გველის ზეიმი“) და სხვანი მრავალი.

„ყვითელ პეტრეს“ სახით ამ მტაცებელთა განზოგადებული ტიპი მოგვცა მწერალმა. თუ ამ ციკლის სხვა მოთხრობები უფრო საყოფაცხოვრებო მიდგომითა დაწერილი — „გველის ზეიმი“ განზოგადებულ სიმბოლურ პლანშია გადაწყვეტილი. იგი ორი ხაზით ვითარდება, ერთია ღარიბი მოხელის გობრონის და მისი მეზობლების — მეკრავ ფეფიკოს და მისი დედის ამბავი. „ყვითელ პეტრეს“ გამადიდებელი ამბავი; მეორე კი სიმბოლურია — გობრონის სხალს უკან აღმართული კლდის ნაბრალში მიბინადრე გველისა, რომელიც მუსრს ავლებს ყოველივე ცოცხალს, რომლებიც უღონონი არიან და ამიტომ იღუპებიან: ასევე უღონოა გობრონიც „ყვითელი პეტრეს“ ხრიკების წინაშე. პეტრეც იმ გველივით ეცემა და ყლბავს პატარა აღამიანებს, მდიდრედება, ჯანს იცვლის, კეთილად უნდა მოაჩვენოს თავი, მაგრამ მაინც ყოველთვის „უთამაშებს თვალთა ბაიაში მცურავი ცბიერებისა დაუნდობელი“.

მოთხრობის დასასრულს გველისა და გველივით შემპარავი და უნდა ვაჭრის სახე ცაწყუმება ერთმანეთს: „ერთის დაკვრით მოგვსობა ჭრალმა პეტრემ ჩვენ და ბაბაღანი, როგორც ყვითელმა გველმა წყვილი ჩიტუნა. რა ლბილად! რა ძლიერად! კმაყოფილი წავიდა სოფდაგარი თავის სახლისკენ, ნელ-ნელა მიცურავდა ტანის ოდნავი ხლაყვინით.“

— ცხოვრების ტაბლა მავათი არის, ყვითელი გველისა — ჭრელი პეტრესი!“

მაგრამ ოდესღაც ბავშვობაში ნანახი სურათი გაახსენდება გობრონს — „უზარმაზარი მკვდარი გველი სეტყვამ რომ ჩააქვავა. ღვარმა რომ ზიდა გესლით აღსავსე“, და ეს გახსენება იმედით აღავსებს და იმედიან სიტყვებს ათქმევინებს გობრონს:

— ჭრელსა პეტრესაც, იმ ყვითელ გველსაც ღვარი მოუსპობს ყოფას გესლიანს, ღვართქვის ძალა, ხალთა ტალღები“.

„გველის ზეიმი“ 1919 წელსაა დაწერილი და მოწოდებს იმას, რომ დიდი ქართველი პროზაიკოსი არ იყო ინდიფერენტულად განწყობილი იმ

დიდი საზოგადოებრივი ძვრების მიმართ, ყელსა და ლხებსაც მისი ქვეყანა განიცდიდა.

ვასილ ბარნოვის ყველა ნაწარმოებში გატარებულია აზრი, რომ ბრძოლა კეთილსა და ბოროტ საწყისებს შორის წარმატავს არა მართო ცალკეული აღამიანების ურთიერთდამოვიდებულებას, არამედ მთელი კაცობრიობის ბედობლს. სამშობლო, სიყვარული, შრომა და შემოქმედება განსაზღვრავენ აღამიანის ადვილს ამ ბრძოლაში.

სამშობლოსათვის თავდადებული გმირები, უკნობი, სიყვარულის გრძობით აღგზნებული რაინდები, პატიოსანი შრომით ამადლებული ხელისნები და გლეხები, მაღალი ნიჭით დაჯილდოებული ხელოვნების ისტატები იბრძვიან სიმართლისა და სიყვარულის, თავისუფლებისა და კეთილის დამყარებისათვის.

პატრიოტული საქმეები, სამშობლოს სიყვარული და ხალხისათვის თავდადება ძირითადი თემაა ვასილ ბარნოვის შემოქმედებისა.

ყოველივე კეთილი განხორციელება ყოველსიმცველ და ყოველსიმშქმად სიყვარულში. იგია დასაბამი ყოველი არსისა, რადგან თვით სიცოცხლე ხომ სიყვარულის შექმნილია — ამბობს მწერალი და მთელი მისი შემოქმედება ამ დებულების დასამტკიცებლადაა მიმართული.

შრომა და შემოქმედება განუყოფელია მწერლის წარმოდგენით. იქნებ არც ერთ ქართველ მწერალს არ დაუწერია ისეთი პოეტური სტრიქონები შრომის შესახებ, როგორც მიუძღვნა ვასილ ბარნოვმა თბილისელი ხელოსნებისა და გლეხების შრომას.

„ტვილისის აირდილების“ მოთხრობათა სერიოზი ვასილ ბარნოვმა დაგვიხატა ქალაქის მშრომელების, ხელოსნებისა და მოუშების, პატარა მიხეივლების — „უჩინარი კაცების“ უსინათლო არსებობა. მაგრამ ამ უსინათლო ყოფაშიაც ყოველთვის არის ნათელი სხივი — სიყვარული, შრომა და პატიოსნება.

სოფლის ცხოვრებისადმი მიძღვნილ მოთხრობების რკალში, რომელსაც გიორგი ლეონიძემ „პასტორალები“ უწოდა, მართლაც პასტორალების სუშულობით და პოეტურადაა დახატული ქართული სოფელი და მისი ბუნება, მისი აღამიანები, ამ აღამიანთა განცდები, ვნებანი მისწრაფებანი. ამ მახვილი თვალით შეინშნული და კოლორიტული დეტალებით დამწვენებულ მოთხრობებში ვასილ ბარნოვი გვევლინება ქართული მოთხრობისა და ნოველის უბადლო ოსტატად.

ორმოცდაათზე მეტი მოთხრობა აქვს დაწერილი ვასილ ბარნოვს. და არც ერთ მათგანში იგი არ მეორდება არც სიუჟეტურად, არც გამომსახველობით ხერხებით. თითქმის უკვე მრავალჯერ გამოყენებულ და ბანალურ სიუჟეტში იგი პო-

უღობს სრულიად მოულოდნელ შემობრუნებას, ახალ ასპექტს.

იშვიათი ოსტატობით იცის ბარნოვმა შინაარსის შესაფერი თხრობის კილოა და ტონის შერჩევა. როგორ საგანგებოდ აგებს ფრაზას — ნაამბობის შინაარსის შესატყვისად, რა მრავალფეროვანია მისი სტილი: მემბტიანის უდრტივინველი ეპიკური თხრობა და აღვლებული, ამღვლებული პათეტიური ოდის ელემენტობამდე ასული დაღადება; ფიცხელ ბრძოლაში მოქმედი ხმალივით სხარტი და აღვზნებული მოკლე სიტყვა-ფრაზებით აგებული პასაჟები და უნაზესი ლირიზმით აღსავსე პოეტური აღსარებანი; ურთულესი განწყობილებისა და ფსიქიკის სულ ოდნევი, თვალთუხილავი ცვალებადობის ზუსტად გამომხატველი წინადადებანი.

გასილ ბარნოვი სრულყოფილად და თავისუფლად ფლობს ქართული სიტყვის საიდუმლოებას. მისი ენის გამომსახველობითი საშუალებანი მრავალფეროვანია, მაგრამ ყოველთვის საკუთარი — ბარნოვისეული.

და ყოველივე ამასთან ერთად ბარნოვის თხრობა ბუნებრივია და მარტივი. ამ სიმარტივისა და ბუნებრივობის მიღმა მწერლის დიდი შრომა და გარჯაა.

ბარნოვს უმდიდრესი ლექსიკა აქვს. ხშირად ახლა უკვე უნმარი სიტყვები ბუნებრივად და ძალდაუტანებლად შერწყმულია ძირითად სიტყვიერ ქარავსთან და თუ ბარნოვს — რომანისტს, მართებულად თუ უმართებულად, უსაყვედურებენ ენის ერთგვარ არქაულობას, ბარნოვს — ნოველისტსა და მოთხრობების ავტორს ამ საყვედურს ვერაფერ ეტყვის. არაჩვეულებრივ მომჭირნედ ხმარობს იგი სიტყვას. მაგრამ მისი სიტყვა ნამდვილად „მხატვრულია“. ათიოდე სიტყვა, ორი-სამი ფრაზა — და თქვენს წინაშე სრული სიციხადი დგება ძველი თბილისის ფიწრო შუკა ან საბარათიანოს სოფლის ნათელი სურათი.

სხარტი და მოსწრებული დიალოგი, გრაფიკულად ძუნწად და მოზომილად, მაგრამ ზუსტად და მკვეთრად დახატული პეიზაჟი; მცირე, მაგრამ ღრმა, დამარწმუნებელი წიადსლა — მომხდარის ფილოსოფიური ვაზრება ან ფსიქოლოგიური ანალიზი — აი, ის ძირითადი ელემენტები,

ბი, რომლებიც თავისებურს ხდის გასილ ბარნოვის მოთხრობებს.

ისინი არ უპირისპირდებიან მისი ისტორიული რომანების რკალს, და, თუმცა მხატვრული ხერხების მხრივ მნიშვნელოვნად განსხვავდებიან, მაგრამ მოთხრობებშიც და რომანებშიც იგრძობა იგივე ხელი დიდი ოსტატისა. ოღონდ რომანებში იგი ფართო ტილოების ფერმწერალაა, მოთხრობებში კი — შესანიშნავი გრაფიკოსი. ამ შედარების ნათელსაყოფად გავიხსენოთ ჩვენი მეორე დიდი ოსტატი — ლადო გულიაშვილი, გავიხსენოთ მისი ფერწერა და გრაფიკა. და, იქნებ, არა მარტო ამ პარალელთა შემოიფარგლოს ამ ორი დიდოსტატის მსგავსება.

გასილ ბარნოვმა მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა ქართულ ლიტერატურას, რომელსაც იგი ემსახურებოდა როგორც მწერალი და როგორც პედაგოგი. მას გატაცებით უყვარდა ქართული მწერლობა, სჯეროდა მისი მომავლისა. ბევრი განუთხოვრებელი გეგმა თუ ოცნება დარჩა. ერთი მათგანი იყო — რომანის დაწერა არსენა ოქელაშვილზე.

„ჯერ ვერვინ შესწვდა ზელოვანი არსენას პიროვნებას, ვერვინ დახატა კალმის წვერით მისი სურათი, მთელი ცხოვრება. რა მასალა არის ეშხიანი მოთხრობისათვის, მთელი რომანისათვის! ვერც ხომ ამირანის პიროვნებას შესწვდა, ვერც ის ხონელი, ვერც ეს ახლები. სააკაძეც ვერ ამოწურა ძველმა კალამმა, თუნდაც ახალმა. თამარი? აბა, შეპბედე! მხოლოდ რუსთაველმა დაამუშავა საბოლოოდ გმირი ტარია. მოგლის მარადღელი შესაფერ კალამს. ვანა ამოლ! იცის: ქართველ ზელოვანთა შესწევთ ამის ნიჭი, ამის უნარი“.

ამ მოკრძალებულ და იმედთან სტრიქონებში მთელი ბარნოვია — თავმდაბალი, გულთამხილავი, შორსმჭვრეტი.

ქართულმა საბჭოთა ლიტერატურამ, ისტორიულ თემებზე მომუშავე მწჭრალთა თაობამ მიიღო ეს მოწოდება თავისი უზუტეცი ოსტატისა და საქართველოს წარსულის ბარნოვისეულ რომანტიულ ენობას გვერდით ამოუყენა მიხეილ ჯეგანიშვილის, შალვა დადიანის, კონსტანტინე გამსახურდიას, პოლიკარპე კაკაბაძის, გრიგოლ აბაშიძის, ლევან ვითაუს ისტორიული რომანების, პოემებისა და ღრამების მთელი წყება.



მშობლივი შიშველობის

ბარნოვის თემით

ვასილ ბარნოვს ვაჟა-ფშაველასავით ფანდურ-რი არ ექირა ზელში, თავის სათქმელსა და გულის ხეშიაღას ფანდურის ლარებზე არ აწყობდა, მაგრამ შემოქმედების წუთებში ალბათ ისიც მღეროდა, ჩუმი ხმით დღედღუნებდა და ისე თხზავდა. ამას ამტკიცებს არა მარტო მისი ამღერებელი გულისთქმით ნაწერი პროზა, არამედ სხვა აწარის ერთი ნაწარმოებიც, რომლის გამოც ჩემი აზრი მინდა გამოვთქვა.

1927 წლის აპრილში „ქართული მწერლობის“ № 5-ში გამოქვეყნებულია ვასილ ბარნოვის მონოგრაფია პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძის შემოქმედებაზე.

იშვითი და ფრიალ თავისებური კრიტიკულ-პოეტური დოკუმენტია ეს დიდის გზებით დაწერილი განხილვა ქართველი პოეტის შემოქმედებისა.

სანამ ლექსების მიმოხილვაზე გადავიდოდეს, ვ. ბარნოვი ორი-სამი თავისებური შტრიხით გვიხატავს ამ შესანიშნავი პოეტის წინააღმდეგობებიანთ ასახვევ ცხოვრების გზას. ამ მცირე მონახაზში გარკვევით მოჩანს ცხოვრების, უკეთ რომ ითქვას, მეცნარაშეგ საუკუნის საქართველოს ცხოვრების საბედისწერო გზაჯვარედინზე დაფიქრებით მდგარი პოეტი, რომელმაც:

„1804 წელს მონაწილეობა მიიღო რუსეთის წინააღმდეგ აჯანყებაში“.

„მონაწილეობა მიიღო 1812 წლის ომებში და პოლოკონიკობა უბოძეს. შემდეგ ლენერლობაც დაიმსახურა“.

„არ მიიღო მონაწილეობა 1832 წლის აჯანყებაში: არ კი ვასცა ეს საიდუმლო. ურჩევდა, თავი დაერიგებინათ წინააღმდეგობისათვის: საქართველოს ძალა არ შესწევს განდევნოს რუსნი... ისევ დააპატიმრეს და ტამბოვში გაგზავნეს. იმაზე თუ უწყებოდნენ, მთხრობლად არ გამოხვედით“.

პოეტის ცხოვრების საგზაჯვარედინო თარიღების მოხაზვის შემდეგ ვასილ ბარნოვი გამოთქვამს მეტად საგულისხმო მოსაზრებას:

„...მასში იბრძვიან მამისაგან ნაანდერძევი დადებითი შეხედულება ქართველთა ცხოვრების ახალი სადინლის შესახებ და საქართველოს სულისაგან ზიზღით უარყოფა მონობისა ამ ახალ სავალზედ. პირველ ხანებში თავის სიცოცხლისა უარყოფს მონობას და მის წინააღ-

მდეგ მებრძოლად გამოდის ცხოვრებაში. შემდეგ ნელ-ნელა ემორჩილება გარემოებებს, მიიღებს ახალ მიმართულებას და წარმატებით იღწვის ამ სადინელზედ“.

ეს წინააღმდეგობანი და მერყევი სულის დრამატოზში მიაჩნია ვასილ ბარნოვს ალ. ჭავჭავაძის პოეზიის სათავედ.

ვასილ ბარნოვი ამ მონოგრაფიით თითქოს ბანს ეუბნება გარდასული ჰანგების „მუხამბაზისა“ და „მუსტაზადის“, „თეჯლისისა“ და „საპარის ხმაზე“ უბაღლოდ მომღერალ პოეტს და მისი ლექსების ბრწყინვალე ნატეხებიდან — საკუთარი შემდგომების მოშველიებით და ჩართვით ქმნის თავისებურ პოეტურ კომბინაციებს ალექსანდრე ჭავჭავაძის პორტრეტის შესაქმნელად.

მონოგრაფია შედგება შვიდი პატარა თემატურ-რი რკალისა თუ მონახაზისაგან.

აი ისინი:

- მიმართვა,
- საყვარლის სახე,
- შესტრფის სატურფალს,
- კარნი განხმულნი,
- ეღვი ხშული,
- იხევ და იხევ ღვინითა,
- დარდის ლანდები...

თვითეულ რკალს ვ. ბარნოვი თხზავს და ჰკინძავს ალ. ჭავჭავაძის რჩეული, „საგულისხმო და დამახასიათებელი გამოხატულებებით.“

ადგილი რკალიდან:

„დარდის ლანდები...“

წარვიდნენ, გაქრნენ ნაქებნი დრონი, მოვშორდი მოყვასს, ძალს ცხოვრებისას. ბედისგან ესრეთ დასჯილი იმედოვნებას ვუწოდებ ფარად, იგიცა მეტტვის. ბედს ვივი ჩემსას კეთილთაგან იავარქმინილი...“

ჰე! ამა საძლსა, საღატურსა ბნელსა! არ გებრალემათ მას შინა მყოფნი?! თუ ვაქვთ პატიმართ სიბრალული, მპოვეთ აქა მე. გახსოვდეთ მწარედ მომჩივარი, საწუთროს რებით... წყეულ არს ის დრო, როს დეკარგეთ ჩვენი სამკვიდრო!“

ვასილ ბარნოვი წიგნში არ იხედება, ისე, ოცნებაში წასული და თითქოს თვალმოხუჭული იხსენებს ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსებს და, როგორც ჩანს, არც შემდეგ ამოწმებს, სწორად,



უშეცდომოდ გაიხსენა თუ არა პოეტის ნათქვამი:

„აჰა, ნაქცენი, შენობათა საგლოვნი ნაშთნი“.

პოეტს კი ასე აქვს ეს ადგილი:

„აჰა, პალატთა დიდებულთა ნგრეული ნაშთი“.

აი კიდევ:

„ესე კამარა, ძლივსაცნობი ყოფილა ტაძრად.“

ეს გროვა ქვათა სახეშლილი, ეს ვრცელი ვაკე ქვაყარილი ბნელად“...

ლექსში ამის შესატყვის ადგილას ვკითხულობთ:

„ეს გროვა ქვათა სახეშლილის

ოთხკუთხედისა“...

„მიხედვ ამა ვრცელსა ვაკეს ქვაყარისა

ბნელად“.

ახლა მართლაც ძნელი მისახვედრია, როცა ასე თავისგუნებისად ალაგებდა მონოგრაფიის ავტორი ამ სტრიქონებს, ზემოთ ნათქვამისა არ იყოს, ზეპირად, წიგნში ჩაუხუნდავად ისხენებდა ქავეჯავახის ლექსებს თუ ექსტაზში შესული შეჯიბრს უმართავდა საყვარელ პოეტს.

თი ერთი მავალითიც ამ თავისებური შეჯიბრისა:

„აქაცა მჯდარა ერთგვისი ძალა ტახტსა

ამაყად“ (გ. ბარნოვი)

„აქაცა მჯდარა ძალი მალას ტახტსა ამაყად“.

(ალ. ქავეჯავახი)

თვითელ რკალს ვასილ ბარნოვი პოეტის გამონათქვამთაგან ამოკრებილი რკალის განწყობილებისათვის შესაფერისი ამონაყენებით ასრულებს:

ეჰ, ამაოა მასთან ბრძოლა: ჰმონებდეს ყველა! მომკლა ძებნაჲ, სადღა არს პოენა?!

ისევ და ისევ ღვინ...
ამ შვიდ რკალში გაერთიანებული ლექსების ილუსტრირებისა თუ გაზიარების შემდეგ ვასილ ბარნოვი ამბობს:

„ესე დღლაგდა მგოსნისავე თქმით შინაარსი მისი ლექსების...“ და მონოგრაფიის ზოგად ნაწილში მრავალ საყურადღებო მოსაზრებას გამოთქვამს ალექსანდრე ქავეჯავახის და სხვა ქართული პოეტების შემოქმედების ირგვლივ. მისი აზრით, იქ სადაც „ჰვედრის ზეარსთ... საღ ჰხატავს რაინდს მოტრფილეს ან აზროვნებს სიყვარულის ძლიერებაზედ“ — ალ. ქავეჯავახი იმდენად მძლავრება, რომ „გვაგარძნობინებს რუსთველის სხივებს“. მისი თქმით: „ძნელი არის ქართულში მეღვქმემ შემოქმედების ჟამს შორეულად მიანიც არ იხილოს შოთას აჩრდილი“.

შთაგონების წყურბუბში:

„ღარდი დაჰბურავს ალექსანდრეს ვულს, ქუფრ ბურუსად შემოაწვება,

როდესაც წარვლენ კეთილნი დრონი

და საყანში ზის —

ცრემლით მგონე გარდასულ შებვის“...

მართალია მონოგრაფიის ავტორი ალტაცებულა მგოსნის ფაქიზი ხმით, მისი სატრფილოლირიკით, სადაც სიყვარული „ღღეს ალიმებს ადამიანს, ზვალ აღონებს, სამუდამოდ კი ვერც აწამებს, ვერც აღიტაცებს“ — მაგრამ იგი მეტად კრიტიკულად უცქერის პოეტის სოციალურ მრწამსს:

„ვერსად ჰპოვებდა მგოსანი ნუგეშს: მის პიროვნებაში საბრძოლველი ძალა უკვე ამოშრეტილი იყო, მის გარშემო მყოფნი გვაემი მასვე ჰგვანდნენ განაზებულნი. ვერ ზედავდა იმ ერთადერთ საიმედო ბუმბერაზს, რომლის შემშუშუნა ძრწოლასა ჰგვრიდა ბნელების ძალას: სრულიადაც ვერა გრძნობდა მგოსანი ხალსსა“.

ამ თავისებურ მონოგრაფიაში გ. ბარნოვი შოთა რუსთაველის გარდა კიდევ ორ ქართველ პოეტს ახსენებს: ბესიკსა და ბართაშვილს.

ალ. ქავეჯავახის სატრფილო ლექსების განხილვისას გ. ბარნოვი თითქმის ვილიცას ეკამათება, ისე ამბობს:

„არა, ბესიკის მოწაფე არ არის აქ ალექსანდრე, თუმცა მასავით სასიმღერო ჰანგი გამოაქვს, საგალობლებს აწუბანს სატრფილო სიმშვენიერებზედ. ალექსანდრე ამ ლექსებში ეთვისება უფრო ქვეშემ დარდიმანდს: მის სიმღერების ნალწეში ჰმოწმობენ ამაჲ. განვითარდება ეს თქმა, როცა შეკრებენ დავიწყებულ პოეტის ლექსებს“.

უფრო დიდ ზღვარსა სდებს გ. ბარნოვი ალ. ქავეჯავახსა და ნიკ. ბარათაშვილს შორის:

„არა, არ ჰგავს ალექსანდრე ბართაშვილსა, რომლის მძლუ ნიჭმა არ მიიღო ძნელი მონობა, გადალახა ბედის საშუღვარი და წარსწარაფა უფალ გზებით იმ ნათელისკენ, შორს ტატნობზე რომ მოჩანდა, მოციავობდა. მის ალტაცებამ გასწირა ყველა, სიყვარულიც კი,

რომ გეყავა გზა დახშული კეთილისკენ“.

მონოგრაფიის დასასრულს მეტად ორიგინალური სურვილია გამოთქმული:

„ქარგი იქნებოდა, რომ შეიძლებოდა მისი (ალ. ქავეჯავახის. — გ. შ.), ბესიკისაც გამოცემის საგალობელი ნიშნებით“.

ამ სტრიქონების ავტორი ალექსანდრე ქავეჯავახისა და ბესიკის ლექსებს ალბათ თავისი ტყბილი ხმით ხშირად დღუღუნებდა ზოლმე, ოცნებით წარმოადგენილი ჰქონდა ის საგალობლები, რომლის ნიშნებსაც აქ ახსენებს.

ვასილ ბარნოვისათვის სიმღერა უცხო არ იყო...

ამიტომაც მივეცი თ ჩვენს თავს ნება, მისი მონოგრაფიის ორი ადგილი ისე დავგველაგებინა, როგორც იგი მის ბაგეთაგან ითქვა: თეთრ ლექსად.

ასე დღლაგდა ვასილ ბარნოვისავე თქმით შინაარსი ამ მეტად თავისებური მონოგრაფიისა...

პასიკ ქიქნაძე

ღერო ასათიანი

(ბარდაცვალებიდან 15 წლისთავის ბამო)

საქართველო ლაღო ასათიანის პირველი სიყვარული იყო. მასზე თავდავიწყებული სიმღერა მატებდა პოეტს სულიერ სიმხნევეს. მხედრულ პირდაპირობასა და ლირიკულ მოკრძალებასი ჩანდა მთელი მისი ბუნებაც. და როცა „სალაღობოს“ ვკითხულობთ, ეს ლექსი მხედრულ ყიყინას გვაგონებს, „ბარდნაღა“ — შეღამებისას ნათქვამ უნაზეს სიმღერას, ორივე ერთად კი ლაღო ასათიანის პიროვნებას. ამ ორ ძირითად რკალშია მოქცეული მისი ლექსები და ორივე მთლიანობაში წარმოადგენს ავტორის პოეტურ ბუნებას, გარკვევით მიუთითებს მისი ლექსების მხატვრულ თავისებურებაზე. ლექსების ეს ორი ნაკადი არ არის მხოლოდ ორი ფერი, ორგვარი ტონალობა. ისინი არსად არ ქმნიან ერთფეროვან გაწყობილებას, ერთ შთაბეჭდილებას, ყოველი ლექსი ახალი ფიქრებისა და ემოციების აღმძვრელია.

ლ. ასათიანმა აღრვევ გვაგონობინა თავისი პოეტური ხმის სითამამე და განცდის სიღრმე. მან თავისი ახალგაზრდობა პოეზიაზე ფიქრში დააღამა და შემდეგ თავაღაც ეუღნაურა — „კაცი ლექსად როგორ ვიქციეო“. წამიერად თითქოს დაღაიწყდა კიდეც ადრე ნათქვამი — „მე ჩემი ბავშვობა ლექსით დამიწყია და ჩემი ცხოვრებაც ლექსით უნდა დავამთავრო“. იგი ნიადაგ ღელავდა, იწვოდა, დაუზოგავად ხარჯავდა ჭაბუკურ ენერჯის და არც ნანობდა. თითქოს გრძნობდა მოახლოებულ სიკვდილს და მუღამ საბრძოლველად გამზადებულ ვაქცატორი შეძახილებით აფხიზლებდა მკითხველს: მოასწარით, „თორემ ჰერი და სიბერე ძე მგელივით მოგვიხტება“.

ლ. ასათიანმა თავისი ხმა პირველად სოფელში მოსინჯა, პირველად აქ იგრძნო „ცვრიანი სიტყვის“ მადლი, აქ ისწავლა აზრის პირდაპირობა და სიტყვად; ქართველი გლეხის ბუნების უშუალობა და სისადავეც აქედან დაჰყვა მის ლექსებს. სოფლად გატარებულმა

დღეებმა წარუშლელი კვალი დააჩინეს მის სულიერ ცხოვრებას. მისთვის ეს იყო საზრდოცა და სტიმულიც, რომელმაც სათავე დაუღო მისი პირველი ლექსების დაბადებას. ადრე განცდილი და დანახული ღრმად აღიბეჭდა პოეტის მესხიერებაში და ამ შთაბეჭდილებებით იგი ბოლომდე იყო მოხიბლული.

ლ. ასათიანის შემოქმედებაში ბუნებისა და სიცოცხლის ყოველი ფორმა პოეტური შთაგონების საგნად იყო ქცეული. ბავშვობისას პატარა ლაღო ხშირად მიდიოდა ხოლმე ცენინისწყლის ნაპირას, იქაურ წისკვილებში. უყვარდა სარეკელას რაკუნი, ღამისთევა, ბუხრის წინ მოღულუნე ცეცხლთან ნაამბობი ზღაპრები და ცვრიან ყანაში მიმავალი გლეხაკების საუბარი.

როდესაც ვკითხულობთ მის ლექსებს, — „ბარდნაღა“, „სოფლისაკენ“, „ცაგერის ბაზრობა“, ნათლად ვგრძნობთ, თუ რა სიყვარულით არის ამტყვევებული ყოველი საგანი, როგორი სიწრფელით არის განცდილი პირველად ხილული სამყარო. აქ პოეტი ძალზე ახლობელი ადამიანია, რომელსაც სურს გავიზიაროს თავისი სიხარული, აღტაცება, ტკივილი, გვითხრას თუ რატომ უყვარს ასე ძლიერად ეს მთა და ბარი, მისი ადამიანები. გვითხრას ისე, რომ ჩვენც შეგვაყვაროს, გავიტიაცოს...

ლაღო ასათიანს არ დაუტოვებია წარსული დღეები, მან უმღერა წარსულს. ამ სიმღერებში ისმის მხოლოდ სინანული „გარდასული და გაფრენილი“ ბავშვობის დღეების ვამო, იგრძნობა სურვილი — ისევე დასცქეროდეს ლეჩხუმის ცა, ჩრდილებს აყრიდნენ კაკლის ხეები. მის ლექსებში გაოცებლდნენ შეუბღალავი სოფლის სურათები, წამოიძვრათა ლეჩხუმის მთები, ახმაურდა ნაჰამურის წისკვილები.

„ვერ დამოაკებს დიდი მანძილი, ლექსო, სადავე მომეც ქარების!



თქვენს ვაჟურადაც ტახტზე ვაზრდილი
 თქვენს სანახავად მოვიჩქარებინა.

სოფელთან სიახლოვეს პოეტი განიცდიდა, როგორც უახლოეს კავშირს ხალხთან. იგი მშობლიური ბუნების გულმხურვალე მოტრფიალე იყო და მხოლოდ მის წიაღში დაბადებული სიმღერისა სჯეროდა.

ლ. ასათიანმა თავის ლექსებში საოცრად რომანტიკული და მიმზიდველი ფერებით წარმოგვსახა ქართული სოფელი, ყოფითი დეტალებში, უაღრესად რეალისტურ სურათებში მან რომანტიკული სუნთქვა შეიტანა და ახლებურად განგვაცდევინა იგი. თუმცა ცხოვრებისეულია, მაგრამ რაღაც უფრო მიმზიდველი და საინტერესოა ლ. ასათიანის ლექსებში გაცოცხლებული სოფლის სურათები.

ნაცნობი განცდების, ნაცნობი სურათების ხელახლად განცდის ძალა განსაკუთრებულ სითბოს აძლევს ლაღო ასათიანის ლექსებს. ვკითხულობთ „ბარდნალას“ და შევდივართ ჩვენთვის ნაცნობ, მაგრამ მაინც ახალი თვალთ დანახულ სამყაროში. ვეცნობით ხორგოსა და მარანს, თონეს, ბელესს, გუმარეშის ყანებს, ცხენისწყლის ნაპირებს, და უფრო ღრმად ვიჭრებით პოეტის ბოგრაფიაში, გონების თვალთ ვათვალიერებთ მის მშობლიურ არემარეს, ვეცნობით მის აღამიანებს, სულიერად კმაყოფილნი ვამოვიდვართ ამ რომანტიკული სამყაროდან და თითქოს ჩვენც ვიშეგრებთ: — „რა კარგა იყო ბარდნალა“.

სამბუთა საქართველოზე ნათქვამ სიმღერებთან ერთად ლ. ასათიანი სიამაყის გრძნობით გვიხატავდა აგრეთვე ისტორიული წარსულის გმირულ სურათებსაც; ასპინძისა და ბასიანის ბრძოლა, კრწანისის ველზე დატეხული არაგველები და ძმანი ხერხეულიძენი, პატარა კახი... ყოველივე ეს შიშველ რომანტიკად როდი რჩებოდა. წარსულის ასახვა ხელს უწყობდა მკითხველის მოქალაქეობრივი შეგნების ამაღლებას, პატრიოტული გრძნობების ვალდებებს.

ლ. ასათიანმა ჯერ კიდევ ძალზე ახალგაზრდამ გვაძინო თავისი მოქალაქეობრივი სულისკვეთება, როცა თქვა:

„და თუ მოაწყდა მტერი იალღს,
 ვერ შესძლოს გულმა ბოღმის დატყევა,
 მოვიხმარ ლექსებს, როგორც იარაღს,
 მოვიხმარ ლექსებს, როგორც სატევარს“.

იგი მზად იყო სამშობლოსათვის მსხვერპლად მიეტანა თავისი სიჭაბუკე და „მტრის ჯინაზე“ ქედუხრელი ყოფილიყო, ცხრა ლახვარიც რომ დაერტყათ. ამიტომ იყო, რომ ომის წლებში იგი

წუნდა, — რატომ ბრძოლის ველზე არ ვუღაგავარ მხარში მეგობრებსო. ფიზიკურად მოტეხილი — პოეზიით უტევდა ბნელ ძალებს, რათა ფრონტულ მეგობრებს არ ეგრძნობთ მისი დაძაბუნება. სინაულით იგონებდა „გაფრენილი სიჭაბუკის“ საუკეთესო წელს, 1939 წლის შემოდგომას, როცა მ. გელოვანთან ერთად ჯარში გაიწვიეს, მაგრამ მალე სიცხიანი დაბრუნდა უკან. „ჭაბუკი ვიყავ, ქაბრუკი ვიყავო“ — ამბობდა იმ შემოდგომაზე.

როცა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში იყო მ. გელოვანი, მოახლოებულ სიკვდილთან დარჩენილ ასათიანს წერდა, რომ მან ფრონტზე ბეჭიტი რამ ნახა და ვერცადა, და რომ მას უფლება აქვს პირდაპირ უთხრას შინ დარჩენილს:

„მას შეუძლია ბავშვობის ზიარს
 ვისაყვედუროს, გაგვიცხოს შორით,
 თუ სიტყვა შენი არა ჰგავს ტყვიას.
 ამ სასტიკ ომში ჩემგან გასროლულს“.

სწორედ რომ ტყვიასავით გასროლილ სტრიქონებს წერდა ლაღო ასათიანი. დიდი პოეტური მღელვარებით გადაიხმაურა ომის წლებში მისმა პატრიოტულმა ლირიკამ. იგი უკვე ცოცხალი აღარ იყო, როცა კავკასიონის კალთებთან მომდგარ შტერს ბასიანის ბრძოლაში დაძაბილით შეეხმაურა: — „მეორედ აღარ ვაბედლოთ შემოჭრა ქართლის ჭიშკარში!“

ლ. ასათიანი არ გამომარჩეოდა ახალი პოეტური ფორმების ძიებით. იგი ძირითადად უკვე ნაცნობ ფორმებს ეყრდნობოდა. მას მიმღერებოდა და მღეროდა ისე, როგორც ამას შინაგანი ბუნება უჯარნახებდა. ეს სიმღერა იყო ლაღი და თავისუფალი, მგზნებარე და დაუეწიყარი. იგი წერდა წვითა და განცდით, ღრმა ტკივილებით, რომლებიც შემდეგ მასვე კურნავდა. იგი არ ეძებდა სიმღერის ფორმას, არ წუნდა იმაზე, თუ როგორ ემღერა: ყველაფერი ერთად იზადებოდა და იქმნებოდა.

ლაღო ასათიანმა წარფელი ლირიკული სტრიქონებით უმღერა აღამიანის სულიერ ახალგაზრდობას, მის დაუბერებელ ძალასა და ჭაბუკურ გატაცებას. მან აღიდგინა მოგონება იმ ლამაზი წარსულისა, როცა სატრფოსთან ერთად უყვარდა „შავი ზღვის პირას გასეირნება და ხეტიალი“, როცა ესმოდა „ტალღების ნანა“, როცა მთელი არსებით გრძნობდა ვახუშტელის შემოსვლას, რომელსაც თან მოჰქონდა ახალი განცდები, ახალი სიმღერები:

„რა დამაიწიყებს შენს ლამაზ თვალებს,
 რამ დამაიწიყოს ეს ალუბლები!

იცოდე, როცა სხვას შეიყვარებ,
 ამ სიყვარულზე ვესაუბრები“.

იმ დროს ალუბლებიც სხვაგვარად ჰყვავოდა, სხვაგვარი იყო ის გაზაფხულიც. თითქოს ყველაფერი ზემოზდა. პირვანდელი სიწმინდით მღეროდა ბუნებაც პოეტის ხმაში. ერთი ლექსის თავიდანღურზე პოეტს წაუწერია: „უძილო და ქარიან დამეგებში მე სიყვარული მომენატრა, ჩემო კარგო, დავიფიწყე ყოველივე ამ ქვეყნად და, როცა აფხაზეთის მიწაზე დავდგი ფეხი, შენი ნატიფი და ბავშვური სახე წარმომიდგა თვალწინ... გაზაფხული მუდამ აღელვებდა ჩემს სულს და გულს და ეს სიტყვებიც მღელვარების შედეგია“.

ლ. ასათიანს ჩვენი ხალხის განსაკუთრებული სიყვარული ხვდა წილად. მან შეძლო საოცარი სულიერი კონტაქტი დაემყარებინა თავის ხალხთან. თუმცა მხოლოდ თხუთმეტი წელი გავიდა მისი გარდაცვალებიდან, მაგრამ ეს დროც საკმარისი აღმოჩნდა, რომ გამოცდილიყო ლ. ასათიანის ლექსი, მისი უნარიანობა, მისი პოტენციური ძალა. აქ მან გაიმარჯვა. ასათიანის პოეზიის ასეთი წარმატება მრავალმხრივ არის საგულისხმო. თავისი თემატიკით იგი რაიმე ახალს არ ქმნის, არც ფორმის სფეროში იჩენს დიდ ნოვატრობას. ვის არ უწერია საქართველოზე, მის სიყვარულზე, მაგრამ შეტწილად დავიწყებას მისცემია იგი. საქმე ისაა, რომ ლ. ასათიანის მთელი პოეზია არის ისტორიულ და თანამედროვე სინამდვილესთან უაღრესად გულწრფელი და უანგარო მისვლა. იგი მღერის მხოლოდ იმაზე, რაც მასში ბადებს სიმღერის სურვილს. ხალხს უყვარს, როცა შემოქმედი იწვის, როცა არ ფარავს თავის ტკივილებს. ხალხი ამ წვაში



ხედავს მისთვის გაღებულ მსხვერპლს, კირთა თქმაში კი სულიერ განწმენდას. სწორედ ამგვარი პოეტია ლალო ასათიანი. მისი ყოველი ლექსის დაბადება, ღრმა განცდასთან და ტკივილებთან იყო დაკავშირებული. ლექსითვე იუქნებდა აფორიაქებულ სულს, ამიტომ ამბობდა, „ლექსი შველის ყოველგვარ ტკივილს და ლექსი თვითონ ტკივილი არისო“.

ლ. ასათიანი არ არის მარტო ემოციის პოეტი, როგორც ეს ზოგს ჰგონია. ყოველი ლექსი მისი სათქმელის გამჟღავნებაა. იგი განსაკუთრებულ სიმკაცრეს და მომთხროვნელობას იჩენს ქართული პეიზაჟების, ბუნების ხატვისას. ტყის შრიალი, წყაროს ჩუხჩუხი და ფრინველთა გალობა მას მხოლოდ სათქმელის უკეთ გამოხატვისათვის სჭირდება, მაგრამ ისე, რომ წამყვან როლს მაინც არ ანიჭებს მათ.

ლალო ასათიანს უყვარდა მწერალთა სასახლის პატარა ბაღში დაჯდომა და თავის ბედობაზე დაკვირვება. იგი წუხდა, რომ ბევრი ჰქონდა სათქმელი და ვერ ასწრებდა. მეუღლეს, ახლობლებს აღარ უმალოვდა, რომ მისი დღეები დათვლილი იყო. იგი სასაფლაოს სურათის დახატვასაც არ მორიდებია, მისმა პოეზიამ ეს ბნელი მხარეც გაანათა. მაგრამ ამ საკმარად მოზრდილ ლექსში ერთი სტრიქონიც არ არის სასაფლაოს პოეზიისა. ლალო ასათიანმა აქ ერთის კვდომას მეორის დაბადება დაუპირისპირა და ამით სიცოცხლის უკვდავების მაღალი იდეა გამოხატა.

ასე ოპტიმისტურად განწყობილი დარჩა ლალო ასათიანი ბოლომდე. საოცარი სწორედ ის არის, რომ იგი გრძნობდა სიკვდილის მოახლოებას, მაგრამ მაინც არ შეუწყვეტია ისეთივე ეპეკატური სიმღერა, როგორც სიჭაბუკეში იცოდა. ასე იქცა იგი ლექსად და სამუდამოდ დამკვიდრდა ქართული პოეზიის პანთეონში.





მ. ასლანიანის მოთხრობები

ქართველი მკითხველი მუდამ ღრმა ინტერესს იჩენდა და იჩენს მოქმე სომეხი ხალხის მწერალთა შემოქმედებისადმი. სასიხარულოა, რომ უკანასკნელ წლებში ქართულ ენაზე ითარგმნა და ცალკე წიგნად გამოიცა საქართველოში მცხოვრებ სომეხ მწერალთა ნაწარმოებები, რომლებშიაც მალაღი ოსტატობით არის ასახული საბჭოთა ხალხების შემოქმედებითი შრომა, ქართველი და სომეხი ხალხების საუკუნოვანი ძმობა.



ერთმანეთის მხარდამხარ სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მოქმე ხალხების შვილები — რუსი სერჯანტი ევლოკიმოვი, სომეხი გურგენ საფარიანი და ქართველი გივი შარაშიძე. მკითხველს ხიბლავს მათი უმაგალითო გმირობა და თავგანწირვა მეგობრის გადასარჩენად.

ღრმად აღუღვებს მკითხველს მოთხრობა „დედა“. მწერალმა მარიამის სახით ქართველი დედის შესანიშნავი სახე დაავიხატა. მარიამის ერთადერთი შვილი შოთა მეზობლებმა იციან შოთას დაღუპვის ამბავი და დიდი მოკრძალებით, პატივისცემით ეპყრობიან მოხუც ქალს, რომ ამით მწუხარება შეუძნებულა.

გამომცემლობა „საბჭოთა მწერალმა“ ახლახან გამოიცა მკრტირ ასლანიანის ლაქე სამამულო ომის ფრონტზე დაიღუპა. მეზობლებმა იციან შოთას დაღუპვის ამბავი და დიდი მოკრძალებით, პატივისცემით ეპყრობიან მოხუც ქალს, რომ ამით მწუხარება შეუძნებულა.

სამამულო ომის თემაზე დაწერილი მოთხრობებიდან მძაფრი ღრამატული კონფლიქტით ყურადღებას იპყრობს „ჩამოჭრილი დედაბოძი“.

სამამულო ომის თემაზე დაწერილი მოთხრობები („ძმობა“, „დედა“, „ჩამოჭრილი დედაბოძი“) ღრმა შთაბეჭდილებას ახდენენ მკითხველზე. ისინი მშვენივრად გვიჩვენებენ საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკურ სიმტკიცეს და გამარჯვების ღრმა რწმენას, რომლითაც გამსჭვალული აყენენ საბჭოთა ადამიანები სამამულო ომის მძიმე წლებში.

სამამულო ომის თემაზე დაწერილი მოთხრობებიდან მძაფრი ღრამატული კონფლიქტით ყურადღებას იპყრობს „ჩამოჭრილი დედაბოძი“. მკვდელ საროს შვილი გრიტორი სამამულო ომის ფრონტზეა. მიუხედეად ღრმა მოხუცებულობისა, სამშობლოსათვის მძიმე ღდევეში სარო კვლავ უბრუნდება თავის სამშველოს და სხვებთან ერთად დაუღალავად შრომობს მტერზე გამარჯვების მოსაოვეებლად. მგარამ საროს შვილი სიმხდალეს გამოიჩენს და ფრონტიდან გამოიბარება. მშობლებს უყვართ თავიანთი ჰირმშო, მგარამ ისინი მალა აყენებენ სამშობლოს დაცვის მალა მოვალეობას და სახლიდან აძევენ მშოს.

ავტორი მალაღი ოსტატობითა და უშუალო განცდით გადმოგვეცემს ისტორიაში არნახული უდიდესი ბროლოების ებიზოდებს. მწერალი კარგად იცნობს ფრონტის ცხოვრებას და კარგად გვიხატავს კომუნისტური პარტიის მიერ აღზრდილი ადამიანების მალა მორალურ თვისებებს, სულის სიმტკიცესა და ურყევ ნებისყოფას.

ჩვენი ახალგაზრდობის აღზრდის თემას ეხები მოთხრობა „გონივრული ნაბიჯი“. ხარატ ვართან მარტივიანის შვილი გევორტი, რომელმაც საშუალო სკოლა დაამთავრა, არ ეწევა საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას და ღროს უსაქმოდ ხეტილში ატარებს. ნაწარმოებში დამაჯერებლად არის ნაჩვენები ის მიზეზები, რომლებმაც გევორტი უსაქმურ, ყოყონა და მედიდურ ახალგაზრდად გახადეს. დედა არ ზღუდავდა მის სურვილებს, ყოველთვის ესარჩუნ-

ნაწარმოებში „ძმობა“, რომელიც ავტორს სამართლიანად გამოუყენებია წიგნის სახელწოდებისათვის, იშვიათი მხატვრული ძალით და სიმართლით არის ნაჩვენები ჩვენი მეტროპოლების მგზნებარე პარტიოტიზმი, მტკიცე ნებისყოფა და მალაღი მორალური თვისებები.

მოთხრობაში ნაჩვენებია, თუ როგორ იბრძვიან

ბოდა შვილს. გეგორქმა საშუალო სკოლა დაამთარა, მაგრამ იგი მომზადებული არ არის ცხოვრებისათვის, შრომისათვის, შეჩვეულია უზრუნველ უღარდელ ცხოვრებას, არ გრძნობს პასუხისმგებლობას ოჯახისა და საზოგადოების წინაშე. მოთხრობაში მხატვრული ოსტატობით არის ნაჩვენები, თუ როგორ უხმარება ქარხნის პარტიული ორგანიზაცია და მთელი კოლექტივი ვართან მარტიკიანს, რომ მან ცხოვრების გზაზე დააყენოს შვილი.

გეგორქი ქარხანაში დაიწყებს მუშაობას და მალე ენერგიული შრომით ამხანაგების პატივისცემას დიშასაბურებს. ქარხანაში მუშაობასთან ერთად ის სწავლას განაგრძობს უმაღლესი სასწავლებლის დაუსრულებელ განყოფილებაზე.

საყოფაცხოვრებო თემას ეხება მოთხრობები „სხვისი ბედნიერებისათვის“ და „ზღუდე“. ნაწარმოებში „სხვისი ბედნიერებისათვის“ მწერალი ცოცხალი საღებავებით ხატავს გმირებს. მკითხველი ეცნობა იურისტ სერგეი ბავრატია-ნის ოჯახს. სერგეის თავისი შეხედულება აქვს ოჯახის სიმშინდეზე, ცოლის უფლებებზე. მან სახლში გამოამწყვდია ახალგაზრდა ქალი ანაპი-

ტი, აუქრძალა მისწავლებლობა იმ მიზეზით, რომ შესაძლებელია სამსახურში ვისმეს დაუახლოვდეს და სირცხვილი მიჰქაშიოს.

ანაპიტო გრძნობს, რომ დესპოტ ადამიანს გაჰყვა ცოლად, მაგრამ იძულებულია ბედს დაემორჩილოს და უსიტყვიოდ შეასრულოს ქმრის მიერ დადგენილი წესები. შემდეგ ანაპიტს შეუყვარდება მწერალი გარეგინ ლუკასიანი და მას დაუეჭვირებს თავის ცხოვრებას.

შეუძლებელია აუღელვებლად წაიკითხოთ მოთხრობა „ქარიშხალი“. ნაწარმოები ეხება პირველი იმპერიალისტური ომის პერიოდს, გონგლიცისა და ჰაითას სომეხთა სოფლების ცხოვრებას. აგტრონი ვაღმოვცემს თურქეთში მცხოვრებ სომეხთა საშინელ შევიწროებასა და ჩაგვრას, თურქ მოძალადეთა შემადრწუნებელ ბოროტმოქმედებას.

მ. ასლანიანის მოთხრობები კარგი ქართული ენით არის თარგმნილი მ. ბინიაშვილის, ა. დავითიანისა და ი. შილაკაძის მიერ. წიგნს დართული აქვს ა. დავითიანის წერილი, რაც საშუალებას აძლევს მკითხველს ახლო გაეცნოს მწერლის ცხოვრებასა და შემოქმედებას.


ნიკო შვილიძე

გოეთის „დრამები“ ქართულად

იოჰან ვოლფგანგ გოეთეს „დრამები“ გამოცემით, რომლის თარგმანი მწერალ ვ. ბეჟუყელს ეკუთვნის, ქართველ საზოგადოებას შესაძლებლობა მიეცა გასცნობოდა დიდი გერმანელი კლასიკოსის შენაინშნაგი მემკვიდრეობის კიდევ ერთ მხარეს, კერძოდ დრამატულ შემოქმედებას.

გოეთეს დრამები ისტორიულ წარსულზეა აგებული. მთელი თავისი ლიტერატურული მოღვაწეობის მანძილზე იგი დიდი გულსიყუროთა და მონდომებით სწავლობდა, როგორც თავისი ქვეყნის, ასევე ძველი საბერძნეთისა და რომის ისტორიას. ხშირად და ბევრს მოგზაურობდა ისტორიული ადგილების შესასწავლად. გოეთე ამა თუ იმ ისტორიული პიროვნების ტრაგედიაში თავისი ჰეგელისა და პიროვნების უბედობას ხედავდა. ეს უფრო მიმზიდველს ჰქონდა დრამას. მაგალითად, დიდი იტალიელი პოეტის ტორკვატო ტასოს ცხოვრებას გოეთე თავის პირად ბედს ადარებდა და ბევრ საერთოს ხედავდა.

ფერარის პერტოვის ალფონს II კარის პოეტი იყო ტასო. იგი სალონების მშენებნას წარმოადგენდა; მაგრამ ესეც არ აკმაბრა ბედმა პოეტს და პერტოვის დაშლი, — ელემენტორა დესტეში შეყვა-



რებულ პოეტი ნესტიანი ჯგერდ-მუღების მკვიდრი გახადა. ეს ისტორია კარგად იცოდა გოეთემ და სწორედ ეს დაუდო საფუძვლად მან თავის ერთ-ერთ ბრწყინვალე დრამას — „ტორკვატო ტასო“.

ისტორიულ ფონზე იშლება წიგნში წარმოდგენილი გოეთეს დანარჩენი დრამები. ისტორიული პიროვნებები იყენენ გოეთეც და ეგმონტიც.

ორივე მოქმედი პირი გოეთეს იდეალური გმირებია. მათი საშუალებით გოეთე ავრცელებდა „ქ-

რიშლისა და შეტევის“ იდეურ ნორმებს და ქვემდებარებულ აზრებს. მისი გოეთე ცდილობს შემოიმხსვიროს საუკუნოებრივი კარჩაეტილობის ფეოდალური ბოროტლები. იგი ახალი ურთიერთობის დასამყარებლად იბრძვის.

ესპანეთის წინააღმდეგ ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში ეგმონტი ნიდერლანდელი ხალხის მხარეს იჭერს. იგი ამზოხების ერთ-ერთი ორგანიზატორია. ჰებრტოვმა ალბამ ეგმონტი სიყვლილით დასაჯა 1582 წ. ბრიუსელში.

ორი დრამა, „გოეთე“ და „ეგმონტი“ აშკარად ხალხურობისა და ფოლკლორული მტყველებას ნიშნის ატარებს. მწერალს აქ გამოყავს საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენელი. თქვენ



აქ შეხვდებით სამეფო კერისთვის და გვირგვინით შემკულ მეფესაც და საპნის მხარშავსაც.

რასაკვირველია, ამ შემთხვევაში მთარგმნელს მოეთხოვებოდა ფრთხილად შეერჩია გერმანული ხალხური მეტყველებისათვის დამახასიათებელი გამოთქმისათვის ქართული შესატყვისი ფორმები.

საერთოდ არის შემთხვევები, როდესაც ზოგიერთ მთარგმნელს იტაცებს დედანი და ხშირად იმის ცდაში, რომ თარგმანი ზუსტი და გასაგები იყოს, სიტყვა-სიტყვით თარგმნის. გოეთეს „დრამებში“ ასეთი ვერ შეხვდებით და ეს მხოლოდ იმის წყალობით, რომ მთარგმნელი გერმანულ სიტყვას, ფრაზოლოგიურ გამოთქმას, თუ ანდაზას თავისუფალი და ძალდატარებელი ქართულით თარგმნის. ასეთია მაგალითად „ენას რომ ძვალი არ აქვს და ზედ არაფერი მოედება, ეს ცხადზე ცხადია“, ან კიდევ „წინ რას ერჩები მაგ შენი ცხვირით“, და სხვა მრავალი.

ვ. ბეწუკელი შესანიშნავად ფლობს ქართულ თოთხმეტმარცვლიან სალექსო მეტრს, თავისუფლად იმორჩილებს, როგორც იფიგენიას, ისე ტასოს დიალოგებსა თუ მონოლოგებს, რომლებიც მაღალფარდოვანი სამეტყველო ფრაზებითაა გაღმოცემული. მთ ნაწარგვში ვერ შეხვდებით ხალ-

ხური მეტყველებისათვის დამახასიათებელ ანდაზებს და გამოთქმებს. ტასოს ყოველი წინადადება ამაღლებულ სტილში უდრს:

„ბევრად სჯობია ის, რასაც შენ მაგ სახელს უხმობ,

იმას, რასაც მე უზრდელობას დაეარქმევ მხოლოდ“ (გვ. 364).

ვ. ბეწუკელის მიერ ჩატარებული მუშაობა ნამდვილად კარგია და ამავე დროს ღირსეული საქმე იყო. მთარგმნელს მიმართ უნდა ითქვას, რომ ძირითადი სიძნელეები კარგად აქვს დაძლეული და ორივე შემთხვევაში, როგორც პროზის ასევე ლექსის თარგმნისას მოწოდების სიმაღლეზე რჩება. იგი ფრთხილად და მონდომებით ურჩევს გერმანულ წინადადებას ქართულ შესატყვისს.

შენიშნის სახით გვინდა მივუთითოთ, რომ უკეთესი იქნებოდა გოეთეს ასეთ კარგ და სრულ გამოცემას თან დართვოდა მისი ცხოვრებისა და დრამატული შემოქმედებისადმი მიძღვნილი მიმოხილვითი წერილი, რომელიც ამ საკითხზე ზოგადად წარმოადგენს მისცემად მკითხველს.

ნოდარ მშვილდაძე


ახალი ეთნოგრაფიული გამოკვლევა

ქართველი ხალხის უძველესი რელიგიური მსოფლმხედველობის გარკვევისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სათანადო ეთნოგრაფიული მასალების შესწავლას.

ამიტომაც გასაგებია ის ინტერესი, რომელსაც იწვევს ცნობილი ქართველი ეთნოგრაფის ვერა ბარდაველიძის ვრცელი მონოგრაფია «Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен», რომელიც ამას წინათ გამოსცა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობამ.

საქართველოსა და კავკასიის ეთნოგრაფიული სინამდვილის შესანიშნავი მკვლევ ვ. ბარდაველიძე კარგა ხანია იკვლევს ქართველი ტომების რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებს. ამ ხანით მობოკებული ცალკეული შედეგებია შეჯამებული განზოგადებული და ერთიან მწყობარ სისტემად გააზრებული ზემოხსენებულ მონოგრაფიაში.

მონოგრაფია ეყრდნობა საქართველოს თითქმის ყველა კუთხის დიდძალ ეთნოგრაფიულ მასალას; მასში მაქსიმალურადაა გათვალისწინებული აგრეთვე სათანადო ისტორიული, არქეოლოგიური და სხვა მონაცემები.



წიგნი შედგება შესავლისა და ორი ნაწილისაგან:

По этапам развития древнейших религиозных верований и Обрядовое графическое искусство сванов.

ბოლოში დართული აქვს ვრცელი დსკვნა, სხვადასხვა სახელთა სიმბოლოები, ბიბლიოგრაფია და ნახატებისა და ფოტოსურათების მრავალრიცხოვანი ტაბულები.

მონოგრაფიის პირველ ნაწილში განხილულია უძველესი ქართული პანთეონი.

თავის დროზე იე. ჯაგანიშვილის დიერ გამოკვლეული ძველ-ქართულ ღვთაებათა პანთეონი წინარექრის-

ტიანული რელიგიის ერთ-ერთ ყველაზე უფრო გვიანდელ საფეხურს ეკუთვნის, რამდენადაც მასში უძველეს რელიგიურ პერსონაჟებთან ერთად წარმოდგენილია შეიდეული ციურ მნათობთა განმასახიერებელი ღვთაებებისა, რომელთაგან თვითეული უკავშირდებოდა მთვარის კალენდრის შეიდედლიანი კვირის ცალკეულ დღეს.

ვ. ბარდაველიძემ ახალი ეთნოგრაფიული მასალების გამოკვლენისა და მათი ყოველმხრივი შესწავლის შედეგად შეძლო დაედგინა ამ პანთეონის ორი წინარე საფეხური: პირველიყოფითე მური წყობილების რვევის პერიოდის პანთე-

ონი და ადრეული კლასობრივი ეპოქის პანთეონი. მონოგრაფიაში დაწვრილებითაა გარკვეული ამ პანთეონში შემაგალი ღვთაებათა იერარქია, ბუნება და ფუნქციები.

ადრეკლასობრივი ეპოქის პანთეონის საწყისების ძიებამ ავტორი მიიყვანა ძველ ქართულ ღვთაებათა პანთეონის უფრო არქაულ ფორმასთან — პირველყოფილ-თემური წყობილების რღვევის ეპოქის პანთეონთან. ამ პანთეონში ჯერ კიდევ არ იყო წარმოდგენილი ასტრალურ ღვთაებათა უზენაესი ტრიადა. მასში ჩანან მხოლოდ სათემო ღვთაებები — ღვთისშვილი, სატომო ღმერთის მეთაურობით.

ავტორის მიერ მოტანილი ქართველი ტომების უძველესი რელიგიური მსოფლმხედველობის მთლიანი სურათი უაღრესად სარწმუნო ჩანს. მკვლევარს უკლებლად გამოუყენებია ყველა სახის სათანადო მასალა, რაც კი საქართველოს ეთნოგრაფიულმა სინამდვილემ შემოინახა: რელიგიური დღესასწაულები, სასულიერო ტექსტები, რიტუალები, საკულტო საგალობლები და ცეკვა-ფერხულები, აღთ-ჩვეულებანი, თქულება-გადმოცემები და ა. შ.

ცხადია, ამ უძველეს რწმენა-წარმოდგენებს ჩვენამდე თავდაპირველი სახით არ მოუღწევიათ ათასწლეულების მანძილზე მათ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადეს: მათში ზოგი რამ სავსებით წაიშალა, ბევრმა ადგილი ინაცვლა, აღრინდელი და მოგვიანო ერთმანეთში უცნაურად გადაიხლართა...

ავტორის ხელოვნებაც სწორედ აქ იჩენს თავს: იშვიათი მეცნიერული განჭკვრეტისა, ინტუიციისა და დაუშვრეტელი ფაქტაზიის შემწობით იგი ერთიმეორეზე ხსნის რწმენა-წარმოდგენების ამ ურთულეს ხლართებს, რეტროსპექტული გზით კვლადჯავალ მიჰყვება ნაშთებს ისტორიის სიღრმეში და უტყუარად აღადგენს მათს თავდაპირველ ხასიათს.

ამომსავლეთ საქართველოს მთიელებში ადრეკლასობრივი ეპოქის პანთეონის დადგენით ავტორმა უდავო გახადა მის მიერვე ადრე წამოყენებული დებულება წარსულში საქართველოს მთიელებში საზოგადოების განვითარების ადრეკლასობრივი საფეხურის არსებობისა და საბოლოოდ ცხადყო მცდარობა იმ შეხედულებისა, რომელიც ქართველ მთიელებში „მარადიული გვაროვნული წყობილების“ არსებობას ანტიციტებად.

ამის გარდა უძველესმა ქართულმა სარწმუნოებრივმა ნაშთებმა ავტორს შესაძლებლობა მისცა გადაეწყვიტა კიდევ ერთი დიდი კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობის პრობლემა: მათზე დაყრდნობით მკვლევარმა ახსნა კარგახანია „თავსატებალ“ ქცეული, ძვ. წ. II ათასწლეულის შუახანების თრიალეთის სახელგანთქმული

ვერცხლის თასის ფრიზის შინაარსი. ვ. შარდვალიძის მიერ მოცემული ინტერპრეტაცია უაღრესად დამაჯერებელია. განსხვავებით სხვა ავტორთა (კუფტინი, უშაკოვი, ამირანაშვილი) ინტერპრეტაციებისაგან, იგი არ შეიცავს არავითარ წინააღმდეგობას და აუხსნელს არ ტოვებს ფრიზის რთული კომპოზიციის არც ერთ დეტალს.

თასის ფრიზის საიდუმლოების ამოხსნა ქართული გადმონაშთური ეთნოგრაფიული მონაცემებით საბოლოოდ ცხადყოფს ბრინჯაოს ხანის თრიალეთის მოსახლეობის უშუალო ეთნიკურ ნათესაობას ქართველ ტომებთან.

წიგნის მეორე ნაწილში კვლევის საგანს სვანური საწყისი გრაფიკული ხელოვნება წარმოადგენს.

წიგნში განხილულია სვანთა ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ავტორის მიერ ფიქსირებულ საწყის ხელოვნების რამდენიმე ასეული ნიმუში. ამ ნიმუშების გულდასმით გაცნობა, მათი შესრულების პროცესებზე დაკვირება, ყოველმხრივი ანალიზი დღეობებისა ავტორს შესაძლებლობას აძლევს გაარკვიოს აღნიშნული ხელოვნების ხასიათი და იდეური შინაარსი. წიგნში დადგენილია, რომ სვანური საწყისი გრაფიკული ხელოვნება არის ბინადარი შესაქონლ-მწიფათმოქმედი საზოგადოების ხელოვნება, დაკავშირებული ამ საზოგადოების საწარმოო პრაქტიკასთან.

გარკვეულია, რომ სვანურ საწყის ხელოვნებაში ფორმის მიხედვით გამოიყოფა ნახატების ორი ჯგუფი: ნატურალისტური და გეომეტრიული ნახატები. ზოლო იდეური შინაარსის მიხედვით მასში განირჩევა რელიგიურ-სიმბოლური ხელოვნება და მაგიური ხელოვნება.

მათგან განსაკუთრებით საყურადღებო აღმოჩნდა მავოური (გეომეტრიული) ნახატების შესწავლა, რის შედეგადაც ავტორმა დაადგინა მათი წარმოშობა და განვითარების პროცესი.

მიღებული შედეგისა და სპეციალურ ლიტერატურაში არსებულ სათანადო შეხედულებათა კრიტიკული განხილვის საფუძველზე ავტორი სახეა ახალ გზებზე საერთოდ გეომეტრიული (ორნამენტული) გრაფიკული ხელოვნების წარმოშობის ზოგადი პრობლემის გადაწყვეტის თვალსაზრისით.

მონოგრაფია საუკეთესო დამადასტურებელი იმისა, თუ რადიდი მნიშვნელობა აქვს ეთნოგრაფიულ მეცნიერებას ქართველი ხალხის კულტურისა და ყოფის უძველესი ისტორიის კვლევისათვის. ამავე დროს წიგნი ნათელყოფს საქართველოს ეთნოგრაფიის მონაცემების მნიშვნელობას ზოგადი კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისით.

ანდრო ლეკიაშვილი





არაბეთის გაერთიანებული რესპუბლიკა

არაბული კულტურის მომავალი

ევგვიპტისა და სირიის გაერთიანება და მათთან იემენის სამეფოს შეერთება ამ ქვეყნებში კულტურის სწრაფი ზრდის საწინდარია. ცენტრალიზაცია სახალხო განათლების საქმისა, რაც ეგვიპტისა და სირიაში მაღალ დონეზეა დაყენებული, კეთილ გავლენას მოახდენს სახალხო განათლების ამაღლებაზე ამ ქვეყნებში, მეტადრე, იემენში, რომელიც ამ მხრივ ჩამორჩება. ამჟამად არაბული ენის, როგორც კულტურული იარაღის, როლს არაჩვეულებრივად აძლიერებს ის გარემოება, რომ არსებობს ისეთი სამეცნიერო დაწესებულებები, როგორიცაა არაბეთის აკადემია დამასკოში და არაბული ენის აკადემია ქაიროში, აგრეთვე ის, რომ, მიუხედავად მრავალი დიალექტის არსებობისა, ლიტერატურული არაბული ენა საერთოა არა მართლ ამ სამ ქვეყანაში, არამედ აზიისა და აფრიკის ყველა არაბულ სახელმწიფოში. სირიის, ეგვიპტისა და სხვა არაბული ქვეყნების კულტურულ კავშირს მრავალი წლის ისტორია აქვს. ბევრი სირიელი და ლიბანელი მწერალი, პოეტი და ჟურნალისტი ეგვიპტეში მოღვაწეობდა, ხოლო მაღალი მატრიაიმ, ეგვიპტის გამათავისუფლებელი მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწემ, „ორი ქვეყნის პოეტი“ (ე. ი. ეგვიპტისა და ლიბანის) საბატო სახელიც კი

მოიპოვა. ამ ქვეყნებში მაღალ დონეზეა აგრეთვე მეცნიერება, ხოლო იემენი ამ მხრივაც ჩამორჩება მათ მაშინ, როცა მთელს არაბულ მსოფლიოში კულტურის სიმდიდრის მხრივ ვერაფერს შეედრებოდა იემენს ჩვ. წელთაღრიცხვამდე V ს-ნისა და ჩვ. წელთაღრიცხვის V ს-ნის შორის ეპოქაში. ამრიგად იემენელ ხალხს ახლა შესაძლებლობა აქვს დაიბრუნოს თავისი კულტურის ადრინდელი ბრწყინვალეობა და თავისი წვლილი შეიტანოს არაბული კულტურის აყვავების საქმეში.

აუფ

ახალი ამერიკული ოკეანა

ნიუ-იორკ მეტროპოლიტენ-ოპერაში დაიდგა სემიფულ ბარიერის ახალი ოპერა — „ვენსა“. ლიბრეტო დაწერა ჯან-კარული მენოტიმ. კრიტიკა ოპერის მუსიკას ადარებს სტრავინსკის მუსიკას, ხოლო მის ლიბრეტოს — იხენისა და ო'ნეილის შემოქმედებას.

ამერიკული ლიტერატურის დაბრუნება

უხუცესმა ამერიკელმა ლიტერატურულმა კრიტიკოსმა ვან უეი ბრუსსმა გამოხატა კრიტიკული ნარკვევები — „მწერლის დღიურიდან“. თავის მოკლე შენიშვნებსა და კომენტარებში ბრუსსი ეხება ამერიკული ლიტერატურის ახლანდელ მდგომარეობას და იხსენებს ამერიკული ლიტერატურული სამყაროს სხვადასხვა თვალსაჩინო ფიგურას. წიგნის რეცენზენტის აზრით, ესაა მხურვალე პროტესტი იმ კომერციისა, სენსა-

ციურობისა და უხეშობისა, რაც ახერხავს ჭარბობს ამერიკულ ლიტერატურაში ქეშ-მარტი ხელოვნების საზიანოდ.

ჩაპლინი ღირსი არ არის

მოლიფუდელმა კულტურის მოვაქრებმა ჩვენს ეპოქის უდიდესი მსახიობი ჩარლი ჩაპლინი არ ცნეს იმის ღირსად, რომ მისი სახელი ამოეკრათ მოლიფუდის სხვა კინოვარსკვლავთა სახელი გვერდით ჰოლივუდის მთავარი ქუჩის, სანსეტ ბულვარის ტროტუარზე.

ერთადერთი ნუგავი

კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორმა ჯეი სვეჯმა ხანგრძლივი კვლევის საფუძველზე გამოაკვია, რომ მომავალში ადამიანები გაქაჩნდებიან, ვინაიდან აღარ დასჭირდებათ თმა, რომელიც ამინდისაგან დაიფარავს; ფეხები დაუწვირდებოთ, რადგან ფეხით აღარ ივლიან; ფრჩხილები დაძვრებოთ და დაელამდებიან. ერთადერთი ნუგავი, როგორც გვამცნობს პროფესორი, ისაა, რომ ეს მოხდება 86-ე საუკუნეში!

ლუიზიანელის „სიზრათილია“

გაზეთ „ჰონტაგის“ (გდრ) ცნობით ამერიკის ერთ-ერთმა შტატმა ლუიზიანამ ამას წინათ შეისყიდა გაზეთ „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნის“ მთელი გვერდი, რათა მოეთავსებინა განცხადება, საიდანაც ნიუ-იორკელებმა „შეიტყვეს“, რომ თურმე ამერიკული ახალგაზრდობის გადაჯვარება და ბოროტმოქმედების უფრო და უფ-

რო ხშირი შემთხვევები გამოწვეულია თეთრი და ფერადკანინი ბავშვების ერთად სწავლებით.

„არ უნდა გვიკვირდეს, — წერენ განცხადებაში, — თეთრკანინი ახალგაზრდის ცუდ გზაზე დადგომა, ის ხომ იძულებულია შევანიანის გვერდით იჯდეს, ერთ მერხზე! ჩვენ სამხრეთის შტატების მაგალითს უნდა მივბაძოთ და მივადლოთ იმას, რომ ყველგან, სადაც კი ახალგაზრდობა იყრის თავს, შემოდებული იქნას განსხვავება თეთრებსა და ფერადკანინებს შორის.“

„ზონტაგ“ აღნიშნავს, რომ გარდა რასობრივი შუღლის გაჩაღების ცდისა, დღიწინაწინების განცხადებაში მოყვანილი არაა არც ერთი ფაქტი, რომელიც დადასტურებდა, რომ ფერადკანინის მონაწილეობა მიეღოს რომელიმე ბოროტმოქმედებაში.

ბრანდლი

„ახლოსა შამი“

გამოვიდა ახალგაზრდა ბრანდლიანი მწერალი ქალის ალამა პაივის რომანი „ახლოსა შამი“. რომანში ასახულია რკინიგზელების ვაფიცვა, რომელიც გამოიწვია შიმშილმა და სიღატაკემ, და რომელიც ვაფიცულთა გამარჯვებით დაგვირგინდა. უორთი ამდღუს წიგნების მერე ესაა პირველი ნაწარმოები, სადაც აღბრუნდა მუშათა კლასის თემა და გამოყენებულია სოციალისტური რეალიზმის მეთოდი.

ბანა

ზანგები და ზანგების თვალით დანახული თეთრკანინები

განასა და ნიგერიაში ამას წინათ ნაჩვენები იქნა ფილმი „თავისუფლება“. როგორც გაზეთი „ლა ლეტრ ფრანსე“ იუწყებდა, ფილმის დიპლომატი, რეჟისორი, მუსიკაც და სხვ. ზანგებისაა. გაზეთი წერს: „ჩვენ პირველად ვნახეთ ზანგები ისეთნი, როგორადაც თვითონ

ხედავენ თავიანთ თავს, და თეთრკანინები ისეთნი, როგორადაც ხედავენ მათ აფრიკელები.“

ბერმანი

ბერმანის დემოკრატიული რესპუბლიკა

პიუს ატომური უშვარის შესახებ

დრამატურგებმა პანს მიუნჰენურებმა და ვოლფმანგ ლუდერერმა ტელეფონისათვის დაწერეს პიესა, სადაც გამოიყენეს მსოფლიო პრესაში გამოქვეყნებული შემდეგი ცნობა: ის ამერიკელი მფრინავი, რომელმაც პირველი ატომური ყუმბარა ჩამოაგდო ხიროსიმაში, ჰქუაზე შეცდა.

დომინი მკრანე

ჩები რეჯისორი ირეი იანი „დეფასთან“ ერთად იღებს პოპულარულ-მეცნიერულ ფილმს გამოჩენილი ფრანგი მხატვრის ონორე დომიეს ცნობებისა და მოღვაწეობის შესახებ.

ბერმანის ფელარაციული რესპუბლიკა

„ლაპარბა“ 10.000

მიუნხენელმა ახალგაზრდა კინოსახიობმა პეტერ ფოგელმა უარი თქვა ეთამაშა მთავარი როლი მილიტარისტული ხანათის ფილმში, რომელიც მონაწილეობისთვისაც 10.000 გერმანულ მარკას თავაზობდნენ.

4 თვის ციხე 6 წლის წინანდელი წერილისთვის

დღისეღდორფის სასამართლომ ამას წინათ დასავლეთ გერმანიის კომპარტიის ცენტრალური ორგანოს „ფრეიეს ფოლკს“ ყოფილ პ/მგ მდივან კერბერს მიუსჯა 4 თვის პატიმრობა 6 წლის პირობითი სასჯელით. სასამართლოს განცხადებით კერბერს ბრალი ედება იმაში, რომ „ფრეიეს

ფოლკს“ 1952 წელს (1) სახალწლო ნომერში დაბეჭდა წერილი, რომელიც, ვითომდა, „ცილს სწამებდა ფედერალური რესპუბლიკის სახელმწიფო ორგანოებს და შურაცხეცოფდა მთავრობის წევრებს“. კერბერის დამცველმა თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ არნსბერგში ესხელ ოფიცრებს სასამართლომ ორასი კაცის მოკვლისათვის ისეთი მსუბუქი სასჯელი მისცა, რომ მკვლელებს თითო მკვლელობაზე მხოლოდ თითო კვირის პატიმრობა უწევდათ.

ფილმების მდიდარი არქივი

ქ. ვისბადენის კინემატოგრაფიის ინსტიტუტს აქვს მდიდარი არქივი და დოკუმენტური მასალები. სხვა მასალათა შორის არქივში არის ამონაწერი მსოფლიო პრესის ხამ მილიონზე მეტი გაზეთიდან — აქაა ყველაფერი, რაც ფილმებს ან კინოსტუდიებს ეხება. კარტოტეკა, რომელსაც განუწყვეტლად ავსებენ, ადვილებს მოიხაზოს რეცენზია ფილმებზე, თუკი ასეთი რამ სადმე დაბეჭდილა. არქივში ინახება 15.000 წიგნი, 400 ძველი და 320 ახალი ჟურნალები — ყველაფერი, რაც კი იბეჭდება, დაწერილი მოსკოვით და გათავებული პეტრუმი, როგორც ამაჟად ამზობს ინსტიტუტის ხელმძღვანელი ლავისი. გარდა ამისა, აქაა 120.000 ფოტოგრაფია და კინოსახიობთა პორტრეტები, 7.000-დე კინოფიშა მსოფლიოს ყველა ქვეყნიდან. აქვეა სცენართა უდიდესი კოლექცია. მაგრამ ინსტიტუტის სიამაყეა ფილმოტეკა. არქივში ინახება ასლები 700 სრულმეტრული ფილმისა, 1.200 დოკუმენტური ფილმისა და რამდენიმე ათასი კინოჟურნალისა, რომლებიც კი გასულა ეკრანზე 1932 წლიდან. სრულმეტრაჟის მხატვრულ ფილმებსა ისეთი უნიკალური ფილმები, როგორიცაა, მაგალითად, „პრადელი სტუდენტ“ (1918 წ.), ჩარლი



ჩაპლინის პირველი ფილმები, „კარმენი“ (1919 წ.).

მსპანეთი

შურნალმგის დასურვა

ფრანკისტულმა ინფორმაციით სამინისტრომ აკრძალა ესპანეთში ყველაზე პოპულარული ორი შურნალი — „ინდისე“ და „ინსულა“, რომლებიც კულტურის საკითხებს აშუქებდნენ. შურნალების დასურვის ოფიციალურ მიზეზად გამოცხადებულია მათ მიერ ქაღალდის განაწილების ფორმალობათა დარღვევა, ხინამდვილეში კი მათი დანაშაული ის იყო, რომ გაბედეს და დაბეჭდეს წერილები კულტურის განთქმული ესპანელი მოღვაწეებს — პაბლო პიკასოსა და გარსია ლორკას შესახებ.

ინდოეთი

თანროსი 100

წლისთვის

1961 წელს სრულდება დიდი ინდოელი მწერლის რაბინდრანათ თაგორის დაბადების 100 წლისთავი. ამ თარიღის დირეკტურულად აღნიშვნის მოსამზადებლად შექმნილია საგანგებო კომიტეტი ჯავაპარლამ ნერუს თავმჯდომარეობით. კომიტეტმა, რომელიც შეიქმნა ინდოეთის ლიტერატურული ინსტიტუტის ბაზაზე, უკვე ხელი მოჰკიდა თავის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას — თაგორის რჩეულ ნაწარმოებთა ოთხტომეულის გამოცემას ინდოეთის ხალხთა სხვადასხვა ენაზე. დაიწყო აგრეთვე წერილობითი და სხვა მანაღათა შეგროვება ინდოეთისა და მსოფლიო ლიტერატურის ამ გოლიათის შესახებ დიდი მონოგრაფიის დასაწერად.

ინგლისი

ლიბერატორული სტანდარტი

ამას წინათ ინგლისში ხმარდებოდა სკანდალი მოხდა. დიდი ხნის განმავლობაში ინგ-

ლისის წამყვანი გაზეთები, მათ შორის ისეთი სოლიდური ორგანოც, როგორცაა „ტიმისი“, აგრეთვე ფრანგული, დასავლეთ-გერმანული და სხვა დასავლური გაზეთები, ერთს ამბობთ ქებას ასხამდნენ და რეკლამას უწევდნენ წიგნს — „მესამე თვალი“, რომელიც, თითქოს, ტიბეტის ყოფილ ლამას კალამს ეკუთვნოდეს. წიგნი უზარმაზარი ტირაჟით გამოდოდა ინგლისში და დასავლეთის სხვა ქვეყნებში, რა თქმა უნდა, თავისი ანტიკომუნისტური მიმართულების გამო, თუმცა ეს „მადალწნობრივი ნაშრომი“ სავსეა ათასი სისულელით.

ამას წინათ გამოიჩინა, რომ უბადლებული „ლამა“ ყოფილა ვინმე ჰოსკიპსი, ინგლისელი, რომელიც ინგლისს არასოდეს გასცილებია და წარმოდგენაც არა აქვს ტიბეტზე. ეს საიდუმლო გასცა მისმა ენაქართლაც ცოლმა, მაგრამ ამასობაში ამ „ტიბეტელმა ლამამ“ კარგ ბლომად ფული დასტყუა მიახრტ მკითხველებს.

სიმღერა, რომელსაც ვერ გავიგონებთ

ინგლისელმა მომღერალმა ქალმა პატ ვარლიმ მართლაც გადააქარბა სმენაღობის სასდვრებს. ის სიმღერისას აღწევს ისეთ მაღალ ხმებს, რომელთაც ვერც კი გავიგონებთ. ლონდონის სააკუსტიკო ლაბორატორიაში დაადგინეს, რომ მომღერალ ქალს „გამოჰყავს“ გაცილებით უფრო მაღალი ნოტები, ვიდრე ეს შეუძლია საუკეთესო საკონცერტო როიალს.

ახალი ოპერა და გულმაგბარი საზოგადოება

ახალი ოპერა „კალბატონი გილიოტინა“ ლონდონის კრიტიკამ შეაფასა, როგორც „სიკვდილის შიშზე მოპოვებული გამარჯვება“. ოპერა შეიცავს 17 სურათს; ყოველ სურათში სიკვდილით სჯიან მემამონებებს, რომლებიც მოკლედ გა-

მოთქვამენ თავიანთ ფილმს. ფაურ შეხედულებებს სიკვდილის შიშის თაობაზე. ისინი თითო-თითოდ მღერაან თავის მსოფლმხედველობას, რის შემდეგაც კიბით აღიან უკანა პლანზე, საიდანაც ისმის მათი სასიკვდილო ღრიალი და გილიოტინის დანის ქახუნი. ლონდონის კრიტიკა ამ დადგმას და მსახიობთა თამაშს „ცხოვრებისეულს, რეალისტურს“ უწოდებს, და არც აქვს საზოგადოებას, რომელიც გულმაგბარად უძღლებს ამ ოპერას.

ისლანდია

ლაქსნმის ახალი რომანი

გამოვიდა ცნობილი ისლანდიელი მწერლის ჰალდორ ლაკსნმის ახალი რომანი „იმდერ ქვეყნიერებისათვის“. ესაა ლაკსნმის პირველი რომანი მას აქვთ, რაც მან ნობელის პრემია მიიღო. რომანი მოგვითხრობს ერთ ღარიბ აზნაურ რეიკიავიკზე, რომელსაც ახი წლის წინათ უნდოდა გამხდარიყო განთქმული მომღერალი და მრავალი დაბრკოლების მერე მიაღწია მიზანს.

იტალია

ტელემგდვა გადარჩა

მთელი მსოფლიოს ტელეხედვა გადარჩა პაპისგან ყოველგვარ დევნას: ვატიკანის წმიდა ტახტმა მის მფარველად გამოაცხადა წმ. კლარა, ვინაიდან ამ წმიდანს თურმე 1952 წელს, როცა ავადმყოფი იწვა ახისის მონასტერში, დაუნახავს და მოუსმენია მესხს, რომელიც ჩატარდა მისგან 8.000 კმ-ით დაშორებულ ტამარში!

რომანი ტოსკანინის შესახებ

ინგლისში გამოვიდა იტალიელი მწერლის ფილიპო ხაჩის რომანი — „ჯადოსნური ჯოხი“, რომელიც მკითხველს აცნობს საბუნტანო-საბუნტანო დიპლომატიის პარტურის ტოსკანინის ცხოვრებას.

იუგოსლავია

„ატომთა საშპაროს ზღაპარი“

50 იუგოსლაველი მხატვარი, შოქანდაკ და მსახიობი ამზადებენ ფილმს — „ატომთა საშპაროს ზღაპარი“, ფილმის ამოცანაა დანახოს ადამიანებს ატომური ომის საშინელებანი. მსახიობებს გარდა ფილმში მონაწილეობას მიიღებენ თოჯინებიც.

კოლონეთი

ვიუგოს რომანის მკარანიჯაძე

კინოკოლექტივი „სტუდო“ წელს გადაიღებს ვიქტორ შიუგოს რომანს „კაცი, რომელიც იცინის“. ფილმში მონაწილეობას მიიღებენ პოლონელი, იტალიელი და გერმანელი მსახიობები.

საფრანგეთი

ბრიტანეთის აკადემიის ჯილდო

სიმონა სინიორემ, საფრანგეთისა და დეფას საერთო ფილმში — „სალემის ჯადოქრები“ მონაწილეობისთვის მიიღო ბრიტანეთის აკადემიის ჯილდო, რომელიც გადაეცემა ხოლმე როლის საუკეთესო საფარგარეთელ შემსრულებელს.

რა ბრალი მიუძღვის?

ბურჟუაზიული კრიტიკა აღდგმულ ქება-ღიძვებას ასხამდა ფრანკ შერრალ ქალს ფრანსუაზა სავანს, რომელმაც თავისი პირველი რომანი 17 წლისამ დაწერა. მას უწოდებდნენ ახალ სტენდალს, „ქუდბედი თ შობილს“; ყოველი წიგნი იწვევდა სენსაციას, ხდებოდა მათი ინსტენიუმბა, ეკრანიზაცია, ენიჭებოდა ჯილდოები, ითარგმნებოდა მსოფლიოს თითქმის ყველა ენაზე და ა. შ., ამას წინათ პრესამ დიდი ხმამური ატება ფრანსუაზა სავანის ახალი ბალეტის „ჩაშლილი პაემნის“ შესახებ, რომელსაც არახულ წარმატებას უწინასწარმეტყვე-

ლებდნენ. და უცებ — სკანდალი. ბალეტი რამდენჯერმე დაიდგა ელისეს მინდვრების თეატრში და მოხსნეს, ხოლო კრიტიკა ლანძღვა-გინებით დაეხსა თავს: უნიკო, ბანალურა, მოსაწყენი უწოდა. უკიდურესმა მემარჯვენე ვაჭეთებმა მოითხოვეს, არ მიეცეს ამ დადგმას 2,5 მლნ ფრანკი სახელმწიფო სუბსიდიო, და თავისი გაიტანეს. რა მოხდა? გამოირკვა, რომ ბალეტის დამდგემლმა როყე ვადიმმა პროგრესულ ვაჭეთში „ლეტერ ფრანსეზ“ პროტესტი განაცხადა აღსიროში წარმოებული ომის გამო, და საზოგადოების ამასწინანდელ ნებიერს — ფრანსუაზა სავანს ძვირად დაუჯდა პროგრესულ არტისტთან თანამშრომლობა.

ფაშიზმის მარცხი

ფაშიზმს, რომელიც ამას წინათ პარიზში „ხელოვნებას“ ნიღბით წარმოუდგენილი იქნა კოლმბორაციონისტ ბრახილიაკოს პიესის სახით, პროგრესულმა პარიზმა მარტხი აგემა. რახისტული პიესა ბრახილიაკისა, რომელიც ომის შედეგ სიკვდილით დასაჯეს კოლმბორაციონიზმის გამო, რემერტუარიდან მოიხსნა, რადგან მისი დადგმის წინააღმდეგ მტკიცე პროტესტი განაცხადეს ფაშიზმის მსხვერპლებმა, რომელთაც მხარი დაუჭირა ფართო საზოგადოებრიობამ. ასევე სამარცხვინოდ დამარცხდა ანტიემიტატური კინოწუნი — „ახალი ბატონები“, რომელიც ფაშისტურმა ორიენტაციამ გადაიღო. პარიზის ეკრანებდან მისი მოხსნა გამოიწვია არა მხოლოდ მაყურებელთა გულგრილობამ, არამედ აგრეთვე „რახისმისა და ანტიემიტატურომის საწინააღმდეგო და მშვიდობის მომხრეთა მოძრაობამ“. ფინანსიურად დაზარალებულმა ფილმის მებატრონებმა უჩივლეს მთავარ დამნაშავეს — „მოდრაობას“ და მოითხოვეს ზარალის ანაზღაურება 25.000.000 ფრანკის რაოდენობით, მაგრამ პარიზის სასამართლომ ეს თან-

ხა 500.000 ფრანკამდე დაიყვანა. სააპელაციო სასამართლომ, რომელმაც გულდასხმით განიხილა ფაქტები, ეს „სიმბოლური“ ანაზღაურებაც კი არ მიიღო და საჩივარი უმართებულოდ სცნო.

„მძროს დაფნის გზირგვინი“

რენე კლერი, გამოჩენილი ფრანგი კინორეჟისორი, ლონდონში დააჯილდოვეს „მძროს დაფნის გვირგვინით“. ეს ჯილდო ყოველწლიურად გადაეცემა ხოლმე იმ კინოხელოვანთ, რომლებიც თავიანთი ნაწარმოებებით ხელს უწყობენ მსოფლიოს ხალხთა შორის ურთიერთგაგებას და მეგობრულ თანამშრომლობას.

უზბრეთი

ბუნების სურათი

უნგრელმა კინორეჟისორმა შტეპან ზომოკი ნაღმა ეკრანზე გამოუშვა თავისი ახალი ფერადი ფილმი „მეგობრები“, რომელზეც თითქმის ოთხი წელიწადი იმუშავა. სურათი შესანიშნავია იმით, რომ გამოხატავს ცხოველების — ძაღვების, ფრინველების და ა. შ. მეგობრობას, რაც ძალიან საინტერესო ფაბულითაა შეკრული; ეს არაა ვაჭრთნილი ცხოველები — ისინი ბუნებრივად სჩადიან ყველაფერს, რასაც ფილმში ვხვდავთ, რადგან ასეთ პირობებში ჩააყენა რეჟისორმა. უზარმაზარი, საკირკიტო, მოთინებით აღხავე ნამუშევარი რეჟისორისა (ოპერატორიც თვითონ იყო), სრულიად შეუმჩნეველია ამ სათანხებვიან ფილმში, რომელსაც მაყურებელი უდიდესი ინტერესით უყურებს.

გამოცემების გაცვლა

გათვალისწინებულია უნგრული ხელოვნების გამოყენების მოწყობა მიმდინარე წლის ბოლოს.



გარდა ამისა, განზრახულია რეპინის ნამუშევრების გამოყენა ზღაპრულში, ხოლო საბჭოთა კავშირში თანამედროვე უნგრელი მხატვრების ნაწარმოებთა ჩვენება.

შედეგები

საზოგადოებრიობის პროტესტი

შედეგად გაზეთში „ვერლდს-პორიფონი“ დაიბეჭდა ცნობილი შედეგი პოეტისა და ბუნებისმეტყველის პროფესორ ერლანდ ფონ ჰოფსტენის წერილი ნობელის სახელობის პრემიების მინიჭების თაობაზე. ავტორი მოითხოვს, ეს პრემიები უნდა იყოს მსოფლიო ჯილდო, როგორც ეს თვით ნობელის ანდერძშია აღნიშნული.

წერილში ნათქვამია შემდეგი: 1901 წლიდან ნობელის სახელობის პრემია მიეკუთვნა 52 წერსალს, ამათგან მხოლოდ 12 წარმომადგენელია ჩრდილოეთის ქვეყნებიდან, 27 ფრანგი ან გერმანელია, 7 — ესპანელი და იტალიელი, ამრიგად, ნობელის პრემიის ლაურეატთა უმრავლესობა ევროპელებია. ამ პრინციპს გადაუხვევს მხოლოდ ერთხელ — 1913 წელს, როცა ეს ჯილდო მიანიჭეს ინდოელ პოეტსა და ფილოსოფოსს რაბინდრანათ თაგორს. შემდეგ ლაურეატთა წრე ისევ დასავლეთ ევროპის კულტურით შემოიფარგლა.

მოფხტენი აღნიშნავს, რომ ასეთი თვალსაზრისი გაუმართლებელია, რადგან ვერ ითვალისწინებს ამჟამად არსებულ რეალურ მდგომარეობას. არა მარტო ჩრდილო და სამხრეთ ამერიკა, არამედ აზია და აფრიკაც ახლა სულ სხვა როლს თამაშობენ საერთაშორისო ასპარეზზე. ამიტომ არ შეიძლება უგულვებელყოფით ისეთი ქვეყნების წარმომადგენლები, როგორცაა ინდონეზია, იაპონია, ჩი-

ნეთი, ინდოეთი, არაბული ქვეყნები და საბჭოთა კავშირის აზიური რესპუბლიკები.

პროფესორმა თავის წერილში შედეგით მოწინავე საზოგადოებრიობის აზრი გამოთქვა. ამას მოწმობს შემდეგი ფაქტიც: როცა ამ უკანასკნელად ნობელის პრემია ფრანგ კამიუს გადასცეს, სტოპოლის გაზეთმა „ფტონლადემა“ პროტესტი განაცხადა იმის გამო, რომ პრემიის ლაურეატობის კანდიდატთა სიდან ამოშალეს საბჭოთა ლიტერატურის ისეთი წარმომადგენელი, როგორცაა შოლოხოვი, რადგან თურმე უიურის შემადგენელმა შეუძლებლად მიიჩნია საბჭოთა მწერლის დასახელება.

ჩინოსლოვაკია

ფილმი ჰაშეკის მიხედვით

კარელ სტეკლიმ დამთავრა მეორე ფილმი ჰაშეკის რომანის — „ჟოჩაღი ჯარისკაცის“ მიხედვით. ფილმი მოგვითხრობს შვეიცია და ობერლეიტენანტ ლუკასის მხიარულ თავგადასავალს პირველი მსოფლიო ომის დროს. ფილმის სახელწოდებაა: „ნება მიბოძეთ მოგახსენოთ“.

სიცოცხლეში მოკრძაბული უკვდავება

სულ რამდენიმე თვის წინათ მთელმა ჩეხოსლოვაკიამ სიყვარულით აღნიშნა თავისი უდიდესი პროლეტარული პოეტის პეტრე ბეზრუჩის დაბადების 50 წლისთავი. მისი სიკვდილის ცნობამ გულწრფელი მწუხარება განაცდევინა ჩეხ ხალხს. პეტრე ბეზრუჩი (ვლადიმერ ვაშეკი) ჰემშიარტილ სახალხო მგოსანი იყო; თავისი მებრძოლი ლექსებით, რომლებიც

მშრომელ ხალხს ბედნიერებისათვის ბრძოლისკენ მოუწოდებდნენ, მან სიცოცხლეშივე მოიპოვა უკვდავება. ბეზრუჩის ლექსებს მთელი ხალხი სიყვარულით იზეპირებდა.

„სამშაროს შემხანა“

პრადის ნახტი ფილმების სტუდიამ სამწლიანი მუშაობის შემდეგ შექმნა ფერადი ფილმი განთქმული ფრანგი კარიკატურისტის თან ეფელის ცნობილი ციკლის — „სამშაროს შექმნის“ მიხედვით. ფილმის პრემიერაზე ეფელმა მადლობა გადაუხადა სტუდიას, რომ შესაძლებელი გახდა მისი ჩანაფიქრის განხორციელება. საფრანგეთში, ნახტი ფილმის სამშობლოში, მხატვარს არ მიეცა ამის შესაძლებლობა, რადგან იქ უკვე აღარ არსებობს ამ დარგში მომუშავე აღარც ერთი სტუდია.

იულიუს ფუჩიკის ცხონკრიბა

ჩეხოსლოვაკიისა და საბჭოთა კავშირის კინომუშაეები გააღებენ ერთობლივ ფილმს ჩეხი მწერლისა და უუნრლისტის იულიუს ფუჩიკის ცხოვრების შესახებ.

ჩინეთი

ახალი ანგანი

მიმდინარე წლის სექტემბრიდან ჩინეთს ყველა დაწყებითსა და საშუალო სკოლაში დაიწყებენ 26 ასოსაგან შემდგარი ჩინური ფონეტიკური ანბანის შესწავლას. ეს ღონისძიება მეტად გააადვილებს ჩინური დამწერლობის სწრაფად შესწავლას და ხელს შეუწყობს ამჟამად საყოველთაოდ აღიარებული და გავრცელებული ბეკინური დიალექტის პოპულარიზაციას.



ფანკი 6 მან.

6-57/139

5-6/60



ХУДОЖЕСТВЕННО-ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„**ДИСКАРИ**“

ГОСИЗДАТ ГРУЗИИ